# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 12 (257) ◆ 20-26 მარტი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




### „აი-თი-ეს"-ი — გაცრუებული იმედი

„აი-თი-ეს"-მა ვერ განახორციელა მისი საქართველოში ყოფნის უმთავრესი მიზანი — შემოსავლების ზრდა... მოხდა პირიქით...

საკმაოდ ხეირობენ ქართველი მებაჟეები და არც „აი-თი-ეს"-ი უნდა იყოს მაინცდამაინც წაგებაში.

ზარალდება მხოლოდ და მხოლოდ ბიუჯეტი და რიგითი მოქალაქე.

გვ.5-7

### პრეზიდენტს წამგებიანი ხელშეკრულება შეაჩეჩეს...

21 მარტს პარლამენტს სარატიფიკაციოდ გადაეცემა კიდევ ერთი, ჩვენთვის არახელსაყრელი ხელშეკრულება...

შეიძლება სერტიფიკატის მომლოდინე 3 მილიონი გლეხი იმედგაცრუებული და მოტყუებული დარჩეს..

გვ.5

### საქართველოს უზარმაზარი სიმდიდრე დასაბრუნებელია

...საქართველოს ხელისუფლების დოყლაპიობის და რუსეთის მორიგი მუხანათობის ფაქტები...

...თუ პარლამენტმა თავი არ შეიკავა, საქართველო თავის დიდძალ ქონებას დაუთმობს რუსეთს.

...ჩვენ ერთხელ უკვე „დაგვაგვიანდა", ახლა ამის უფლება აღარ გვაქვს...

გვ.17

### ვის ირჩევს კრემლი? პუტინი — პუტინზე:



— დაზვერვაში მუშაობის სურვილი ბავშვობიდანვე გამიჩნდა...

— საფრთხის შეგრძნება შესუსტებული მაქვს.

— უამრავი მასალა დავწვით გერმანიიდან გამოსვლისას... გავანადგურეთ კავშირები, კონტაქტები, აგენტთა ქსელი... არ უნდა გამოვსულიყავით აღმოსავლეთ ევროპიდან...

გვ.18

### სილუეტები ათასწლეულისა

*მოკლული* — ქართლის შაჰის ნაცვალი, ქართლის მეფედ წოდებული სვიმონ-ხანი.

*მკვლელი* — ზურაბ არაგვის ერისთავი...

*მკვლელობა* — პოლიტიკური... ვინ იდგა მკვლელის ზურგს უკან?

გვ.25




ფირმა „ბერმუხა"

ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


### ყველაზე კორუმპირებული უწყება — საბაჟო

გვ.27

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

### ფრანგული პანტალონები ქართულ სინამდვილეში



ბატონმა ასლანმა (სმირბამ) თავის მართლება არ ისურვა...

— ვიდევნები, რადგან აფხაზი ვარ — განაცხადა სმირბამ...

...ირაკლი ჩუბინიშვილმა ჩვენთან საუბარში გაავრცელა ექსკლუზიური ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა „ალორძინებაში" სკანდალი გამოიწვიოს.

გვ.7

*სამხედრო თემაზე:*

### რატომ გარბიან ქართველი ჯარისკაცები?

...რატომ არ ვწერდით აქამდე კოჯრის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრზე და მის რეინჯერებზე... (რამ აიძულა ჯარისკაცები ნაწილი დაეტოვებინათ).

— შეპყრობილი რადუევი არის რადუევი? ანუ — „ტიტანიკს" ტიტანი ვერ ალმოუჩინეს.

გვ.9

### საკუთარი რეპორისთვის ვერ მიგიხედია და მე გაგახსენდები?

— ესაო, გვირაბის ბოლოს შუქი ჩანსო... რა ჩანს, შვილოსა, ვის ატყუებ... ჰგონიათ, ვტყუვდებით, არ ვტყუვდებით...

— გამოვა გულუა და ამდენი მიწა მოვხანით, ამდენი — დავთესეთო...! და დათესეს? ჩემს მოხნულ-დათესილს რომ ითვლი, სირცხვილი არ არის?



— ხუთშაბათს ექვსი მკვდარი გავასვენეთ... მაშინ, როცა ერთი ბავშვიც არ დაბადებულა.

გვ.20



საკვირაო ტელე-კინოგიდი

20-26 მარტი

გვ. 14-15

### ორმხრივი ბუმერანგი



შევარდნაძესა და პატიაშვილს შორის „ჯენტლმენური გარიგება" 9 აპრილის ტრაგედიას ჩვენს სასარგებლოდ არ გამოვიყენებთო, არ შედგა... 9 აპრილის თემა ახლა ორივეს ბუმერანგივით შემოუტრიალდა...

„კვირის პალიტრა" კომენტარს სთხოვს ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს.

გვ.3

### 9 აპრილს პოლიტპატიმრები თავს მოიკლავენ?!

— როგორ არ ვთხოვე, ვეხვეწე, ვევედრე... არ დამიჯერეს... ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს და თუ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, 9 აპრილს თავს მოვიკლავთო...

გვ.6 *ვახტანგ ბოჭორიშვილი*

### „სიკვდილა" ცოცხლად დარჩენას ნანობს...

1993 წელი. ტამიში...



...იგი ნაღმის ნამსხვრევით ჯერ მუცლის არეში დაიჭრა... ბრძოლით გართულმა ტკივილი ვერ იგრძნო... პოზიციის გამოცვლისას ნაღმს დაადგა ფეხი... დარტყმის ძალამ ჰაერში აისროლა და გონება დაკარგა...

ახლა ცოცხალია, მაგრამ ნანობს, რომ გადარჩა, რადგან აღარავინ მოინდომა...

გვ.8

ეჟენია

### პროცესი ნელს განახლდება

სკოლის მასწავლებელი საკუთარი შვილის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს. მას სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს. სასამართლო პროცესს მთელი ქვეყანა ადევნებდა თვალყურს...

დღეს ათიათასობით მის თანამემამულეს მიაჩნია, რომ განაჩენი უსაფუძვლო და ნაკლებდამაჯერებელია.

გვ.10

ამერიკის მეთექვსმეტე პრეზიდენტმა პატარა ამერიკელი გოგონასაგან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო...

გვ.19


EURO-AMERICAN

მეორადი მოხმარების ტანსაცმელი 25კგ. ფუთებში, საგაზაფხულო ფასდაკლებით.

ჩვენი საქონელი გამოირჩევა ფართო ასორტიმენტით, მაღალი ხარისხით და დაბალი ფასებით.

მის: თბილისი, ფიროსმანის 23; ტ: 94-28-33

წარმომადგენლობა: ქუთაისი: ჭავჭავაძის 1გ; ტ: 2-21-16

გორი: ჭონქაძის 11, ბ. 13; ტ: 899-50-56-71

ზუგდიდი: გურამიშვილის 13; ტ: 2-06-30


Неделя
Коммандос
Частная жизнь
Телохранитель
За рубежом
Московские новости
Newsweek
Focus
Общая газета
Der Spiegel
Комсомольская правда
Stern
Сегодня
Клюква
Известия
Труд
Совершенно секретно
Аргументы и факты
Иностранец
Le Figaro magazine
Match
ТВ Парк
Лица
Огонек
Daily
Le Nouvel Observateur
Итоги

თქვენ ვეგოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## კვლავ პროდასავლურ კურსს უერთგულებენ

საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, აქტიურდება უცხოეთის ქვეყნების ლიდერთა და დელეგაციათა ვიზიტების პროცესი საქართველოში. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ იმის გარდა, რომ ედუარდ შევარდნაძე იაროსლავ ბრძენის ორდენით დააჯილდოვა, თბილისში ვიზიტისას მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადებებიც გააკეთა, რაც ნამდვილად არ მოეწონათ მოსკოვში. კერძოდ, უკრაინის პრეზიდენტმა ღიად დაადასტურა, რომ უკრაინას თავისი გეოპოლიტიკური და ენერგოინტერესები აქვს სამხრეთ კავკასიაში და რომ უკრაინის სამშვიდობო ძალები მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში! კუჩმამ ჟენევის ფორმატით მოქმედი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების საკოორდინაციო საბჭო მორიგი სხდომისათვის ყირიმში მიიწვია... რა თქმა უნდა, კუჩმას ინიციატივას ხიშტით შეხვდა ვლადისლავ არძინბა, თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ არძინბა ასევე სასტიკი წინააღმდეგი იყო საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ჩართვისა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში, მაგრამ ამით მას არაფერი გამოუვიდა. ყველაზე საგულისხმო კუჩმას ვიზიტისას მაინც ის იყო, რომ ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა საჯაროდ, ოფიციალურად დაადასტურეს: საქართველო და უკრაინა არ გადაუხვევენ პროდასავლურ კურსს და 2004-2005 წლებისათვის ჯერ უკრაინა, შემდეგ საქართველო გაწევრდებიან ნატოში! რა თქმა უნდა, კუჩმას არც 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნები დავიწყებია და მოუწოდა ჩვენს ისთებლიშმენტსა და ხალხს — აირჩიონ ედუარდ შევარდნაძე!

სხვათა შორის, მიმდინარე კვირაში მსგავსი ვიზიტით შევარდნაძეს ეწვევა ჰეიდარ ალიევი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს აზერბაიჯანის უმაღლეს ჯილდოს — დამოუკიდებლობის ორდენს გადასცემს! ალიევ-შევარდნაძის მოლაპარაკებისას, ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა ბაქო-ჯეიჰანის ტარიფების საქმე! „კვირის პალიტრისთვის“ კონფიდენციალური წყაროებით ცნობილი შეიქნა, რომ ქართული მხარე მზადაა კომპრომისისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ძირითადი ნავთობიდან თანახმაა, მიიღოს 18 ცენტი ბარელზე, ნაცვლად — 20 ცენტისა, რასაც ბოლო დრომდე კატეგორიულად მოითხოვდა! თუმცა არ გამოირიცხება, რომ შევარდნაძე-ალიევმა დამატებითი კორექტივებიც შეიტანონ ამ ციფრებში.

## ხელისუფლებაში მებრძოლები უნდა მოვიდნენ!

ერთობ უცნაური ინიციატივით გამოვიდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მებრძოლი შეიარაღებული ფორმირებების, მათ შორის, „მხედრიონის“ წარმომადგენლები, რომლებიც არჩევნების ჩატარების აქტიური მომხრეები არიან და მხარს უჭერენ შევარდნაძეს! ამ ყოფილ ფორმირებებს შექმნილი აქვთ საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ბოლო ათწლეულში საქართველოში მომხდარი ყველა შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილენი, მათ შორის, თბილისის ომისა... მათი განცხადებით, ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები უნდა მოვიდნენ, რომლებმაც იციან ქვეყნის მართვა და არიან... მებრძოლები!

22 მარტს ვეტერანების ყრილობა საბოლოოდ დააფიქსირებს თავის პოზიციას, კერძოდ, ვის მისცემენ ხმას საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა, როგორც ვთქვით, ისინი უკვე ემხრობიან შევარდნაძეს!

## პატიაშვილი ამ საქმეს ასე არ დატოვებს!

აი, ჯუმბერ პატიაშვილის საარჩევნო შტაბი კი სულ სხვა პრობლემებითაა დაკავებული... ბოლნისში ჩასულ პატიაშვილსა და მის მომხრეებს, ადგილობრივი შევარდნაძისტები კვერცხების სროლით შეხვდნენ. როცა საარტილერიო თავდასხმა გაუსაძლისი შეიქნა და პატიაშვილის დაცვას „დიდი მანევრების“ ჩატარება მოუხდა „ჭურვების“ თავიდან ასაცილებლად, შეძახილით „თქვენი პატრონის დედა...“ იერიშზე გადავიდნენ და შუა ქუჩაში ცემა-ტყეპაც გაჩაღდა! ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ადგილობრივ შევარდნაძისტთა „პატრონი“, ბოლნისის გამგებელი იქვე იდგა და მის ცხვირწინ ნადგურდებოდა რაიონის „მეფრინველეობის მონაგარი“. როცა მოუწოდეს მას, შეეჩერებინა „კვერცხებით თამაში“, მან ეს ხალხის „ნების“ გამოხატულებად ჩათვალა და ხელებიც გაასავსავა — მე ვერაფერს გავაწყობო!

ამ ფაქტთან დაკავშირებით, პატიაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა მამუკა გიორგაძემ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს ნივთმტკიცებაც წარუდგინა — ბოლნისელ შევარდნაძისტთა მიერ ნასროლი მთელი კვერცხი, რომელიც პატიაშვილის ერთ-ერთ მხარდამჭერს დაუჭერია ნახტომში(!). მომხდარის გამო პატიაშვილის შტაბი შევარდნაძის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს სასამართლოში!

## „იტერას“ თბილგაზის „გადაყლაპვა“ სურს?!

საქართველოს ხელისუფლებას კვლავ „დაეცა“ ულტიმატუმით რუსეთის კომპანია „იტერა“, რომლის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ქართული მხარისაგან 69 მლნ დოლარის დაუყოვნებლივ მიღება, რაც საქართველოს დაედო ვალად რუსული ბუნებრივი გაზის მოხმარებისათვის! სათბობენერგეტიკის სამინისტროში გამართული კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ ცნობილი შეიქნა, რომ მხარეები მხოლოდ მოლაპარაკების გაგრძელების ვადაზე შეთანხმდნენ. „იტერას“ 10 კაციან დელეგაციას ქართულმა მხარემ ვერაფრით აუხსნა, სად და როგორ „იკარგება“ რუსეთიდან მოწოდებული გაზის... 60%(!) საქგაზსა და თბილგაზს შორის, აგრეთვე, როგორ გადაიხდიან 69 მლნ დოლარს თბილგაზი და სამრეწველო ობიექტები! ბოროტი ენები ამბობენ, რომ შექმნილ ვითარებაში „იტერას“ თბილგაზის „გადაყლაპვის“ ანუ შესყიდვის შესანიშნავი შანსი ეძლევაო... ისიც საინტერესოა, რომ „იტერა“ მსგავსი საკითხებით, როგორც წესი, არჩევნების წინა პერიოდში ინტერესდება ხოლმე, რაც პოლიტიკური ზეწოლის მცდელობის ელფერს აძლევს პრობლემას და ეს მაშინ, როცა საქართველოს დღემდე არ მიუღია ყოფილი საბჭოთა კავშირის კუთვნილი უზარმაზარი სიმდიდრიდან და ქონებიდან თავისი კანონიერი და საკმაოდ სოლიდური წილი. ამ წილის ჩაჯიბვას კი რუსეთი ცდილობს დიდი ხანია.

## იაპონია კვლავ ჩვენზე ზრუნავს

იაპონელებმა, რომლებიც დიდი ხანია, სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ ჩვენს ქვეყანას, ქართული ხელოვნების დაფასებაც გადაწყვიტეს და ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ტექნიკური გადაიარაღებისათვის გამოყვეს გრანტი 49,7 მლნ იენის ოდენობით. საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც გაუმართლა და იაპონელებმა ბაკურ გულუას უწყალობეს გრანტი... 360 მლნ იენის ოდენობით! იაპონელების აზრით, ეს გრანტი უნდა მოხმარდეს საქართველოში სასურსათო პროდუქციის წარმოების ზრდას, თუმცა რა „აზრი“ შეიძლება ჰქონდეს ამ იდეის შესახებ ქართულ მხარეს, ესეც ცნობილია, კერძოდ, „უკანასკნელ იენამდე ეს თანხა მოხმარდება სამამულო წარმოების სურსათის ხარისხისა და რაოდენობის ზრდას.“

## ყოფილი გენსეკი გვემოძღვრავს!

წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე ამოტივტივებულ 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზებს მოსკოვიდან მიხეილ გორბაჩოვიც „გამოეხმაურა“, თუმცა მას იმაზე მეტი არაფერი უთქვამს, რასაც ამ 11 წლის წინ ამბობდნენ, ან დღეს ამბობენ შევარდნაძე და პატიაშვილი. მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე, სახელწოდებით „ათი წელი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, სადაც რუსი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები აანალიზებდნენ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ მოვლენებს, 9 აპრილის ტრაგედიის თემამაც გაიჟღერა და გორბაჩოვმა ისიც კი ბრძანა, რომ „აზრი აღარ აქვს 9 აპრილის მოვლენების გახსენებას“(!). მაგრამ თუ მისთვის აზრი არ აქვს (როგორც ჩანს, არც მაშინ ჰქონდა „აზრი“, როცა მიტინგის დარბევის ბრძანებას იძლეოდა), დიახაც, რომ აქვს აზრი საქართველოსთვის, სწორედ საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის...

სობჩაკის დოკუმენტაციისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გავა წლები და რუსეთის გასაიდუმლოებული არქივები, ალბათ, უფრო იტყვიან სიმართლეს 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ, ვიდრე საქართველოს გენერალური პროკურატურა... გორბაჩოვმა, სხვათა შორის, ისიც „გვირჩია“, დაანებეთ თავი კომპრომატების ძებნას და საქართველოს მომავალზე იფიქრეთო. ამაში კი ნამდვილად მართალია ყოფილი გენსეკი!

## გამგებლებსა და მერებსაც აირჩევთ?!

ედუარდ შევარდნაძემ თავისი წინასაარჩევნო პროგრამის, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება გამოიტანა საჯაროდ, კერძოდ, საქართველოში დაკანონდება გამგებლებისა და ქალაქის მერების არჩევნები, რა თქმა უნდა, შევარდნაძის მეორე საპრეზიდენტო ვადით არჩევის შემთხვევაში... შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 3 წლის წინ, საპარლამენტო ოპოზიცია მოითხოვდა ამ კანონის მიღებას, მაგრამ უმრავლესობისგან სასტიკი უარი მიიღო. შედეგად, დანიშნული გამგებლებისა და მერების ინსტიტუტმა კიდევ უფრო გამოხრა და დაასუსტა ქვეყანა, მაგრამ, სამაგიეროდ, გადამწყვეტი როლი შეასრულა 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების უზრუნველსაყოფად... რა თქმა უნდა, მმართველი ძალის სასარგებლოდ...

ჯერჯერობით, პრეზიდენტს არ დაუსახელებია დრო, როდის შევა აღნიშნული კანონი ძალაში, თუმცა არსებობს ევროსაბჭოში ნაკისრი ვალდებულება, რომლის საფუძველზეც საქართველომ კანონმდებლობა აღნიშნულ საკითხზე 2001 წლამდე უნდა შეცვალოს.

## ბათიაშვილი მისამართს არ ასახელებს!

ნეოკონსერვატორული პარტიის ლიდერები ირაკლი ბათიაშვილი და ფიქრია ჩიხრაძე აფიქსირებენ ფაქტებს, რომ ენგურის ხიდიდან დიდი რაოდენობის კონტრაბანდა შემოდის, რაშიც დამნაშავენი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. მაგრამ ამისგან არაფერი გამოდის, რადგან ბათიაშვილი კვლავ არ უთითებს კონკრეტულ მისამართებს და ზოგადად ლაპარაკობს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, უშიშროებისა და პოლიციის მონაწილეობაზე ამ საქმეში. ეს უკანასკნელებიც, როგორც სხვები და როგორც წესი, კატეგორიულად უარყოფენ ბრალდებებს. შედეგად, განცხადებები კვლავ ჰაერის კუთვნილება ხდება!

## აბსანძეს უარი უთხრეს

უზენაეს სასამართლოში დიდი ხმაურით და გაწევ-გამოწევით დასრულდა პროცესი, რომელზეც ცსკ-ის წინააღმდეგ გურამ აბსანძის მიერ შეტანილი სარჩელი განიხილეს. აბსანძის რწმუნებული ძალის გამოყენებით გააგდეს დარბაზიდან, ხოლო მოსამართლე მაია ვაჩნაძემ ძალაში დატოვა ცსკ-ის გადაწყვეტილება და გამსახურდიას ხელისუფლების ყოფილ წევრს საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებაზე უარი განუცხადა. განაჩენს საფუძვლად დაედო ცსკ-ის მიერ გურამ აბსანძის მხარდამჭერთაგან შეგროვილი ხელმოწერების სიებში აღმოჩენილი დარღვევები, თუმცა თავად აბსანძე ცსკ-ს ადანაშაულებდა ხელმოწერების გაყალბებაში, მაგრამ ამაოდ. აბსანძემ და მისმა მომხრეებმა ბევრი იყვირეს, იჩხუბეს, წარმოადგინეს სათანადო მტკიცებულებებიც, მაგრამ ვერაფრით შეარყიეს „რეფორმაგამოვლილი“ სასამართლო სისტემის ნება... თუმცა თავად სასამართლომ გამოიჩინა კეთილი ნება და აბსანძეს 900 მხარდამჭერის ხელმოწერები აღუდგინა. სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა აბსანძეს უფლება მისცემოდა, ჩაბმულიყო წინასაარჩევნო კამპანიაში.

## საქართველოს გენოციდში ადანაშაულებენ!

აფხაზეთის ომის პერიოდის შემდეგ, როცა მოსკოვში საქართველოს საელჩოს ტალღისებურად აწყდებოდნენ ხოლმე საპროტესტო ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით მოსკოველი აფსუები და რუსი ნაციონალ-შოვინისტები — ჟირინოვსკის, ტულეევის, მაკაშოვისა და სხვათა თაოსნობით, ამჟამად მოსკოველი ჩეჩნები და ე.წ. რუსი დემოკრატები მიაწყდნენ და საქართველო რუსეთთან ერთად დაადანაშაულეს ჩეჩენი ხალხის გენოციდში(!). გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსგავსი აქციები უნდა გამართულიყო დასავლეთის ქვეყნებში არსებულ საქართველოს საელჩოებთანაც, თუმცა იქ მხოლოდ ფაქსით მიიღეს საპროტესტო განცხადებები...

რა შეიძლება ითქვას მომხდართან დაკავშირებით! გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლება თავს იკავებს მკვეთრი განცხადებებისა და ქმედებებისაგან, მაგრამ ის ფაქტი, რომ სწორედ საქართველომ მიიღო ათასობით ლტოლვილი ჩეჩენი, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი და მასმედია ცალსახად თანაუგრძნობს და მხარს უჭერს ჩეჩენ ხალხს ამ ბრძოლაში, ამის დაუნახაობა, რბილად რომ ვთქვათ, უმადურობაა და მეტი არაფერი. თუმცა მოსკოვში გამართულ აქციას ერთი პლუსი მაინც აქვს: ახლა მაინც დარწმუნდება რუსი ობივატელი, რომ ჩეჩენ ბოევიკებს არც ბაზები აქვთ საქართველოში და არც აქედან შედიან ჩეჩნეთში მოხალისეები!

## „რამა“ ფალსიფიცირებული რამ ყოფილა!

თბილისში ფალსიფიცირებული გერმანული კარაქის „რამას“ წარმოების საქმე გასკდა, მაგრამ ვაი, რომ ძალზე დაგვიანებით. გაირკვა, რომ ფალსიფიკატორები ერთი წლის მანძილზე თბილისის ნაგავსაყრელზე „მოძიებული“ აღნიშნული კარაქის ცარიელ ყუთებს აგროვებდნენ, შიგ ასხამდნენ გამდნარ მარგარინს შესაბამისი საკარაქე კონცენტრატებით და მეტრო „ახმეტელის“ მიდამოებში ყიდდნენ. ფალსიფიკატორი აღმოჩნდა რუსთაველი ზაქარიაძეების მთელი ოჯახი, რომლის განცხადებითაც, ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ „მათ ბავშვებს შიოდათ“. აი, რამდენ მშიერ თუ ჯანმრთელ ბავშვს მოუწამლეს ორგანიზმი საკუთარი პროდუქციით ზაქარიაძეებმა, ამას სასამართლო განაჩენი განსაზღვრავს — მათ 5-დან 12 წლამდე პატიმრობა ელით!

## სქოულს შოკურ თერაპიას ჰპირდებიან!

დიდად სანუგეშო ცნობა გავრცელდა დედაქალაქის მერიიდან: „გიხაროდენ!“, 20 მარტიდან მშობლიური მერია და არამშობლიური „აი-ეს-თელასი“ გაუმჯობესებული გრაფიკით გვპირდებიან ელექტროენერგიის მოწოდებას. ერთ რჩევას მივცემთ „კვირის პალიტრის“ მკითხველებს: თუ დღის არაგრაფიკულ მონაკვეთში მოულოდნელად გეწვიათ შუქი, ფრთხილად იყავით, ეს სქოულის ოინია, რადგან ამ დროს შუქს იმიტომ უშვებენ, რომ იმავდროულად ინკასატორ-გადამჭრელების ლაშქარიც შეესიოს მოსახლეობას და „ლევი“ ხაზის აღმოჩენის თუ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, აჯარიმოს და ჭრას მრიცხველთა სადენები. ამ ნიადაგზე კონფლიქტები დღითი დღე ხშირდება და დროა, „აი-ეს-თელასის“ ეგზეკუტორებმა ჭკუას მოუხმონ, სანამ ვინმე ჯიბეგაფხეკილი მოქალაქე არ ჩაუტარებს მათივე ხელით გადაჭრილი სადენით ელექტროგამაჯანსაღებელ შოკურ თერაპიას!

## განიხილება მახარაძის ექსტრადიციის საკითხი

**(ბლეკ სი პრესი)** აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი ამ ეტაპზე სწავლობს ვაშინგტონში საქართველოს საელჩოს ყოფილი თანამშრომლის, გიორგი მახარაძის სამშობლოში ექსტრადიციის შესაძლებლობას. ამის შესახებ 17 მარტს გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ 1996 წელს გიორგი მახარაძეს ავტოავარიის გამო, რომელშიც 16 წლის ამერიკელი გოგონა დაიღუპა, აშშ-ის სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„არსებული ფონი საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მახარაძის ექსტრადიციის საკითხი დადებითად გადაწყდება. იმედი გვაქვს, ამერიკული მხარე მხედველობაში მიიღებს იმ ფაქტს, რომ ქართულმა მხარემ მახარაძეს დიპლომატიური იმუნიტეტი მოუხსნა,“ — აღნიშნა ავთანდილ ნაფეტვარიძემ.

## გასროლა მარტვილში

**(კავკას-პრესი)** ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მარტვილში, „საქართველოს აღორძინების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, 1962 წელს დაბადებულმა ჯამბულ გაბისონიამ ავტომატიდან გასროლით მხარში დაჭრა 1966 წელს დაბადებული გელა ჩიხლაძე. გელა ჩიხლაძე თავისი ძმის, გოჩა ჩიხლაძის ავტომანქანაში იმყოფებოდა, რომელიც მერაბ კოსტავას საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა. ჯამბულ გაბისონია შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოკვლევას აწარმოებს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება.

## პრეზიდენტს მოკრივის ხელთათმანი აჩუქეს

**(კავკას-პრესი)** საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გორის რაიონს ეწვია, სოფელ ვარიანის სპორტკლუბში მოულოდნელი საჩუქარი მიართვეს.

ცნობილმა ქართველმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა პრეზიდენტს აჩუქა მოკრივის ხელთათმანი, რომლითაც ლონდონში რამდენიმე პროფესიონალთან გამარჯვება მოიპოვა. პრეზიდენტმა საჩუქარი დიდი მადლიერებით მიიღო და რჩევისათვის თავად მოკრივესა და ჟურნალისტებს მიმართა, თუ მომავალში როგორ გამოიყენოს. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ პრეზიდენტს შესთავაზა, რომ ხელთათმანი მთავრობის წევრების წინააღმდეგ გამოიყენოს. პრეზიდენტმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ ამ წინადადებაზე იფიქრებს და ხუმრობით დასძინა, რომ კატეგორიულ უარს ამბობს ოპოზიციის წარმომადგენლებთან მუშტი-კრივის გამართვაზე.




## კლინტონმა აზიური ვოიაჟი წამოიწყო

თავისი პრეზიდენტობის უკანასკნელ წელს ბილ კლინტონმა მნიშვნელოვანი ვოიაჟი დაიწყო აზიაში. იგი ეწვია ინდოეთსა და პაკისტანს ერთადერთი მიზნით, რათა ამ ქვეყნების ხელისუფლებები აიძულოს, შეწყვიტონ ბირთვული იარაღის გამოცდა და წარმოება. ინდოეთის სეპარატისტული ქაშმირის შტატის გამო, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ეს ორი მეზობელი და უკვე ატომური ბომბებით შეიარაღებული სახელმწიფო უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ აზიაში. კლინტონის მიერ შემუშავებული გეგმა, მისივე თქმით, ორივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ითვალისწინებს, თუმცა იქვე იმასაც ამბობს, რომ შერიგების პროცესი ძალიან რთული იქნება...

## მოიპარეს „ოსკარები“!

აშშ-ის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს „ოსკარის“ გადაცემამდე რამდენიმე დღით ადრე, ლოს-ანჯელესში სპეციალურ საცავში დაცული „ოსკარების“ მთელი პარტია აორთქლდა. ამ ფაქტმა პანიკა გამოიწვია ჰოლივუდში, რომლის პოლიციაც და ასობით აგენტი დღედაღამ ეძებს „ოსკარების“ ქურდებს! კინოაკადემიის ხელმძღვანელებმა, ყოველი შემთხვევისათვის, ახალი „ოსკარების“ ჩამოსხმა შეუკვეთეს.

## №1 ტერორისტი ავად გამხდარა!

მსოფლიოს №1 ტერორისტი, რომლის „თავი“ ამერიკელებს 5 მლნ დოლარად აქვთ შეფასებული, თირკმლების უკმარისობის დიაგნოზით საწოლსაა მიჯაჭვული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბენ ლადენს ამერიკელების მიერ დაქირავებულმა მსახურმა ყავაში შეურია საწამლავი, რამაც გამოიწვია დაავადების პროგრესირება. ბენ ლადენს მკურნალობენ საუდის არაბეთიდან ჩასული საუკეთესო ექიმები...

## პაპმა პატიება ითხოვა

**(რუსული პრესის მიხედვით)** რომის პაპმა საჯაროდ სთხოვა პატიება ებრაელებს, ქალებსა და ერეტიკოსებს, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე კათოლიკური ეკლესია კოცონზე წვავდა, ძალით ნათლავდა და დევნიდა.

## ბაბიცკის სტრასბურგში იწვევენ

**(რუსული პრესის მიხედვით)** ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის მეთაურმა, ლორდმა ჯადმა გამოთქვა სურვილი, რომ ანდრეი ბაბიცკი სტრასბურგში გამოვიდეს სესიაზე. თუ ეს ასე არ მოხდება, სიტუაცია რუსეთის საწინააღმდეგოდ შეტრიალდებაო, — განაცხადა ლორდმა.

# „პატიაშვილისთვის ნასროლი კვერცხები შევარდნაძესაც მოხვდება...“

**ბოლო დროს კვირა არ გავა, რომ ვაშინგტონიდან არ მოვიდეს ახალი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ კავშირშია კავკასიაში მიმდინარე პროცესებთან. ამ დღეებში აშშ-ის კონგრესის რესპუბლიკურმა უმრავლესობამ მთელი კატეგორიულობით დააყენა საკითხი რუსეთისადმი ამერიკის პოლიტიკის გადასინჯვის შესახებ და კიდევ ერთხელ გააკრიტიკა კლინტონის ადმინისტრაცია მოსკოვის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო. ეს გარემოება გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ უახლოეს მომავალში ვაშინგტონის პოზიცია რუსეთის მიმართ გამკაცრდება; ხოლო ის ფაქტი, რომ ამ კვირის ბოლოს საქართველოში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ჩამოვა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი, რაც თავისთავად უპრეცედენტო მოვლენაა პოსტსაბჭოური ეპოქისთვის, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვაშინგტონი აშკარა დემარშს მიმართავს რუსეთისადმი და საჯაროდ აფიქსირებს — სამხრეთ კავკასიის რეგიონი აშშ-ის ეროვნული ინტერესების სფეროა და ის აქედან წასვლას არ აპირებს! ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ალ გორისა და ჯორჯ ბუშის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ისიც იქნება, თუ თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში რა პოზიციას ჩამოაყალიბებენ რუსეთის მიმართ. მანამდე კი ამერიკას ჯერ პრეზიდენტი ჰყავს ასარჩევი. ყოველი საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანია და არჩევნები აშშ-ში არის გრანდიოზული შოუ, ერთგვარი დღესასწაული, აზრთა და იდეათა ჭიდილი და არა ერთმანეთის წარსულში ქექვისა და მამხილებელი საბუთების ძიების პროცესი, როგორც ეს, სამწუხაროდ, ჩვენში ხდება...**

**ვესაუბრებით რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ივლიანე ხაინდრავას:**

— რა თქმა უნდა, ტიპოლოგიური და არსებითი განსხვავება არსებობს ჩვენს სინამდვილესა და ამერიკულ, გნებავთ, განვითარებულ დემოკრატიულ საზოგადოებებს შორის, რადგან იმავე ამერიკაში ოპოზიცია წარმოადგენს სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ნაწილს. ამიტომ ოპოზიციისგან მტრის ხატის შექმნა დაუშვებელია; ვთქვათ, გორმა რომ გამოაცხადოს — რესპუბლიკური პარტია საფრთხეს უქმნის აშშ-ის სახელმწიფოებრიობასო, — მორჩა, იმ წუთშივე დამთავრდება მისთვის არჩევნებიც და პოლიტიკური კარიერაც! იქ პერიოდულად ხდება ლოგიკური მონაცვლეობა ხელისუფლებისა, რაც გამორიცხავს ავტორიტარიზმის გაჩენას. არჩევნებში დამარცხებული პარტია კი, იძულებულია იფიქროს, რაღაც ახალი იდეების გენერირება მოახდინოს, ემზადოს და ნებისმიერ მომენტშიც მზად იყოს ხელისუფლებაში მოსასვლელად. სწორედ ხელისუფლების მონაცვლეობა განსაზღვრავს ქვეყნის განვითარებას... გახსოვთ, 1945 წლის პოტსდამის კონფერენცია დაიწყო ჩერჩილმა და დაამთავრა ეტლიმ. ე.ი. ფაშიზმზე გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ომის დამთავრებისთანავე ინგლისელებმა ჩამოაშორეს ხელისუფლებას და ეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება ყოველთვის ფრთხილობს, ავტორიტარული ხასიათი არ მიეცეს ვინმეს მმართველობას... ჩვენთან კი, ერთი და იგივე პარტია, ფაქტობრივად, 1994 წლიდანაა ხელისუფლებაში, რაც საკუთრივ მათთვის არ არის სასარგებლო, რადგან ჭაობში ამყოფებს მათ. ამასთან, როცა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში სრული წარუმატებლობის ფონზე აკეთებ იმას, რომ კიდევ უფრო ზრდი შენს წარმომადგენლობას პარლამენტში, ჯერ ერთი, გიქვეითდება პასუხისმგებლობის გრძნობა; მეორეც — პატივისცემა საკუთარი ამომრჩევლის მიმართ, თუკი გაქვს საერთოდ პატივისცემა მათდამი და მესამეც: ამ ჩამყაყებულ ვითარებაში სტიმულიც კი აღარ რჩება საიმისოდ, რომ ვიღაცამ ახალი იდეები მოიფიქროს, ახალი პროექტები შეიმუშაოს და ა.შ.



**— და მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებად რჩება კომპრომატების ამოქექვა, ლანძღვა, კვერცხის და აგურის სროლა, არჩევნების წინ კორუფციაში „მხილება“, წიხლების ქნევა...**

— თავიდათავი ამჟამინდელი წინასაარჩევნო უბედურებისა მაინც არის ის, რომ ოპოზიცია არაფრით სჯობს უმრავლესობას. ჯერ კიდევ 31 ოქტომბრის არჩევნებს ჩვენ მივეცით შეფასება და ვთქვით, რომ მან საპრეზიდენტო არჩევნების ნიშნით ჩაიარა, ანუ როცა არჩევანს აკეთებდნენ შევარდნაძესა და აბაშიძეს შორის, ჩვენ ვაცხადებდით, რომ ეს იყო არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. შედეგად, საქართველოს ამომრჩეველმა აირჩია ორივე, ცუდიც და უარესიც! მოქკავშირმა გაზარდა თავისი დეპუტაციის რიცხვი, ბათუმურმა კოალიციამ კი, თავი პარლამენტის ერთადერთ ოპოზიციურ ძალად დააფიქსირა. მივიღეთ აბსურდული მდგომარეობა — საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ მოსწონს არც უმრავლესობა, არც ოპოზიცია. გასაგებია, თუ რატომ არ მოსწონთ უმრავლესობა, მაგრამ ოპოზიცია იმიტომაც არ მოსწონთ, რომ უკვე აშკარაა — ოპოზიციის მიერ უმრავლესობის მიმართ გამოთქმული ნებისმიერი კრიტიკა თვალთმაქცობაა! ამიტომ არის, რომ ჟვანია იქვე უბრუნებს უკან ამ კრიტიკას და თან უცხადებს: „კი მაგრამ, ჩვენ რომ გვაკრიტიკებთ, აი იქ, სადაც თქვენ ხართ ხელისუფლებაში (ანუ აჭარაში), როგორ გაქვთ საქმე?“ აღმოჩნდება ხოლმე, რომ „იქ“ ხშირად მართლაც უარესადაა საქმე მრავალი თვალსაზრისით... ამიტომ ის არჩევანი, რომელიც 31 ოქტომბერს გაკეთდა, არის უგუნური! დღეს, საღი პოზიციებიდან ხელისუფლების კრიტიკა პრაქტიკულად არ ისმის, მხოლოდ ერთი-ორი ადამიანი ახერხებს სიმართლის თქმას. აი, ამ ვითარებიდან მომდინარეობს კვერცხებისა და კიდევ სხვა „რამეების“ ურთიერთსროლა...

**— შევარდნაძისა და პატიაშვილის ხალხი გამალებით ეძებს ურთიერთმამხილებელ და ურთიერთგამანადგურებელ დოკუმენტაციას შესაბამისი პროპაგანდისტული კამპანიის ფონზე... რა არის ეს, რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ერთსაც და მეორე მხარესაც?**

— დიახ, იმთავითვე ჩანდა, რომ ასეთი საზიზღარი ფონი შეიქმნებოდა. დღეს პრეზიდენტობის ორი მთავარი კანდიდატი ცდილობს, დაარწმუნოს ქვეყანა, თუ ვინ უფრო დამნაშავე იყო 9 აპრილის ტრაგედიაში. ჩემი აზრით, უწინარესად დამნაშავე არის პატიაშვილი და მის მიმართ უფრო მეტია გამჭვირვალობა, ანუ მისი როლის შესახებ ამ ტრაგედიაში ყველაფერი თუ არა, თითქმის ყველაფერია ცნობილი. იმ „პანდორას ყუთიდან“ კი, ანუ სობჩაკის არქივიდან, მაინცდამაინც ახალს არაფერს ველი... შევარდნაძის როლთან დაკავშირებით თითქოს არსებობს რაღაც ეჭვები, მაგრამ ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს... ზნეობრივი პასუხისმგებლობა შევარდნაძეს, რაღა თქმა უნდა, აკისრია. როცა მან დაურეკა მოსკოვიდან პატიაშვილს და ამ უკანასკნელმაც უთხრა — ყველაფერი რიგზეა, არ არის თქვენი ჩამოსვლა საჭიროო, ეს საკმარისი არგუმენტი არ უნდა ყოფილიყო უმოქმედობისთვის, როცა საქმე მისი ერის ბედს ეხებოდა. არ შეიძლება, როცა თბილისში ხარ, მაშინ შენს ერად მიიჩნიო ხალხი, ხოლო მოსკოვში მყოფმა უარი თქვა მასზე... არა მგონია, შევარდნაძის ინფორმაციის ერთადერთი წყარო პატიაშვილი ყოფილიყო, რადგან იგი საბჭოთა კავშირის ლიდერთა პირველ სამეულში შედიოდა. ამიტომ ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა ზუსტი ინფორმაცია მიეღო რაც ხდებოდა თბილისში და გადაედგა შესაბამისი ნაბიჯი! არ ვიცი, რამდენად კონტროლირებადია დღევანდელი პროცესები, ეს ურთიერთკომპრომატები, მაგრამ ზნეობრივი თვალსაზრისით პასუხისმგებლობა შევარდნაძეს არ ასცდება, სუფთად ვერ გამოვა იგი ამ საქმიდან და პატიაშვილისთვის ნასროლი კვერცხები მასაც მოხვდება! თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ვერაფერი შეცვლის არჩევნების შედეგს, რადგან პატიაშვილი ამთავითვე წაგებულ თამაშს თამაშობს... მისთვის ძვირფასი იქნება ყოველი მიღებული ხმა სწორედ 9 აპრილს, რადგან პატიაშვილი ამ ხმებს განიხილავს, როგორც ერთგვარ ინდულგენციას იმ 9 აპრილის ტრაგედიაში თავისი ნამოქმედარის თუ უმოქმედობის გამო... ვინაიდან ამერიკასთან ვავლებთ ერთგვარ ანალოგიას, უნდა ვთქვათ, რომ იქ ნებისმიერ დიდ თუ მცირე სკანდალს ისეთი პასუხი გაეცემა ხოლმე, რომ მოსახლეობის უმრავლესობაში ეჭვის საფუძველს აღარ ტოვებს, ანუ ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული პასუხის შემდეგ საკითხი ამოწურულად ითვლება, იმდენად დიდია ნდობა მისდამი... კლინტონის ბრალეულობა ლევინსკის საქმეში დამტკიცდა, კლინტონმაც აღიარა, ერს ბოდიშიც მოუხადა, იმპიჩმენტსაც გადარჩა და საკითხიც ამოიწურა... ჩვენთან კი, ნებისმიერი საქმე რომ ავიღოთ, გია ჭანტურიას მკვლელობიდან დაწყებული ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის დაპატიმრებებით დამთავრებული, დღემდე უამრავი უპასუხო კითხვაა დარჩენილი, ანუ ნდობა ამ საქმეების მიმართ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი არის უკიდურესად დაბალი. აი, ასეთი ატმოსფერო კი გაძლევს შესაძლებლობას, კომპრომატების თემაც წამოსწიო, დაუსაბუთებელი ბრალდებებიც ისროლო და, საუბედუროდ, ამომრჩეველიც საიმისოდაა განწყობილი, რომ მზადაა, სიბინძურეს დაუჯეროს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ეს სიბინძურე დამტკიცდება... არც ეს არის გასაკვირი, რადგან იმდენი სიბინძურე ხდება ჩვენ გარშემო, რომ ადამიანი შეეჩვია ყველაფერს. ამერიკაში კი, დაუსაბუთებელი ბრალდება ისე ძვირად დაგიჯდება, რომ ყველაფერს დაგავიწყებს!

**— გმადლობთ!**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# „მსგავსი ზღაპრები მეც ბევრი მომისმენია...“

*მართალია, შევარდნაძესა და პატიაშვილს შორის „ჯენტლმენური გარიგება“ მოხდა, რომ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას არც ერთი კანდიდატი არ გამოიყენებდა თავის სასარგებლოდ, მაგრამ შეთანხმება ვერ შედგა და ახლა ორივე კანდიდატი წინასაარჩევნო კამპანიას, ძირითადად 1989 წლის 9 აპრილს დაღვრილ სისხლზე აგებს; 11 წლის წინანდელი ტრაგედია დღეს სპეკულირების საგანი ხდება.*

*ორი კვირის წინ, ვაკის პარკში ჯუმბერ პატიაშვილის მიერ გამართულ მიტინგზე, პატიაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა მამუკა გიორგაძემ 9 აპრილის ტრაგედიაზე მთელი პასუხისმგებლობა ედუარდ შევარდნაძეს დააკისრა. არც საპასუხო სვლას დაუყოვნებია — იმავე დღეს გენერალური პროკურატურა საგარეო საქმეთა სამინისტროდან სობჩაკის „ამანათს“ იღებს, რომელიც 9 აპრილის მოვლენების მოკვლევას ეხება.*

*სანამ სობჩაკის დასკვნა ფართო საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი, ჩვენ შემოგთავაზებთ მოსაზრებებს 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით.*

**თენგიზ სიგუა:** ჩვენ, ხელისუფლებაში მოსვლისას, 9 აპრილის თემითაც დავინტერესდით. პირადად ვესაუბრე ანატოლი სობჩაკს, რომელიც იმ პერიოდში მოკვლევას აწარმოებდა. მან მითხრა, — 9 აპრილის ტრაგედია მოსკოვში, პოლიტბიუროს მიერ დაიგეგმა და აქ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება არაფერ შუაშიაო. სობჩაკის თქმით, ჯერ კიდევ 7 აპრილს, ლონდონიდან ჩამოსულ დელეგაციას (გორბაჩოვი, შევარდნაძე...) შერემეტევოს აეროპორტში მთელი პოლიტბიურო დახვდა. სობჩაკის აზრით, ყველაფერი იქვე და მაშინვე გადაწყდა. აქედან გამომდინარე, მეეჭვება, რომ პროკურატურამ ობიექტური დასკვნა გამოაქვეყნოს.

**ირაკლი გოცირიძე** *(ჟურნალისტური გამოძიებით მოპოვებული მასალების მოხედვით)*: ყველაზე დიდი დამნაშავე 9 აპრილის ტრაგედიაში საბჭოთა სისტემაა და აქედან გამომდინარე, ყველა ის პიროვნება, რომელიც ამ სისტემას ემსახურებოდა. რაც უფრო დიდია თანამდებობა, მით უფრო იზრდება პასუხისმგებლობაც. ახლა დაობენ, ვის მიუძღვის ბრალი — პატიაშვილს თუ შევარდნაძეს.

მე გაგაცნობთ რამდენიმე ფაქტს, დასკვნის გამოტანა კი თქვენთვის მომინდია.

7 აპრილს დიდი ბრიტანეთიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია გორბაჩოვისა და შევარდნაძის თავკაცობით. აეროპორტში პოლიტბიუროს მთელი წარმომადგენლობა დახვდათ. ეს ღამის 11 სთ-ზე ხდება. იქვე, დარბაზში ჩატარდა სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად გორბაჩოვს საქართველოში შექმნილი სიტუაციაც მოახსენეს, — მდგომარეობა დაძაბულია, ხალხი დამოუკიდებლობას მოითხოვსო. გენსეკი დაინტერესდა, — რა გააკეთა პოლიტბიურომ, რაზეც ამგვარი პასუხი მიიღო — იქ შეიარაღებული შენაერთები გავგზავნეთო.

გორბაჩოვმა შევარდნაძეს მიმართა, — ალბათ, საჭიროა თქვენი წასვლა თბილისშიო. მეორე დილით შევარდნაძე ტელეფონით ესაუბრა პატიაშვილს. იმავე დღეს, ჩებრიკოვის კაბინეტში კვლავ შეიკრიბნენ პოლიტბიუროს წევრები და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები. ჩებრიკოვმა შევარდნაძეს საქართველოში ჩაუსვლელობის მიზეზი ჰკითხა, რაზედაც სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა, — ამხანაგ პატიაშვილს ვესაუბრე და მან საჭიროდ არ მიიჩნია ჩემი თბილისში ჩასვლაო.



ამრიგად, შევარდნაძემ თავიდან აიცილა პასუხისმგებლობა.

პატიაშვილი ვერ შეძლებდა სიტუაციის განეიტრალებას. უფრო მეტიც, მიტინგზე გამოვიდა საზოგადოებისთვის უფრო დიდი ავტორიტეტი — პატრიარქი, მაგრამ ხალხმა არ დაუჯერა. თუ შევარდნაძეს შეეძლო მომიტინგეთა დაშლა, რატომ არ ჩამოვიდა? მით უმეტეს, რომ ამის ნებართვა გორბაჩოვისგან მიიღო. როგორც თავად შევარდნაძე ამბობს, — საქართველოში პატიაშვილის უარის გამო არ ჩამოვიდა. საინტერესოა, ვინ უფრო დიდი ავტორიტეტი იყო შევარდნაძისთვის — გორბაჩოვი თუ პატიაშვილი?

**ელდარ შენგელაია:** პატიაშვილს შეეძლო მომიტინგეებისთვის სისხლის ღვრა აეცილებინა თავიდან.

**— ბატონო ელდარ, ამბობენ, პატიაშვილს სურდა მთავრობის სახლთან გასვლა, მაგრამ ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა, გვარად ხატიაშვილმა, არ გაუშვა — ბატონო ჯუმბერ, როგორც კი შენობიდან გახვალთ, გესვრიან. გასროლა ოპოზიციის მხრიდან აღიქმება, რაც ჯარებს მომიტინგეთა დარბევის საბაბს მისცემსო, — უთქვამს მას.**

— მსგავსი ზღაპრები მეც ბევრი მსმენია. იმასაც ამბობდნენ, 9 აპრილს 2000 კაცი დაიღუპა, რომლებიც მტკვარში გადაყარესო...



შევარდნაძე ვერ ჩამოვიდოდა თბილისში. გორბაჩოვის სიტყვიერი ნებართვა არაფერს ნიშნავდა საბჭოურ სისტემაში. მინდა გითხრათ, რომ იყო სამი კატეგორია, საქართველოს ხელისუფლების (იგულისხმება ცკ), მომიტინგეთა ლიდერებისა და პატრიარქის სახით. სწორედ პირველი ორის გამო მოხდა ის ტრაგედია. მეტსაც გეტყვით, 9 აპრილის შემდეგ მომიტინგეთა ლიდერთა მხრიდან ასეთი რეპლიკებიც მსმენია — ცოტა იყო მსხვერპლიო. დიახ, ისინი მსხვერპლს მოელოდნენ. მაშ, რატომ არ გაუშვეს შინ ქალები და ბავშვები? მათ გაწირეს ხალხი.

*რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით ნაჩვენები იყო 11 წლის წინანდელი (1989 წლის 4 აპრილის) საქართველოს ცკ-ის აქტივის ვიდეოჩანაწერი, სადაც მაშინდელი ცკ-ის მდივანი იდეოლოგიის დარგში ნუგზარ ფოფხაძე საქართველოში ჯარების შემოყვანას და „არაფორმალთა წინამძღოლების“ მიმართ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას მოითხოვდა. ფოფხაძის აზრით, „საბჭოთა წყობის მტრებს მხოლოდ სიტყვებით არ უნდა ებრძოდნენ“.*

*აღნიშნულის გამო „კვირის პალიტრა“* **ნუგზარ ფოფხაძეს** *დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა.*

— ამ ფირს ძალიან ხშირად ატრიალებდნენ ზვიად გამსახურდიას დროსაც, ოღონდ დღევანდელისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მაშინ ეს „ტრიალი“ პატიოსნად ხდებოდა. სატელევიზიო პრაქტიკაში არსებობს მონტაჟი, რომელსაც თავისებური ჭკუა სჭირდება. რა იყო იმ კადრებში „სენსაციური“! აღნიშნული კადრები, არანაირი „ფარული კამერით“ არ ყოფილა გადაღებული. სხდომას საქართველოს ტელევიზია ესწრებოდა და გააშუქა კიდეც.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ტელევიზიით გადაცემული კადრები მონტაჟია?**

— როგორ ფიქრობთ, ეს კადრები მე არ მაქვს? ეს ფირიც მაქვს და ბევრი სხვაც.

**— მაშინ თქვენ გვითხარით, დაუჭირეთ თუ არა მხარი საქართველოში ჯარების შემოყვანას, როგორი იყო თქვენი პოზიცია?**

— მსგავსი არაფერი ყოფილა. ჩემი პოზიცია კი ყველა დოკუმენტშია დაფიქსირებული, რაც 9 აპრილს ეხება. ჯარების შემოყვანის გადაწყვეტილება ცკ-ის ბიუროს არ მიუღია. ეს სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა, მცირერიცხოვანი წევრებით.

**— დღევანდელი ხელისუფლება 9 აპრილის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას ჯუმბერ პატიაშვილს აკისრებს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ყველა დოკუმენტში, რომელიც ამ საკითხის ირგვლივაა შექმნილი, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება ცკ-ის პირველ მდივანს პატიაშვილს და მეორე მდივანს ნიკოლსკის. ეს თავიდანვე ცნობილი იყო და გაუგებარია, რად უნდათ ხელახლა „ველოსიპედის გამოგონება“?

**— მაინც როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა აგოს პასუხი 1989 წლის 9 აპრილს დაღვრილი სისხლის გამო?**

— როგორ? არ აგო პატიაშვილმა პასუხი?

**— კონკრეტულად რით გამოიხატება პატიაშვილის პასუხისგება?**

— რით და დაატოვებინეს პოსტი, გადააყენეს.

**— გადააყენეს თუ თავისი ნებით დატოვა ცკ-ის მდივნობა?**

— სხვა საკითხია, როგორ გაფორმდა. ფაქტია, რომ პატიაშვილი ამ მოვლენებს შეეწირა.

**— მოხდება კი საბოლოოდ მტყუან-მართლის გარჩევა?**

— გამორიცხულია მანამ, სანამ 9 აპრილის ირგვლივ ემოციური საუბრები არ შეწყდება. პირიქით, ეს ერის გახლეჩას უწყობს ხელს.

***ზურა ქაჩლიშვილი***



ერწო-თიანეთის სოფელ ნადოკრას ახლოს, ტყეში, ნახევრად დაქცეულ ეკლესიაში განისვენებს ქართველი მეფე, მოწამე არჩილ სტეფანოზის ძე.



წმ. არჩილის განსასვენებელი სოფელ ნადოკრაში

V ს-ის შუა ხანებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარება ძლიერ შეაფერხა არაბთა ბატონობამ. მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქართლში და ქვეყნის სათავეში დასვეს ამირა.

ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ -მ სამეფო განძი გაუყო შვილებს — მიჰრს და არჩილს; თავად უფროს ვაჟთან ერთად ეგრისში გადავიდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო საპატრონოდ არჩილს ჩააბარა. გადმოცემით, არჩილმა სამეფო ქონება ჩაფლა ტონთიოს მთაზე.

არაბთა შემოსევებმა გაანადგურა ქვეყანა. განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია საქართველო მურვან ყრუმ. არჩილი ეგრისში შეეხიზნა ძმას. მურვან ყრუ დიდძალი ლაშქრით დაედევნა მას, შემოადგა ანაკოფიის ციხეს, სადაც ძმები იყვნენ გამაგრებულნი. იმ დროს აფხაზეთზე ბიზანტიის უფლებები ვრცელდებოდა. არჩილმა ბრძანა, — არ მინდა, ქართველთა და ბერძენთა ამოწყვეტის მიზეზი შევიქნეთო, ღვთისმშობელს შეჰვედრა სამშობლო, ძმასთან ერთად მცირედი მხედრობით გამოუხტა მტერს და სამარცხვინო დამარცხება აგემა. გახარებულმა ბიზანტიის კეისარმა მიჰრს და არჩილს სამეფო გვირგვინები გამოუგზავნა.

ძმებმა ხელი მიჰყვეს დაქცეული ქვეყნის აღდგენას. ჭრილობებით დაუძლურებულმა მომაკვდავმა მიჰრმა ძმას უანდერძა ქვეყანა და თავის შვიდ ასულზე ზრუნვა. არჩილმა ძმისწულები შესაფერის დიდებულებს მიათხოვა და მზითევიც მისცა. მამის, სტეფანოზის ცხედარი ციხეგოჯიდან ქუთაისში გადმოასვენა, ხოლო მიჰრი დაკრძალა მცხეთას, ზემო ეკლესიაში. გააერთიანა თითქმის მთელი საქართველო. 12 წლიანი მეფობისას აღაშენა ციხენი და ქალაქნი, ეკლესიები, ცოლად შეირთო ვახტანგ მეფის შვილიშვილი, გუარამ კუროპალატის ასული. შეეძინა ორი ვაჟი — ჯუანშერი და იოანე, ოთხი ასული — გურანდუხტი, მარიამი, მირანდუხტი და შუშანი, გააქრისტიანა ჩრდილოკავკასიელი ტომები, განამტკიცა ერისმთავრობა, ხარკი შეუწყვიტა არაბებს.

არაბებმა, ცხადია, ვერ აპატიეს ეს ამპარტავნება არჩილს და მარბიელი ჯარი, ჭიჭანუმ-ასამის მეთაურობით, შემოუსიეს კახეთს. ქვეყანას ჯერ არ შეეძლო გამკლავებოდა მტერს; ამიტომ არჩილმა განიზრახა, ხლებოდა ასამს და დაზავებოდა. ჭიჭანუმი სიხარულით შეეგება ახოვან, პირმშვენიერ მეფეს. რამდენიმე დღის შემდეგ შესთავაზა, — ქრისტე განაგდე და დიდ წყალობას მიიღებო. არჩილმა ახლოს არ გაიკარა ასამის ნათქვამი, — არ უარვყოფ ქრისტეს სახელს, არც საწუთრო ცხოვრებაზე გავცვლი მარადიულს, არც ჟამიერ მეფობას — უჟამო თანაყოფაზე ქრისტესთანო. განრისხებულმა ასამმა საპყრობილეში ჩააგდო მეფე. ამასობაში, გარდაბნელმა გამაჰმადიანებულმა სომეხმა, რომლის ბიძის მკვლელი არჩილის პაპას, ადარნასეს გაუთავისუფლებია, განიზრახა, ჯავრი შვილიშვილზე ეყარა და ასამს გაანდო, — არჩილი მირიანის და ვახტანგის შთამომავალია, მან იცის, სად არის დაფლული სამეფო განძიო. ასამმა ახლა განძი მოსთხოვა არჩილს. თან ჰკითხა, — სად იყავი მაშინ, როდესაც სარკინოზები დამარცხდნენ აფხაზეთშიო. არჩილმა მიუგო, — მეც იქ გახლდით, როცა ღმერთმა დასცა ისინიო. განრისხებულმა ასამმა ბრძანა, თავი მოეკვეთათ ქართველთა მეფისთვის.

იდგა 761 წლის 20 მარტი. მეფემ ილოცა, ქვეყანა და ოჯახი შეავედრა ქრისტეს და მშვიდად წარუპყრა ქედი ჯალათებს...

ერთგულმა აზნაურებმა ღამით მოიპარეს წამებულის ცხედარი და დაკრძალეს მის მიერვე აგებულ მონასტერში სოფელ ნოტკორას (ამჟამინდელი ნადოკრა).

ქართული ეკლესია წმიდა არჩილს მოიხსენიებს მოწამე ლუარსაბ მეფესთან ერთად, 2 ივნისს.

მეფე არჩილის განსასვენებელი წმიდა ადგილად არის შერაცხული. მანდ პირველად იფოთლება ტყე, რაც გაზაფხულის მაუწყებელიაო, — სწამს ხალხს.

***ვ. ზარიძე***

## (ერთი თვალით დანახული თბილისი)

გაზაფხულის მოახლოება გულს გიხალისებს და ძალაუნებურად გარეთ გიბიძგებს, მაგრამ პირადად მე, ის სიხალისე, დილიდანვე ჩახჩახა მზის დანახვით რომ დამეუფლა, მალევე გამიხუნდა, საღამო ჟამს კი ერთობ დამიმძიმდა გუნება.

მეტროსადგურ „რუსთაველის" წინ ხალხი ვიღაცას შემოხვეოდა. ისმოდა ხორხოცი. ახლოს მისულმა დავინახე „ცნობილი" ირმა, რომელსაც „პლეხანოველი" მარინას მემკვიდრეს ეძახიან. იგი უშვერი სიტყვებით ამკობდა ყველა გამვლელს. მოსეირე ბიჭები ჭკუასუსტ გოგოს უფრო აქეზებდნენ. ირმასაც მეტი რა უნდოდა, თავისთვის „უბერავდა". უცებ ადგილს მოსწყდა, შველივით გოგოს დაედევნა: ჯერ გინებით აიკლო, მერე პანღურიც უთავაზა, თავიდან ქუდი მოგლიჯა, თვითონ დაიხურა და გამარჯვებულის იერით დაუბრუნდა მოხარხარე ბიჭების ჯგუფს. დაფეთებული გოგონა ამაოდ ეძებდა მშველელს... ატირდა და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.



ვარაზისხევს დავუყევი. შორიდანვე დავინახე მოჩხუბარი ბიჭები. სამი ერთს ისე უბათქუნებდა, ვითომ მათ წინ ადამიანი კი არა, ტიკინა ყოფილიყო. ამ სცენით შეძრწუნებულმა ცირკთან მდგარ საგზაო პოლიციელს ვთხოვე, ბიჭს მიშველებოდა. თითქოს მომისმინა, მერე სასტვენს ჩაბერა და ისე სწრაფად გავარდა, თვალი ძლივს შევასწარი. ჰმ! სულ სხვა დარდი ჰქონია დილიდან საღამომდე ქუჩაში მდგარს. რა მისი საქმეა, ვინ ვის უბაგუნებდა ან ვის ჰკლავდა? მისი „მოწოდება" ხომ მხოლოდ ავტომანქანის მძღოლთა „სათანადო დასჯაა", მათგან აწაპნილი „ჯარიმით" კი, სხვა თუ არაფერი, პურის ფული მაინც შეაქვს ოჯახში.

„დინამოს" სტადიონთანაც ამაზრზენი სურათი გადამეშალა. სადღაა პირველ სართულზე განლაგებული სავარჯიშო სექციები ან საცურაო აუზი? ყველა ადგილი მისხალ-მისხალ იყიდება და ოდესღაც გამაჯანსაღებელი კომპლექსისა და დარბაზების სანაცვლოდ ჩნდება ახალ-ახალი სავაჭრო ობიექტები, რომელთა უმთავრესი ბიზნესი ავეჯის ყიდვა-გაყიდვაა.

უცნაურია, „დინამოს" ადმინისტრაციას ნუთუ არაფრისა ერიდება? თბილისში ჩამოსული სტუმარი ხომ გაოცებული იკითხავს: ეს საფეხბურთო მოედანია თუ ავეჯის სალონიო? ალბათ, აღარც სტუმარი ადარდებთ და აღარც ქართველ სპორტსმენთა ტრადიციები ახსოვთ.

ბაზრობას ჩავუარე. ერთი ჯიბესქელი ვაჭარი ახალგაზრდა ქალს (ისიც მოვაჭრეა, მაგრამ შედარებით გამოუცდელი) საღამოს შეხვედრაზე ურიგდება, სანაცვლოდ კი 10 ლარს ჰპირდება. უცებ ატეხილმა ჩოჩქოლმა მათი ყურადღება (და ჩემიც) სხვა „ობიექტზე" გადაიტანა. პოლიციელმა რამდენიმე თათრის ქალს მწვანილით სავსე ყუთები ატალახებულ მიწაზე გადმოუცალა, მერე ქართველებსაც დაერია...

— რა ხდება? — დავსვი ყბადაღებული კითხვა, — ერთისთვის შეიძლება აქ დგომა და სხვისთვის — არა?

მშრალად მიპასუხეს, — ვისაც ფული არ გადაუხდია, იმას აწიოკებსო.

თურმე გარესავაჭრო ადგილი სანტიმეტრობითაც კი იყიდება. გამყიდველმა თავის ერთ „დასაჯდომ" ადგილთან ერთად პროდუქტით სავსე ყუთების დასაწყობი ადგილის საფასურიც უნდა გადაიხადოს.

ეჰ, ჩემო თბილისქალაქო! როგორ გყიდიან ნაწილ-ნაწილ, გოჯობით და სანტიმეტრობით... ღმერთმა არ ქნას, გაიყიდო მთლიანად და სამუდამოდ! იქნებ, შენმა გულშემატკივარმა — დიდმა და პატარამ, ყველამ ერთად ამოვიღოთ ხმა და ვთქვათ, — თბილისს ეს არ ეკადრება, თბილისი ამის ღირსი არ არის, თბილისი დღევანდელ მზესავით ნათელი და ჩახჩახა უნდა იყოს!

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ტფილისი ჩვენი მშობლიური ქალაქია. ყველანი, ვინც კი აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, — რა მილეთისაც გინდა იყოს კაცი, — მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატვრითა... თუ რამ ცუდია აქ და ბევრი რამაც არის ცუდი, სულ იმის ბრალია, რომ დედაქალაქს შვილობას არ ვუწევთ".

ისე კი, დროა, ჩვენს დედაქალაქს შვილობა გავუწიოთ!

***მარინა ბაბუნაშვილი***



# რატომ შეაჩერეს წამგებიანი ხელშეკრულება

## პრეზიდენტს გერმანიაში ვიზიტის წინ?!

საქართველოში უკვე არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ შედის პარლამენტში მოუმზადებელი ხელშეკრულებები სარატიფიკაციოდ. ხშირ შემთხვევაში, პრეზიდენტი შეცდომაში შეჰყავთ და ისეთ დოკუმენტებზე აწერინებენ ხელს, რომელიც ქვეყნისთვის წამგებიანიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

ხვალ პარლამენტში სარატიფიკაციოდ შემოდის გერმანიასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში მიწის სარეგისტრაციო სისტემის დანერგვას. პროექტის ღირებულება 52,2 მლნ გერმანული მარკაა. აქედან 30 მლნ მარკა ჩვენს ქვეყანას სესხის სახით ეძლევა. ზოგიერთი სპეციალისტი ამ პროექტს საქართველოსთვის არახელსაყრელად მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ ამ ყველაფრის გარდა საქართველომ 18 მლნ გერმანული მარკა ბიუჯეტიდან უნდა გაიღოს პროექტის განსახორციელებლად. ამას ისიც ემატება, რომ კრედიტის 73% საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა დაიხარჯოს.



გერმანული პროექტი ითვალისწინებს საქართველოში არსებული მიწის ნაკვეთების სრულ აღწერას, უმაღლესი სიზუსტის მქონე რუკების შედგენასა და ერთიანი სარეგისტრაციო სისტემის ჩამოყალიბებას. პროექტის თანახმად, საქართველოს ყველა რეგიონში შეიქმნება მაღალი დონის კომპიუტერიზებული ოფისები. თუმცა, გერმანულ პროექტში ბევრი რამ აღმოჩნდა ქართული მხარისათვის მიუღებელი. ოპონენტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პროექტი ძალიან ძვირია (52 მლნ მარკა), თანაც ამ თანხის 73% საქართველოს გარეთ დაიხარჯება (იგულისხმება ტექნოლოგიების შემოტანა). როგორც შევიტყვეთ, პროექტის უცხოელი ხელმძღვანელი ანაზღაურების სახით მიიღებს 2 მლნ 16 ათას მარკას, ანუ გერმანული კრედიტის 7,2%-ს, უცხოელი მიწათმომწყობი — 1,8 მლნ-ს ანუ კრედიტის 6%-ს, გარდა ამისა, უცხოელი მოკლევადიანი სპეციალისტი — 640 ათასს ანუ კრედიტის 2,13%-ს, საერთაშორისო კონსულტანტები 480 ათასს, ანუ კრედიტის 1,6%-ს. გამოდის, რომ უცხოელი ექსპერტები კრედიტიდან დაახლოებით 17%-ს მიიღებენ. ამ ციფრების ფონზე კრედიტის შეღავათიანობა აზრს კარგავს.

ექსპერტების აზრით, ასეთი პროექტი საქართველოსთვის ძვირადღირებული ფუფუნებაა. გარდა ამისა, გერმანული პროექტი წინააღმდეგობაში მოდის ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მიერ განხორციელებულ პროექტთან, რომელიც გლეხებისათვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. ამ პროექტის ფარგლებში უკვე 300 ათასი სერტიფიკატი გაიცა. მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გლეხებს პირადად პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ გადასცეს. აგრარული კომიტეტის წევრის ვანო მერაბიშვილის აზრით, შესაძლოა, ახალი პროექტის ამოქმედების შემთხვევაში ამ სერტიფიკატებმა ძალა დაკარგოს. „მესაკუთრეს, ნებისმიერი გარიგების განსახორციელებლად, მოუწევს ახალი სერტიფიკატის აღება განახლებული მონაცემებით“.

ხელშეკრულების რატიფიცირებას ეწინააღმდეგება პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან გაჩეჩილაძეც. მას მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს არ შეუძლია ასეთი ძვირადღირებული პროექტის მიღება, მით უმეტეს, რომ ალტერნატიული პროექტებიც არსებობს. „ჩემი აზრით, ხელშეკრულების ეს პროექტი ჩვენ საფუძვლიანად შესწავლილი არ გვაქვს. უნდა დავფიქრდეთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას“.

ზოგიერთი პარლამენტარის აზრით, ამ პროექტს საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკის სამინისტრო მიწის მართვის დეპარტამენტთან ერთად უწევს ლობირებას. ფაქტობრივად გამოდის, რომ შეუსწავლელი პროექტი პრეზიდენტს გასული წლის ნოემბერში შეაჩერეს. ახლა კი, საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია პარლამენტმა დოკუმენტის რატიფიცირება 30 მარტამდე მოასწროს, ვიდრე საქართველოში გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი ჩამოვა. „კარგია, რომ ასეთ ვიზიტებს ვამთხვევთ ამგვარი ხელშეკრულებების რატიფიცირებას, მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზის გამო ამ ხელშეკრულების მხარდაჭერა შეუძლებელია. მე ამ პროექტის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ უფრო მარტივი და იაფი სისტემა, თანაც საჩუქრად. USAID-ი ფაქტობრივად საჩუქრად გვიკეთებს მიწის კადასტრს. ჩვენი მთავარი მიზანია მიწის ბაზრის ჩამოყალიბება. ის, რომ გლეხს ჰქონდეს მიწაზე საკუთრების უფლება, რის შედეგადაც იგი შეძლებს ყიდვა-გაყიდვას, გირავნობას და ა.შ. ეს გახლავთ ამ პროექტის ამოცანა. თუკი ჩვენი ამოცანა შესრულებულია, მაშინ რაღა საჭიროა ალტერნატიული პროექტი, რომელიც სესხის სახით გვეძლევა“, — აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კობა დავითაშვილი.

ოპონენტების არგუმენტების გაბათილებას პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე დათო კირვალიძე შემდეგნაირად ცდილობს: „კადასტრის გარეშე ჩვენ სრული წარმოდგენა არ გვექნება ქვეყნის ძირითადი რესურსის, მიწის შესახებ. USAID-ის პროექტში რომ ყოფილიყო ურბანული და არასასოფლო-სამეურნეო მიწების სკრუპულოზური აღწერა, მაშინ ამ პროექტს აღარ განვიხილავდით. გარდა ამისა, მიწის კადასტრი სჭირდება ტრასეკას, ნავთობსადენის პროექტების და უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელებსაც, აცხადებს პარლამენტარი.

თუმცა, ამ შემთხვევაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ უნდა დააფინანსოს უშიშროების, ნავთობსადენის და ტრასეკას ინტერესები მიწის მოსაკრებელმა. მაშინ უნდა შედგეს გლობალური პროექტი, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია დააფინანსებს, რაც შეეხება გერმანული პროექტის გამართლებას იმით, რომ ის ყველა სახის მიწის ნაკვეთების აღწერას ითვალისწინებს, გამორიცხული არც ის გახლავთ, რომ USAID-მა ასეთი სახის სამუშაოებიც დააფინანსოს.

ქართული მხარე გერმანელთა მიერ შემოთავაზებულ პროექტში შენიშვნების შეტანას მოითხოვს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ კონტროლი დაწესდეს კრედიტის ხარჯვაზე. ზედამხედველობის ფუნქცია უნდა დაეკისროს სპეციალურ საბჭოს, რომელსაც ქართველი და გერმანელი სპეციალისტები ერთობლივად დააკომპლექტებენ.

თუკი პარლამენტი სამშაბათის სხდომაზე გერმანულ პროექტს გაუკეთებს რატიფიცირებას, მაშინ USAID-ი ოქტომბრიდან შეწყვეტს საქართველოში თავის მოღვაწეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის 300 ათასი სერტიფიკატი ძალადაკარგული, ხოლო სერტიფიკატის მომლოდინე 3 მილიონი გლეხი იმედგაცრუებული და მოტყუებული დარჩება.

თუ არა მავანთა კერძო ინტერესი, გაურკვეველია, რატომ უნდა ამჯობინოს საქართველომ (რომელსაც უკვე უამრავი გრძელვადიანი კრედიტი აქვს აღებული) გერმანული სესხი, ამერიკულ საჩუქარს. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტი 10 წლის შემდეგ უნდა დაიფაროს, პროცენტის გადახდა ხვალ-ზეგ უკვე მოგვიწევს, რაც ჩვენისთანა მცირებიუჯეტიანი ქვეყნისათვის მძიმე ტვირთი იქნება.

კულუარული ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ ეს პროექტი პარლამენტის სესიაზე დამტკიცდება. ამის საფუძველს გერმანიის კანცლერის პრეზიდენტ შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანიის მხარდამჭერი ვიზიტიც გვაძლევს. ასეთ სიტუაციაში კი იმიტომ აღმოვჩნდით, რომ ხშირად საფუძვლიანი პროექტების შესწავლა და ანალიზი თვით სამთავრობო დონეზეც კი არ გვხვდება. არადა, კვალი ისევ კორუმპირებულ ჩინოვნიკებამდე მიდის.

***ნათია გოგსაძე***

# „აი-თი-ეს“-ი — გაცრუებული იმედი?

## ანუ ვინ იგებს და ვინ აგებს ბრიტანული კომპანიის საქართველოში მოღვაწეობის გამო

ბრიტანული კომპანია „აი-თი-ეს“-ის საქართველოში მოღვაწეობის განვლილი პერიოდი, საკმაოდ იძლევა იმის საშუალებას, რომ გავაანალიზოთ და შევაფასოთ არსებული შედეგი. რამდენად გაამართლა ამ კომპანიამ ის იმედები, რაც ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლების ზრდის ეფექტურობას გულისხმობდა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია განვიხილოთ თუ რა ევალებოდა „აი-თი-ეს“-ს და რას გაართვა მან თავი ამ პერიოდში ნაკისრი ვალდებულებებიდან. პარალელურად კი თვალი გავადევნოთ ამ კომპანიის გამოჩენას საქართველოში და მის მიერ ტენდერში გამარჯვებას.

საქართველოს საბაჟო სისტემის მოწესრიგება რომ ვერაფრით მოახერხა ხელისუფლებამ, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტი მუდმივად იჩაგრებოდა საბაჟო შემოსავლების მობილიზების არაეფექტურობის გამო, გადაწყვიტა, რომ ამ პრობლემას უცხოური კომპანიის მეშვეობით მოაგვარებდა. ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით, ჩაეტარებინა ტენდერი და გამარჯვებული კომპანიისთვის მიენდო ტვირთების ინსპექტირება, ანუ უნდა განხორციელებულიყო ისეთი კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფდა აღრიცხვიანობის ისეთ ფორმას, რომელიც კონტრაბანდას მაქსიმალურად შეამცირებდა და ბიუჯეტიც მის კუთვნილ თანხას უპრობლემოდ მიიღებდა.

ტენდერის პირველ ტურში შვეიცარიულმა კომპანია „ეს-ჯი-ეს“-მა გაიმარჯვა, მან 136 ქულით მოუგო „აი-თი-ეს“-ს. სხვათა შორის, პირველად ეს შვეიცარიული კომპანია შემოვიდა საქართველოში ტვირთების ინსპექტირებისთვის და 1997 წელს თავისი ოფისიც დააფუძნა.

მეორე ტურში კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და უკვე „აი-თი-ეს“-ი იმარჯვებს. მან 36 ქულით აჯობა „ეს-ჯი-ეს“-ს, რასაც მოჰყვა ის გახმაურებული მითქმა-მოთქმა, რომელიც ბრიტანული კომპანიისგან სატენდერო კომიტეტისთვის 2 მლნ დოლარის ქრთამის გადახდას ეხებოდა. თავიდან ეს ბრალდება ტენდერში დამარცხებულმა შვეიცარიულმა კომპანიამ წამოაყენა, სულ ახლახან კი იგი ბრიტანულ პრესაშიც გახმიანდა. დადასტურდება თუ არა ეს ბრალდება, ამის თქმა ძალიან ძნელია, თუმცა ჩატარებული ტენდერის პერიპეტიები გარკვეული ეჭვის საბაბს უდავოდ იძლევა: 3 დღით ადრე მოულოდნელად შეიცვალა ტენდერის პირობები; ამ ახალ პირობებს განსაკუთრებით კარგად ერგებოდა „აი-თი-ეს“-ის წინადადებები, სატენდერო კომისიიდან გამოყვანილ იქნენ ირაკლი მანაგაძე, მიხეილ უკლება და ზურაბ ცქიტიშვილი. ისინი შეცვალა რევაზ ადამიამ, თამარ ბერუჩაშვილმა და ივანე ჩხარტიშვილმა. ამას ერთვოდა სხვა საეჭვო მომენტებიც.

**რევაზ საყვარელიძის კომენტარი (ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი):**

— თავიდანვე ეჭვის ქვეშ დავაყენე ტენდერის შედეგი. იმიტომ, რომ კომპანია (იგულისხმება „აი-თი-ეს“-ი — მ.გ.), რომელიც ყველა მაჩვენებლით აგებდა სხვა კომპანიასთან ოფისების რაოდენობის და მოგების მიხედვით (ოფისების რაოდენობის სიდიდე პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ტვირთების ეფექტურ და დროულ ინსპექტირებასთან, როდესაც ლაპარაკია „აი-თი-ეს“-ის ოფისების ნაკლებობაზე და აქედან გამომდინარე ტვირთების ინსპექტირების დაბალეფექტიანობაზე, იგულისხმება შემდეგი: მაგალითად, ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია და საიდანაც ტვირთების მნიშვნელოვანი ნაწილის იმპორტირება ხდება საქართველოში, „აი-თი-ეს“-ს ოფისი არ გააჩნია. კომპანიის წარმომადგენელი ჰამბურგიდან უნდა ჩავიდეს, ვთქვათ, ირკუტსკში, ტვირთის ინსპექტირებისთვის. მინიმალური ანაზღაურების შემთხვევაში (350 დოლარი, ან თუნდაც უფრო მეტი), წარმომადგენლის მგზავრობის ხარჯები გაცილებით მეტი იქნება. ასეთ შემთხვევაში კომპანია ზარალობს და ლოგიკურია თუ წარმომადგენელი ჰამბურგიდან ირკუტსკში არ ჩავა. ამის გამო ინსპექტირება ხდება უკვე ტვირთის ჩამოსვლის ადგილზე, რასაც თან სდევს ტვირთის მოცდენა, რაც იმპორტიორის ჯიბეს აწვება სრულიად გაუმართლებლად. — მ.გ.). ამავე დროს, კომპანია, რომელსაც ჰქონდა დავალიანება და მის დასაფარავად ყოველ წელს იღებდა კრედიტებს, რადგან სხვანაირად მუშაობა არ შეუძლია, მაინც იმარჯვებს ტენდერში, რომელშიც სხვა ძლიერი კომპანიებიც მონაწილეობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ეჭვს ბადებს, — განაცხადა ბატონმა რეზომ.

აქ კიდევ ერთ საკითხსაც უნდა მიექცეს ალბათ ყურადღება:

უცხოური კომპანიები, რომლებიც ამდაგვარ საქმიანობას წარმართავდნენ საქართველოში, მაინც სპეციფიკური ხასიათის ორგანიზაციებია, ამიტომ საქართველოს უშიშროების სამსახურიდან მათი ქვეყანაში მოღვაწეობის ვიზირება აუცილებელი იყო. აქედან გამომდინარე, სატენდერო კომიტეტში შეყვანილ იყო ბატონი ვახტანგ ქუთათელაძეც. იმ არაოფიციალური ინფორმაციით, რომელსაც ჩვენ ვფლობთ, საქართველოს უშიშროების სამსახური დაარწმუნეს, რომ „აი-თი-ეს“-ის მოღვაწეობას საქართველოში პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნებოდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ბრიტანული კომპანიის შანსს ტენდერში გასამარჯვებლად. ოფიციალურად სატენდერო კომიტეტის სხდომის ოქმით „აი-თი-ეს“-ს უპირატესობა მიენიჭა შემდეგი პოზიციების მიხედვით:

1. კომპანია თავის თავზე იღებდა იმ პრობლემების მოგვარებას, რაც უკავშირდება დღეისათვის რთულად კონტროლირებად რუსეთის, თურქეთისა და ცხინვალის რეგიონის საზღვრებს;
2. მისი მომსახურება იქნებოდა იაფი — საქონლის ღირებულების 0,94%;
3. მუშაობის დაწყებისთანავე მიაღწევდნენ საბაჟო გადასახადების 50%-იან ზრდას;
4. საბაჟო რეფორმას დააფინანსებდნენ საკუთარი ხარჯებით;
5. კომპანია გამოიყენებდა ინგლისის სამეფო საბაჟოს დახმარებას (ამ პუნქტთან დაკავშირებით ბატონმა რეზო საყვარელიძემ წარმოგვიდგინა ინგლისიდან მიღებული დოკუმენტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ინგლისის სამეფო საბაჟოს თანხმობა არ განუცხადებია).



**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კომენტარი:**

— გაუგებარია, როგორ უნდა მოეხდინა „აი-თი-ეს“-ს იმ პრობლემების გადაწყვეტა, რაც უკონტროლო ან რთულად კონტროლირებად რეგიონებს უკავშირდება. პრეზენტაციაზე ყოველგვარი პროექტის გარეშე იყო სიტყვიერი დაპირება, რომ თავის თანამშრომლებს დააყენებენ საქართველოს საზღვრის იქითა მხარეს, რაც არარეალურია. ამან იჩინა კიდეც თავი საქართველოს მხარესა და ტენდერში გამარჯვებულ „აი-თი-ეს“-ს შორის საკმაოდ დაგვიანებულად დადებულ ხელშეკრულებაში, რომელშიც სატენდერო კომიტეტის მოთხოვნები და ბრიტანული კომპანიის დანაპირები გათვალისწინებული არ არის. ხელშეკრულებაში აღარ ჩანს, როგორ აპირებს კომპანია აჭარის, ცხინვალისა და სხვა რეგიონების პრობლემების გადაწყვეტას, არ ჩანს საქართველოს ერთიანი საბაჟო სივრცის ჩამოყალიბება და მისი გაკონტროლება. ხელშეკრულებაში უკვე ნახსენებიც აღარ არის ინგლისის სამეფო საბაჟო. ასევე დარღვეულია დაპირება იაფ მომსახურებაზე; 0,94%-ის ნაცვლად ხელშეკრულებაში ჩაიწერა 1,19%, ეს მნიშვნელოვანი გაძვირებაა. მინიმალური ანაზღაურება კომპანიისთვის ტენდერის დროს 250 დოლარი იყო, კონტრაქტში — 350 დოლარია. ასეთი მაღალი ფასები მსოფლიოში არ არსებობს. მაგალითად: თუ იმპორტი არის 5001 დოლარი (5000 დოლარამდე ღირებულების იმპორტირებული ტვირთის ინსპექტირება ხელშეკრულების თანახმად, „აი-თი-ეს“-ის კომპეტენციაში არ შედის. „ეს კი კონტრაბანდის წყაროა და მსუყე ლუკმას წარმოადგენს ქართველი მებაჟეებისთვის“, — მ.გ.), მაშინ იმპორტიორი იხდის 350 აშშ დოლარს. ე.ი. ემატება 7%, რაც ჩვენ მეწარმეს დააწვება და მოსახლეობის ჯიბესაც დაეტყობა (აქ მინდა ჩავერთო ბატონ რეზოს კომენტარს და აღვნიშნო, რომ ამ და „აი-თი-ეს“-ის მოღვაწეობიდან გამომდინარე კიდევ რამდენიმე მიზეზის გამო, კომპანიის ოფისში იმპორტიორთა აშკარა სიხალვათე იგრძნობა, განსხვავებით წინა პერიოდისაგან. როგორც გაირკვა, თავგაბეზრებულმა იმპორტიორებმა სხვა გზები მოძებნეს. თუ რამ გამოიწვია მათი გულაცრუება, რაშიც საკმაო წვლილი „აი-თი-ეს“-ში არსებულ ბიუროკრატიულ მანქანას მიუძღვის და რა გზა მოძებნეს მათ, ამაზე შემდგომში გვექნება საუბარი — მ.გ.). ფაქტობრივად კომპანიის მომსახურების საფასურის გადახდას ახორციელებს ბიზნესმენი. ასეთ ფორმას არ ეთანხმება ბრიუსელის ევროკომისია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომლის წევრიც ჩვენ ვართ. საქმე ის არის, რომ მსოფლიოში ასეთი პრაქტიკა არ არის. კომპანიამ, რომელიც აკეთებს ინსპექტირებას, უნდა გაზარდოს შემოსავლები ბიუჯეტში, კონკრეტულად, მის მიერ მობილიზებული თანხებიდან მიიღოს პროცენტი და არა პირდაპირ ინსპექტირებული საბაჟო ღირებულებიდან. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება. აქედან გამომდინარე, „აი-თი-ეს“-ი ყველა ვარიანტში მოგებული რჩება, მისი პასუხისმგებლობა თითქმის არ არსებობს, ყოველ კვარტალურად კი 5-6 მილიონამდე დოლარს წაიღებს.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაზე არ არსებობს მსოფლიო ბანკის ოფიციალური დასკვნა. ხელშეკრულება ძალზე წამგებიანია საქართველოსთვის. გარდა ამისა, დარღვეულია ყველა ვადა, რომელიც ჩადებული იყო ტენდერის პირობებში.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სატენდერო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება აიხსნას ან დაბალი პროფესიონალიზმით, ან გარკვეული დაინტერესებით.

***(გაგრძელება იხ. გვ 7)***

# 9 აპრილს პოლიტპატიმრები თავს მოიკლავენ?!

ექვს თვეზე მეტია, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში შიმშილობას განაგრძობენ ზვიადისტები — ბიჭაშვილი, გუჯაბიძე, ჯალაღონია და ჯიჭონაია, რომლებიც ითხოვენ პოლიტპატიმართა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და მათ უპირობო განთავისუფლებას. ხელისუფლება თანახმაა, შეიწყალონ ისინი, მაგრამ პოლიტპატიმრები ამაზე ცივ უარს აცხადებენ, — ჩვენ უკანონოდ ვართ დაპატიმრებული და, შესაბამისად, შესაწყალებელიც არაფერი გვჭირსო. მოშიმშილეები მოითხოვენ საყოველთაო პოლიტიკურ ამნისტიას, რაზეც, თავის მხრივ, ხელისუფლება არ თანხმდება. მთავრობამ მოშიმშილეებთან მოსალაპარაკებლად მიავლინა პარლამენტარები — ელიზბარ ჯაველიძე და ვახტანგ ბოჭორიშვილი, მაგრამ არც თანამოაზრეთა ხვეწნა-მუდარამ გაჭრა. აქციის შეწყვეტის მაგიერ მოშიმშილეებმა რამდენიმე დღის წინ სკანდალური განცხადება გააკეთეს, სადაც ნათქვამია, რომ მათი მოთხოვნების უგულებელყოფის შემთხვევაში 9 აპრილს თავს მოიკლავენ(!!!). მოშიმშილეების ბედთან დაკავშირებით, თავდაპირველად ინტერვიუ ვთხოვეთ ერთ-ერთ „დესპანს“, დეპუტატ ვახტანგ ბოჭორიშვილს.

**— ბატონო ვახტანგ, ციხის საავადმყოფოში თქვენმა ვიზიტმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მაინც რა გითხრეს მოშიმშილეებმა?**

— ჩემი მიზანი იყო, დამერწმუნებინა პატიმრები, ერთი კვირით მაინც შეეწყვიტათ შიმშილობა, რათა დამშვიდებული მუშაობის და მოფიქრების საშუალება მოგვცემოდა. როგორ არ ვთხოვე, ვეხვეწე, ვევედრე, მაგრამ არ დამიჯერეს. მითხრეს, — ჩვენ უკანდასახევი გზა არა გვაქვს და რაც ვთქვით (იგულისხმება თავის მოკვლა, — ხ.ყ.), კიდეც ავასრულებთო.

**— ხელისუფლების პოზიცია როგორია ამასთან დაკავშირებით?**

— ყურს არავინ იბერტყავს. როგორ შეიძლება კიტოვანი გარეთ დადიოდეს და მაგალითად, ზვიად ძიძიგური ციხეში იჯდეს? გამოდის, რომ ვინც ქვეყანას ანგრევდა, ის თავისუფლად დასეირნობს და ვინც ამ დანგრევას ეწინააღმდეგებოდა, სამშობლოს მოღალატედაა გამოცხადებული. მმართველმა პარტიამ კიტოვანი მხოლოდ იმისთვის გაასამართლა, სადღაც წასვლას აპირებდაო და არც კი უხსენებია მის (და კიდევ სხვების) მიერ ქვეყნის დანგრევისა და ლეგიტიმური ხელისუფლების ზარბაზნით დახვრეტის ფაქტები. ეს ხომ უსამართლობაა. ამის მოთმენა როგორ შეიძლება?

**— როგორც ვიცი, ლოთი ქობალიაც შიმშილობდა, მაგრამ მან შეწყვიტა შიმშილობა.**

— დიახ, ბატონმა ლოთიმ და კიდევ ერთმა პატიმარმა შიმშილობა შეწყვიტეს, მაგრამ ქობალიამ თქვა, — ღმერთმა ნუ ქნას და, ასეთი უბედურება თუ მართლა მოხდება, თავს აღარც მე ვიცოცხლებო.

**— მეტად შემაძრწუნებელი განცხადებებია...**

— შემაძრწუნებელიაო? ღმერთმა დაგვიფაროს ამ საშინელებისგან, თორემ თუ ეს მოხდა, ისეთი სამარცხვინო ლაქა იქნება ქართველი ხალხისთვის, რომ ალბათ ვეღარასოდეს ჩამოვირეცხავთ, მით უმეტეს, რომ მოშიმშილეები შეუძლებელს არაფერს ითხოვენ.

**— რამდენი კაცის განთავისუფლებაზეა ლაპარაკი?**

— 100-160 პოლიტპატიმარზე. ზოგი ამბობს, 190-იაო. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? საუბარია არა ერთ და ორ ადამიანზე, არამედ ბევრზე.

**— მაგრამ მათ კონკრეტულ დანაშაულობებში ედებათ ბრალი.**

— არ არის მართალი, როცა ამბობენ, მათ უკან ტერორისტული აქტები დგასო. ეს ტერორისტული აქტები კი არა, სამხედრო ოპერაციებია, რომლებიც სამოქალაქო ომს ყოველთვის თან სდევს ხოლმე. ელდარ შენგელაია აცხადებს, — ჯერ უნდა გავარკვიოთ, გადატრიალებაში ვინ იყო დამნაშავეო. მისი აზრით, ყოველთვის ხელისუფლება ყოფილა დამნაშავე, რადგანაც თურმე მან არ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ ხალხმა იარაღს მოჰკიდოს ხელი. თუ ასეა, მაშინ მე მაქვს წინადადება, აღვძრათ სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ. 9 თებერვალს ხომ დაესხნენ თავს? ე.ი. მას მიუყვანია ტერორისტები იმ ზომამდე, რომ ტერაქტი მოეწყოთ! ეს ხომ სისულელე და აბსურდია! ამბობენ, გინდა თუ არა ტერორიზმიაო. არა, ბატონო. სამოქალაქო ომის პირობებში ტერორიზმი არ არსებობს. არსებობს სამხედრო ოპერაციები, რომლებიც არ დასრულდება მანამ, სანამ არ დასრულდება სამოქალაქო ომი.



**— ე.ი. სამოქალაქო ომი არ დამთავრებულა?**

— რა თქმა უნდა, თქვენთვის არ დამთავრებულა, თორემ მე კიდევ რა მიჭირს. სანამ უკანასკნელი პატიმარი არ დაბრუნდება შინ, ომი დამთავრებულად ვერ ჩაითვლება.

**— იმედი გაქვთ, რომ 9 აპრილამდე ეს საკითხი მოგვარდება?**

— წინასწარ თქმა ძნელია, მაგრამ თუ შიზოფრენიკები არ არიან და ნორმალურად აზროვნებენ, უნდა მოაგვარონ. საჭიროა მხოლოდ კეთილი ნება და, ჩვენში რომ დარჩეს, ცოტაოდენი ჭკუაც, რადგან ამ ეტაპზე, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, მმართველი პარტიისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა ძალზე მომგებიანია და ამასთან შესაძლებელიც.

**ელენე თევდორაძე — პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:**

— შიმშილობა, რა თქმა უნდა, მათი უფლებაა, მაგრამ არა მგონია, მართლა თავის მოკვლაზე იყოს ლაპარაკი. ისინი ალბათ გულისხმობენ იმ დახმარებაზე უარის თქმას, რაც შესაძლოა, დასჭირდეთ შიმშილობის გამო კომაში ჩავარდნის შემთხვევაში. ექიმები მათ არ მისცემენ თავის მოკვლის საშუალებას.

**— კი მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს, შიმშილით მოკვდებიან თუ სხვა რამით?**

— ჩემთვის, მაგალითად, მიუღებელია მათი მოთხოვნები და ულტიმატუმები, რომლებიც არანაირ სამართლებრივ ჭრილში არ თავსდება. ამიტომ ვეძებთ იურიდიულ გამოსავალს. მათ სურთ, რომ ციხის კარები გაიღოს და ყველა პატიმარი უპირობოდ განთავისუფლდეს, რადგან ჩვენ უკანონო ხელისუფლებად მიგვიჩნევენ და თვლიან, რომ შესაბამისად უკანონოდ იხდიან სასჯელს.

**— ყველა პატიმარში, პოლიტპატიმრების გარდა, სხვებიც იგულისხმებიან?**

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პოლიტპატიმრები, მაგრამ იმ ათი ათასი პატიმრის განთავისუფლებასაც მოითხოვენ, რომლებიც, მათი თქმით, უკანონო ხელისუფლებამ უკანონოდ დააკავა. ეს კი არის აბსოლუტური ნონსენსი იმიტომ, რომ იქაც კი, სადაც ნამდვილად უკანონო, ძალით მოსული ხელისუფლებაა, ასეთი რამ არ ხდება. ჩვენ კი, ბოლოს და ბოლოს, აგერ უკვე მესამედ ვატარებთ არჩევნებს 1991-92 წლების გადატრიალების შემდეგ.

**— მოშიმშილეებთან უახლოეს ნათესავებსაც კი არ უშვებენ. თქვენ თუ მოახერხეთ მათი ნახვა?**

— მე ისინი შეგნებულად არ ვნახე იმიტომ, რომ სხვა დროსაც არაერთხელ მივსულვარ (მათი მხრიდან ეს შიმშილობის პირველი შემთხვევა არ გახლავთ) და ამიხსნია, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი — არა. არ მიჯერებენ. ამიტომ ვიფიქრე, მხოლოდ იქ მივიდე, სადაც შედეგს ვნახავ. ბატონებმა — ელიზბარ ჯაველიძემ და ვახტანგ ბოჭორიშვილმაც კი ვერაფერი გააწყვეს და მით უმეტეს მე რას გავხდები, როცა მათთვის უკანონო ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ. ამდენად, ჩემი იქ მისვლა უაზრობაა. რისთვის მივიდე, რა ვუთხრა? უნდა ვუთხრა იგივე, რასაც მანამდე ვეუბნებოდი და მოვისმინო ის, რასაც ადრე ვისმენდი.

**— ხომ შეიძლება, რომ მართლა მოიკლან თავი?**

— მაშინ მე თქვენ გეკითხებით — რა გავაკეთო, რა ვქნათ? პრეზიდენტი შეწყალების წინააღმდეგი არ არის. თქვენ იცით, რომ ძალიან ბევრი პოლიტპატიმარი გავიდა კიდეც ციხიდან. სხვა არანაირი მეთოდი არ არსებობს. მანიფესტს ჩვენი კანონმდებლობა არ ცნობს. ხოლო თვითონ რასაც მოითხოვენ — ე.წ. პოლიტიკური ამნისტიას — ასეთი ცნება იურისპრუდენციაში საერთოდ არ არსებობს. მითხარით, რა გავაკეთოთ?

**— ე.ი. გამოსავალი არ არსებობს?**

— ერთადერთი გამოსავალი გახლავთ შეწყალება.

**— მაგრამ შეწყალებაზე ისინი უარს აცხადებენ.**

— დიახ, სამწუხაროდ, ისინი ამაზე უარს, თანაც სასტიკ უარს აცხადებენ, მაგრამ სხვა გზას, უბრალოდ, ვერ ვხედავ.

**— გამოდის, რომ არანაირი გარანტია, ციხის საავადმყოფოში უბედურების თავიდან ასაცილებლად, არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება ან თუ დადგება საერთოდ?**

— ისინი თავის თავზე თვითონვე აგებენ პასუხს იმიტომ, რომ ხელისუფლებას მაშინ ეკისრება პასუხისმგებლობა, როცა ის უმოქმედოა, რასაც ნამდვილად ვერ დავწამებთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ექიმები თან ჰყვებიან, არც მათგან და არც მთავრობისგან ყურადღება არ აკლიათ.

**— ქალბატონო ელენე, ჩვენ უკვე ამდენი ხანია პოლიტპატიმრებზე ვსაუბრობთ, არადა ჯერ კიდევ სადავოა, საერთოდ არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები.**

— ეს სულაც არ არის სადავო. საქართველოში დღეს პოლიტპატიმრები არ არიან. არიან მხოლოდ პოლიტიკურ ნიადაგზე გასამართლებული მსჯავრდებულები.

**— მათ შორის რა განსხვავებაა?**

— პოლიტპატიმარი იარაღს ხელში არ იღებს. მაგალითად, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია — მათი იარაღი იყო მხოლოდ იატაკქვეშეთში გამოცემული და გავრცელებული ლიტერატურა, რომელიც საბჭოთა სისტემას გმობდა. დღეს საქართველოში არიან პატიმრები, რომლებიც სასჯელს იხდიან პოლიტიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამო. რომ არა ეს პოლიტიკური დაპირისპირება, ისინი ციხეში ნამდვილად არ ისხდებოდნენ. ასე რომ, მათ დაპატიმრებაში მაინც პოლიტიკაა ჩარეული.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# ჟურნალისტებს ცოტათი დაგვიგრძელეს საბელი

## ქართული ჟურნალისტიკის დღე...

ამ დღეს, თუნდაც ასეთი სახელდების გამო, ალბათ თითოეული ჟურნალისტი ჩაუფიქრდება, რას აკეთებს, როგორ გამოსდის თავისი ნაფიქრალ-ნააზრევის საზოგადოების სამსჯავროზე წარმოჩენა და, საერთოდ, რას ემსახურება, როგორ... ზოგჯერ ეჭვიც გაჰკრავს — „ღირს კი?“ ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ხედავს, რომ მისი მცდელობის, ბრძოლის, თავის გამოდების, რისკის მიუხედავად ირგვლივ არაფერი იცვლება, კორუმპირებული და გაზულუქებული მაღალჩინოსნები წარბსაც არ შეიხრიან და თავის საკეთებელს, ცოტა შეფარულად, მაგრამ მაინც გააკეთებენ: კვლავ აიშენებენ სასახლეებს, აგარაკებს, 100 ლარიანი ხელფასით, კვლავ აიღებენ ქრთამს, გამოიტანენ კრედიტებს, რომლებსაც არასოდეს დაფარავენ, მიითვისებენ გრანტებს თუ საერთაშორისო დახმარებებს და სრიალა მანქანების მუქი მინებიდან შეფარვით გახედავენ გაძვალტყავებულ მოსახლეობას, ხელგაწვდილ მათხოვრებს, გაჩანაგებულ და გაჩერებულ წარმოებებს, მათ ნაცვლად მრავლად წამოჭიმულ ნაირფერად მოკაშკაშე სამორინეებს... ღატაკების ქვეყანაში! სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ადამიანებით მოიაზრება ხელისუფლება, პოლიტიკური „ელიტა“... და ასეთები იწყებენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. მასმედიას კი, თუ მათ წისქვილზე დაასხამს წყალს, შეაქებენ, დემოკრატიის მონაპოვრად წარმოაჩენენ, მაგრამ თუ რომელიმე გაზეთი, ტელეკომპანია და კონკრეტული ჟურნალისტი მათი ინტერესების ჩარჩოებში არ ჩაჯდა, მაშინ უკვე აღარავის სჭირდება არც დემოკრატია და არც სიტყვის თავისუფლება — ხან კორუმპირებულებად და ხან მოსყიდულებად შეგვრაცხავენ, გვემუქრებიან, ზოგჯერ ფიზიკურადაც გვისწორებენ „ანგარიშს“. იმასაც ველარ აცნობიერებენ, რომ ჩვენ, ამდენი უსამართლობის და გაჭირვების გამო ხალხში დაბუდებული ბოღმის, ტკივილის გამანეიტრალებლად ვევლინებით და ნებსით თუ უნებლიეთ, მათ მიმართ საზოგადოებაში ასაფეთქებელ აგრესიას ნელ-ნელა ვანელებთ. თუ არ მივცემთ ამ აგრესიას განმუხტვის საშუალებას, იგი თავისი დამანგრეველი ძალით პირდაპირ დაატყდება თავს გაწკრიალებულ კაბინეტებსა და თბილ სავარძლებს და არ არსებობს ძალა, ხალხის ნებას რომ აღუდგეს წინ. როცა დღევანდელ ხელისუფლებას დასავლეთის წინაშე თავის მოწონება სურს „დემოკრატიული პროცესებით“, პირველ რიგში ქართულ მასმედიას ასახელებს. მაგრამ მას მოსწონს ორმაგი სტანდარტი ჩვენთან ურთიერთობაში: უნდა ვემსახუროთ, დემოკრატიულობის იმიჯი შევუქმნათ, პოპულარობა მოვუტანოთ, შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი, გამოვიდეთ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და არჩევნებშიც მათი მხარდამჭერი პოზიცია დავიკავოთ; მაგრამ, მეორე მხრივ — ფრთხილად! არ დაივიწყო, რომ მაინც დაბმული ხარ, უბრალოდ ცოტათი დააგრძელეს საბელი (თოკის ნაცვლად რეზინისა!), რომ ადვილად და ცოტა შორის იმოძრაო.

როგორც კი ხელისუფალთა პირადი ინტერესების სფეროს მსუბუქად ფრთას გაჰკრავთ, მაშინვე ახსენდებათ, რომ მისაღებია პრესის კანონი. ასეთი მოწოდება გაისმა თვით პრეზიდენტისაგანაც, რომ უნდა დაჩქარდეს პრესის კანონის მიღება. კი, ბატონო, მივიღოთ ეს კანონი, რათა დარეგულირდეს ჟურნალისტის ურთიერთობები თანამდებობის პირებთან, განისაზღვროს ჩვენი უფლებები და გადანაწილდეს პასუხისმგებლობა, რადგან ხშირად სრულიად დაუცველები და უძლურნი ვართ.



ბოლო პერიოდში მასმედიის წინააღმდეგ უფრო და უფრო ხშირად ილაშქრებენ ხელისუფლების თუ პარლამენტის წევრები; აღარაფერს ვამბობთ იმ მუქარასა და ცემა-ტყეპაზე, რომელთა ნაწილს ქვემოთ წარმოგიდგენთ. როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აღნიშნავს: „წინა მოწვევის პარლამენტი ასეთი აგრესიული არ ყოფილა ჟურნალისტების მიმართ და ასე ხშირად არ ისმოდა თავისუფალი მასმედიის მოთოკვის მოწოდებები. ეს უკვე საშიში ტენდენციაა“... ჟურნალისტებს მხოლოდ კოლეგიალობა და ერთიანობა გვიხსნის აგრესიული შემოტევისაგან. ახლა კონკრეტულად რამდენიმე აგრესიის მაგალითს მოგახსენებთ.

**ზურა ქაჩლიშვილი, გაზეთ „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტი.**

მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში ხშირად იყო სატელეფონო თუ წერილობითი მუქარა, რამდენიმე შემთხვევაში კი ფიზიკური ანგარიშსწორებაც სცადეს.

1998 წელს, წინანდალში, ღვინის ქარხანასთან, თელავის რაიონის გამგებელმა, მოქალაქეთა კავშირის კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ მედეა მეზვრიშვილმა საჯაროდ, 500-მდე ადამიანის თანდასწრებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა: სცემა და ემუქრებოდა კამერის დამტვრევით. ადგილობრივ სამართალდამცავებს კი მისი დაკავებისკენ (დაპატიმრებისაკენ) მოუწოდებდა.

ერთი წლის შემდეგ, გაზაფხულზე, თელავში, საგაზეთო მასალის მოსაპოვებლად ჩასული, დაუდგენელმა პირებმა ძალით ჩასვეს მანქანაში ღამის საათებში და წაიყვანეს „ზუზუმბოს“ ტყეში. ემუქრებოდნენ და კატეგორიულად აფრთხილებდნენ, თელავზე და პირადად მედეა მეზვრიშვილზე არაფერი დაეწერა.

ამას მოჰყვა სატელეფონო ზარი „პოლიციიდან“. რედაქციას შეატყობინეს, რომ ქაჩლიშვილის გვამი ნაპოვნია კუკიის სასაფლაოზე და მორგშია მოთავსებული, რომ ამ ფაქტზე ინფორმირებულია ჩუღურეთის რაიონის გამგებელი სტურუა და პოლიცია.

შემდეგ კვლავ სატელეფონო ზარი რედაქციაში, აფრთხილებენ... თვე-ნახევრის შემდეგ ესხმიან თავს (იგორ გიორგაძესთან ინტერვიუს გამო), იტაცებენ ქუჩიდან და მიჰყავთ კუს ტბაზე, სადაც ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ და იარაღის მუქარით მოითხოვენ იგორ გიორგაძის კოორდინატებს. მას იქვე ტოვებენ...

**ლაშა ნადარეიშვილი, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორი.**

1998 წლის 12 სექტემბერს, საღამოს 8-9 საათზე ჭოველიძის (ბელინსკის) ქუჩის კუთხეში მანქანის გასაყვანად შედიოდა. მას სახელით მიმართეს — ბატონო ლაშა! — სამი მხრიდან წამოვიდნენ (მასთან ერთად მყოფ თანამშრომელს დათო ოქროპირიძეს პისტოლეტი ჩაარტყეს თავში), ფეხი დაუდეს, წააქციეს და წიხლებს ურტყამდნენ.

პრეზიდენტმა პირადად სთხოვა შს სამინისტროს, კონტროლზე აეყვანათ ამ საქმის მსვლელობა, მაგრამ გაურკვეველი დარჩა ყველაფერი. თვით ლაშა ნადარეიშვილი პირადულ ანგარიშსწორებას გამორიცხავს.

**მაია კახიძე, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტი.**

უცნობი პირები შეიჭრნენ მის ბინაში და დაარბიეს (აუდიოჩანაწერების მოპოვების მიზნით).

**კახა გაგლოშვილი, ტელეკომპანია „იბერიის“ გენერალური დირექტორი.**

მის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ აგვისტოში, უშიშროების სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სამი თვის შემდეგ კი, მორიგ დაკითხვაზე მისული მოულოდნელად დააკავეს და გადასცეს ვაკის სასამართლოს, რომელმაც სამი თვით პატიმრობა შეუფარდა. რომ არა მასმედიის თანადგომა, პარლამენტარ ელენე თევდორაძის შუამდგომლობა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა, იგი დღესაც თავისუფლებააღკვეთილი იქნებოდა. საოლქო სასამართლომ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა და თავდებით გაათავისუფლა. ამ მოტივების მიღმა, რომლის გამოც უშიშროებამ ასეთი მკვეთრი „მანევრი“ განახორციელა (განუბაჟებელი აპარატურა), კახა გაგლოშვილი ტელეკომპანია „იბერიის“ მიმართ მავანთა კერძო ინტერესებს ასახელებს.

**ალეკო ცქიტიშვილი, გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტი.**

1998 წლის 10 ნოემბერს (პოლიციის დღეს!) „ომონის“ სპეცრაზმელებმა სცემეს და მთაწმინდის პოლიციაში ძალის გამოყენებით მიიყვანეს. იგი, როგორც ჟურნალისტი, ჯაბა იოსელიანის და სხვათა სასამართლო პროცესზე დასწრებას ცდილობდა. უზენაეს სასამართლოში შესვლის მცდელობისათვის მას სიტყვიერი და ფიზიური შეურაცხყოფა მიაყენა პირადად „ომონის“ უფროსმა თემურ მღებრიშვილმა.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მთაწმინდის პროკურატურაში (გამომძიებელი ირაკლი ბალიაური), რომლის დადგენილებაშიც თავად დაზარალებული აღმოჩნდა დამნაშავე.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნისტი ინტერნეიშლმა“ ამ და სხვა ფაქტებზე პასუხი მოსთხოვა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს.

**მაკა ფანქველაშვილი, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი.**

თელავში იმყოფებოდა და ოპერატორთან ერთად ცდილობდა ინტერვიუს აღებას თელავის რაიონის გამგებლის მედეა მეზვრიშვილის დის — ლამარა მეზვრიშვილისაგან. ეზოს ჭიშკართან კეტით და გინებით გაუმასპინძლდნენ, დაუმტვრიეს მიკროფონი და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს.

**დავით აქუბარდია, ტელეკომპანია „კავკასიის“ პრეზიდენტი.**

გასული წლის 3 დეკემბერს, ენგურის ქუჩაზე, მის საცხოვრებელ ბინაში აფეთქების ხმა გაისმა. გაავრცელეს ვერსია, რომ შესაძლოა ეს გაზის ბალონს გამოეწვია, რაც შემდგომში გამოირიცხა, ვინაიდან ბალონი ცარიელი იყო. მომხდარი წარმოაჩინეს, როგორც სამხედრო პროკურორის ბადრი ბიწაძის მიმართ (ამავე ბინაში ცხოვრობს) განხორციელებული აფეთქება. თვით დავით აქუბარდიას განმარტებით, ვიღაცას სურდა, გამოერიცხა ტელეკომპანიის პრეზიდენტზე თავდასხმა. თვითონ კი სწორედ ასე აფასებს მომხდარს.

**კლარა აბრამია, გაზეთ „თუთარჩელას“ რედაქტორი.**

რამდენიმე ხნის წინ მან გაავრცელა ინფორმაცია, რომ ტოვებს საქართველოს, ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს და „ვიდრე კახა თარგამაძე შინაგან საქმეთა მინისტრია“, სამშობლოში არ დაბრუნდება, რადგან მას დევნიან და ემუქრებიან.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებით და დასახელებული ჟურნალისტებით არ ამოიწურება ალბათ ქართული მასმედიის წარმომადგენლების აშკარა თუ ფარული დევნა-შევიწროება.

ჟურნალისტი, უფრო სწორად, მისი ნათქვამი მართალი სიტყვა მსოფლიოს სხვა ქვეყნების ჩინოსნებსა და საქმოსან-ფულოსნებსაც უმღვრევს ცხოვრებას და სადაც ხელი მიუწვდებათ, არც ტერაქტიდან იხევენ უკან... გაიხსენეთ ვლად ლისტევი! და იქნებ ამის დასტურად არტიომ ბოროვიკის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულიც გამოდგეს.

***ნელი ცქიტიშვილი***

# ფრანგული პანტალონების ბედი ქართულ სინამდვილეში...

გასული კვირის საპარლამენტო მუშაობამ მასმედიას და საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ დეპუტატობა (უფრო ზუსტად, სადეპუტატო იმუნიტეტი) მართლაც ძვირადღირებული ფუფუნებაა. რომ არა ეს იმუნიტეტი, კანონმდებელი ასლან სმირბა კარგა ხანია, იქ იქნებოდა, სადაც ჯერ არს... სანაოსნოს მილიონების დატაცებასთან დაკავშირებით დღეს ორი საქმეა აღძრული — ერთი ბათუმში, მეორე თბილისში, გენერალურ პროკურატურაში. ერთმანეთის გამოძიების შედეგებს ორივე მხარე უნდობლობას უცხადებს. და რაც ნიშანდობლივია, პოლიტიკური ჟღერადობა არც ამ ეკონომიკურ სკანდალს


ასლან სმირბა

მოჰკლებია. კონტროლის პალატამ სანაოსნოში 120 მლნ-ზე მეტი „შეჭმული" დოლარი აღმოაჩინა. პალატის ობიექტურობაში ეჭვი არ შეაქვს არც თბილისსა და არც ბათუმს. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ „მჭამელთა" ვინაობაშია: ფინანსურ მაქინატორებს კი პოლიტიკურ ელიტაში ეძებენ და მიუთითებენ კიდეც. ჯამში, სანაოსნოს სკანდალს უბრალო სკანდალი არ შეიძლება ეწოდოს. როგორც ამბობენ, არც დამოუკიდებელ და არც საბჭოთა საქართველოს ასეთი დონისა და მასშტაბის საფინანსო ტრიუკი არ ახსოვს. პროკურატურას ამ 120 მლნ-დან მხოლოდ 120 ათასის ალი-კვალის გაგებისთვის რამდენიმე თვის მუშაობა, რამდენიმე ქვეყანაში გამგზავრება და სულ ცოტა, 10 ათასი დოლარის დახარჯვა მოუხდა.

ზემოხსენებული 120 ათასის „განმგებელ" სმირბას თაობაზე პროკურატურამ მოძიებული მასალა დღეს სააშკარაოზე გამოფინა. მათი აზრით სულ მალე პარლამენტში, ფრაქცია „აღორძინებაში", შეიძლება ორი სავარძელი გამოთავისუფლდეს: ერთი — სმირბასი, მეორე კი სავარაუდოდ, შეიძლება მისი ლიდერის, ასლან აბაშიძისა. ამ უკანასკნელის თაობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ, მანამდე კი ორიოდე სიტყვა ასლან სმირბაზე.

პროკურატურის მასალებში ვკითხულობთ, რომ 1999 წლის 5 აპრილს ასლან სმირბა ქალაქ ლონდონში, საქართველოს საზღვაო წარმომადგენლობის, „ჯესკო იუკის" ოფისში შეხვდა უცხოელ ბიზნესმენს გრიგოლ კინტერაიას. ამ უკანასკნელს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა სანაოსნოსთან. სმირბამ კინტერაიასგან შეიტყო, რომ მას თბილისში საბანკო ანგარიში ჰქონდა. ამით ისარგებლა სმირბამ და კინტერაია მოატყუა, რომ ისრაელში მცხოვრები ძმისგან ელოდა დიდ თანხას, საკუთარი ანგარიში კი თბილისში არ ჰქონდა. ამიტომ, სმირბამ კინტერაიას სთხოვა, რომ ფულს მის ანგარიშზე გადარიცხავდა. კინტერაიამ სმირბას თანხმობა განუცხადა და საბანკო ანგარიშის ნომერიც უთხრა. ამის შემდეგ, სმირბამ „ჯესკო იუკის" პასუხისმგებელ პირს კიკვიძეს აცნობა, რომ ზემოხსენებულ ანგარიშზე ამ კომპანიიდან გადაერიცხა 170 ათასი აშშ დოლარი. კიკვიძემ დავალება შეასრულა. მოგვიანებით სმირბა (უკვე პარიზში მყოფი) დაუკავშირდა კინტერაიას და სთხოვა, ანგარიშიდან მოეხსნა ფული და ჩაეტანა მისთვის პარიზში. კინტერაია ასეც მოიქცა, ჩავიდა პარიზში და სასტუმრო „მარიონში" სმირბას 20 ათასი დოლარი გადასცა. აგრეთვე, გადაიხადა სმირბას მიერ ნაყიდი ნივთების ღირებულება — 28 ათასი ამერიკული დოლარი. პროკურატურის ინფორმაციაში ვკითხულობთ ჩამონათვალს, თუ რა ნივთები შეიძინა სმირბამ და რამდენი გადაიხადა თითოეულში. საგამომძიებლო ჯგუფს დაფიქსირებული აქვს ისეთი წვრილმანიც კი, როგორიცაა სმირბას მიერ პანტალონის (საცვალი) ყიდვა. პარიზში ყოფნისას სმირბა და კინტერაია შეთანხმდნენ, რომ დარჩენილ 120 ათასს სმირბა ხელზე, ერთიანად, მიიღებდა. ეს ფული სმირბამ ბათუმში მართლაც მიიღო მის მიერ ნდობით აღჭურვილი პირისგან. აქვე პროკურატურა იტყობინება, რომ სმირბა დაკითხვაზე არ ცხადდებოდა. ვერც პარლამენტის მცდელობით მოხერხდა მისი გამოცხადება პროკურატურაში.

პროკურატურის ინფორმაციის ბოლო ნაწილში ნათქვამია, რომ სმირბას ბრალად ედება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კორუფცია. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 პრიმა მუხლის თანახმად, მისი ქმედება განიხილება, როგორც მძიმე დანაშაული და 96-ე პრიმა მუხლის თანახმად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10-დან 15 წლამდე. მოძიებული მასალების საფუძველზე პროკურატურა კატეგორიულად ითხოვს თანხმობას პარლამენტისგან, რომ სმირბას მოეხსნას სადეპუტატო იმუნიტეტი და იგი მიეცეს პასუხისგებაში.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი... დეპუტატმა ირაკლი ჩუბინიშვილმა ჯამლეთ ბაბილაშვილს გადასცა ახალი დოკუმენტი, რომელიც თურმე ადასტურებს, რომ სმირბამ ინგლისური კომპანიისგან 250 ათასი დოლარი მიიღო. მოგვიანებით „კვირის პალიტრა" ირაკლი ჩუბინიშვილს გაესაუბრა. დეპუტატმა ჩვენთან საუბარში გაავრცელა ექსკლუზიური ინფორმაცია, რომელმაც „აღორძინებაში" (მის ფინანსურ მაგნატებში), შესაძლოა, სკანდალი გამოიწვიოს. ამაზეც, ცოტა მოგვიანებით... ჯერ ისევ პარლამენტს მივუბრუნდეთ.

**ჯემალ გოგიტიძე, ფრაქცია „აღორძინების" ლიდერი:**

— გენერალურმა პროკურატურამ ამ განხილვაზე პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა. ხშირ შემთხვევაში იგი ტენდენციურია. როცა სახეზე გვაქვს კონკრეტული წინააღმდეგობა კონკრეტული პიროვნების მიმართ, სხვები კი გვარებითაც არ სახელდება, ჩნდება დიდი ეჭვი იმისა, რომ სმირბა იდევნება. მინდა გავახმიანო სმირბას განცხადება: მან თქვა, რომ იდევნება, რადგან აფხაზია. სმირბა სანაოსნო საქმეში არის დიდი ისტორიიდან ამოგლეჯილი პატარა ფრაგმენტი. ეს მმართველი პარტიის ინტერესში შედის.


ირაკლი ჩუბინიშვილი

**— სმირბას აფხაზობას თავი დავანებოთ; რატომ უნდა ჰქონდეს „მოქკავშირს" სმირბას ჯავრი?**

— იმიტომ, რომ სმირბა „აღორძინების" წევრია. „მოქკავშირს" უნდა, აჩვენოს საზოგადოებას, აი, როგორი ხალხი ჰყავს ასლან აბაშიძეს თავის გუნდში — ქურდები, ბაცნები და თაღლითებიო.

**— რატომ არ გამოცხადდა სმირბა პროკურატურაში. ამით ხომ ერთ ბრალდებას მაინც მოიხსნიდა?**

— არც გამოცხადდება. შესაძლებელია, შეიყვანონ კამერაში, მერე კი სმირბას სახელით ყველაფერი იძახონ. თანაც, არ არის გამორიცხული, სმირბა დაკითხვის მერე დააპატიმრონ კიდეც ისე, რომ არც გაწითლდნენ.

**— ერთმა თქვენმა კოლეგამ იკითხა, სანაოსნო რესპუბლიკური ქონებაა თუ ავტონომიურიო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— რა თქმა უნდა, რესპუბლიკურია.

**— თუ ასეა, რატომ არ აძლევთ რესპუბლიკურ პროკურატურას მასალებს?**

— იმიტომ, რომ პოლიტიკურ შეკვეთას ახორციელებენ.

**— გამოდის, რომ ძიება ჩიხში მოექცევა?**

— არა, რატომ?! ჩვენ შევთავაზეთ პარლამენტს, შეიქმნას ამ საკითხთან დაკავშირებული საგამოძიებო კომისია. კომისიაში შევლენ როგორც ჩვენი ბლოკის წევრები, ისე მმართველი პარტიისაც. კომისიის თავმჯდომარედ სმკ-მა ისეთი კაცი შემოგვთავაზა, რომელსაც არ ვენდობით, ზურაბ ჩხაიძეზე მოგახსენებთ. იგი ყოფილი ძალოვანია და მისი მხრიდან ლობირება გამორიცხული არ არის.

**— რა იცით ჩუბინიშვილის მიერ პროკურატურისთვის გადაცემულ მასალაზე? დოკუმენტი თურმე იტყობინება, რომ სმირბამ ინგლისელებისგან 250 ათასი დოლარიც მიიღო. არსებობს ვერსია, რომ ამ თანხაზე მისმა თანამოსაქმეებმა არაფერი იცოდნენ.**

— ამის თაობაზე ჩემთვის ცნობილი არ არის. საერთოდ, არც ვიცი, რა 250 ათასზეა საუბარი.

**— როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ასლან აბაშიძემ გამოგატანათ წერილი, რომელშიც იგი პარლამენტისგან სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვს. რატომ?**

— იმიტომ, რომ ბატონ ასლანს მობეზრდა ის გაუთავებელი ლანძღვაგინება, რომელიც მის მიმართ გაისმის. თანაც, არსებობს სადეპუტატო მანდატის შეუთავსებლობა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობასთან.

**— როგორც გავიგე, წერილი არც ხელმოწერილი ყოფილა, არც დათარიღებული...**

— განცხადება დათარიღებულიცაა და ხელმოწერილიც. მისი ოფიციალური მხარე სრულყოფილია, ამიტომ პარლამენტის საპროცედურო კომიტეტი ვალდებულია, განიხილოს კიდეც.

**ირაკლი ჩუბინიშვილი, ფრაქცია სმკ:**

**— ბატონო ირაკლი, რომელი კომპანიისგან მიიღო სმირბამ ზემოხსენებული თანხა?**

— დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ანგლო ჯორჯიაში" ასლან სმირბას და შარაბიძეს (აჭარის კონტროლის პალატის მაშინდელ ხელმძღვანელს) ინგლისელებმა 250 ათასი დოლარი გადასცეს. თანხის მიღება დადასტურებულია ამ ორი კაცის ხელმოწერით. საბუთში ნათქვამია, რომ ამის შემდეგ ინგლისურმა მხარემ მოიხსნა პასუხისმგებლობა თანხის შემდგომ ბედზე.

**— ეს თანხა რისთვის უნდა დახარჯულიყო?**

— ამის შესახებ საბუთში არაფერია ნათქვამი. ეს კი მეტად საინტერესო მომენტია.

**— დოკუმენტები ვინ მოგაწოდათ და რამდენად სანდოა?**

— წყაროს ვერ დაგიასახელებთ, მაგრამ ის აბსოლუტურად სანდოა.

**— რატომ გადმოგცათ თქვენ და არა პროკურატურას?**

— ალბათ იმიტომ, რომ ხელი მიმიწვდებოდა. ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს. მე არ დავაყოვნე და პროკურატურას გადავეცი. ისე კი, როგორც ვატყობ, ამ ფაქტის არსებობა უცნობია თვით აჭარის ხელმძღვანელობისთვისაც. დოკუმენტის არსებობას სმირბა საერთოდ უარყოფს — სხვებისგან ვიცი. ეს უარყოფა კი ნიშნავს იმას, რომ ამ ფულის მიღებაც არ უნდა სცოდნოდა არავის, გარდა სმირბასი.

**— თანხის მიღებას მოწმეები არ ჰყოლია?**

— როგორც ვიცი, იქ იყო კოლოდიაუნი (ეს უკანასკნელი ძალზე გახმაურებული გვარია სანაოსნოს სკანდალში. ქ.ბ.) იყვნენ აგრეთვე უცხოელები.

**— თქვენ ენდობით პროკურატურის ობიექტურობას?**

— არ მაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანო.

**— მიუხედავად იმისა, რომ თქვენმა თანაგუნდელებმა სისტემას გახრწნილი უწოდეს?!**

— ზოგადად, პრობლემები, ცხადია, არის, მაგრამ ამ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში მე პრეტენზიები არ მაქვს.

**როლანდ გილიგაშვილი, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:**

— სანაოსნოს საქმეში მხოლოდ სმირბა არ არის დამნაშავე. აქ ფიგურირებს უამრავი სხვა ხალხი, რომლებიც გამოძიების მიერ მხილებულნი უნდა იყვნენ. აჟიოტაჟი — სმირბას საქმე ერთ მთლიანობას გამოეყოს, ვფიქრობ, ნაადრევია. ხოლო, თუ ჩემი კოლეგები „აღორძინებიდან" ამბობენ, რომ საქმეს პოლიტიკური სარჩული უდევს, ეს იმიტომ ხდება, რომ სმირბა პოლიტიკური ორგანოს წევრია.

**— პროკურატურა ამბობს, რომ მოგმართათ თხოვნით, სმირბა დაგეყოლიებინათ და მიეცა ჩვენება, მაგრამ დაკითხვა არ შედგა. „აღორძინება" კი აცხადებს, რომ სმირბამ ჩვენება მისცა. როგორია რეალობა?**

— სმირბამ ჩვენება მისცა ერთ ეპიზოდზე — 120 ათას დოლართან დაკავშირებით; მეორე ეპიზოდში — დარჩენილი 50 ათასი დოლარის თაობაზე ჩვენება აღარ მიუცია.

**— ასლან აბაშიძის წერილს თუ გაეცანით?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ წერილი სრულად არ არის წარმოდგენილი, მას აკლია თარიღი და ხელმოწერა. ეს კი ბადებს ეჭვს, ნამდვილად აბაშიძისაა თუ არა იგი. დამატებითი კითხვები აჭარაში უკვე გავაგზავნეთ.

**— სმირბასა და აბაშიძის საკითხი ერთად განიხილება?**

— არა. ეს სრულიად სხვადასხვა საქმეა. ვფიქრობ, სმირბას საკითხი დაასწრებს განხილვას. ის, რაც პროკურატურამ თქვა, სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ სმირბა დამნაშავედ მივიჩნიოთ. პროკურატურის ჩამონათვალზე ბევრს ეღიმება, მაგრამ მის მიერ ნაყიდ ნივთებში დიდი ფულია გადახდილი: ორ ქამარში — 921, ხოლო ორ პენუარში — 1485 დოლარი და ა.შ.

**ჯამლეთ ბაბილაშვილი გენერალური პროკურორი:**

**— „აღორძინებამ" პოლიტიკურ შემკვეთად დაგასახელათ...**

— არავითარი პოლიტიკა ამ საქმეს არ სჭირდება. საქმე გვაქვს თანხის დიდი რაოდენობით დატაცებასა და გაფლანგვასთან.

**— რატომ გამოეყო მთლიან საქმეს კონკრეტულად სმირბა?**

— აქ ერთი მომენტია: სმირბა სანაოსნოს საქმეში არის ყველაზე ცენტრალური ფიგურა. მის წინააღმდეგ ზედაპირზე იდო მთელი რიგი მტკიცებულებებისა. ამ ეტაპზე მისი დამნაშავეობა უფრო ადვილი გამოსაძიებელი იყო. ძიებას, ბუნებრივია, ვაგრძელებთ. აუცილებლად დასახელდება სხვა გვარებიც.

**— ჩუბინიშვილმა ახალი დოკუმენტები გადმოგცათ. ამის თაობაზე იცოდით რაიმე?**

— გვქონდა ინფორმაცია. იქ 250 ათას დოლარზეა საუბარი, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტზე ვედავებით სმირბას: მას მილიონზე მეტი დოლარი აქვს გაფლანგული სანაოსნოდან.

**— ავი ენები ამბობენ, პროკურატურა სმირბას წინააღმდეგ იმიტომ გააქტიურდა, განაწყენებულ პარლამენტს თავი რომ მოუქონოსო...**

— ასეთი შეფასება უხერხულია. სანაოსნოს საქმეს არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენსა და პარლამენტის ურთიერთობასთან.


ჯამლეთ ბაბილაშვილი

P.S. სმირბასთვის იმუნიტეტის მოხსნას პარლამენტში ბიურო ამ კვირაში განიხილავს. მთავარი გმირი კი ისევ და ისევ არ აპირებს ჩვენების მიცემას. როგორც მისი კოლეგები ამბობენ, სმირბა იმედოვნებს, რომ თბილისელი სამართალდამცავები ბათუმში ძალას ვერ გამოიყენებენ; დედაქალაქში კი ის არ ჩავა...

მოეფინება ნათელი პარიზული პენუარებისა და პანტალონების ბედს ქართულ სინამდვილეში? ამაზე დღეს ერთგვაროვანი პასუხი არ მოიპოვება. ბოროტი ხმები კი ამბობენ, ძიების ბოლომდე მიყვანა ხელს არ აძლევს ზოგიერთ მაღალჩინოსანს ცენტრშიაც (მათ შორის, მმართველი პარტიიდანაც). რამდენიმე თვის წინ „კვირის პალიტრამ" სანაოსნოს სკანდალის ერთ კონკრეტულ საკითხზე ძიებაც ჩაატარა. ჩვენ მაშინ გამოვარკვიეთ, რომ ორი გემის გაყიდვაზე ორ მაღალჩინოსან და კომპეტენტურ პიროვნებას (დღეს ისინი ამ თანამდებობაზე აღარ არიან) თანხმობა ჰქონდა მიცემული. თუ ამ ფაქტს გავიხსენებთ, გამორიცხული არ არის, ზემოხსენებული 250 ათასი დოლარი მხოლოდ სმირბას ჯიბეში კი არ მოკალათდა არამედ, გეზი თბილისისკენაც აიღო.

მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესო იქნებოდა ასლან სმირბას კომენტარებიც, რისთვისაც გაზეთის დაბეჭდვამდე ერთი საათით ადრე ჩვენ რამდენჯერმე დავუკავშირდით კიდეც: პირველად გვითხრა — ქუთაისში ვარ, თბილისში მოვდივარ, ჟვანიას შევხვდები და შემდეგ თქვენც მოგცემთ დაწვრილებით ინფორმაციასო. მეორედ — სმირბამ მოუცლელობა მოიმიზეზა; მესამედ — შეგვპირდა, რამდენიმე წუთში თავად დაგირეკავთო(!). მეოთხედ კი ჩვენგან გაბეზრებული, ყვარყვარეს დაესესხა — არ ვარ ბატონო მე ის კაცი (სმირბა), არაო...

უცნაურია, მაგრამ ბატონმა ასლანმა თავის მართლება არ ისურვა...

*ქეთი ბერეკაშვილი*

# „აი-თი-ეს"-ი — გაცრუებული იმედი?

## ანუ ვინ იგებს და ვინ აგებს ბრიტანული კომპანიის საქართველოში მოღვაწეობის გამო

*დასაწყისი იხ. გვ-5*

ახლა, რაც შეეხება ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საბაჟო რეფორმას ეხება და რომელიც უნდა განეხორციელებინა „აი-თი-ეს"-ს. თუ საკითხს განვიხილავთ მხოლოდ ტვირთების ინსპექტირების კუთხით, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რა ქნას მეტი „აი-თი-ეს"-მა, გააკეთა თავისი საქმე — ინსპექტირება მოახდინა და რა მისი ბრალია, თუ საბაჟოზე მაინც ხდება ტვირთების კონტრაბანდულად შემოსვლა (ანუ დღგ-ისა და საბაჟო გადასახადის გადაუხდელად); მაგრამ ხელშეკრულების მიხედვით „აი-თი-ეს"-ს ეკისრებოდა, რომ 1999 წლის სექტემბრიდან დაეწყო საბაჟო რეფორმა, რაც გულისხმობს კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას, საბაჟო ტერიტორიის კონტროლს, მართვის საკითხების დაყენებას, საინფორმაციო მონაცემების სისტემის შექმნას, მოწინავე ტექნოლოგიური ხაზების დანერგვა-კომპიუტერიზაციას, აუდიტსა და ფინანსურ მენეჯმენტს და ა.შ. აგრეთვე უნდა შექმნილიყო საინფორმაციო კოორდინატორის ინსტიტუტი, რათა ადგილი აღარ ჰქონოდა ერთიმეორეზე გადაბრალებას — საბაჟოს სხვა მონაცემები აქვს, ინსპექტირებით მიღებული მონაცემები კი სხვააო. ეს კომპლექსური ღონისძიებები შექმნიდა მძლავრ სისტემას, რის შედეგადაც კონტრაბანდის შემოსვლის შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი, რაც არ განხორციელდა. დღეს, საბაჟო „აი-თი-ეს"-ისკენ იშვერს ხელს, „აი-თი-ეს"-ი კი პირიქით — საბაჟოსკენ.

ამ სისტემის შექმნასა და დაფინანსებაზეც „აი-თი-ეს"-ი იყო პასუხისმგებელი, ამას უნდა მოხმარებოდა მისი შემოსავლების 21%. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპლექსური ღონისძიებების გატარების გარეშე ვერც „ეს-ჯი-ეს"-ი და ვერც სხვა რომელიმე ანალოგიური კომპანია სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდა. „აი-თი-ეს"-მა არ განახორციელა აგრეთვე, მისი საქართველოში ყოფნის უმთავრესი მიზანიც — შემოსავლების ზრდა. საბაჟო შემოსავლების არსებული დინამიკა გვაძლევს მეტად სავალალო სურათს: შემოსავლები არათუ გაიზარდა 50%-ით, როგორც სატენდერო დაპირებისას გვაიმედებდა „აი-თი-ეს"-ი, არამედ შემცირდა კიდეც. გაიზარდა კონტრაბანდა. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ოფიციალური მონაცემები ბენზინსა და დიზელზე (ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ექსპორტზე). მაგალითად, 1999 წელს, 1998 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდთან შედარებით, ბენზინი დაფიქსირებულია 8.700 ტონით ნაკლები, ამავე პერიოდში დიზელი — 6.300 ტონით ნაკლები, ბიუჯეტმა კი 70 მლნ ლარით იზარალა. ამგვარი უგულისყურო დამოკიდებულებით (იგულისხმება როგორც ხელისუფლების მხრიდან, ისე ბრიტანული კომპანიის მხრიდანაც) საკმაოდ ხეირობენ ქართველი მებაჟეებიც და არც „აი-თი-ეს"-ია მაინცდამაინც წაგებაში. ზარალდება მხოლოდ ბიუჯეტი, რაც ნიშნავს კვლავ თვეობით გაუცემელ ხელფასებსა და პენსიებს, სოციალურად დაუცველი ფენის ბედის ანაბარა დარჩენას და უამრავ სხვა პრობლემას, რომელიც მხოლოდ რიგით მოქალაქეს აწვება მხრებზე. ალბათ არ ვიქნებით ზედმეტად პრეტენზიულნი, თუ ვიტყვით, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო საბაჟო შემოსავლების მობილიზებასთან დაკავშირებულ გაუგებრობას.

P.S. რაც შეეხება უშუალოდ იმპორტიორებისა და „აი-თი-ეს"-ის ურთიერთობას, რამაც მკვეთრად უარყოფითი ხასიათი მიიღო, ამის შესახებ შემდგომში გიამბობთ.

*მამუკა გიორგაძე*

# არც ერთს არ გამოუხატავს მადლიერების გრძნობა ისე, როგორც ამ პატარა ქართველმა მოახერხა

ცოტა შორიდან მინდა დავიწყო ეს ცრემლიანი ამბავი.

არსებობს ტკივილი, რომლის დავიწყება არ შეიძლება და მას აფხაზეთი ჰქვია.

ყველას გახსოვთ 1993 წლის მოლოდინით აღსავსე სექტემბერი. მთელი საქართველო სოხუმისკენ იმზირებოდა. იქიდან ხომ ცოცხლად დარჩენილებს, დაჭრილებს, უკვე დაღუპულებსაც კი ელოდნენ.

22 სექტემბერს თბილისის აეროდრომიდან ტუ-104 აფრინდა და გეზი სოხუმისკენ აიღო. თვითმფრინავში „უშიშროების“ თანამშრომლები, „მხედრიონელები“ და სხვა მგზავრები ისხდნენ. ყველანი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ აფხაზური მხარე არ დაარღვევდა „სამშვიდობო მოლაპარაკებას“, ანუ ცეცხლს არ გაუხსნიდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის გადასაყვანად ჩაფრენილ თვითმფრინავებს. ვაი, რომ ცდებოდნენ. ზღვის დონიდან 80 მ-ის სიმაღლეზე სოხუმს მიახლოებულ თვითმფრინავს „მოლაპარაკების უხეშად დამრღვევებმა“ ცეცხლი გაუხსნეს. თვითმფრინავმა წონასწორობა დაკარგა. მფრინავმა როგორღაც მოახერხა ალმოდებული თვითმფრინავის დასმა ასაფრენ ბილიკზე, მაგრამ იქიდან გადმოსვლა ვეღარავინ შეძლო. ბაბუშერას აეროდრომზე ოთხმოცდაათზე მეტი ქართველის სიცოცხლე ჩაიფერფლა. მათ ვერც სხვისი შველა შეძლეს და ვერც საკუთარი თავისა. არადა, ქართველთა საშველად სოხუმს მიმავალი ბიჭები სულ სხვაგვარ დასასრულზე ფიქრობდნენ. ეს „დასასრული“ მთლად სიხარულიანი და გამარჯვების ტოლფასი თუ არა, იმედისმომცემი და სხვათათვის ნუგეშისმცემელი უნდა ყოფილიყო. ამ თვითმფრინავში სხვებთან ერთად ერთი ჩვეულებრივი ქართველი ბიჭი — მალხაზ თითბერიძეც იჯდა, რომელსაც შინ მეუღლე, სამი პატარა გოგონა და სხვა ახლობლები ელოდნენ... ელოდნენ შიშნარევი, მაგრამ მაინც იმედიანი გულით, რადგან თავად მალხაზი იყო ხორცშესხმული იმედი, სიკეთე, სიყვარული და ხალისი.


დედობილ-მამობილთან ერთად

მალხაზისა და ნატო დევიძის სიყვარული გაზაფხულზე მოსულ შხაპუნა წვიმასავით უცებ დაიწყო, ერთი დანახვისთანავე. მალხაზი მაშინ 18 წლის იყო, ნატო კი — 17-ისა. ახალგაზრდების სიყვარულმა ტკბილ და თბილ ოჯახში მალე იბარტყა და თვალხატულა გოგონების ჟრიამულმა სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული ამოავსო. „მაკა, ნუ ცელქობ! ეკა, არ გაიქცე! მერიკო, აბა, თუ გადმოდგამ ნაბიჯს, ყოჩაღი გოგო იქნები!“ — ისმოდა დალამებამდე. „ბიჭიც მყავს ჩაფიქრებული, როგორც კი ომი დამთავრდებაო!“ — ამბობდა თურმე სამი გოგოს მამა. იმ საბედისწერო დღემ კი ბევრ მიზანსა და ოცნებას ჩამოაფარა თალხი. ნატოს ვერ წარმოედგინა მეუღლის გარეშე ცხოვრება, თვალსა და ხელს შუა დადნა და გაილია, დარდმა თავისი ქნა და ექვს თვეში მალხაზთან შესახვედრად იმქვეყნად მიმავალ შორ გზას გაუყვა ისიც.

დარჩნენ ასე ობლად პატარა თითბერიძეები, რომელთა მოვლა-პატრონობა ნატოს მშობლებმა, ქალბატონმა მერიმ და ბატონმა ჯონიმ ითავეს.

მერი დევიძე — (ცრემლით ევსება თვალი, მაგრამ მაინც მესაუბრება): „ნატო რომ დავმარხეთ, მალხაზის ტანსაცმელიც თან ჩავაყოლეთ... და ცოლ-ქმრის სურათი სიმბოლურად ერთად გავაკეთეთ საფლავის ქვაზე... პატარა მერიკო ერთხელ, ძილში ატირდა, დედიკო მინდაო. ძლივს დავამშვიდე, მერე მკითხა: როგორ კაბას იცვამდა დედიკო უფრო ხშირადო. ვუთხარი. აი, მაგ კაბით დამესიზმრა, რა ლამაზი დედა მყოლიაო და ისევ ატირდა. რამდენი ასეთი მწარე დღე და ღამე მახსოვს, ვინ მოთვლის?“

ჯონდო დევიძე: „მალხაზი საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი იყო, ზემდეგის ჩინი ჰქონდა... იმ უბედურ დღეს, თვითმფრინავში რომ ჯდებოდა, თურმე ბიჭებს უთქვამთ: სამი შვილის მამა ხარ (პატარა მერიკო მაშინ 1 წლის და ერთი თვის იყო), დარჩი, ნუ წამოხვალო... არ დარჩა, ვერ მიატოვა მეგობრები... მალხაზზე საუბარი ძალიან მიჭირს. იგივე შვილი იყო, ჩემი მარჯვენა ხელი. გაგრიდან როცა ჩამოვიდა, ფეხში იყო დაჭრილი, ფეხის თითები ამპუტირებული ჰქონდა, ისედაც შეცვლილი მეჩვენა. როდესაც სოხუმში წასვლა გადაწყვიტა, გავიფიქრე, მოდი, ვთხოვ, რომ არ წავიდეს-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან კარგად ვიცნობდი მის ხასიათს. ცოცხალი რომ დარჩენილიყო, არასოდეს მაპატიებდა ამას...“

დღევანდელ ყოფაში ერთ ადამიანს უჭირს თავის რჩენა და წარმოიდგინეთ, სამი ობლის გამოკვება და ჩაცმა-დახურვა რაოდენ რთული უნდა იყოს. ბავშვებს მზრუნველობას არ აკლებენ დეიდები, მამის მამიდები და სხვა ახლობლები, მაგრამ ყოველივე ეს დღევანდელ


ნატო


მალხაზი

გაუსაძლის ყოფაში მაინც მიზერია. დევიძეების ოჯახი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებს ბატონ ავთანდილ იოსელიანს (საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე) და დემეტრე თავდადებულის საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარე გვარდიის მაიორი, ვახტანგ გორგასლის ხარისხის ორდენის კავალერი ჯემალ არქანია გახლავთ.

შარშან ზაფხულს, კვლავ დემეტრე თავდადებულის საზოგადოების ძალისხმევით აფხაზეთში დაღუპულ მეომართა შვილები დასასვენებლად წაიყვანეს იტალიის ქალაქ პალერმოში.

ეს ბედნიერება თითბერიძეების სამეულიდან ყველაზე უმცროსს — მერიკოს ხვდა წილად. იტალიაში ჩასული ქართველი ბავშვები ოჯახებში გადაანაწილეს და მერიკო ექიმების — როზანა და ჯოან როსელინების ოჯახში მოხვდა.

ქართულ გენში ხომ განსაკუთრებულად ზის სიყვარულის წილ ათმაგი სიყვარული, სიკეთის წილ — ათმაგი სიკეთე და მადლიერების გრძნობა. ჰოდა, როცა ჩვენს მერიკოს ცოლ-ქმარმა მშობლიური სითბო აჩვენა, ისიც ისე მიეკედლა, თითქოს ბარიერი არ არსებობდა — არც ენის, არც უცხო ტომის ზნე-ჩვეულებებისა და მსოფლმხედველობის მიმართ. თუმცა ამბობენ, იტალიელები საოცრად ჰგვანანო ქართველებს ტემპერამენტით, გრძნობის გამოხატვით და გურმანობითაც კი. მერიკო თითბერიძემ სამი თვე დაჰყო პალერმოში. ცოლ-ქმარმა პირობა მისცა ბავშვს, რომ მალე ჩამოვიდოდნენ საქართველოში და მოინახულებდნენ მათთვის უკვე ძალზე ახლობელ პატარა ქართველს. ჩამოსვლამდე კი ისინი ჩვეულებისამებრ კვირაში ერთხელ ურეკავდნენ მერიკოს და ისიც, იტალიურს იოლად დაუფლებული, გაკვირვებული ბებია-ბაბუის წინაშე, ათას რამეზე ელაპარაკებოდა შორეულ ქვეყანაში შეძენილ დედობილ-მამობილს.

როსელინები მართლაც ჩამოვიდნენ და მე მოწმე გავხდი იმ სასწაულებრივი დამოკიდებულებისა, რომელიც მათ გააჩნიათ პატარა გოგონას მიმართ. ათასნაირი ნუგბარისა და უამრავი სათამაშოს ფონზე თვალში საცემი იყო როსელინების უსაზღვრო სიყვარული მერიკოსადმი. ეს ვლინდებოდა ყოველ სიტყვაში, მიმიკაში და მიხრა-მოხრაშიც კი. მათ გასაცნობად დევიძეების ახლობლები ბლომად შეკრებილიყვნენ, ისინი თითქოს უცხო ხალხთან კი არა, ბავშვობის მეგობრებთან სტუმრობდნენ. მათ შორის მეც ახლობლად მიმიჩნიეს. ვერ მოვითმინე და ეს ფორიაქა, გულიანი და ხმაურიანი იტალიელები საუბარში გამოვიწვიე (თარჯიმანიც იქ იყო).

— ასე როგორ შეგაყვარათ პატარა მერიკომ თავი, რომ ამხელა გზა გამოიარეთ მის სანახავად?

— ოოო... მერიკო უფრო მეტის ღირსია. საერთოდ, ჩვენ ძალიან გვიყვარს ბავშვები, ხშირად დავხმარებივართ ჩვენიანებსაც, რომლებსაც უჭირთ ან დედ-მამა არ ჰყავთ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ისე არც ერთ ბავშვს არ გამოუხატავს მადლიერების გრძნობა, როგორც ამ პატარა ქართველმა მოახერხა. მერიკო საოცარი ბავშვია, ძალიან მგრძნობიარე და ემოციური. სიყვარული თუ აგრძნობინე, ასეთივე დიდი სიყვარულით გიპასუხებს. ჩვენ ასეთი შემთხვევა ჯერ არ გვქონია და ამიტომაც შეგვიყვარდა ერთმანეთი! — ხმამაღლა და იტალიელებისათვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციით მიყვება როზანა.

— სამი თვის განმავლობაში სად არ გვყავდა, მუზეუმებსა თუ ზოოპარკში, ატრაქციონებსა თუ დასასვენებელ-გასართობ პარკებში, ყველგან ერთად დავდიოდით და ის სამი თვე ბედნიერების თვეები იყო, — სიტყვას აგრძელებს ჯოანი.

მოგვიანებით, მერიკოს დეიდა — ირინე დევიძე მიყვებოდა: „მათი ჩამოსვლის დღეს მერიკო დილიდანვე ადგილს ვერ პოულობდა, ნერვიულობდა, წამდაუწუმ საათს გვეკითხებოდა. თვითმფრინავი ღამის 12 საათზე ჩამოფრინდა. როდესაც ტრაპზე ხალხი დაეშვა, მერიკო თვალებად იქცა. მართალია, როსელინებს არ ვიცნობდი, მაგრამ როგორც კი გამოჩნდნენ, ინტუიციით მივხვდი, რომ ისინი იყვნენ მერიკოს იტალიელი დედობილ-მამობილი. როზანამ მოჰკრა თუ არა თვალი მერიკოს, ორ დიდ ხელჩანთას ხელი გაუშვა და ხმამაღლა დაიძახა: „მიო ბამბინო“ (ჩემი ბავშვი), მერიკოც მისკენ გაექანა. იცით, რა შეხვედრა ჰქონდათ, იქ მყოფი ახლობელიც და უცხოც, ყველანი ვტიროდით“.

როსელინებს ერთკვირიანი შვებულება აუღიათ და ისე წამოსულან. „გვიჭირს მერიკოსთან განშორება, მაგრამ სამსახურს ვერ გავაცდენთ, ცოტა ხანში ისევ ჩამოვალთ, ან თავად მერიკო გვეწვევაო“, — მითხრეს გამომშვიდობებისას.

ხომ გაგიგონიათ, ობლის კვერი დიდხანს რომ ცხვება, მაგრამ, ღვთის წყალობით, მაინც გამოცხვება ხოლმე. ამ შემთხვევაშიც ასეა. როსელინებს სურთ, როცა მერიკო წამოიზრდება (თუნდაც თავის უფროს დებთან ერთად), ჩავიდეს იქ, პალერმოში, სწავლა-განათლების ხარჯებს თავად გავიღებთო, — ამბობენ.

ასეა, დედამიწის ზურგზე სიკეთის მადლი ტრიალებს, სიყვარულს საზღვრები არ გააჩნია და დიდი ძალა აქვს...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# „სიკვდილა“ ცოცხლად დარჩენას ნანობს



**1993 წლის 2 ივნისი. ტამიში.** აფხაზებს მხარს უჭერდნენ ჩეჩნების საველე მეთაურები, ბაგრამიანის ბატალიონი, სისასტიკით ცნობილი კაზაკები და უამრავი კერძო, კარგად შეიარაღებული დაქირავებული მებრძოლი. რუსებმა ალბათ ისევ აფხაზების თხოვნით, კიდევ 350 კაციანი სპეცრაზმი გადმოსხეს. აფხაზები ტამიშის ბრძოლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ბრძოლა მოულოდნელად არ დაწყებულა, მაგრამ აფხაზების უპირატესობა აშკარა იყო. პოზიციებს არც ერთი მხარე არ თმობდა. თითქმის ყოველ ნახევარ თუ ერთ საათში ცვლიდნენ წინა, ცეცხლის ხაზზე გასულ ქართველ მებრძოლებს. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ თიანეთის, ასურეთის, გორის, „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ ბატალიონები და დივიზიები. დაჭრილის გამოყვანა უფრო და უფრო ჭირდა. მოწინააღმდეგემ კარგად იცოდა, რომ ქართველები დაჭრილსა და დაღუპულს ცეცხლის ხაზზე არ სტოვებდნენ. ამით ხშირად სარგებლობდა სნაიპერი და მაშველის გამოჩენის ადგილას საფრდებოდა. სამწუხაროდ, არაერთი ვაჟკაცი შესწირვია მის ტყვიას, რადგან ან უნდა გარისკო და დასახმარებლად წახვიდე, ან გაჭირვებაში მიატოვო მოძმე. თუმცა ასე არ ხდება, ომის დაუწერელი კანონია — დაეხმარო, რაც სინდისითაა ნაკარნახევი. ამ სასაკლაოს თვითმხილველები ამბობენ, რომ ტამიშის ბრძოლაში თავი გამოიჩინა „მხედრიონმა“.

ერთხანს თურმე ისმოდა რუსების ლანძღვა, — კუდა ნას ზაგნალი აბხაზციო, მაგრამ მერე გაჭირვებით აღუდგენიათ პოზიციები და პირდაპირი შეტევა უცდიათ. მოწინააღმდეგეებს შორის დაშორება თანდათან მცირდებოდა, ცეცხლის ხაზი 80-100 მ-ით დაახლოვდა. ამ დროს რუსების შეტევას „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ მეომრები იგერიებდნენ. თუმცა იმ ქაოსში რას გაიგებდი, ვინ ვისი დივიზიიდან იყო. სპეცრაზმი, ბაგრამიანი და ჩეჩნები რკალისებურად, სხვადასხვა მხრიდან უტევდნენ. უკან დახევა გარდაუვალი იყო. ასეთ შემთხვევაში მეთაური თავად გადის დასახმარებლად ან კიდევ მოხალისე მსურველები, მეთაურის ბრძანების გარეშე, გარბიან დაჭრილების გამოსაყვანად. ჩვენდა საამაყოდ, „ჩოლოყაშვილის“ ბატალიონში სამნი აღმოჩნდნენ, რომლებმაც მოწინააღმდეგის დარტყმა თავის თავზე აიღეს.

ცნობისთვის: მეომარი მტერს ახლო მანძილიდან უხსნის ცეცხლს და ყურადღების მისაქცევად თითქოს აჩვენებს დაკავებულ პოზიციასაც, მერე იცვლის ადგილს და ასე აგრძელებს მანამ, სანამ დაჭრილებს არ უშველის. ამ პროცესს არცთუ პატარა გამბედაობა სჭირდება, რადგან ხშირად ცეცხლის საკუთარ თავზე ამღები ან კვდება, ან კიდევ იჭრება; ყოველ შემთხვევაში, ხშირად ასე ხდება, რადგან მათ მოსასპობად მოწინააღმდეგე სნაიპერს იყენებს. თანაც, როგორც აღვნიშნე, დაჭრილების ტერიტორიაც მიზანში ჰყავთ ამოღებული, რათა კიდევ ვინმე იმსხვერპლონ.

იმ სამთაგან, რომლებმაც დარტყმა აიღეს, ერთ-ერთი მერაბ მამუკიშვილი გახლდათ. იგი ნაღმის ნამსხვრევით ჯერ მუცლის არეში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლით გართულმა ტკივილი ვერ იგრძნო. პოზიციის გამოცვლისას მერაბმა შემთხვევით ნაღმს დაადგა ფეხი. დარტყმის ძალამ ჰაერში აისროლა და გონება დაკარგა... დაჭრილების უმრავლესობა უკვე გამოყვანილი ჰყავდათ. ბევრი გადარჩა, ზოგიერთს ვერ მიუსწრეს — სანგრებშივე დაეტოვებინათ სიცოცხლე.

სამივე მაშველი მძიმედ დაიჭრა. ერთი მათგანი ჰოსპიტალში გარდაიცვალა. მერაბ მამუკიშვილის გადარჩენის იმედი, თავში მძიმე ჭრილობის გამო, არავის ჰქონდა. გადარჩა. ამიტომაც შერჩა სამაჩაბლოს ბრძოლებში შერქმეული მეტსახელი „სიკვდილა“.

„სიკვდილა“ ცოცხალია, მაგრამ წუხს, რომ გადარჩა, რადგან დაინვალიდებული აღარავინ მოინდომა. ცოლის მშობლებმა და მეუღლემ ხეიბრის რჩენას, მისი სახლიდან გამოგდება არჩიეს. პატარა გოგონას კი, ვინ იცის, რით გამოუტენეს გონება, ალბათ, ამიტომაც შვილმა ვერ იცნო, — ვინ ხარ, ბიძია, და რატომ მეფერებიო, უთქვამს. უყურადღებოდ დარჩენილა ყველასგან, ვისი დახმარებისა და თანაგრძნობის იმედიც ჰქონია. სჯობდა, მოვმკვდარიყავიო, მითხრა. მაგრამ ერთი წუთით არ დაუჩივლია, რომ ქვეყანას მარცხენა ხელ-ფეხი შესწირა (ატროფირებული აქვს), რომ მუცელში ახლაც აწუხებს ნაღმის ნამსხვრევი, არც იმას ნანობს, რომ ნაიარევ ფეხზე განგრენა უვითარდება, რომელმაც შეიძლება წამებით მოკლას. უსახლკაროდ დარჩენილი ხან ცირკის გორაზე იძინებს, ხანაც კუს ტბაზე ტანსაცმლის გასარეცხად ასულს შემოაღამდება და იქვე, მიწაზე მიწვება ხოლმე. ხშირად ანჩისხატთან ან სიონთან კეთილი ადამიანების ნაწყალობევი გროშებით ირჩენს თავს. ვერაფერს იტყვი. უბედურო საქართველო, ერთი ვაჟკაცის შენახვის თავი არ გაქვს თუ სურვილიც დავკარგეთ? მერაბისნაირები დღეს, სამწუხაროდ, უამრავია, ათეულობით, ასეულობით, ჩვენს გვერდით დადიან, მაგრამ ვერ ვამჩნევთ ან არ გვინდა დავინახოთ, თორემ როგორ შეიძლება საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩებოდნენ სამხედროფორმიანი, ეკლესიასთან დამხობილი, ხელგამოწვდილი ოდესღაც ვაჟკაცი მეომრები, რომელთა ნაწილი ახლა შინ იქამდე არ მიდის, სანამ ორი პურის ფულს არ იშოვის. ერთ-ერთი მათგანია მერაბის სამაჩაბლოელი თანამებრძოლი. სხვათა შორის, ორივე მხედრული მამაცობისთვის არა მედლებით, არამედ ორდენებით არიან დაჯილდოებული. მერაბის თანამებრძოლს ოსის ტყვიამ ხელი წააცალა, ფიზიკურად მუშაობა აღარ შეუძლია. მაგრამ ოჯახი, ბავშვები? საუბარში მერაბმა არაერთხელ ახსენა, — ომიდან ჭრილობებით გამდიდრებული დავბრუნდი მეც და ჩემი მეგობრებიცო. სანამ საქართველოში ვეტერანთა კავშირი არ გაიწმინდება, იქამდე ჩვენ, ინვალიდებს, არაფერი გვეშველებაო. თუ გამოჩნდება ვინმე ღვთისნიერი და საზღვარგარეთ გასვლის ვიზას მომცემს, მადლიერი დავრჩებიო, მითხრა და დაუმატა, — ერთი იმდენი ფული მქონდეს, სამოქალაქო ტანისამოსი ვიყიდო, სამხედრო ფორმა დავწვა და აქედან წავიდეო. ამას ამბობს ომგამოვლილი კაცი, რომელიც დახეიბრდა, მაგრამ არ ნანობს, მხოლოდ უყურადღებობა სწყინს, გულთან მიაქვს. ახლაც რომ ჰკითხოთ, მზადაა საომრად, ოღონდ ჩინოვნიკებმაც თავისი შვილები ომში გაამწესონ, რათა ვიცოდე, რომ ღალატი არ იქნებაო.

ვიეტნამიდან დაბრუნებულ ამერიკელ მებრძოლებს უზრუნველი ცხოვრებისთვის ყველა პირობას უქმნიდნენ. ამას სხვადასხვა მიზეზი და ახსნა ჰქონდა, ერთ-ერთი მათ შორის ისიც იყო, რომ ხალხს ხელისუფლების ნდობა გასჩენოდა, — აი, ომიდან დაბრუნებულზე როგორ ზრუნავენო. ომის დაწყების შემთხვევაში ვიღაცას კიდევ გაუჩნდებოდა ქვეყნის დაცვის სურვილი, რადგან ეცოდინებოდა, რომ უკან დაბრუნებულს, თუნდაც დახეიბრებულს, ვიღაც ვაგლახად არ შეხვდება და პირიქით, უპატრონებს. ჩვენთან კი?

ვფიქრობ, ეს არ არის პატარა პრობლემა და ღირს დასაფიქრებლად.

***თამაზ ხაბეიშვილი***

# ჩეჩენი „ტიტანიკი“ ФСБ-ს ჯურღმულებში „ჩაიძირა“

რუსეთში პრეზიდენტის არჩევნები მოახლოვდა და მმართველ პარტიას ახალ-ახალი პატარა გამარჯვებები დასჭირდა.

მისმა სპეცსამსახურებმაც არ დააყოვნეს და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ პუტინს გაკოჭილი „ძღვენი“ ფეხქვეშ გაუგორეს.

ის, რომ „ტიტანიკად“ წოდებული სალმან რადუევი სწორედ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმმა „ალფამ“ „მიჰგვარა“ პუტინს, შემთხვევითი სულაც არ არის. ნუ დაგვავიწყდება, რომ პუტინი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სწორედ ამ სპეცსამსახურებში მოღვაწეობდა და მისი ყოფილი კოლეგების წარმატება წინასწარ იყო გაანგარიშებული.



ჩვენს მკითხველს ეხსომება, რომ ცოტა ხნის წინ „კვირის პალიტრა“ არცთუ ორაზროვნად აცხადებდა — ჩეჩნეთში გადასროლილნი არიან როგორც ФСБ-ს, ისე ГРУ-ს სპეცდანიშნულების სადაზვერვო ჯგუფები და მათ ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურების სრული განადგურება ან მოტაცება ევალებათო.



რადუევის მოტაცებით პუტინის ФСБ-მ გენერალიტეტის ГРУ-ს „გადაუჯოკრა“, რაც კიდევ ერთხელ არის იმის მაჩვენებელი, რომ მალე „სრულფასოვან“ პრეზიდენტად არჩეული პუტინი თავის ადგილზე „მოსვამს“ თავდაცვის სამინისტროს და მის გენერალიტეტს.

მანამდე კი დავუბრუნდეთ სალმან რადუევის მოტაცების პერიპეტიებს. ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის, დუდაევის სიძეს „ტიტანიკი“ მას შემდეგ შეარქვეს, რაც სნაიპერის მსკდომარე ტყვიამ ნახევარი თავის ქალა წააცალა და მის მაგივრად ტიტანის ფირფიტები დაუყენეს. მას ასევე ცალი თვალი და პლასტმასის ცხვირი დარჩა „ძღვნად“.

ასე საოცრად გადარჩენილ რადუევს 12 მარტს რუსმა „ალფელებმა“ ნოვოგროზნენსკის დასახლებაში სტაცეს ხელი. მისი დატყვევების წვრილმანებზე ათასი ჭორი დადის.

— რადუევი თავის ფინანსისტთან და დაცვის ორ წევრთან ერთად იარაღის პარტიის საყიდლად იყო მისული და მაშინ აიყვანეს რუსებმაო.

— ვიღაცას დიდი თანხა გამოუგზავნია და მის მისაღებად რადუევი შეხვედრის ადგილზე თავად მისულა, რადგან ხარბი საველე მეთაური ფულში არავის ენდობოდაო.

— მოსყიდული ჩეჩნების პირით რუსები შეჰპირებიან სალმან რადუევს, ჩეჩნეთს გაგარიდებთო და მასაც „უჭამია“.

ამ ვარიანტებიდან ყველაზე რეალური მაინც ბოლო ჩანს, რადგან ტელეეკრანებზე ნაჩვენები რადუევად წოდებული კაცი ძნელად თუ ჰგავს შავსათვალიან, წვერმოშვებულ „ტიტანიკს“. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სალმან რადუევმა საგანგებოდ შეიცვალა გარეგნობა, რათა ჩეჩნეთს გარიდებოდა. მას ამის რეალური მიზეზიც ჰქონდა, რადგან მისი „აწყობილი“ თავი ახალ ოპერაციას მოითხოვდა, რომლის ჩატარება დღევანდელ ჩეჩნეთში წარმოუდგენელი იყო.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მაინც ის უნდა იყოს, რომ პერვომაისკის ტრაგედიის „გმირმა“ აღიარა, — 1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერორისტული აქტის იდეაც ჩემია და მევე მოვამზადეო. ამ საკითხის საბოლოოდ დასაზუსტებლად მოსკოვში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიავლინა თავისი გამომძიებლები, რომლებიც ადგილზე, მოსკოვში, ФСБ-ს ციხეში დაკითხავენ რადუევს. არ არის გამორიცხული, მისი დაკითხვის საფუძველზე რამდენიმე ცნობილი ქართველი ოპოზიციონერის მიმართ სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრას.

მანამდე კი, რუსეთის სპეცსამსახურები აგრძელებენ ნადირობას მასხადოვზე, ბასაევსა და ხატაბზე. შესაძლოა, 26 მარტამდე, რუსეთში პრეზიდენტის არჩევნებამდე ФСБ-მ პუტინს ზემოხსენებული ცნობილი ჩეჩნების თავებიც „ჩაუგოროს“ კალთაში, რითაც ამ უკანასკნელის საპრეზიდენტო კანდიდატურას საუკეთესო ქულებს ჩაუწერენ და რეიტინგს აუმაღლებენ.

*P.S. რუსულ პრესაში გაჩნდა ახალი ინფორმაცია „ლეფორტოვოს“ ტუსაღზე. ცნობილი გახდა, რომ მედიკოსებმა, რომლებმაც რადუევს რენტგენის სურათი გადაუღეს, თავის ქალაში ვერ უპოვეს ტიტანის ფირფიტები. ექიმები ამტკიცებენ, რომ თავის ქალის სურათის საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პატიმრისთვის არასოდეს გაუკეთებიათ ნეიროქირურგიული ოპერაცია. შესაძლოა ეს ასეა, მაგრამ პასუხს კითხვაზე — მაშ ვინ არის „ლეფორტოვოს“ პატიმარი, ვერ ვღებულობთ. თუ ის მაინც „დუდაევის არმიის“ მეთაური — სალმან რადუევია, საზოგადოებისთვის ნაჩვენები ტანმორჩილი მამაკაცი სულაც არ ჰგავს მრისხანე წვეროსან ტერორისტს. ერთიც არის, მოსკოვში რომ „სხვა“ რადუევი ჩაეყვანათ, ნამდვილი აუცილებლად იპოვიდა საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისთვის საკუთარი თავის დემონსტრირების გზას. თუ, რა თქმა უნდა, მან დატყვევების ისტორია იმისთვის არ გამოიყენა, რომ ხელსაყრელ დრომდე მიმალულიყო.* **(რედ.)**

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## თურქებმა შეიძლება «შავი ზვიგენი» აირჩიონ



**ანკარა.** ის ფაქტი, რომ თურქეთის არმიას **NATO**-ს შემადგენლობაში ძლიერებით აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი უკავია, ყველასთვის ცნობილია. „ცივი ომის“ დროს დასავლეთმა ძალღონე არ დაიშურა, რომ საბჭოთა კავშირს სამხრეთ ფლანგზე ღირსეული მოწინააღმდეგე ჰყოლოდა. სწორედ დასავლეთის დიდი დახმარების შემდეგ, 80-იან წლებში, არნახულად გაძლიერდა თურქეთის შეიარაღებული ძალები, რომლის ძირითად სამიზნეს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე განლაგებული საბჭოთა ჯარები წარმოადგენდა. „ცივი ომის“ დამთავრების მიუხედავად, ანკარას არ შეუწყვეტია თავისი არმიის გაძლიერება. სულ ახლახან მათ შეიარაღებული ძალების საბრძოლო ტექნიკის მოდერნიზებისა და განახლების დიდი ტენდერი გამოაცხადეს, რომელიც ტანკების, შვეულმფრენებისა და სხვა ტექნიკის შეძენას ითვალისწინებს.

თურქებს სულ 145 საბრძოლო შვეულმფრენის შეძენა აქვთ განზრახული. ამ არცთუ სახუმარო გარიგებისთვის ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს ამერიკულმა AH-64 „აპაჩებმა“, AH-1 „კობრებმა“, იტალიურმა „აუგუსტამ“, დასავლეთევროპულმა „ევროკოპტერმა“ და რუსულმა Ka-50-მა — „შავმა ზვიგენმა“.

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ტენდერის პირველი ეტაპი რუსულმა შვეულმფრენმა უკვე გადალახა, ხოლო უცნობილესი საავიაციო კომპანიები — ამერიკული „მაკ-დონელ-დუგლას-ბოინგი“ და დასავლეთევროპული „ევროკოპტერი“ საერთოდ გამოითიშნენ შეჯიბრებიდან.

„კამოვის“ ფირმის საბრძოლო შვეულმფრენი Ka-50-2 ცნობილი Ka-50-ის თანამედროვე მოდიფიკაციაა და ამ უკანასკნელისგან ძირითადად გამოირჩევა თანამედროვე რადიოელექტრონული მოწყობილობებით, რაც მას ღამით საბრძოლო ამოცანის შესრულების საშუალებასაც აძლევს (დღეს რუსებს ჩეჩნეთში მხოლოდ ორიოდე, ღამის ხედვით აღჭურვილი Ми-24 თუ ჰყავთ, ამიტომაც ჩეჩენი მებრძოლები გადაჯგუფებებს ძირითადად ღამით ახორციელებენ და არ ეშინიათ მოწინააღმდეგის ავიაციისა).

როგორც სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ რუსული შვეულმფრენის ძირითად კონკურენტად ცენტრში შეიძლება მოდერნიზებული ამერიკული AH-1W „სუპერკობრა“ აღმოჩნდეს. თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ „კობრას“ ტრიუმფი ჯერ კიდევ ვიეტნამის ომის დროს შედგა და ძალზე საეჭვოა, რომ მან შედარებით თანამედროვე „შავ ზვიგენს“ ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს; ხოლო თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსებმა თავის შვეულმფრენზე ებრაული ფირმის IAI-ს ელექტრონიკა დააყენეს, Ka-50-2-ის ტენდერში გამარჯვების შანსი ძალზე იზრდება.

## მოსკოვი ხმელთაშუა ზღვაში ბრუნდება



**რუსეთის** სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურობამ მიიღო გადაწყვეტილება ა.წ. შემოდგომაზე ხმელთაშუა ზღვაში „გადმოისროლოს“ ჩრდილოეთის ფლოტის მძლავრი საზღვაო შენაერთი.

ხომალდების დამრტყმელ შენაერთში გაერთიანებული იქნება ორი დიდი წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ხომალდი, სხვა სამხედრო გემები და ორი-სამი ატომური წყალქვეშა ნავი. ამ არცთუ სახუმარო საზღვაო ძალას სათავეში ჩაუდგება ერთადერთი რუსული ავიამზიდი „საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი კუზნეცოვი“. სხვათა შორის, ამ მრისხანე ხომალდს ადრე „თბილისი“ ერქვა და შავ ზღვაში დაცურავდა, მაგრამ სუვერენიტეტგამოცხადებულ საქართველოზე გაბრაზებულმა მოსკოვმა იგი სასწრაფოდ „გადანათლა“.

პენტაგონი ძალზე შეაშფოთა რუსი მეზღვაურების ამ გადაწყვეტილებამ, რადგან უკვე მეათე წელია, დასავლეთი ხმელთაშუა ზღვაში თავს სრულ ბატონ-პატრონად თვლის. მოსკოვის დაბრუნება ერთგვარი საპასუხო ნაბიჯია NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების წინააღმდეგ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ NATO-ს სამხედრო ხომალდების ვიზიტების მოხშირებამ შავ ზღვაში და კერძოდ, უკრაინისა და საქართველოს სანაპიროებთან, ძალზე გააღიზიანა რუსეთის ხელმძღვანელობა და ისიც „ვალის“ დაბრუნებას აპირებს.

# დღეს ჯარისკაცები გარბიან, ხვალ...

**მე თქვენი გაზეთის, კერძოდ კი თქვენი გვერდის მკითხველი და გულშემატკივარი ვარ და მიკვირს, რომ აქამდე არ გაგიშუქებიათ კოსოვოში ჩვენი ოცეულის მუშაობა. ჩემი აზრით, ეს ის ოცეულია, რომელიც „გაუადვილებს“ საქართველოს „ნატოს კარებზე დაკაკუნებას“. აქედან გამომდინარე, ისევ ჩემი აზრით, ეს ბიჭები, თავიანთი შრომით, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში ერთ პატარა ფურცელს წერენ.**

**გთხოვთ, თუ შესაძლებლობა გექნებათ, მოგვითხროთ მათი საქმიანობის შესახებ. რამდენი კაცია ოცეულში, ოფიცრები ჩვენი სამხედრო აკადემიადამთავრებულები არიან თუ ძველი „რუსული სკოლის“ წარმომადგენლები.**

***წინასწარ გიხდით მადლობას.***

***მ. ასათიანი***

ეს წერილი რედაქციაში ერთი კვირის წინ მოვიდა და, ბუნებრივია, მისმა ავტორმა არ იცოდა ის შემაშფოთებელი ფაქტი, რაც თავდაცვის სამინისტროს კოჯრის სასწავლო ცენტრში მოხდა. კოსოვოში მოქმედი ქართული სამშვიდობო ოცეული ხომ სწორედ ამ ცენტრში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილს ეკუთვნის.



სტატიის ავტორს კარგად ესმის, თუ რატომ უკვირს ჩვენი გაზეთის მკითხველს ის გარემოება, რომ გვერდში, „სამხედრო თემაზე“, დღემდე არ დაწერილა რაიმე კოსოვოში მოქმედ ქართულ ოცეულზე, რაც ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული.

ჯერ ერთი, „კვირის პალიტრას“ დიდი იმედი ჰქონდა, რომ ადგილზე, კოსოვოში, ქ. მამიშში მოინახულებდა ქართველ „ცისფერჩაფხუტიანებს“ და ჩვენს მკითხველს უფრო ამომწურავ და რეალურ სურათს დაუხატავდა. სამწუხაროდ, კოსოვოში გამგზავრება ვერ მოხერხდა.

თუმცა, იყო მეორე და ბევრად უფრო სერიოზული მიზეზი, რის გამოც კოჯრის სასწავლო ცენტრზე წერას თავს ვარიდებდით.

საქმე ის გახლავთ, რომ მცირე ინტენსივობის კონფლიქტებში მონაწილეობისთვის მოსამზადებელი კოჯრის სასწავლო ცენტრით დიდად ამაყობდა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა და მას ბევრი (ზოგი მლიქვნელობით, ზოგიც გულწრფელად) უდიდეს რეკლამას უწევდა.

არადა „კვირის პალიტრას“ გააჩნდა ინფორმაცია, რომ „სამეფოში ყველაფერი რიგზე არ იყო“, მაგრამ კრიტიკული წერილის დაწერა ჯერ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ უნიკალურ ნაწილზე არ იქნებოდა გამართლებული. ჯერ ერთი, მონდომებულ ახალგაზრდებს გუნებას გაუფუჭებდა და მეორეც — ეს იყო პირველი ქართული სამხედრო ნაწილი, რომელიც მთლიანად NATO-ს სტანდარტებით ყალიბდებოდა. ამიტომაც ჯერ ლოდინი სჯობდა, რათა დროს და გარემოებას ყველაფერი თავის ადგილზე დაელაგებინა.

პირველი საგანგაშო სიგნალი ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ გაისმა, როდესაც 1998 წლის 9 სექტემბერს კოჯრის სასწავლო ცენტრის მებრძოლები თბილისის ზღვაზე ცურვაში ემზადებოდნენ. მოცურავე მებრძოლებს შორის მოულოდნელად პატარა კატარღით შეიჭრა ვიღაც დამსვენებელი და გადაუარა ცენტრის სამხედრო მოსამსახურეს გელა გურულს. დაღუპული მეომრის გვამი ზღვამ ახლობლებს მხოლოდ ოცი დღის შემდეგ „დაუბრუნა“. დამნაშავე უკვე სასჯელს იხდის, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სწავლების ჩატარების ხელმძღვანელებმა მთლიანად არ დაიცვეს უსაფრთხოების წესები და არ „შემოფარგლეს“ ცურვის რაიონი.

მეორედ ტრაგედიას არაფერი უკლდა.

ერთი წლის წინ, თელავის აეროდრომზე, ისევ კოჯრის სასწავლო ცენტრის მებრძოლების ჯგუფი შვეულმფრენიდან საჩვენებელ დესანტირებას ახორციელებდა. შვეულმფრენიდან გადმომხტარმა მეომრებმა სასიგნალო რაკეტები და საკვამლო ხელყუმბარები ისროლეს, რის გამოც გამხმარ ბალახს ცეცხლი წაეკიდა. თითქოს საგანგებოდ, ცეცხლის კერამ ელვისებურად (მას ამაში ძლიერი ქარი ეხმარებოდა) მანქანების სადგომისკენ იწყო გადანაცვლება და უკვე ავტომობილების რეზინის საბურავებს მოედო. წამიც და ორი-სამი სატვირთო მანქანა ცაში „ავარდებოდა“, რადგან მათი საწვავის ავზები ბენზინით იყო სავსე. საბედნიეროდ, ადგილობრივმა ჯარისკაცებმა რის ვაი-ვაგლახით ჩააქრეს ცეცხლი. უცხოელი სამხედრო ატაშეები და ჟურნალისტები გაოგნებულნი შეჰყურებდნენ ყოველივე ამას. ბოლოს, ისევ გენერალური შტაბის უფროსმა „იმარჯვა“ და აუდიტორიას ომახიანად მოახსენა, — ესეც სწავლების სცენარში შედისო!

ეს ფაქტიც უსაფრთხოების წესების დარღვევაზე მიუთითებს.

დავუბრუნდეთ კოსოვოში მყოფ 34 კაციან სამშვიდობო ოცეულს. შარშან, 15 სექტემბერს, 31 დეკემბერს და 2000 წლის 27 იანვარს ქართველმა „ცისფერჩაფხუტიანებმა“ სპეციალური ოპერაციები ჩაატარეს და უკანონო იარაღი ამოიღეს. იმ რაიონში სტუმრად მყოფმა თურქეთის პრეზიდენტმა დემირელმა თურქ „ცისფერჩაფხუტიანებს“ შეახსენა, რომ მათ ბატალიონში „გურჯების ოცეულიც შედის და არაფერი აწყენინოთო“.

ძნელი სათქმელია, დაავიწყდათ თუ არა თავისი პრეზიდენტის შეგონება, მაგრამ თავდაცვის სამინისტროდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ამას წინათ თბილისში დაბრუნებული ქართული ოცეულის ნაწილი თურქებმა ბადრაგით გამოაცილეს, თურმე ქართული ოცეულისთვის მშობლიურ თავდაცვის სამინისტროს არანაკლებ ორი თვის ხელფასი არ გადაუხდია (არადა მათ აქამდე 600-800 აშშ დოლარამდე ხელფასი ეძლეოდათ, აგრეთვე თურქებიც უხდიდნენ დანამატს, დღეში დაახლოებით 5 დოლარს), ამის გამო ზოგიერთ ქართველ „ცისფერჩაფხუტიანს“ პროტესტის ნიშნად უარი განუცხადებია სამორიგეოდ გასვლაზე. თურქი სამხედროები კი მხოლოდ მკაცრ დისციპლინას ცნობენ, რის შედეგადაც მათ ბადრაგით აიყვანეს „ურჩი გურჯები“.

ამ არცთუ სასიამოვნო ფაქტს დაემატა მეორე საგანგაშო სიტუაცია — 12 მარტს 66-მა ჯარისკაცმა და სერჟანტმა კოჯრის სასწავლო ცენტრი მიატოვა. მათ შორის ყარაულიც იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამას სისხლის სამართლის საქმის „სუნი უდის“.

ამჯერად კოჯრელი რეინჯერების პროტესტის მიზეზი მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები გახდა — უვარგისი საჭმელი და პური, ორი უწყლოდ გატარებული კვირა, საშინელი სიცივეები და სხვა.

არადა პირდაპირ გასაოცარია — კოჯრის სასწავლო ცენტრი ყოველთვის ელიტურად ითვლებოდა და თუ მათ ასე უჭირთ, მაშინ წარმოიდგინეთ, რა ხდება თბილისიდან დაშორებულ თავდაცვის სამინისტროს ნაწილებში!

იმასაც ამბობენ, რომ კოჯრის სასწავლო ცენტრის პროდუქტებით დამატებით უზრუნველყოფა თბილისის მერიასაც ჰქონდა ნაკისრი. გარდა ამისა, ვერ ვიტყვით, რომ ამ სასწავლო ცენტრში ელექტროენერგია არ იყო, მაგრამ გაფუჭებული ელექტროქურების შეკეთების ნაცვლად ამ ნაწილის სამხედრო მოსამსახურეები ასწლოვანი ხეების შეშით თბებოდნენ.

რა თქმა უნდა, ყველა გაქცეულ ჯარისკაცსა თუ სერჟანტს ადრე თუ გვიან ნაწილში დააბრუნებენ, მაგრამ ეს სახიფათო პრეცედენტი ხომ დარჩება?! ხვალ უფრო მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფმა სხვა სამხედრო ნაწილმა იგივე რომ გაიმეოროს?

„კვირის პალიტრას“ არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება იმ საშიშროებაზე, რასაც მშიერი და სახელმწიფოსგან მიგდებული (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!) სამხედროები წარმოადგენენ. ამ მომენტისთვის ეს საშიშროება კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა — „პირველ მერცხლად“ კოჯრის ინციდენტიც გამოდგება.

ყოველივე ამის შემდეგ კი ნამდვილად გაუგებარი ხდება სამხედრო აღლუმისთვის მზადება. ასეთი აღლუმის ჩატარება არაერთ მილიონ ლარს მოითხოვს (საწვავი ჯავშანმანქანებისა და ავიაციისთვის, ახალი ფორმები და სხვ.). ნუთუ არ სჯობდა, ეს თანხები უხელფასოდ დარჩენილ სამხედრო მოსამსახურეებს მოხმარებოდა? ალბათ სჯობდა.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ვინ არის მკვლელი?

ამ საზარელმა მკვლელობამ არა მხოლოდ საკურორტო ქალაქი ჰაისთინგსი, არამედ მთელი ბრიტანეთი შეძრა. ლამაზი და მოღიმარი გოგონას ფოტოსურათები გაზეთების პირველ გვერდებსა და სატელევიზიო ეკრანებზე პირველად 1997 წლის 17 თებერვალს გამოჩნდა — ზუსტად ერთი დღის შემდეგ, რაც ნაპოვნი იყო სისხლის გუბეში მცურავი მისი დასახიჩრებული გვამი.

იმ დღეს სკოლის მასწავლებლის, სიონ ჯენქინსის ხუთი ქალიშვილიდან მხოლოდ ორი იყო სახლში — 13 წლის ბილი-ჯო და 12 წლის ანი. პირველი საკუთარი სახლის უკან მდებარე პატარა ეზოში გასასვლელ კარს ღებავდა, მეორე სამზარეულოს ალაგებდა. დანარჩენები სიონის მეუღლეს წაეყვანა სასეირნოდ. შუადღისას ბილი-ჯოს საღებავი შემოაკლდა და მამას სთხოვა, ფული მომეცი, მაღაზიაში წავალო. სიონ ჯენქინსმა უფროს ქალიშვილს უპასუხა, დარჩენილი საღებავით გააგრძელე ღებვა, მაღაზიაში კი მე და ანი გავისეირნებთო. ასეც მოიქცნენ. მამა-შვილი მანქანაში ჩაჯდა, მაგრამ სწორედ ამ დროს სიონს მეზობელმა დაუძახა თავისი სახლის ფანჯრიდან. მამაკაცებმა ცოტა ხანს ილაპარაკეს, მაგრამ ერთმანეთის ხმა ცუდად ესმოდათ — ჯენქინსების სახლიდან მუსიკის გამაყრუებელი ხმა გამოდიოდა და მეზობლების საუბარს ახშობდა. მაგნიტოფონის გამოსართავად სიონი სახლში შებრუნდა, დაახლოებით ნახევარ წუთში ისევ გარეთ გამოვიდა და მეზობელს ბოდიში მოუხადა, მე და ანის მაღაზიაში მიგვეჩქარებაო. წავიდნენ, თუმცა რამდენიმე წუთში უკანვე დაბრუნდნენ, ფული შინ დარჩენოდათ. ანიმ სახლში შეირბინა და უცებ მისი განწირული კივილის ხმა გაისმა.


ბილი-ჯო

დაფეთებული სიონი მანქანიდან გადმოხტა, სახლში შეიჭრა და უკანა ეზოში გასასვლელ კართან საშინელი სურათი იხილა: თავგატეხილი ბილი-ჯო ძირს იწვა და არ იძვროდა. მის გვერდით სისხლში ამოსვრილი რკინის ნაჭერი ეგდო, ოჯახში ჩაქუჩის მაგივრობას რომ წევდა ხოლმე. სიონმა ისტერიკაში ჩავარდნილი ანი ხელში აიტაცა, სამზარეულოში შეიყვანა და ცოტა დაამშვიდა, ამის შემდეგ სასწრაფო დახმარების ნომერი აკრიბა და მორიგე ექიმს აუღელვებლად აცნობა, ბავშვი თავგატეხილია და დამეხმარეთო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჯენქინსების სახლთან სასწრაფო დახმარების მანქანამ დაამუხრუჭა. ექიმები პირქვე დამხობილ გოგონას მისცვივდნენ და პირველი დახმარების აღმოჩენას შეუდგნენ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ყოველივე ეს ამაო იყო. ბილი-ჯოს თავის მარცხენა ნაწილი მთლიანად ჩამსხვრეული ჰქონდა.

მოვიდნენ პოლიციელებიც და დანაშაულის კვალის ძებნაში ირგვლივ ყველაფერი გაჩხრიკეს, მაგრამ სისხლიანი რკინის ნაჭრის გარდა საეჭვო ვერაფერი იპოვეს. მომდევნო დღეებში, როდესაც გულმოკლული ოჯახი ბილი-ჯოს ემშვიდობებოდა, დეტექტივებმა არაერთი საინტერესო ინფორმაცია მოიპოვეს: მახლობლად მდებარე პარკში ტრაგედიის დღეს საეჭვო გარეგნობის მამაკაცი უნახავთ; რამდენიმე დაკითხულმა განაცხადა, ჯენქინსების კარ-მიდამოს უკან მდებარე მიტოვებული სახლიდან ადამიანთა ხმები გვესმოდაო; თავად სიონ ჯენქინსის თქმით, ერთი კვირის წინ საკუთარ ეზოში მას უცნობი კაცი შეუნიშნავს, რომელიც სახლის პატრონის დანახვისთანავე მიმალულა.


სიონ ჯენქინსი

იყო სხვა საეჭვო გარემოებებიც: სიონის ოჯახში ვიღაც საკმაოდ ხშირად რეკავდა ტელეფონით, მაგრამ შემდეგ ხმას აღარ იღებდა და ყურმილს კიდებდა. ბილი-ჯოს თანაკლასელთა მტკიცებით, უკანასკნელ ხანს გოგონა ძალიან განერვიულებული იყო. ასე ამბობდა, ვიღაც კაცი მითვალთვალებსო...

დრო გადიოდა, მაგრამ მკვლელობის იარაღის გარდა პოლიციამ მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაგნო. გაზეთებიც დაცხრნენ, დანაშაული გაუხსნელ მკვლელობათა სიაში შეიტანეს და უცებ — სენსაცია. გოგონას გარდაცვალებიდან სამი კვირის თავზე დააპატიმრეს მისი მამა, სიონ ჯენქინსი! ამ ფაქტმა სკოლის მასწავლებლის კოლეგებსა და მეზობლებს შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია — სიონს ისინი იცნობდნენ, როგორც უაღრესად წესიერსა და წყნარ ადამიანს, მაგრამ სამართალდამცავებს სრულიად განსხვავებული მოსაზრებანი აღმოაჩნდათ. მათ დაადგინეს, რომ გარეგნული სიმშვიდის მიღმა ეს კაცი ხშირად მალავდა თავის ფეთქებად ხასიათს. დაადგინეს ისიც, რომ სკოლაში მუშაობის დაწყების მიზნით მან იქ ორი ყალბი დიპლომი წარადგინა. გარდა ამისა, ყოველი დაკითხვისას სიონი განსხვავებულ ჩვენებას იძლეოდა იმ საბედისწერო დღის შესახებ. პოლიციას ეჭვი უძლიერდებოდა.

სასამართლო პროცესი 1998 წლის 3 ივნისს დაიწყო და მას მთელი ქვეყანა ადევნებდა თვალყურს. განსაკუთრებულ დრამატიზმს ყოველივეს ის გარემოება ანიჭებდა, რომ პროკურორს არ გააჩნდა არც დამნაშავის მამხილებელი მოწმეები და არც პირდაპირი მტკიცებულებანი. ერთადერთ სერიოზულ მტკიცებულებას, რომლის ირგვლივაც იყო მთელი ბრალდება აგებული, წარმოადგენდა სისხლის 300-მდე პატარა წვეთი, სიონ ჯენქინსის ფეხსაცმელსა და შარვალზე რომ აღმოაჩინეს.

ეს წვეთები იმდენად მცირე ზომისა იყო, რომ შეუიარაღებელი თვალით საერთოდ არ ჩანდა. ისინი გოგონას გარდაცვალებიდან 16 დღის შემდეგ იპოვეს და თან დაადგინეს, რომ ეს სწორედ ბილი-ჯოს სისხლი იყო. ექსპერტთა აზრით, მიკროსკოპული ზომის ასეთი წვეთები წარმოიქმნება არა ჩვეულებრივი შხეფებისგან, არამედ სითხის მტვრისგან. აღნიშნულ შემთხვევაში სითხის მტვერი გაჩნდა მაშინ, როდესაც მკვლელმა ბილი-ჯოს ჯერ რკინა ჩასცხო თავში და მერე სისხლის გუბეს რაღაც მძიმე საგანი (მაგალითად, ფეხსაცმელი) დაარტყა. ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ რაც უფრო ძლიერად დაჰკრავ სისხლის გუბეს, მით უფრო წვრილი წვეთებისგან შემდგარი მტვერი წარმოიქმნება. კრიმინალისტთა აზრით, ის ადამიანი, რომელიც ამ მტვრის არეში მოხვდა, იყო გოგონას მკვლელი, რადგან დარტყმების მიყენების მომენტში იგი მსხვერპლის გვერდით უნდა მდგარიყო.

ჯენქინსის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა ის ფაქტიც, რომ სასწრაფოს გამოძახებისას მისი ხმა მშვიდი იყო. მორიგე ექიმმა, რომელმაც სიონის შეტყობინება ტელეფონით მიიღო, პროცესზე აღნიშნა, რომ ჯენქინსისთვის უთქვამს, სასწრაფოს მოსვლამდე გოგონა გვერდზე დააწვინეთ და თავი გადაუწიეთ, რათა ენა არ ჩაყლაპოსო. ჯენქინსი შეჰპირებია, სწორედ ასე მოვიქცევიო, მაგრამ ბილი-ჯოს გადასარჩენად არაფერიც არ უღონია. რატომ? ამაზე სიონი პასუხობდა, რომ შოკში იყო და არ იცოდა, რას სჩადიოდა.

ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ გოგონა მოკლა მამამისმა, როდესაც ეს უკანასკნელი წყობიდან გამოვიდა ხმამაღალი მუსიკისა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო. არაო, ამბობდა დაცვა, წყობიდან გამოსულ ადამიანს შეეძლო ერთხელ ან ორჯერ დაერტყა, ბილი-ჯოს კი მინიმუმ ათი უძლიერესი დარტყმა მიაყენეს. გარდა ამისა, ადვოკატების განცხადებით, მუსიკის ხმის ჩასაწევად სახლში შესულ სიონ ჯენქინსს არ ჰქონდა იმდენი დრო, რომ შვილი ასე სადისტურად მოეკლა...

ნაფიცი მსაჯულები 16 საათი მსჯელობდნენ, რა ვერდიქტი გამოეტანათ ჯენქინსისთვის. შემდეგ დარბაზში შებრუნდნენ და სკოლის მასწავლებელი საკუთარი შვილის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს. გავიდა ნახევარი საათი და ბრალდებულს სასჯელის ზომაც შეუფარდეს — სამუდამო პატიმრობა, მაგრამ ეს ისტორია ამით არ დასრულებულა. ათიათასობით ბრიტანელი თვლის, რომ სიონ ჯენქინსი საკმარისი მხილებებისა და საფუძვლის გარეშე გაასამართლეს. საქმის ხელახალი განხილვა ამა წლის ზაფხულისთვისაა ნავარაუდევი.

# საწამლავი საყვარელი მეუღლისათვის...

ეს ისტორია 1982 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში დაიწყო. 22 წლის სტუდენტმა რიჩარდ ლაიონმა თვალი დაადგა მასზე 4 წლით უფროს კოლეგას, ნენსი დილარდს და მალე ხელიც სთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მდგომარეობით ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ — რიჩარდი ღარიბი ოჯახის შვილი იყო, ნენსის მამა კი ტეხასელი მილიონერი გახლდათ — ქალიშვილი უმალ დათანხმდა სიმპათიური ყმაწვილის წინადადებას. ორი თვის შემდეგ დაქორწინდნენ, მალე უნივერსიტეტის დიპლომებიც მიიღეს და საცხოვრებლად ქალაქ დალასში, ნენსის მშობლების მდიდრულ სახლში გადავიდნენ.

ტეხასელმა მილიონერმა ერთადერთ სიძეს მაშინვე გამოუძებნა შესაფერისი სამსახური და მსხვილი სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელის პოსტი ჩააბარა. რიჩარდი უზომოდ ბედნიერი იყო. როგორც იქნა, ახდა მისი ოცნება და მიიღო სიმდიდრეც, მაღალ საზოგადოებაში ყოფნაც, პატივისცემაც და კიდევ ბევრი სხვა რამ, რასაც რამდენიმე წლის წინ ვერც კი წარმოიდგენდა. ბედნიერი იყო ნენსიც. მას ხომ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი და ვაჟკაცი ქმარი ჰყავდა...

1986 წელს შეეძინათ ქალიშვილი და მთელი ოჯახი მეცხრე ცაზე აღმოჩნდა, მაგრამ იდილია მოულოდნელად დაირღვა. სამშენებლო ბიზნესში უძლიერესი კრიზისი დაიწყო და რიჩარდ ლაიონის ფირმა სრულიად გაკოტრდა. საქმე უკეთესად არც რიჩარდის სიმამრს წაუვიდა — ერთ დროს ბრწყინვალედ აწყობილი ბიზნესი, რომელმაც არაერთი მილიონი მოუტანა, ახლა ხუხულასავით ენგრეოდა თავზე. 1988 წელს ნენსის მეორე შვილი ეყოლა, მაგრამ ამ ამბავს სიხარული არავისთვის მოუტანია. ბავშვს კიდურებისა და თავის ქალის სერიოზული დეფექტი აღმოაჩნდა. ერთი სიტყვით, ოჯახის საქმეები ყოველმხრივ აირია და ძალიან მალე ამ უსიამოვნებებს კიდევ ერთი დაემატა. რიჩარდმა მიატოვა ნენსი და ახალგაზრდა ფოტომოდელთან ერთად სადღაც გადაიხვეწა.

ნენსი დილარდი შოკირებული იყო, მაგრამ მაინც იმედოვნებდა, რომ ადრე თუ გვიან საყვარელი მეუღლე გონს მოეგებოდა და შინ დაბრუნდებოდა. თვე თვეს მისდევდა, მაგრამ რიჩარდი არსად ჩანდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ის მართლაც დაბრუნდა, მაგრამ ნენსის სიხარული ნაადრევი გამოდგა. რიჩარდი მხოლოდ ერთი დღე დარჩა საკუთარ ოჯახთან და მერე ისევ გაუჩინარდა. გავიდა კიდევ ერთი კვირა და ის ისევ დაბრუნდა... ერთი დღით.

ნენსი და მისი გაღარიბებული მშობლები საგონებელში ჩაცვივდნენ — მათთვის გაუგებარი იყო ამ ერთდღიანი ვიზიტების აზრი. დილარდები, რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რა ჯოჯოხეთური გეგმა ჰქონდა ჩაფიქრებული ერთ დროს მათ საყვარელ რიჩარდს. ამ უკანასკნელს ცოლის მოკვლა გადაეწყვიტა, რათა შემდგომ უზარმაზარი სადაზღვევო თანხა, 1,5 მლნ დოლარი ჩაეჯიბა (კონტრაქტის მიხედვით, ცოლის სიკვდილის შემთხვევაში, ეს თანხა მთლიანად ქმარს გადაეცემოდა).

ოჯახში პირველად დაბრუნებისას რიჩარდმა მეუღლეს ბროლის ბოთლით ძვირფასი ღვინო მიართვა. ნენსის ყოველთვის უყვარდა ასეთი ღვინოები. სტუდენტობისას ზოგჯერ პატარა ჭიქაში ჩამოასხამდა ხოლმე და ძილის წინ წრუპავდა — ამის შემდეგ უფრო კარგად მეძინებაო, ამბობდა. რიჩარდს იმედი ჰქონდა, რომ ამჯერადაც ასე მოხდებოდა და მის მიერ ღვინოში გარეული ნახშირმჟავას ხსნარი ქალს საიქიოში გაისტუმრებდა. ნენსიმ მართლაც გასინჯა ღვინო, მაგრამ ორი ყლუპის შემდეგ სასმელში სიმწარე იგრძნო, ჭიქა მაგიდაზე დადგა და დასაძინებლად გაემართა. რამდენიმე წუთის შემდეგ მას მუცლის ძლიერი ტკივილი დაეწყო, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, დილით კი თავი უკეთ იგრძნო.

რიჩარდ ლაიონმა სულ ცოფები ყარა, როდესაც ცოლის გადარჩენის ამბავი შეიტყო. გადაწყვიტა, კიდევ ეცადა ბედი და ორი კვირის შემდეგ ისევ ესტუმრა ნენსის. ამჯერად მეუღლე მან კინოთეატრში დაპატიჟა. ფილმი რომ დაიწყო, ქმარი ბუფეტში ჩავიდა და ორი ჭიქით კოკა-კოლა ამოიტანა. ნენსიმ მოსვა გამაგრილებელი სასმელი, მაგრამ საშინელი გემო იგრძნო და სითხე მაშინვე გადმოაფურთხა. ასე გადაურჩა ის მეორედ მოწამვლას, თუმცა რიჩარდისგან მკაცრი საყვედური მიიღო „ცუდი მანერების“ გამო...

ამ შემთხვევების შემდეგ ნენსიმ თავი შეუძლოდ იგრძნო. მეტისმეტად გახდა, მალე იღლებოდა და ძალიან ხშირად მუცლის არეში ტკივილებს უჩიოდა — როგორც ჩანს, ორჯერ მიღებულმა მომაკვდინებელმა შხამმა ახალგაზრდა ქალის ორგანიზმში თავისი კვალი დატოვა. ეს ყოველივე რომ შეიტყო, რიჩარდს ახალი იდეა დაებადა — გადაწყვიტა „ეზრუნა“ ცოლის ჯანმრთელობაზე და მისთვის წამლები გაეგზავნა. აბები წინასწარ მოწამლა და ამანათით გაუგზავნა, თანაც წერილით ატყობინებდა, ძალიან კარგი წამალია და ნახავ, რა სწრაფად გამოგაჯანმრთელებსო. ამანათის მიღებისთანავე ნენსიმ ორი აბი გადაყლაპა...

მთელი დღე მუცლისა და თავის საშინელი ტკივილი აწუხებდა, გული ერეოდა და მხოლოდ საღამოს იგრძნო შვება. ეს მართლაც საოცრება იყო, ქალი კვლავ გადარჩა!

ცოცხალი მეუღლის შემხედვარე რიჩარდ ლაიონი კარგა ხანს თვალს არ უჯერებდა, მერე გონს მოეგო და ახალი იერიში წამოიწყო — აფთიაქში იყიდა თაგვის საწამლავი და ნენსი ქალაქგარეთ სასეირნოდ დაპატიჟა. ტყეში სადილობისას რიჩარდმა საჭმელში თაგვის საწამლავი გაურია და როდესაც მისმა მეუღლემ ეს საჭმელი მიირთვა, ქმარმა დაიჩემა, დავიღალე და მოდი, სახლში დავბრუნდეთო. დაბრუნდნენ, მალე კი ნენსის მორიგი შეტევა დაეწყო. ასტკივდა მუცელი, დაემართა პირღებინება... და ისევ გადარჩა!

გადის კიდევ ერთი კვირა და რიჩარდი კვლავ, უკვე მეხუთედ ასმევს ცოლს საწამლავს. უკვე წინაზე გაცილებით დიდ დოზას, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ! ნენსის ორგანიზმი იტანს შხამს, თუმცა ყოველ ჯერზე ქალს სულ უფრო უჭირს საწამლავთან ბრძოლა. ის გამოიფიტა, ფეხზე ძლივსლა იდგა, სუნთქვა გაუხშირდა... მორიგი დარტყმის განხორციელების წინ რიჩარდმა კვლავ თავის საყვარელს მიაშურა და მასთან ხუთი დღე დაჰყო. შემდეგ ცოლს დაურეკა და მოიკითხა. საბრალო ნენსი კვლავ მძიმე მდგომარეობაში იყო. „ექიმები ვერ ხვდებიან, რა მჭირს. ეჭვი რაღაც უცნობ ინფექციაზე აქვთ და „ზოვირაქსი“ დამინიშნეს“ — აუწყა ავადმყოფმა მეუღლეს და ამ უკანასკნელსაც იმწამსვე ახალი იდეა გაუჩნდა: „გააგრძელე „ზოვირაქსის“ მიღება. მე ვიცი, რომ ამ ანტიბიოტიკს შენზე გაცილებით მძიმე ავადმყოფები დაუყენებია ფეხზე“. თავისთვის კი გაიფიქრა, ამ „ზოვირაქსში“ იმდენ შხამს გავურევ, სპილოების მთელ ჯოგს ეყოფაო...



ისევ იყიდა თაგვის საწამლავი, ამჯერად უფრო წმინდა და ხარისხიანი და ანტიბიოტიკში გაურია. შემდეგ ცოლს ეახლა, მოწამლული „ზოვირაქსი“ საკუთარი ხელით დაალევინა და უმალ საყვარლის ბინაში დაბრუნდა. რიჩარდი დარწმუნებული იყო, რომ ასეთ ძლიერ შხამს ნენსის ისედაც დაუძლურებული ორგანიზმი ვეღარ აიტანდა. მეორე დღეს დარეკა ლაიონების სახლში და სიდედრ-სიმამრის ტირილის ნაცვლად ყურმილში ცოცხალი ნენსის სუსტი ხმა გაიგონა... რიჩარდი იმდენად იყო თავზარდაცემული, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა. ის დღე მან ფიქრში გაატარა, მერე თაგვის საწამლავით შოკოლადის რამდენიმე კანფეტი გამოტენა და ცოლს წაუღო.

ნენსის მშობლები შინ არ იყვნენ, ბავშვებს ეძინათ. რიჩარდი სულ რამდენიმე წუთი ესაუბრა ღონემიხდილ მეუღლეს, თან შხამიანი კანფეტებიც აჭამა და წასასვლელად მოემზადა. ის იყო, ბინიდან უნდა გამოსულიყო, რომ ცოლის საშინელი კივილი შემოესმა. ნენსის უძლიერესი შეტევა დაეწყო. რიჩარდს ძალიან სურდა თავი დაეღწია სიკვდილის სცენის ხილვისგან, მაგრამ უკვე გვიანი იყო — ქალის არაადამიანური ყვირილის ხმა ალბათ უკვე მეზობლებსაც მისწვდა და ამ დროს ქმარს რომ ბინა დაეტოვებინა, ეჭვს, რა თქმა უნდა, მასზე მიიტანდნენ.

ნენსის ტკივილი უძლიერდებოდა, განწირული შველას ითხოვდა, რიჩარდი კი მის საწოლთან ჩამომჯდარიყო და ცოლისა და გამოღვიძებული ბავშვების დასანახად ტელეფონის აპარატზე ვითომდაც სასწრაფო დახმარების ნომერს კრებდა. მალე ქალმა გრძნობა დაკარგა. ქმარი მხოლოდ ახლა დაუკავშირდა საავადმყოფოს...

ექიმები ამაოდ ცდილობდნენ ნენსისთვის ტკივილებისა და ღებინების შეჩერებას. ავადმყოფის მდგომარეობა კრიტიკული იყო. წნევა მინიმუმამდე დაეცა. საღამოს მწყობრიდან გამოვიდა ორივე ფილტვი. მომაკვდავ სხეულს რამდენიმე აპარატი მიუერთეს — იქნებ, ხელოვნური სისტემებით გადაერჩინათ ახალგაზრდა ქალი, მაგრამ ნენსის მობრუნება უკვე შეუძლებელი იყო. რიჩარდმა მიზანს მიაღწია.

ნენსის დაკრძალვას უამრავი ადამიანი ესწრებოდა. ყველაზე მგლოვიარედ განსვენებულის მეუღლე გამოიყურებოდა. დამწუხრებულ რიჩარდს წამდაუწუმ მისდიოდა გული და ძირს ეცემოდა, შუალედებში კი ცრემლად იღვრებოდა... კუბო ორმოში ჩაუშვეს და ზემოდან მიწის დაყრას შეუდგნენ. ამ დროს რიჩარდ ლაიონს სამი დეტექტივი მიუახლოვდა: „კანონის თანახმად, თქვენ დაპატიმრებული ბრძანდებით!“

შემდეგ იყო სენსაციური სასამართლო პროცესი, სადაც ნაფიცი მსაჯულები მეტად თანაუგრძნობდნენ ეჭვმიტანილ მამაკაცს, პროკურორი ცოლის მოკვლას რომ აბრალებდა. რიჩარდი იმდენად ოსტატურად ასახიერებდა უზომოდ დამწუხრებული და სრულიად უდანაშაულო მეუღლის როლს, რომ ვერდიქტის გამოტანის წინა დღეს დალასის მთელი მოსახლეობა დარწმუნდა განსასჯელის სიმართლეში. რამდენიმე დღით ადრე, რიჩარდმა განაცხადა, უკანასკნელ პერიოდში ცოლს ფსიქიკურ აშლილობას ვატყობდი და ეჭვიც არ მეპარება, რომ ნენსიმ თავად მოიწამლა თავიო. ამის დასასაბუთებლად ეჭვმიტანილმა წარმოადგინა თითქოსდა მისი მეუღლის მიერ დაწერილი ბარათი, სადაც ნენსი თვითმკვლელობის თაობაზე საუბრობდა. ამან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იქ დამსწრე საზოგადოებაზე...

მოვიდა პროცესის ბოლო დღეც და მოსარჩელე მხარემ თავისი მთავარი კოზირი წარმოადგინა. ბრალდების მოწმედ გამოვიდა სახელგანთქმული კრიმინალისტი, რომელიც კალიგრაფიების ამოცნობის დიდოსტატად ითვლებოდა. მან პროცესის მონაწილეთ აუწყა, რომ რიჩარდ ლაიონის მიერ წარმოდგენილი ბარათი ძალიან ჰგავს ნენსი დილარდის ხელნაწერს, თუმცა შესრულებულია თავად რიჩარდ ლაიონის მიეროო!

ნაფიცმა მსაჯულებმა სულ რამდენიმე წუთი ითათბირეს, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო მსგავსი საქმეების განხილვისას და ვერდიქტიც უსწრაფესად გამოიტანეს — „დამნაშავეა!“

მოსამართლემ საკუთარი მეუღლის მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

უკვე ციხეში ყოფნისას, რიჩარდმა კიდევ ერთი ამბავი შეიტყო: სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე ნენსის სადაზღვევო პოლისიდან ქმრის გვარი ამოუღია და მის ნაცვლად თავისი შვილები ჩაუწერია...

*მიხეილ ჩერქეზია*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## აფეთქება



მთელი დღე რეცხა ავტომანქანა „ზილის“ კარბურატორის ნაწილები ენგელო ვახტაგაძემ, 10 ლიტრა ბენზინი მაინც მიახარჯა მათ დაპრიალებას.

— ბოშო, ბენზინი მაინც გადააქციე სადმე, ჭუჭყიანია, — მიუთითა რძალს იქვე მდგარ ბენზინიან ვედროზე და თვითონ ხელების დაბანას შეუდგა.

მოსაზრებულმა რძალმა, არც აცია არც აცხელა და, იქვე, ტუალეტში ჩაუშვა უწინდელი „ნატური“ ბენზინი. მორჩა ენგელო ხელ-პირის დაბანას და სწრაფად გასწია ტუალეტისკენ. რა იცის, რა ელოდება.

სიგარეტის მოწევა უყვარდა ენგელოს ტუალეტში, ჰოდა, ახლაც მოუკიდა ნამუშევარმა და დაღლილმა, ნამწვი კი ქვემოთ, ნახვრეტში ჩაუშვა. აფეთქების ტალღამ შარვალზე ცეცხლმოკიდებული ენგელო ტუალეტიდან 5 მეტრში ისროლა. გადარჩა, მაგრამ ექვსი თვე ბალიშზე ვერ ჯდებოდა, არათუ „ზილზე“

**ჯანო ონიანი, ქუთაისი**

## — თუ ნებას მომცემს!..



სოფელი შუქრუთი ქალაქ ჭიათურასთან ახლომდებარე, მჭიდროდ დასახლებული სოფელია. ე.წ. კომუნიზმის ეპოქაში სანიტარული სადგურის სამედიცინო პერსონალი ხშირად აკითხავდა მოსახლეობას და სანიტარული ნორმების დაცვას მოითხოვდა. ასე აღმოჩნდნენ ჩვენი მეზობლის, ნიკალა-„პასკას“ (ნეფარიძის) ოჯახში (ჩვენს სოფელში ყველას თავისი მეტსახელი აქვს) და მკაცრად მოსთხოვეს სახლზე მიდგმული საპირფარეშო 50 მეტრით მოეშორებინა სახლიდან. ორი კვირის ვადა მისცეს.

ორი კვირის შემდეგ შემოწმებაზე მისულ ექიმებს საპირფარეშო კვლავ ძველ ადგილზე დახვდათ. გაცეცხლებულ ექიმებს ნიკალა-„პასკა“ გულმოდგინედ უხსნიდა:

— გადავზომე, ბატონო, 50 მეტრი და პირდაპირ ვარდენას შუშაბანდში მოუწია საპირფარეშოს დადგმამ. მიბრძანდით და თუ ნებას მომცემს, მაშინვე შევასრულებ თქვენს ბრძანებას!..

**ნიკალას და ვარდენას მეზობლები**

## „ლაჟისო“



გურიაში იმ წელიწადს სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ჩემმა მეზობელმა იაშა ხურციძემ მესამედ გათოხნა თავისი კუთვნილი ყანა და შემოდგომას იმედით უყურებდა. კაცი ბჭობდაო... ერთ ღამეს საშინელი ქარი ამოვარდა... დახედა იაშამ ყანას და სახლისკენ გულშემოყრილი გამობრუნდა, გზაში მეზობელი შეხვდა და ჰკითხა:

— რაფერაა, იაშა, ჩვენი ყანების საქმე?

— რავა იქნება, ქე რო ჯარში სალდათს დოუძახებენ „ლაჟისო“, ისეა მთელი ყანა წამოწოლილი!

**თენგიზ თალაკვაძე, ოზურგეთი**

## „კუკურიეს“ თავგადასავალი

შეიკრიბნენ ეზოში ზასტავის (უბანია ქუთაისში) კოლორიტები და სათევზაოდ გადაწყვიტეს წასვლა, აქ იყვნენ: ციციკორე, ბაჩო, კასოი, ანტონიონი, სნაიპერა და სიში (კობა შიშინაშვილი). შემუშავდა გეგმა: ციციკორე ინათხოვრებდა მეზობლის ცხენს, კასოი — „დვიჟოკს“ და დენით ქვეყნის თევზს ამოყრიდნენ. თან ხელის ფარნები წაიღეს, ერთი ფარანი მეც მთხოვეს, სამაგიეროდ, ახალ თევზს შემპირდნენ. მოსაღამოვდა თუ არა, „დვიჟოკი“ დაადგეს ცხენს უნაგირზე, მავთულები კი „ხანის“ წყალში ჩაყარეს, ამოჰკრეს თუ არა „დვიჟოკს“, დაფრთხა „კუკურიე“ (ცხენს ერქვა) და გავარდა ტყეში, მისდევენ ფეხდაფეხ ცხენს ფარნებით, მაგრამ რას დაეწეოდნენ. თან ჩამობნელებულია და ვიღაც კაცი მიუყვება ფეხით საცალფეხო ბილიკს. დაბნეულმა ბიჭებმა ჰკითხეს:



— ბიძია, ცხენი ხომ არ შემოგხვდა წინ?

— ცხენი არა, მაგრამ ჩამქრალი მოტოციკლეტი გარბოდა გზაზე, კინაღამ კედელზე მიმასრისა, — მიუგო კაცმა.

ასე დასრულდა მათი თევზაობის ამბავი.

**ნანა ხომერიკი, ქუთაისი**

## ...ქუთეისში აგზავნიან

ქუთაისში ერთმა იუმორის მოყვარულმა ინსპექტორმა თათბირის ბოლოს ერთ ახალბედას მიმართა:

— შალიკია, შენ პირველად გადიხარ ხაზზე და სერიოზულ ობიექტზე გაგზავნი, ავტოსადგურზე. აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო, დეიმახსოვრე ტაქსის ნომერი 55-55. რამეფრად გამეიჭირე მძღოლი და იმდენი ანეკდოტი იცის, გაგხეთქავს სიცილით.

მართლაც, მოედანზე, სადაც წრიული მოძრაობა იყო, გამოჩნდა ის ტაქსი და ოდნავ შეეხო თეთრ ხაზს. ინსპექტორმა გააჩერა.

— რაია, უფროსო? — იკითხა მძღოლმა.

— რაია და წესრიგი დაარღვიე, ხაზი გადაკვეთე!



— რა მოხდა მერე, პეტერე შევეხე, ეტკინა თუ?

— ეტკინა თუ ეწყინა, მოძრაობის წესი დაარღვიე, წარმომიდგინე საბუთები, ტალონი უნდა გაგიხვრიტო!

— ფული გამომართვი, ტალონს რეიზა მიხვრიტავ?

— ფულს არ ვიღებ, მაგრამ თუ კაი ანეკდოტს მეტყვი, გაპატიებ!

— ანეკდოტს კი გეტყვი, მარა, რომ გეწყინოს?

— რეიზა უნდა მეწყინოს, ანეკდოტი ანეკდოტია!

— ჩვენთან წესრიგის დარღვევაზე ან ფულს გართმევენ, ანდა ტალონს გიგიხვრიტავენ, ეთიოპიაში კი სულ სხვა წესია!

— რა წესია? — დაინტერესდა ინსპექტორი.

— იქანა, შეაგროვებენ 10-15 დამნაშავეს და ინსპექციის მოედანზე ჩაამწკრივებენ დედიშობილა. მეორე კარებიდან მწკრივის გავლით გამოუშვებენ გადასარევ შიშველ ნაშას და ვისაც გოულიზიანდება, ასოს აჭრიან!

— რას ამბობ, ბიჭო, ყველას რომ გოულიზიანდეს?

— ყველას მოაჭრიან!

— კი მარა, რად უნდათ ამდენი...?

— ქუთეისში აგზავნიან ავტოინსპექტორებად.

**უავტორო**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანმა რამდენიმე ცალი ვიდეოკასეტა იყიდა. კოშკში ჩაიკეტა და უყურებს. ორი კვირის შემდეგ მეზობლებმა მიუკაკუნეს:

— გამოდი გარეთ, ომი დაიწყო.

— O, my God — უპასუხა სვანმა.




დილაადრიან ქუჩაში ზარის ხმა ისმის... გოგონამ ფანჯარა გაალო და უცნობ კაცს დაუძახა:

— ნავთი ხარ, ბიძია?

— ნავთი მამაშენია, მე ნაგავი ვარ!

**კ.ლ.**



მიხო მოსკოვში მიფრინავს. ძლივს შეათრია თვითმფრინავში უზარმაზარი ჩემოდანი. სტიუარდესას დახმარებით, როგორც იქნა, შეტენა თაროზე.

— თქვენ რა, ყოველთვის ასეთი ტვირთით დადიხართ? — ამოიხვნეშა სტიუარდესამ.

— მეტი ეგრე აღარ იქნება — ოფლი მოიწმინდა მიხომ. — იქიდან მე ჩავძვრები ჩემოდანში და მიტომ იყიდოს ბილეთი

**ზურა ზედგინიძე, ხაშური**



მთამსვლელები უშბაზე ავიდნენ, ხედავენ BMW-ში სვანები სხედან. გაკვირვებულმა მთამსვლელებმა ჰკითხეს:

— აქ როგორ მოხვდით?

სვანებმა უპასუხეს:

— მანქანის ხელოსანმა „უშბასთან“ მოდითო და ველოდებით.

**ოთარი, თბილისი**



— ჩემს საბრალო ქმარს სიცოცხლეში ბედი არა სწყალობდა, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაუმართლა...

— ეს როგორ?

— საფლავს რომ უთხრიდნენ, ნავთობმა ამოხეთქა.

**ჟილდა გორდაძე**



ინდიელს მიწაზე თავი დაუდვია, გამოიარა მეორე ინდიელმა:

— რას შვრები, „ამომავალო მზეო?“

— მიწას ვუსმენ, დიდო ბელადო!

— რას გეუბნება მერე მიწა?

— ეტლი მოდის. ოთხი ცხენია შებმული, ზანგი მეეტლე ჰყავს და ხუთი მგზავრი — სამი ქალი, ორი ოფიცერი.

— კი მაგრამ, ამდენი საიდან იცი, „ამომავალო მზეო?!“

— წელან გადამიარა თავზე! — ამოიოხრა „ამომავალმა მზემ“.

**თ. ჯ. პიკასო**

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# დაღუპული იაკ-40-ის საიდუმლო

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ჩვენს მკითხველს ვუამბეთ ცნობილი ჟურნალისტის, ჰოლდინგის „სოვერშენო სეკრეტნოს“ თავკაცის, დამოუკიდებელი მასმედიის მაგნატის არტიომ ბოროვიკისა და დიდი ბიზნესმენის ზია ბაჟაევის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი. ჯერჯერობით, არავინ იცის, რა მოხდა სინამდვილეში. ვფიქრობთ, მკითხველს აინტერესებს ამ ორი ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებასა და სიკვდილთან დაკავშირებული დეტალები.

„კომსომოლსკაია პრავდა“ ესაუბრება ა. ბოროვიკის მამას, ცნობილ ჟურნალისტს **ჰენრიხ ბოროვიკს**.


არტიომ ბოროვიკი

**— ჰენრიხ ავერიანოვიჩ, როგორ ფიქრობთ, თუ ეს შემთხვევითობა არ იყო, ვისი მოკვლა სურდათ, არტიომის თუ მისი თანამგზავრის?**

— რა თქმა უნდა, არტიომის. ეჭვიც არ მეპარება ამაში, თუმცა იმასაც ვამჩნევ, რომ სურთ ბაჟაევზე გადავიდეს ყურადღება.

**— ალბათ, ღმერთი გაძლევთ იმის ძალას, რომ ამ უბედურებას გაუძლოთ...**

— სადღა მაქვს ძალა... თუმცა მაქვს. გვერდით მიდგანან ჩემი ქალიშვილი და მისი ვაჟი, 23 წლის ვანია, არტიომის პატარები. ამ ტრაგედიამ დაადასტურა, რომ ამ ქვეყანაზე ბევრია კარგი ადამიანი, ტელეფონი წუთით არ ჩერდება, აუარება დეპეშა მოდის... არტიომი თავისუფალი პრესისათვის იბრძოდა. მე უნდა განვაგრძო მისი საქმე.

**— დაღუპვის წინა დღეს მოასწრო თქვენთან მოსვლა, დედას გამოემშვიდობა?**

— მთელი დღე ველოდით, მაგრამ სამსახურში იყო, გვიან ღამით დაგვირეკა — გაზეთის ნომერს ვამზადებ, ვერ ვასწრებ მოსვლასო...

**— ველარასოდეს გავიგებთ, ვისზე ფიქრობდა სიცოცხლის ბოლო საათებში...**

— წასვლის წინ თანამშრომლისთვის ფული და ბარათი დაუტოვებია — დედაჩემს და ჩემს სიდედრს ყვავილები უყიდეთო. ძალიან უყვარდა თავისი ცოლის, ვერონიკას დედა. როცა მძღოლმა ყვავილები მოგვიტანა, უკვე ვიცოდით, რომ არტიომი აღარ იყო. ვერონიკა პარიზიდან ჩამოფრინდა.

## ვის უშლიდა ხელს არტიომ ბოროვიკი?

კორესპონდენტის კითხვებს პასუხობს „ვერსიის“ შეფ-რედაქტორი **რუსტამ არიფჯანოვი**.

**— რუსტამ, როგორ გგონია, ვის უშლიდა ხელს ბოროვიკი?**

— გაზეთების „ვერსიის“, „სოვერშენო სეკრეტნოს“ თითოეული ნომერი, არტიომის ყოველი ტელეგადაცემა აფეთქების ტოლფასი იყო. მტერი ბევრი ჰყავდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ბრძოლა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების კორუფციასთან საკმაოდ სახიფათოა.

დიახ... გვემუქრებოდნენ კიდეც. კონკრეტულად არავის დავასახელებ, მაგრამ მათთვის, ვინც კითხულობს „ვერსიას“, „სოვერშენო სეკრეტნოს“, ეს გვარები ცნობილია. გვემუქრებოდნენ ისინი, ვისაც ოლიგარქებს ვეძახით და ისინიც, ვისაც კრემლის გარემოცვა ჰქვია.

**— ხომ ვერ გაიხსენებდით, რომელი პუბლიკაციის დაბეჭდვის შემდეგ დაგემუქრნენ?**

— ეს იყო პუბლიკაციები კრემლის კორუმპირებულობაზე, ნავთობის, ალუმინის და ა.შ. ომებზე. ყველა მასალას თუ ჩამოვთვლი, გამოიკვეთება ადამიანთა კონკრეტული ჯგუფი, რომელსაც ძალიან უშლიდა ხელს ჩვენი გაზეთები და გადაცემები.

**— არტიომი აღარ არის... რა დაგრჩათ სარედაქციო პორტფელში?**

— ანონსებს არ ვაკეთებთ, დაბეჭდვაში ხელს შეგვიშლიან. ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა. გვინდოდა პირველებს გვეამბნა, „ჩვენი დროის გმირზე“ — რომან აბრამოვიჩზე. საიდუმლოდ ვერ შევინახეთ და გაზეთის გამოსვლამდე ორი დღით ადრე ქსეროქსირებული მასალა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელი უფროსის ვ. იუმაშევის მაგიდაზე აღმოჩნდა. მან არტიომს დაურეკა — ამ მასალას ნუ გაუშვებო.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ გავაგრძელებთ ბიზნეს-ომებთან დაკავშირებულ ჩვენს ხაზს. არტიომთან ერთად დამუშავებული გვაქვს თემები, რომლებსაც არ მივატოვებთ.

**— თქვენს ჰოლდინგში, თქვენს გარემოცვაში, ტელეპროგრამაში რაიმე შეიცვლება?**

— რა თქმა უნდა, ცალკე აღებული ვერც არტიომის მეუღლე — ვერონიკა ხილჩევსკაია (იგი ყველაფერთან ერთად მემკვიდრეცაა ეს ხომ კერძო საწარმოა), ვერც ჰოლდინგის გენერალური დირექტორი ნ. არუთინოვი და ვერც მე, შეფ-რედაქტორი, ვერ შევცვლით არტიომს, მაგრამ ბევრნი ვართ და ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ. როგორც ოდესღაც არტიომმა განაგრძო იულიან სემიონოვის საქმე, ჩვენც ასევე გავაგრძელებთ მის გზას.


ვერონიკა ხილჩევსკაია

### რაზე წერდა „ვერსია“?

**„ბერეზოვსკი ციხეში უნდა იჯდეს. მთავარი ოლიგარქი საკანში მოხვდება, თუ პრეზიდენტი არ ჩაერია საქმეში“**. 1999წ. 20-26 აპრილი.

**„სასახლის კარის საქმე №1“**. კრემლის უმაღლეს მოხელეთა შვეიცარიული ანგარიშები. 1999წ. 1-7 ივლისი.

**„ფინანსური ბანდა“.** სად გაქრა მსოფლიო სავალუტო ფონდის 5 მილიარდი? 1999წ. 22-28 ივნისი.

**„უხტელი ობოლი“.** ლაპარაკია აბრამოვიჩზე. 1999წ. 10-16 აგვისტო.

**„მამუტი“**. ძიებამ დაადასტურა, რომ BANK OF NEW YORK-თან დაკავშირებით სკანდალში ჩათრეულია სწორედ ალექსანდრ მამუტი, ელცინის ოჯახის ფინანსების მთავარი განმკარგავი. 1999წ. 3-11 ოქტომბერი.

**„უშიშროების ფედერალური სამსახურის ანატომია“**. თუ პრეზიდენტი გახდება პუტინი, რუსეთს სპეცსამსახურები უხელმძღვანელებენ? 2000 წლის 1-7 თებერვალი.

## ვის სურდა ზია ბაჟაევის მოშორება?

ზია ბაჟაევს ჩეჩნეთის პრეზიდენტობის პრეტენზია ჰქონდა. ის აშკარად უშლიდა ხელს კონკურენტებს — მათ, ვინც დიდი ფული დახარჯა ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. ყველა მათგანს, მოსკოვი ასე თუ ისე, მხარს უჭერს, ოღონდ კანდიდატები ერთმანეთში ვერ რიგდებიან. კრემლს ეს ხელს აძლევს, რადგან თვით ეს „მორჩილი“ ჩეჩნები რომ ერთმანეთში მორიგდნენ, არავინ იცის, მათგან რას უნდა ელოდე. იქნებ მტრობის გასაძლიერებლად გაავრცელეს ხმა ბაჟაევის შესაძლო პრეზიდენტობაზე? თუ ბაჟაევს მართლა უნდოდა პრეზიდენტობა, ეს არც კრემლს აძლევდა ხელს, რადგან მათ, ვინც ზიას ბავშვობიდან იცნობდა, იციან — არაფრით არ დასთანხმდებოდა ჩეჩნეთის მართვას სხვისი კარნახით, ისევე, როგორც თავის ბიზნესში ცხვირს არავის აყოფინებდა (ამიტომაც ამდენი ფულის პატრონს დიდი მოხელეობისთვის არ მიუღწევია).

მასმედიისგან მხარდაჭერის მისაღებად ზია ბაჟაევმა „ალიანსის“ ვიცე-პრეზიდენტად ჟურნალ „ნეფტ ი კაპიტალის“ მთავარ რედაქტორს ე. დრუზენკოს უხმო, შეიძინა ჰოლდინგ „სოვერშენო სეკრეტნოს“ აქციები, რითაც ალბათ გადაიმტერა ის მაგნატები, რომლებიც სააშკარაოზე გამოჰყავდა არტიომ ბოროვიკს. თუმცა ბაჟაევს არც უამისოდ აკლდა მტრები.

მართალია, პრესაში გაჩნდა ინფორმაციები, რომ ჩეჩნები ცდილობდნენ ბაჟაევისთვის „ჯიჰადის“ გასაგრძელებელი ფული დაეტყუათ, მაგრამ კატასტროფაში ჩეჩნების კვალის ძიება აბსურდია — ახლა მათ ამისთვის არ სცხელათ.

## ბოროვიკის საქმე მეუღლეს გადაეცა

ჰოლდინგში „სოვერშენო სეკრეტნო“ გაიმართა დირექტორთა რიგგარეშე საბჭოს სხდომა. განიხილეს მხოლოდ ერთი საკითხი — ვინ ჩაუდგება სათავეში დაღუპული არტიომ ბოროვიკის საინფორმაციო ბიზნესს. „კომერსანტის“ ვარაუდით, ბოროვიკის საქმის განმგრძობი მისი ქვრივი ვერონიკა ხილჩევსკაია უნდა გამხდარიყო და ასეც მოხდა. ხილჩევსკაიას სულიერ სიმტკიცესა და მამაცობაზე თავად არტიომიც ლაპარაკობდა, როცა იხსენებდა, როგორ ეჭირა თურმე თავი 5 წლის ვერონიკას, როცა ნიუიორკში დაცხრილეს მათი ბინა (ხილჩევსკაიას მამა დიპლომატი იყო).

შესაძლოა, სწორედ ამ ამბავს გულისხმობდა ვლადისლავ ლისტევის ქვრივი ალბინა ლისტევა, როცა ხილჩევსკაიაზე თქვა, — მაგარი ქალია, ყველაფერი გამოუვა. თანაც არტიომი ხომ მარტო არ მუშაობდა, კარგი გუნდი ჰყავდა. ვერონიკას არაფერი გაუჭირდება იმიტომაც, რომ ისიც იმავე საქმეს აკეთებდა, რასაც არტიომი და ყველაფერი იცისო. 5 წლის წინ, ვლადის სიკვდილის შემდეგ, ალბინა მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ВИД-ის აქციების ნაწილის მემკვიდრემ კომპანიაში თავიდან მხატვრად დაიწყო მუშაობა, მერე კი არტ-დირექტორად. ალბინა პროფესიით რესტავრატორია და ქმრის ბიზნესში, როგორც მხატვარი, ისე მონაწილეობდა. 1998 წელს ალბინა ტელევიზიიდან წავიდა და მხოლოდ აქციათა მფლობელად დარჩა. „ВИД-ი ჩვენს სამზარეულოში იქმნებოდა და ჩემთვის უცხო არ იყო, მერე კი მომბეზრდა და წავედი,“ — ამბობს ლისტევის ქვრივი. ახლა იგი ВИД-ის გენერალური პროდიუსერის — ანდრეი რაზბაშის ცოლია და კვლავაც ალბინას სამზარეულოში იხილება სამსახურებრივი სიახლეები.


ზია ბაჟაევი ცოლ-შვილთან ერთად

რაც შეეხება ვერონიკა ხილჩევსკაიას, ალბინასაგან განსხვავებით, იგი მეუღლის საქმეს ალბათ მალე არ დაანებებს თავს. თუნდაც იმიტომ, რომ გამოცდილი ტელეჟურნალისტია და ბოროვიკის ჰოლდინგში უკანასკნელ დრომდე ჟურნალ „ლიცას“ კომერციულ დირექტორად მუშაობდა. ცხადია, ვერონიკამ ქმრის საქმეების შესახებ მარტო სამზარეულოს დონეზე არ იცის. იგი აქტიურად მონაწილეობდა არტიომ ბოროვიკის ყველა მოლაპარაკებაში. 9 წლის წინ ის, შეიძლება ითქვას, შეუვარდა ქმარსა და ავსტრალიელ მედია-მაგნატ რუპერტ მერდოკს და ჩაშალა „სოვერშენო სეკრეტნოს“ აქციების 51%-ის მაგნატისათვის მიყიდვის გარიგება. მაშინ ვერონიკა, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა, რომ 9 წლის შემდეგ საინფორმაციო-საგამომცემლო ჰოლდინგის მფლობელი თავად გახდებოდა.

***რუსული პრესის მიხედვით***

# რას გვეტყვი, მამაო?

**როდესაც ზრდასრული ადამიანი ინათლება, უნდა თქვას თუ არა მან წინდაწინ აღსარება?**

კარგია, თუ იტყვის აღსარებას, განსაკუთრებით დიდ მომაკვდინებელ ცოდვებს თუ მოინანიებს.

**შეიძლება თუ არა ტაძარში მოვიხსენიოთ ლოთობის შედეგად დასნებოვნებით გარდაცვლილი ადამიანი?**

შეიძლება, თუკი ის მართლმადიდებელი იყო და გარდაიცვალა არა უშუალოდ სიმთვრალის მიზეზით.

**არსებობს ზოგიერთი ისეთი ცოდვა (განსაკუთრებით ხორციელი), რომელთა გამხელა აღსარებაზე გვეუხერხულება, მით უფრო, თუ მანდილოსანს უხდება ამის თქმა ახალგაზრდა მღვდლის წინაშე. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?**

უნდა მივმართოთ სხვა მღვდელმსახურს და აუცილებლად მოვინანიოთ ეს ცოდვები.

**ამბობენ, რომ წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს არ შეიძლება ისეთი საკვების მიღება, რაც ფორმით თავს მოგვაგონებს: ვაშლი, საზამთრო და მისთ.**

ეს არის ცრურწმენა. არ შეიძლება მხოლოდ სახსნილო საკვების მიღება, თევზისაც კი.

**არსებობს საფლავზე სანთლის ანთების ჩვეულება. მართებულია თუ არა ასეთი საქციელი?**

საფლავზე სანთლის ანთება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ სანთელი ინთება ხატის წინ და არა გარდაცვლილის ძეგლისა თუ ფოტოსურათის წინ.

**თუ უცნობი ადამიანი გვაწვდის ტაძარში სეფისკვერს, უნდა გამოვართვათ, თუ უარი უნდა ვუთხრათ?**

უცნობ ადამიანს თავაზიანად უნდა ვუთხრათ უარი სეფისკვერსა თუ კოლიოზე, რადგან ზოგჯერ ისეთი ადამიანების სულის საოხად მოაქვთ (თვითმკვლელებისათვის, ურწმუნოთათვის), ვისზე ლოცვაც კი დიდი ცოდვაა.

**აუცილებელია თუ არა ზიარების შემდეგ სითხის მიღება?**

ზიარების შემდეგ სითხე აუცილებელია მისაყოლებლად, მაგრამ ბერები გვასწავლიან, რომ სულიერ ავადმყოფებს (ეშმაკეულთ) უჯობთ დროის მცირე შეყოვნება, რათა მტერი მათ შიგნით სიწმინდისაგან ამოიშანთოს, სითხეში არ დამალოს თავი და არ იგრძნოს შვება.

**ლიტურგიის დროს სად უნდა ვიდგეთ: ტაძრის სტოვაში თუ შიგნით ტაძარში? აქვს თუ არა ამას მნიშვნელობა?**

გარკვეულწილად აქვს მნიშვნელობა, თუ სად ვდგავართ. თუ ტაძრის ბოლოში ვდგავართ, იქ მიმსვლელ-წამსვლელები და მესანთლის დახლთან წარმართული საუბრები მოქმედებენ ჩვენზე და ლოცვის დროს ყურადღება გვეფანტება. წინ დგომისას ყოველივე ამისგან დაზღვეულნი ვართ. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რა გრძნობით ვდგავართ: საკუთარი უღირსობისა და ცოდვიანობის გრძნობით, თუ ფარისევლურად უქმი ცნობისმოყვარეობით.

**როგორ უნდა მოვეპყრათ ხატს, რომელიც წესის აგების დროს თავთით ედო მიცვალებულს?**

ეს ხატი უნდა შევინახოთ ოჯახში; კუბოში ამ ხატს არ ატანენ. ამის თაობაზე წერს წმ. თეოფანე დაყუდებული.

**არსებობს ხალხური ჩვეულება, რომ „ორმოცამდე“ გარდაცვლილის არც ერთი ნივთის გაცემა არ შეიძლება. მართალია თუ არა ეს?**

ეს არის ხალხის რწმენა — ეშმაკით შთაგონებული. პირიქით, რაც შეიძლება მეტი სიკეთე უნდა ჩაიდინოთ გარდაცვლილის სახელზე. უნდა შესწიროთ მონასტრებს, ეკლესიას — წითელი ღვინო (ზიარებისთვის), ფქვილი (სეფისკვერისთვის), ცვილი (სანთლისთვის); უნდა დაარიგოთ გარდაცვლილის ნივთები, შეიძინოთ წმინდა წიგნები (და დაურიგოთ მორწმუნეებს), სწორედ ორმოცამდე და არა ორმოცის შემდეგ. როდის უნდა ვიშუამდგომლოთ განსასჯელისათვის — სასამართლომდე თუ სასამართლოს შემდეგ? ასეა აქაც: სული გადის საზღვრებს, ეწყობა სასამართლო და უნდა ვუქომაგოთ მას: ვილოცოთ და ვაკეთოთ მოწყალების საქმენი, ადამიანები კი ამას არა სჩადიან.

**როდის არ სრულდება მუხლმოდრეკა ეკლესიაში?**

მუხლმოდრეკა არ სრულდება ეკლესიაში კვირაობით, სულიწმინდის ლოცვის მოწვევის დროს და დღესასწაულებზე, ხოლო ჯვართამაღლებასა და ჯვრისთაყვანისცემის კვირას სრულდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგალობება ჯვრის თაყვანისცემის საგალობელი. კვირაობით და დღესასწაულებზე მუხლმოდრეკა შეიძლება მხოლოდ დიდ სიწმინდეთა (წმინდა ძლევნის, წმინდა ნაწილების, სასწაულმოქმედი ხატის) წინაშე.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

**რას წერენ ჩვენზე**

# ჩეჩნური ბუმერანგი თბილისისათვის

კავკასიონის მთავარ ქედზე უღელტეხილის გახსნამდე ერთ თვეზე ნაკლები დრო დარჩა. გამორიცხული არ არის, რომ მაის-ივნისში მთიან ჩეჩნეთში გაბნეული ბანდფორმირებები საქართველოს მიაშურებენ.

რფ საგარეო საქმეთა სამინისტროს ამასწინანდელი ნოტის (რომელიც მოითხოვდა საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენლობის დახურვას) კომენტირებისას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის საზოგადოებრიობასთან კავშირის დირექტორმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ განაცხადა, რომ ამგვარი წარმომადგენლობა საქართველოში ოფიციალურ დონეზე არ არის რეგისტრირებული და ამდენად „შეუძლებელია დაიხუროს ის, რაც არ არსებობს“. ამასთან, ქართველმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ გაატარებს რაიმე რეპრესიულ ქმედებას იმ ჩეჩენი წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც არ იმყოფებიან საერთაშორისო ძიებაში და არ დაურღვევიათ საქართველოს კანონმდებლობა.

მაგრამ არაოფიციალურ დონეზე ქართული მხარე უკვე აღიარებს ჩეჩენ ლტოლვილებთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების არსებობას. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ გააქტიურდა ქართველ წარმომადგენელთა მოლაპარაკებები თურქეთსა და თავად საქართველოში ჩეჩენ ავტორიტეტულ პირებთან. თბილისური წყაროები ამტკიცებენ, რომ ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ჩეჩენი წარმომადგენლის თანდასწრებით თურქეთის პროვინციის არდახანის გუბერნატორს შესთავაზა ბოევიკების გასატარებელი დერეფნის შექმნა თურქეთში. პასუხი ორჭოფული იყო და იგი უკავშირდებოდა პანკისის ხეობაში ჰუმანიტარული ტვირთების — წამლებისა და პროდუქტების შეუფერხებელი ტრანსპორტირების გაგრძელებას. ჰუმანიტარული დერეფნის შენარჩუნებაზე ქართული მხარე თანახმაა. იგი აგრეთვე დათანხმდა, რომ პანკისის ხეობის კიდევ ერთ სოფელში — ჯოხოლოში გაიხსნას თურქეთის ნახევარმთვარისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“-ს წარმომადგენლობა. ექსპერტები არ გამორიცხავენ ამ ორგანიზაციების უკან უცხოური სპეცსამსახურების დგომის შესაძლებლობას.

ახმეტის რ-ში ქართული ხელისუფლება მდგომარეობას სრულად ვერ აკონტროლებს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სოფ. დუისში ამას წინათ ბოევიკებმა ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობა დაიკავეს. მოგვიანებით, საქართველოში მყოფმა ჩეჩენთა ერთმა ლიდერმა ხიზრი ალდამოვმა ამაში რუსეთის სპეცსამსახურები დაადანაშაულა. ამას წინათ ქართველმა მესაზღვრეებმა აზერბაიჯანიდან მომავალი იარაღით სავსე ავტოფურგონი დააკავეს. რა გარანტიაა, რომ სხვა ამგვარმა ტვირთმა არ გაიარა საქართველოზე? ქართული არმია დემორალიზებულია. სამხედროებს ნახევარი წელია არ მიუღიათ ფულადი ანაზღაურება, ადგილი აქვს მასობრივ დეზერტირობას. ასე მაგ., 12 მარტს კოჯრის სასწავლო ცენტრიდან 65 ჯარისკაცი გაიქცა. ასევე, ოპერატიული მონაცემებით, ჩეჩნეთის დეპუტატმა, ვინმე ატაევმა და მისმა მეგობრებმა საქართველოში ჩასვლისთვის დაღესტნის საზღვრის მონაკვეთზე ქართველ მესაზღვრეებს რამდენიმე ათასი დოლარი გადაუხადეს.

საქართველოს ოფიციალური ხელმძღვანელობა ამაზე თვალს ხუჭავს. მის ზოგიერთ ნაბიჯში იკითხება, ანტირუსული განწყობა. თბილისი ცდილობს, მიაღწიოს რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობის შემცირებას თავის ტერიტორიაზე. „პრინციპული“ მოსაზრებით არ მონაწილეობს საქართველო დსთ-ის საერთო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნაში. შესაძლოა, ამ გარემოებამ გამოიწვია ჩრდილო კავკასიის სამხრეთის ფლანგზე საჰაერო კონტროლის დონის შესუსტება. შედეგად გვაქვს რეალური ფაქტები კავკასიონის მთავარი ქედიდან ბოევიკებისთვის საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის მიწოდებისა. მხოლოდ მარტში იქნა აღმოჩენილი საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე საველე აეროდრომი მსუბუქძრავიანი თვითმფრინავით.

ბოევიკები თოვლის დნობას ელოდებიან. სამხედროთა პროგნოზით, საქართველოს ჩრდილოეთში ბილიკებითა და უღელტეხილებით შესაძლოა შეიჭრას 10-15 ათასი ჩეჩენი. ამასთან, მთელი ქართული არმია 30 ათასზე ცოტა მეტს ითვლის. ქართული ნაწილები მთელ საქართველოშია გაფანტული და საეჭვოა ისინი „ჩამოსულებს“ გაუმკლავდნენ. უკვე ახლა ახმეტის რაიონს „პატარა ჩეჩნეთს“ უწოდებენ. ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე დე ფაქტო აღმოცენდა კიდევ ერთი „ავტონომია“ და არის დიდი ალბათობა, რომ ზაფხულისთვის იგი გააფართოებს თავის საზღვრებს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №48***



## თარაზულად:

5

(სახელი)

9

რუსეთის პროკრორისულ გამოკვლევათა ინსტიტუტის ქართველი დირექტორი

10

„ტიტანიკის“ დაღუპვის მიზეზი

11

მწერი განვითარების იმ პერიოდში, როდესაც მატლის მდგომარეობიდან სრულ სიმწიფეში გადადის

12

ისეთი ცხოვრება, როცა არაფერი გადარდებს და არაფერზე ზრუნავ

13

ცალკეული მოძრაობა

16

ცნობილი საიუველირო ფირმა

19

სამკაული

20

ბორბლებზე გადაცმული ფართო უწყვეტი ჯაჭვი

21

(კლიტე)

22
მდინარეში წყლის დონის მომატება

25


27


28

თომას ედისონის გამოგონება

31

ცნობილი მსახიობი, რომლის სახელიც ჰავაურ ენაზე ნიშნავს „ცივ ჰაერს მთაში“

33

წებოთი გაჟღენთილი შეღებილი ბამბის ქსოვილი, რომელსაც იყენებენ წიგნის კაზმვისას

34

გერმანელი ზოოლოგი, რომლის 6-ტომიანმა ნაშრომმა „ცხოველთა სამყარო“ ხელი შეუწყო ბუნებისმეტყველებისადმი ინტერესის გაღვივებას

35

უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე (სურ. 6 წლის ჯასტინ ჩეპმენი)

36
მოძრაობათა და ჟესტების შეთანხმებულობა, ჰარმონიულობა

37

(გვარი)

## შვეულად:

1

97 წლის განთქმული კინორეჟისორი, ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰიტლერისდროინდელი კულტურისა

2

უცხო ქვეყნის ტერიტორიის დროებითი დაკავება სამხედრო ძალების მიერ (სურ. ფაშისტთა შესვლა ვენაში)

3

საამორტიზაციო დგარი და ბორბლები

4
აგრეგატული მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება მზე

6

საღმრთო წიგნების კრებული

7

საწუწნი კანფეტების პლასტმასის კონტეინერები, შემკული მულტფილმების გმირების გამოსახულებებით

8

აგრესიის ჩამდენი

14

იტალიაში გავრცელებული საკრავი

15

სპორტის სახეობა

17
ამერიკელი ინჟინერი, რომელმაც შექმნა პირველი თანამედროვე ტიპის საძინებელი ვაგონი

18

ცხენზე მჯდომი, ცხენოსანი

23

სტუმრის დამხვედრი

24

ფრინველის პირის წინ წაგრძელებული რქოვანი ნაწილი

26

დეგას ნახატის სახელწოდება

29

მცენარის ნორჩი ტოტი

30

რქოვანი ფირფიტები სხეულზე

32

თურქ-მონღოლთა ფეოდალური სახელმწიფოების მმართველის ადგილსამყოფელი (სურ. ჩინგის-ხანი)

34

დიდი ტევადობის მუხის კასრი

კროსვორდი შეადგინა **რამაზ ალანიამ**

**„კვირის პალიტრა“ №11 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. მელბურნი; 6. ჰოფლინგი; 9. ტომაჰავკი; 10. ეჭვი; 11. იაქე; 16. გნომი; 17. კონვეიერი; 18. მენიუ; 19. ფემინიზმი; 20. მონოგამია; 24. დაცვა; 25. სტოიციზმი; 26. ტრაპი; 27. ქალა; 31. ლოდი; 32. ხმელთაშუა; 33. ირეალობა; 34. ოქსფორდი.

**შვეულად:** 1. ანტონ; 2. ალცჰაიმერი; 3. ბოჭკო; 4. მანეკენი; 5. ბალი; 7. იოდი; 8. ინფექცია; 12. ძმარმჟავა; 13. ჰორიზონტი; 14. ორგანიზმი; 15. დეციმეტრი; 21. ციცინათელა; 22. საჩუქარი; 23. სპანიელი; 28. ანძა; 29. ამება; 30. ქურქი; 31. „ლიდო“.

## იყიდება ბინები

ან იცვლება დიღომიდან 2-ოთახიანი ბინა მიშენებით, აივნებით, გისოსებით, ავტომანქანის სადგომი ადგილით, ცივი და ცხელი წყლით დიღმის მასივში, ხევთან ახლოს 2 ან 3-ოთახიან ბინაზე, მე-2 სართულზე. მის: წყალტუბოს ქ მე-4 კორპ. მე-3 სად. 1 სართ. ტ: 34-52-34

სასწრაფოდ! ქალაქის ცენტრში კეთილმოწყობილი, არასტანდარტული, 3-ოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა (ს/ფ 80 კვმ) 100 კვმ ბაღით („ვაკე"). ფასი 55.000$. მის: საბურთალოს ქ. №37/4. ტელ: 38-45-69

5-ოთახიანი, იზოლირებული, არასტანდარტული, კაპიტალურად გარემონტებული ჩეხური პროექტის ბინა, 2(9), 18 კვმ გადახურული აივნით, ტელეფონით, რკინის კარით და გისოსებით, ჩაშენებული კარადებით, საკუთარი საშრობით, მუდმივი წყლით, „არისტონით". ფასი 16.000$. მის: გლდანის მას. III მ/რ. ტელ: 68-03-60; 67-06-74; 899 51-03-26

თავისუფლების მოედანზე №4-ში, მე-2 სართულზე იზოლირებული საოფისე ფართი – 150 კვმ. ტელ: 95-61-10

## ქირავდება

საბურთალოზე 2-სართულიანი სახლი, 150 კვმ, ვერანდით, გათბობით, გარაჟით, ბუნებრივი აირით. ფასი 800$. ტ: 38-67-31

## მილოცვა

**ჩვენო ვეტა და გოგა!**

გილოცავთ და გლოცავთ. გისურვებთ დიდ სიყვარულს და სიხარულს. კეთილად გვეყოლოთ თქვენს პატარა ნიკოლოზთან, ლუკასა და ირაკლისთან ერთად...

*თქვენიანები*

**ჩემო დათუნია!** გილოცავ და დაგილოცავ დაბადების დღეს – 20 მარტს! სულ გაზაფხული ყოფილიყოს შენში და შენთვის!

*ვისაც უყვარხარ*

**თორნიკე ხარატიშვილს!**



ჩვენო საყვარელო თორნიკე, უკვე ათი წლის შესრულდი. სწორედ იმიტომ დაგარქვით ეს ისტორიული ქართული სახელი, გვინდა წინაპრების ნაკვალევზე შენც ქართველ რაინდად გაიზარდო, ჩვენდა გასახარად. გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხედრობას. გკოცნით ბევრს!

*მამუკა პაპლე, ბებია გუგული შანიძე, დეიდები ელმირა, ნინო, დეიდაშვილი მარიამი*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა – საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული 1.700 ფრანკი (400 მარკა თვეში). ტ:96-07-81; 95-64-18

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია სამუდამოდ მოარჩენს ნაწარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89. ნინო ჭელიძე

Computer company „pulsar" – კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები ტელეფონით. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16. ტ: 33-08-71

„ცხრაკლიტული": საკეტების გარემონტება, დამატება, გამოცვლა. ჩაგიყენებთ ძალიან საიმედო საკეტებს და ისეთი განლაგებით, რომ ამ კარის გატეხა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

სწრაფად და ხარისხიანად მოგემსახურებით წიგნების, ბუკლეტების, გაზეთების აკინძვა-აკაზმვაში. ტ: 61-51-17; 95-46-79. ქეთი

ფსიქოლოგიური ტესტებით და პითაგორას ცოცხლობრივი კვადრატით გამოვითვლით თქვენს შესაძლებლობებსა და მომავალს. ვისაუბრებთ პრობლემებზე. სასურველია ბინაზე გამოძახება. ფასი 5 ლარი. ტელ: 77-06-34

სს „მშენებლობანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზედნადებ ფილებს და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81. „მშენებლობანი"

შპს „სინათლე" გთავაზობთ რუსეთის ნათურებსა და დღის განათებას. ფასები – საბაზროზე დაბალი. მაღაზიის მისამართი: ზ. ჭავჭავაძის (ყოფ. შერონზის ქ.) №4. ტელ: 899 51-87-91; 77-17-22

რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაცია, სამეულებზე, სკამებზე შალითების შეკერვა; მატრასების აღდგენა. ტ: 95-27-88;95-06-87. გოჩა

თმის მოვლა სახესა და სხეულზე მცენარეული ნაყენით, დამუშავებული რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სპეციალისტის მიერ. ეპილაციის ამორევი წამყვანი კოსმეტოლოგები. მის: აღმაშენებლის გამზ. №113 (შესასვლელი თაღიდან), კაბინეტი №12. მიღება ყოველდღე, კვირის ჩათვლით, 12-18 სთ

შპს „ხვეული კბე" სამომხმარებლო ბაზარზე მრავალწლიანი გამოცდილებით გთავაზობთ ორიგინალური დიზაინით შესრულებულ ნებისმიერი სახის მოდა კაბებს, მუხის კარფენჯრებსა და სხვადასხვა სახის ხის ნაკეთობას. ჩვენთ გამოცდილ პროფესიონალებს. ტელ: 899 55-76-53; 69-19-52

დამაზღვიეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას სამუდამოდ, უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი და არავითარ შემთხვევაში, რომელიმე აპარატი ან მალამო. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტ: 57-50-49. მარიკა

დასხივებისა და ჩხვლეტების გარეშე განიკურნეთ ჭარბთმიანობისაგან, სწრაფად და უმტკივნეულოდ! „ჩვენთან, სადაც „ლუიზოლი" საქმიანობს, ჭარბთმიანობის პრობლემა არ უნდა არსებობდეს" – თქვა რუსეთის კოსმეტიკური კორპუსის ცენტრში. მოგვმართეთ: რუსთაველის 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბ. „ლუიზოლი"; იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი". ტ: 37-38-13

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოვლა სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

კოსმეტიკური მომსახურება სილამაზის სალონში „რანდევუ"! ყველა სახის ეპილაცია ლაზერის გარდა; მსუბუქი პილინგი, მექანიკური გაწმენდა, ღრმა სამკურნალო გაწმენდა, მალამოები; ნაოჭების გასწორება. ფუნქციონირებს შემსწავლელი კურსები. მის: ელბაქიძის 23. ტელ: 98-73-21; 61-28-18. მარინა

სილამაზის სალონი „რანდევუ" გთავაზობთ მოდელურ შეჭრას, ორიგინალურ დავარცხნას, ყველანაირ შეღებვას, შეღებვას საუკეთესო საღებავით „კოლესტონ პერფექტ", ქიმიურ დახვევას, ქიმიურ გასწორებას, მანიკურს, პედიკურს ორიგინალური, უსაფრთხო მეთოდით. ფუნქციონირებს შემსწავლელი კურსები. მის: ელბაქიძის 23. ტელ: 98-73-21; 61-28-18. სტილისტი მარინა

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაიარევი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ფირმა DAWIT-თან არსებული მრავალფეროვანი მომსახურების ცენტრი გთავაზობთ: ელექტრომონტაჟი; მხატვრული განათების დამონტაჟება, გაფორმება; ავტომატური გადამრთველი სისტემის დამონტაჟება; ბენზინგასამართი სადგურების მონტაჟი. ტელ: 98-78-26

თუ გჭირდებათ სანდო და გამოცდილი პერსონალი: ძიძა, აღმზრდელი, გუვერნიორი, ავადმყოფის მომვლელი, შინამოსამსახურე, მანქანის მძღოლი, გენდამლაგებელი; აგრეთვე მდივან-რეფერენტი, ოპერატორი, თარჯიმანი, მენეჯერი, ფარმაცევტი, გამყიდველი, – შეგირჩევთ სწრაფად, თქვენი მოთხოვნილების გათვალისწინებით. ტელ: 29-06-40; 95-13-85. პერსონალის შერჩევა უფასოა

ექიმი-კოსმეტოლოგი ქეთევან ბიჭიაშვილი გთავაზობთ: ეპილაციას ვოლფრამის ნემსით (შედეგი მოლოდინს გადააჭარბებს!), სახის გაწმენდას, მასაჟს, ნიღბებს, ნესვის ცხიმებს, მზისგან დამცავ კრემს. მის: მეტრო „ახმეტელის თეატრის" თავზე, მაღაზია „მარიამის" სილამაზის სალონი. სამუშაო დღეები – ლუწი რიცხვები. ტელ: 67-48-44 (ბინა)

ვიბრომასაჟისა და ელექტროშეპიპვის საშუალებით გთავაზობთ: 1. გახდომას – ცხიმებისა და ცელულიტების ინტენსიურ დაშლას; 2. სხეულის ფორმის კორექციას, ბარძაყების დავიწროებას, თეძომუცლის, დუნდულების დამატარავებას, გალიფეების მოცილებას. მომსახურება შეღავათიან ფასად. მის: კოსტავას ქ. №47. სალონი „ლედი დი". ტელ: 92-02-64

## მკურნალობა

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: აბრიოლაურის ქ №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №18ა, რეაბილიტაციის ცენტრი. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხარაიშვილი. ტ: 39-01-12 სამს. (10-15 სთ); 39-58-77 ბინა

ბრონქული ასთმის, ალერგიის, სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა ტრადიციული და ჰომეოპათიური მეთოდებით, მაღალი შედეგით. მის: რკინიგზის საავადმყოფო, V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ: 97-66-78

ვარჩენ ძვლისა და კანის ჩირქოვან, ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტს (ძვლის ინფექც.), ბეწვის ჩაზრდებას, დაჩირქებულ ფრჩხილს, ნაწიბურს, ნაოპერაციევს, ძირმაგარას, გემატომას, მასტიტს, მენისკს, შხამიანი მწერებისა და ქიმიური ნივთიერებისაგან კანში შეჭრილ ინფექციას და სხვ. ტ: 68-43-10

გთავაზობთ ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით სიმაღლეში მომატებას, უნიკალური მცენარეული ექსტრაქტებით, ვიტამინების სახით, მასაჟსა და ვარჯიშებთან ერთად. ტელ: 899 56-05-98 (ნებისმიერ დროს); 52-53-36. (20 სთ-ის შემდეგ). ხათუნა

წინაპართა მეთოდებით, მცენარეებისა და თაფლის მუმიოსაგან მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს, ხსნარებსა და საფენებს. მკურნალობს: ჰაიმორიტს 4-5 დღეში, სრული გარანტიით, რევმატიზმს, სახსრების, ნაღვლის ბუშტის, საშვილოსნოს ანთებას, თავის ტკივილს, ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს. ლიცენზირებულია ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ. მის: გორის ქ. №3, I სად, I სართ. მიღება 13-16 სთ (შაბათის გარდა). ტელ: 34-05-69

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 35-20-06

გთავაზობთ მკურნალობას სრული განკურნების პასუხისმგებლობით და გარანტიებით: ეპილეფსია, შიზოფრენია, ვეგეტონევროზი, კლიმაქსი, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, უნაყოფობა, კისტა, ფიბრომა, პროსტატიტი, დიაბეტი, ონკოლოგიური დაავადებები. ტელ: 98-80-13 (სამუშაო საათებში)

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

მოვამზადებ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს მათემატიკაში, შესაძლებელია ბინაზე მისვლით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 76-21-89. თინიკო

ფირმა DAWIT-თან არსებული კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ კომპიუტერის სწრაფად და ხარისხიანად შესწავლას. მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები ყოველდღიური, ინდივიდუალური მეცადინეობით. ტელ: 98-78-26

ფირმა DAWIT-თან არსებული უცხო ენების ცენტრი შეგასწავლით ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებს. ყოველდღიური მეცადინეობით ინდივიდუალურად მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები. ცოდნა გარანტირებულია. ტელ: 98-78-26

იაფად! თსუ სტუდენტი მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს მათემატიკაში. მეცადინეობა ჩატარდება ვაკეში, საბურთალოზე ან მუხიანში, სურვილის მიხედვით. გასაუბრება და ჩაწერა დღიდან. ტელ: 64-25-93; 63-85-72; 899 51-24-10

ნაძალადევის კულტურის სასახლე აგრძელებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე! შეისწავლება: სახის კანის ამოცნობა და მკურნალობა, მკვებავი და დეკორატიული მალამოები, კოსმეტიკური რძეები, ლოსიონები, საპნები, ნიღბები, კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქ. №26 (მეტრო „ვაგზლის მოედანი"). ტელ: 66-53-56

## იყიდება

ა/მ „მერსედეს ბენცი-190", 5-სიჩქარიანი, 2,3 ძრავით, მუქი ლურჯი, 1985 წლის გამოშვება, ძალიან კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 2.800$. ტელ: 31-67-44

ბოლნისში, უსინათლოთა კავშირის ლაქ-საღებავების საწარმო. საწარმოო ფართი – 700 კვმ, მიწის ფართი – 4.000 კვმ, რკინიგზის ჩიხით. ტელ: 79-00-22; 899 58-85-57

ასე იაფად ვერსად ტექნიკას თქვენ ვერსად იყიდით: ტელევიზორების (300 ლარიდან), სარეცხი მანქანები (250 ლარიდან), ქსეროქსები, საშრობები და სხვა. მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით. მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №7. მაღაზია „ლიბერტი". ტელ: 899 55-25-36

1) მე-19 საუკუნის ბოლოს შესრულებული ფერწერული ტილო, რუსული სკოლა – 150$; 2) „სტარაია რიგის" ბუფეტი – 1.500$; 2) ხელით ნაქსოვი, კაპრონის ძაფის, 2 საწოლის გადასაფარებელი, დიდი ამობურცული ყვავილებით – 70 ლარი. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ნერვიულობით სავსე და დაძაბულია, „ნევროსტამით" მკურნალობა ყოველდღიურ სტრესს სწრაფად უმკლავდება. ნევროზის სამკურნალო, დამამშვიდებელი მცენარეული წვეთები „ნევროსტამი" მკურნალობს ნევროზს, ხშირ მაღალ წნევას, გაღიზიანებადობას, შიშის სიმპტომებს, აწესრიგებს ძილს. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13 (ოპერის პირდაპირ), კაბ. №26. ტ: 37-38-13

რეგისტრირებული, 100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სინთეტიკური პრეპარატებისაგან. კაბ. „ლუიზოლი". ტ: 37-38-13. „ანსალიტი" თქვენი ბავშვისთვის არატოქსიური, ნატურალური არჩევანია!

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" ბიოლების ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №27. სადღესასწაულო აფთიაქი „ნინო-დ" (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75; ვაჟა-ფშაველას გამზ. №3. ტელ: 38-50-19

„ლუიზოლი" – 100%-იანი ნატურალური სახის კრემი – ასწორებს ნაოჭებს, აქრობს ჩირქოვან, ალერგიულ გამონაყარს, აქვს ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო ეფექტი... ყველაფერი ერთ კრემში! შეიძინეთ „ლუიზოლი"! მის: იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი"; რუსთაველის 28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბინეტი 26. ტ: 37-38-13

## სხვადასხვა

თბილისის საბუნებისმეტყველო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „ზეკარი" წყვეტს თავის მოღვაწეობას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ: აღმაშენებლის გამზ. №180. ტელ: 34-15-40; 34-11-34

## შევიძენ

ორმაგკედლიან სპეციალურ ღია ავზებს, 1 ტონიან სეპარატორს, 40 ლიტრიან რძის ბალონებს, ყველისა და სულგუნების წარმოებისათვის. ამასთან, ტუჯის (პრესის) მავთულის გადასახვევ დაზგას. გთხოვთ მოგვმართოთ: ქ. თელავი. ტელ: 3-35-15. ნაზი

## ხსოვნა

**ლაშა მათნაძის ხსოვნას**

ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი ლაშიკო დღეს ჩვენთან აღარ არის... მას ხომ ჯერ კიდევ ცხოვრების გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი. რა არის 11 წელი? – არაფერი!!! ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა და სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდრა ზეცაში. მისი სული ზეცაშია და თავისუფალი იმ ტკივილებისაგან, რომელსაც ის განიცდიდა.



უდროოდ წავიდა ჩვენგან. წავიდა და დიდი ტკივილი დაგვიტოვა ჩვენ – მის ამხანაგებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და ყველას, ვინც ლაშას იცნობდა.

ამაოდ ველით კლასში... ამაოდ ელიან მას მისი ფეხბურთის გუნდის წევრები...

აღარ შემოგვანათებენ მისი ნათელი, შიშით სავსე თვალები... „როგორა ხარ ლაშა? – კარგად, მას!" – იმედიანად გვპასუხობდა და მის თვალებში სიცოცხლის სიყვარული და იმედის ნაპერწკალი, ნაპერწკალი გამოჯანმრთელების და კარგად ყოფნისა, – ციმციმებდა.

ლაშიკოს 21 მარტს 12 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ არ დასცალდა...

მასწავლებელი კი თვალცრემლიანი განაგრძობს სიის ამოკითხვას. სიით მე-15 – მათნაძე ლაშა... არავინ პასუხობს... ის კი ჩვენთან არის ყველგან, ყოველთვის – კლასში სამარისებური სიჩუმეა.

*122 საშ სკოლის VI კლასის მოსწავლეები, მშობლები, კლასის ხელმძღვანელი*

**რუსლან შამილაძე**



სიკეთის კაცი იყო; ოჯახის კაცი იყო; ნიჭიერი ინჟინერი იყო; ძმობის, მეგობრობის კაცი იყო. ხალხში იტყვიან: ღმერთსაც კარგი კაცი უყვარსო. ალბათ უყვარდა კიდეც ჩვენი რუსლანი და ამიტომაც წაიყვანა მარადიულ სიცოცხლეში. რუსლანმა, როგორც ქართველ, ქრისტიან კაცს ეკადრება, ისე ჩაიბარა ამ ცოდვილი წუთისოფლის უმძიმესი გამოცდა... სულ ახლახან დაკარგა უსაყვარლესი ძე – 31 წლის, სულით და ხორცით ლამაზი გოჩა და სიკეთით სავსე ძმა გურამი. უსაზღვროა ჩვენი – რუსლანის მეგობრების მწუხარება. ვწუხდით რუსლანთან ერთად, მწუხარენი დავრჩებით რუსლანის შემდეგაც... ასეა დაგვრჩენია, ვილოცოთ მისი სულისათვის და შევთხოვოთ უფალს, მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი სული. არ ვიცით, როგორ ვანუგეშოთ მისი უსაზღვროდ დამწუხრებული ოჯახი.

*მეგობრები*

**მურმან გვასალიას ხსოვნას**



25 მარტს ორი წელი სრულდება, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა. მოულოდნელად და ნაადრევად წახვედი ჩვენგან, ჩუმად, უსიტყვოდ. უკვე მეორე გაზაფხულს ვხვდებით შენთვის ლოცვაში, ცრემლსა და მოგონებაში. თავს ვინუგეშებთ, რომ ღმერთსაც რჩეულები უნდა, ნეტარ არიან, ვინც ქრისტესმიერი სიყვარულით გულში იცხოვრა, უანგაროდ თესდა სიკეთეს და სულით ხორცამდე მოყვასისათვის დახარჯული მადლითა და პატიოსნებით შეიკრული წარსდგა უფლის წინაშე.

საამაყო და სამაგალითოდ დარჩება შენი ცხოვრების გზა შენი ოჯახისათვის

**რეზიკო დავითის ძე გელაშვილის გახსენება**



რა მძიმე ლახვარი ჩაგვეცა გულში, 9 თვე გავიდა მას შემდეგ და ჭრილობა კვლავ მოუშუშებელი გვრჩება...

სისწრაფით მომავალმა მანქანამ გიმსხვერპლა... დამტვრეული და დამახინჯებული სხეულით მიწაზე დაეცი...

22 მარტს 17 წელი შეგისრულდებოდა, დაგვტოვე და დაგვიტოვე მოუშუშებელი სევდა, ტკივილი. ზეციურ საქართველოს მიაბარე შენი ნათელი სული, თან წაიღე ახლობლებისა და მეგობრების სითბოთი გაჯერებული სიყვარული...

როგორ ელოდი სკოლის დამთავრებას, „ბოლო ზარის" დარეკვას, როცა მასწავლებელი „სიმწიფის" ატესტატს გადმოგცემდა და მეგობრებთან ერთად გაიხარებდი, მაგრამ სამწუხაროდ, შენს ოჯახში გაისმა ეს ამაზრზენი ხმა, თავზარი დასცა შენს საყვარელ სოფელს – ყარსუბანს...

როგორ შეძელი ასე მცირე დროში – 16 წლისწადში – ამდენი ხალხის სიყვარული მოგეპოვებინა და უკვე დიდი ტკივილი დაგეტოვებინა...

მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი საქართველოს კურთხეული მიწა. შენი ხსოვნა ყოველთვის ანთებულ სანთლად დარჩება ჩვენს გულებში, შენ კი ზეციდან ილოცე შენი და-ძმის, მშობლებისა და ახლობლებისათვის.

*მშობლები, მამიდები*

**გულბაათ მჭედლიშვილის გახსენება**



ჩემო საყვარელო ბიძაშვილო გულბაათ, გილოცავ დაბადების დღეს. 23 მარტს 10 წლის გახდებოდი. ამ დღეს შენს სასუფეველთან მიიწევს მოსვლა. შენი გარდაცვალებით განადგურებულ მშობლებთან, დასთან და ახლობლებთან ერთად.

სარეცხად მოგიტან ჩემს დარდიან გულს, შენს საყვარელ სათამაშოებს და გაზაფხულის ყვავილებს.

*გუგაზი*

**უშანგი და ციალა მოსიაშვილების გახსენება**

15 მარტს 15 წელი გისრულდება, უშანგი, რაც ჩვენთან აღარა ხარ. დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი, შენს ცოლ-შვილს, და-ძმებს და ახლო ნათესავებს. რა სიხარულით ხვდებოდი ყოველ გაზაფხულს. კეთილი ადამიანი იყავი შინ და გარეთ. იყავი მოსიყვარულე მამა და მეუღლე, ამიტომაც იყო, რომ შენი დაკარგვა ვერ აიტანა შენმა მეუღლემ – ციალა ჯომაძე-მოსიაშვილმა და 5 წლის შემდეგ, 15 მარტს შენთან ერთად ჰპოვა სასუფეველი ზეციურ სამყაროში.

*და ანა მოსიაშვილი*

**თინა ბეჟტაევას ხსოვნას**



ჩვენო საყვარელო, თბილო და ამაყდარო დედა, 11 წელი გავიდა იმ უბედური შემთხვევის შემდეგ. წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე მოულოდნელი ტკივილი და დარდი. ყველას მიმართ სათნო, კეთილი და მშვიდი იყავი. მთელი სიცოცხლე შვილების აღზრდას შესწირე, არავითარი პირადული არ არსებობდა შენთვის. სიცოცხლის ბოლო დღეებიც ჩვენზე ფიქრსა და ლოცვაში გაატარე...

შვილიშვილებს ენატრებათ შენი კეთილშობილება, მოფერება, ადამიანური მიმხიბვლელობა და უზადო სიკეთე. შენ ხომ ყველა ჩვენგანის „ხმელეთის ღმერთი" იყავი.

თუკი რაიმე დაგაკლეთ, ვიცით, გვაპატიებს შენი უპრეტენზიო, კეთილი, სპეტაკი და მოუსვენარი სული. ტკბილად იძინე. მაღალ ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული. დრო ვერ განელებს შენს მონატრებას, ჩვენო ტკბილო და საყვარელო დედა.

*შვილები, სიძეები და შვილიშვილები*

**ჯიმი ბარათელის ხსოვნას**



ვინც პატივს სცემდა სიკეთეს, სილამაზეს, კეთილშობილებასა და ადამიანისთვის დასაფასებელ მრავალ თვისებებს, ყველას ეხსომება სიყვარულით ჯიმი (გულვერი) ლუკას ძე ბარათელი.

ბიძია, 28 მარტი თქვენი დაბადების დღეა, რომელსაც უკვე მეხუთე წელია ვხვდებით უთქვენოდ. მოვდივართ თქვენს საფლავთან, მშობლიურ ხონში და უზომოდ დამწუხრებულნი შევთხოვთ ღმერთს, ნათელში გვიმყოფოს თქვენი სპეტაკი სული.

*დისშვილი გოჩა, რძალი ნელი შაქლაყაძეები*

**„სულიკოსავით" იცხოვრა**



არიან ადამიანები, ვისზედაც თამამად შეიძლება თქვა: ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავიაო. ფიქრობ, რამხელა სიმძლავრე საჭირო, ადამიანი რომ იყო, მერე მიწაზე დაეშვა და გაიბრწყინო. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ქართველი კინოდრამატურგი – **სულიკო ჟღენტი**. ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც იგი დიდების ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მიწამ ჩაიკრა გულში.

ხელოვან, შემოქმედ ადამიანს მუდამ აწუხებს კითხვა – რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა?" ამიტომაც მუშაობს მთელი არსებით, გონებას მოდუნების საშუალებას არ აძლევს. „კაი ყმის" სახელი რომ დატოვო ამქვეყნად, იოლი როდია.

დღეს მოგონებები სულიკოზე ფილმის კადრებივით გაცოცხლებული ტრიალებენ თავისი მეუღლის, შვილების, მეგობრების თვალწინ.

რ. ჩხეიძე: – ის ისეთ სახელს ატარებდა, რომელშიც დიდი სითბოა დათესილი. მან მთელი ცხოვრება „სულიკოსავით" გაიარა შესანიშნავი ადამიანურობითა და ბრწყინვალე მოქალაქეობით. არ მახსოვს, საჭირბოროტო გეხადოს ვინმე. მას ჰქონდა თვისება, საშმობლოსავით ჰყვარებოდა ადამიანი და ეპოვნა მასში კარგი. ასე, სულიერი ხურჯინით ზურგზე გადაკიდებულმა შეძლო მთელი თავისი ცხოვრების გადატანა შემოქმედებაში.

მ. კოკოჩაშვილი: – სულიკო ჟღენტი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კინოდრამატურგიის კლასიკოსია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მისი სცენარები, დაწყებული „ჭიაკოკონობიდან" დამთავრებული „ფესვებით".

როგორც შვილი წარმოუდგენელია მშობლის გარეშე, ასევე წარმოუდგენელია მხატვრული ფილმიც სცენარის გარეშე. სულიკო ჟღენტის „შვილებმა" – შემოქმედებითი წვის ლუმელში გამოწრთობილებმა ასახელეს თავისი მშობელი, ქართული კინოს მატიანე კი დაუვიწყარი ფილმებით გაამდიდრეს. თავად სულიკო ჟღენტისთვის კი მეორე, დიადი ბიოგრაფია ზეციურ საქართველოში ჰპოვებს გაგრძელებას.

**მარინა გვასალიას ხსოვნას**



30 მარტს უკვე წელი სრულდება, რაც ჩვენთან აღარა ხარ. შენმა უსაზღვროდ თბილმა და მოსიყვარულე გულმა ვეღარ გაუძლო მწუხარებას და ნაადრევად შეწყვიტა ძგერა. გაუნელებელია უშენობით გამოწვეული ტკივილი ყველასათვის, რადგან ყველასთან პოულობდი საერთოს, გაურჩეველად ასაკისა. სული – წმინდა, თვალი – პატიოსანი, საამაყო შვილი, დედა და ბებია, კაცთმოყვარეობის, თავმდაბლობისა და უმაღლესი ზნეობის სიმბოლოდ დარჩები ახლობელთა გულებში. გახსოვხარ, გვიყვარხარ, გვენატრები. სანთლით ხელში ვევედრებით უფალს შენი სულის ამაღლებას.

*ოჯახი*

**გოჩა ავთანდილაშვილის გახსენება**



17 მარტს შენი დაბადების დღეა. 8 წელია, რაც ჩვენგან წახვედი, დატოვე თვალცრემლიანი მშობლები, ძმები და ახლო ნათესავები. მართალი იყავი, გოჩა, ორპირობას და ღალატს ვერ ეგუებოდი. ჯერ კიდევ II კურსის სტუდენტმა მოიხადე სამხედრო სავალდებულო სამსახური შორეული ციმბირის მიწაზე და ვინ იფიქრებდა, თუ საქართველოს ავბედითი დღეები დაუდგებოდა და აქაც პირველსავე მობილიზაციაზე დაუყოვნებლივ გაეშურე საქართველოს ერთიანობის დასაცავად – აფხაზეთის მიწაზე. 1992 წლის 24 სექტემბერი ავბედითი გამოდგა შენთვის. გადამთიელებმა ალყაში მოგაქციეს და მუხანათურად გამოგასალმეს სიცოცხლეს. ნათელში იყოს შენი მართალი სული, ჩვენო უდროოდ დაღუპულო ვაჟკაცო! 17 მარტს 35 წლის უნდა გამხდარიყავი.

*შენი მშობლები, ძმები, რძლები, ძმისშვილები – გოჩა, დათო ავთანდილაშვილები*

# საქართველოს კუთვნილი უზარმაზარი სიმდიდრე — დასაბრუნებელია!!!

2000 წელს ვადა დაუდგა 600 მლნ ლარის საგარეო ვალის გასტუმრების დაწყებას. მაგრამ საქართველო რუსეთის, თურქმენეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის ვალს ვერ გადაიხდის. საპროცენტო და, ნაწილობრივ, ძირითადი ვალის გადასახდელად 2000 წლის ბიუჯეტში ჩადებულია მხოლოდ 172 მლნ ლარი. არადა, მიმდინარე წელს საქართველოს მარტო თურქმენეთისთვის 216 მლნ. ლარი უნდა გადაეხადა. ჩემთვის კონფიდენციალური წყაროდან ცნობილი გახდა, რომ ამას წინათ ფინანსთა მინისტრმა წერილობით მიმართა რუსეთის ფინანსთა სამინისტროს: „საქართველო ვერ გადაუხდის რუსეთს ვალს 179 მლნ დოლარს, რომლის გასტუმრებაც წელს უნდა დაწყებულიყო...“ წერილმა რუსების გაღიზიანება და შეშფოთება გამოიწვია. მეტიც, მოსკოვი ერთგვარ შოკში ჩააგდო იმ ფაქტმაც, რომ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა სოლიდური დასკვნის საფუძველზე წამოწია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონებიდან საქართველოსთვის კუთვნილი წილის დაბრუნების საკითხი. ამასთან, საბიუჯეტო ოფისის დასკვნა გადაეცა საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას, რომელმაც, იგი თავის მხრივ, ვაშინგტონში, ფონდის მთავარ ოფისში გადაგზავნა.

...შეუძლებელია გულგრილად გაეცნო ამ დასკვნას — როგორც რუსეთის მორიგი მუხანათობის ფაქტებს, ისე საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლობას და დოყლაპიობას. საქმე შემდეგშია:

1993 წლის 14 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას „საქართველოსა და რუსეთს შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებისა და საგარეო სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის საკითხების რეგულირების შესახებ“ (ე.წ. „ნულოვანი ვარიანტი“). საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მაშინდელმა პრემიერმა ოთარ ფაცაციამ. შეთანხმების ტექსტის პროექტის პარაფირება 1993 წლის 19 მარტს მოხდა, სექტემბერში კი ხელი მოეწერა... საგულისხმოა, რომ უკრაინამ არათუ არ მოახდინა ანალოგიური შეთანხმების რატიფიცირება, არამედ ყველა ქვეყანას დაუგზავნა ოფიციალური ნოტა, სადაც კატეგორიულად მოითხოვს, არ გადაუფორმონ რუსეთს საბჭოთა კავშირის აქტივები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ვერ დაეპატრონება საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ ყოფილ საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ქონებას. უკრაინა პრეტენზიას 36 ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებზე აცხადებს.

...1995 წლის 30 ნოემბერს რუსეთმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტით აცნობა, რომ რუსეთის მხარემ 1993 წლის 14 სექტემბრის ხელშეკრულების ძალაში შესვლისთვის საჭირო შინასახელმწიფოებრივი პროცედურები დაასრულა და რომ ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა საქართველოს მხრიდან საპასუხო ნოტის მიღებისთანავე! მაგრამ, მოვლენები „საინტერესოდ“ განვითარდა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რუსეთის საელჩო დღემდე გამუდმებით ითხოვს პასუხს ამ საკითხზე, ქართული მხარე არც ერთ ნოტაზე არ პასუხობს მოსკოვს. რატომ? ვესაუბრები პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელს **რომან გოცირიძეს:**

– საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთისთვის პასუხის გაცემაზე დღემდე თავს ალბათ იმიტომ იკავებს, რომ საქართველოს მიერ ამ შეთანხმების რატიფიცირების შემთხვევაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთ არსებული ათეულ მილიარდობით დოლარის ღირებულების ქონება იურიდიულად რუსეთის ხელში გადადის...

**— რუსებმა ელემენტარულად მოატყუეს საქართველოს დელეგაცია, ხოლო შეთანხმების დოკუმენტი ქართველებმა დაკარგეს კიდეც(!). ჩემგან კონფიდენციალურ საუბარში რამდენიმე ჩინოვნიკმა ბრძანა, რომ დოკუმენტი... მოიპარეს(!). რასთან გვაქვს საქმე?**

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მოეპოვება ამ დოკუმენტის პარაფირებული ტექსტი. როგორც ირკვევა, ხელმოწერილი დოკუმენტი პარაფირებული ტექსტისაგან განსხვავდება, კერძოდ, პარაფირებული ტექსტიდან ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად ორი მუხლია ამოღებული(!). არადა, ეს ორი მუხლი ითვალისწინებდა საქართველოს იურიდიული პირებისთვის (ქარხნები, ფაბრიკები და ა.შ.) საბჭოთა კავშირის „ვნეშეკონომბანკში“ არსებული მათი კუთვნილი 52 მლნ დოლარის კომპენსირებას(!!!). საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, წინასწარი შეტყობინების გარეშე პარაფირებული ტექსტის ცალმხრივად შეცვლა დაუშვებელია. მოკლედ, საქართველოს დელეგაციამ მოსკოვში შეცვლილ დოკუმენტს მოაწერა ხელი(!) საუბედუროდ, როგორც ჩანს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალზე საშუალება არ ჰქონდა ტექსტის სიზუსტე შეემოწმებინა, მაგრამ ეს ფაქტი სრულიადაც არ ამართლებს იმ დაუდევრობას, რაც საქართველოს დელეგაციამ გამოიჩინა. პარაფირებული ტექსტის ნაცვლად სხვა, განსხვავებული ტექსტის ხელმოსაწერად შეთავაზება — შეცდომაში შეყვანის მიზნით განხორციელებულ ქმედებად უნდა ჩაითვალოს! ეს კი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 49-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის აშკარა საფუძველია! დიახ, პარაფირებული ტექსტი დაკარგული ჩანს და მისი მოძიება ვერც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და ვერც სახელმწიფო კანცელარიაში ვერ ხერხდება. მისი „გაქრობა“ ქართული მხარის კიდევ ერთი დაუდევრობის დასტურია, რუსები კი, ხელშეკრულების პარაფირებული ტექსტის გადმოცემისაგან „თავს იკავებენ...“



**— გთხოვთ დეტალურად გაგვაცნოთ, ყოფილი საბჭოთა კავშირის რა რაოდენობის ვალზეა საუბარი, რამდენი მოდის ამ ვალიდან რუსეთზე, რამდენი საქართველოზე. აქვე უპრიანი იქნება შევეხოთ რუსეთის ურთიერთობებს „ლონდონის კლუბთან“ და „პარიზის კლუბთან“, ჩვენთვის სასარგებლო დასკვნების გამოტანის თვალსაზრისით.**

— საბჭოთა კავშირის ვალი 81 მლრდ დოლარის ოდენობით განისაზღვრა. აქედან რუსეთის წილი 61,34%-ია, საქართველოსი კი — 1,62%. დანარჩენი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე ნაწილდება. ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს ვალი 1991 წლის 1 იანვრისთვის 1,3 მლრდ დოლარს შეადგენდა, რაც მაშინდელი გაანგარიშებით 833 მლნ მანეთს უტოლდება... მაგრამ, იმავდროულად, საქართველოს განვითარებადი ქვეყნებიდან ერგებოდა 719,28 მლნ, ხოლო ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან 775,98 მლნ მანეთი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკუთვნოდა აგრეთვე 2,4 ტონა ძვირფასი ლითონი! რა თქმა უნდა, „ნულოვანი ვარიანტის“ წყალობით ჩვენ კაპიკიც არ მიგვიღია... დასამშვიდებლად ისღა დაგვრჩა, რომ შეთანხმება არ არის რატიფიცირებული პარლამენტში და რჩება შანსი, რომ საქართველომ მიიღოს თავისი კუთვნილი ქონება. საქმე შემდეგშია: მოგეხსენებათ „ლონდონის კლუბი“ ის ორგანიზაციაა, რომელშიც არაფორმალურადაა გაერთიანებული დასავლეთის წამყვანი კომერციული ბანკები, რომლებიც აკრედიტებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას. „ლონდონის კლუბის“ წინაშე რუსეთის, როგორც საბჭოთა კავშირის ვალების სამართალმემკვიდრის დავალიანება 32 მლრდ დოლარია. 2000 წლის თებერვალში „ლონდონის კლუბის“ ბანკების მიერ მოხდა ამ ვალის ძირითადი თანხის (22,2 მლრდ დოლარის) 36,5%-ის და საპროცენტო გადასახადების (6,8 მლრდ დოლარის) 33%-ის ჩამოწერა, ხოლო ვადაგადაცილებული საპროცენტო თანხები (2,8 მლრდ დოლარი) არ შემცირებულა. დარჩენილი ვალის დაფარვის ვადად განისაზღვრა 30 წელიწადი, 7 წლიანი შეღავათიანი პერიოდით. ამასთან, საპროცენტო განაკვეთი საბაზროზე დაბალია! ერთი სიტყვით, თუ რუსეთს 36,5% ჩამოაკლდა, როგორც ვთქვით, ამ საგარეო ვალებში საქართველოს წილი არის 1,62%, ანუ 347,5 მლნ დოლარი და თუ ჩვენზეც გავრცელდა ეს ხელშეკრულება, ამ თანხის გადახდა მოგვიწევს 30 წლის განმავლობაში... თუ ჩვენ ამ ვალის გადახდას ვიკისრებთ, სამაგიეროდ მივიღებთ ყოფილი სსრკ-ის ქონებიდან ჩვენს კუთვნილ უზარმაზარ სიმდიდრეს!

რაც შეეხება „პარიზის კლუბს“, ანუ კრედიტორი სახელმწიფოების არაფორმალურ გაერთიანებას, რომელიც აკრედიტებს საბჭოთა კავშირს და სხვა ქვეყნებს, ამ კლუბის წინაშე რუსეთის დავალიანება არის 42 მლრდ დოლარი. აქედან 16 მლრდ რუსეთს მართებს გერმანიისა. „პარიზის კლუბის“ წევრი ქვეყნები კი, „ლონდონის კლუბისაგან“ განსხვავებით, ჯერჯერობით, წინააღმდეგნი არიან რუსეთისთვის ვალების ნაწილობრივ ჩამოწერისა და გადავადებისა. რუსეთი ამჟამად ამ საკითხებზე აწარმოებს მოლაპარაკებას „პარიზის კლუბთან“. ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ამ სიტუაციით უნდა ისარგებლოს საქართველომ და აამოქმედოს ყველა ბერკეტი, მით უმეტეს, რომ თუ რუსეთს 32 მლრდ-დან 10 მლნ აპატია „ლონდონის კლუბმა“, ხოლო „პარიზის კლუბთანაც“ მიმდინარეობს მოლაპარაკება იმავე მიზნით, ჩვენ არ უნდა დავრჩეთ ამ თამაშის მიღმა. საუბედუროდ, ძალიან სუსტად მუშაობენ საქართველოს წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებში, უცხოეთის ქვეყნების მთავრობებში, რათა რუსეთთან სალაპარაკოდ გამოიყენონ ისინი. აქვე აღვნიშნავ, რომ რუსეთის, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის მიმართ, უცხოეთის ბევრ ქვეყანას აქვს ვალი, რასაც რუსეთი მალავს; არადა ვალდებულია, ეს ინფორმაცია მისცეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. რუსული წყაროებით, უცხოეთის ქვეყნებს რუსეთისა მართებთ 50-დან 100 მლრდ დოლარამდე. ეს ქვეყნებია: ინდოეთი, ერაყი, ნიკარაგუა, კუბა, აფრიკის სახელმწიფოები, ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები...

**— ბუნებრივია, საქართველოსაც ეკუთვნის ამ თანხებიდან თავისი წილი. საგულისხმოა, რომ ინდოეთი უკვე უხდის რუსეთს ვალს, ძირითადად, ნატურით — ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით, უკვე ერთ მლრდ დოლარზე მეტი დაუბრუნა...**

— რა თქმა უნდა. მაგალითად, ნიგერიიდან მისაღები 100 მლნ დოლარის ვალი რუსეთმა 15 მლნ-ად გაყიდა. არადა, ამ ვალებს აქტიურად ყიდულობენ დასავლეთის წამყვანი კომერციული ბანკები, რომლებსაც საკუთარი მიზნები აქვთ ამა თუ იმ ქვეყანაში. რუსეთი კი „დღევანდელ კვერცხს ამჯობინებს ხვალინდელ ქათამს“, ანუ ურჩევნია 15 მლნ მიიღოს დღეს, ვიდრე 100 მლნ 30 წლის შემდეგ. თანაც, რუსეთმა ისე გაყიდა ეს ვალები, რომ არც კი შეეკითხა უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს. ეს ეხება იმ სესხებს, რაც საბჭოთა კავშირმა გასცა, შესაბამისად, ჩვენც შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს ფაქტორი და მივაღწიოთ იმის დაფიქსირებას, რომ ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებს საქართველოს წინაშეც აქვთ დავალიანება! იმავე რუსეთმა ნიკარაგუას აპატია ვალები, ანუ გამოდის, რომ რუსეთმა საქართველოსთვის კანონიერად კუთვნილი თანხების ნაწილი ისე განკარგა, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყო. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია რუსეთს სერიოზული პრეტენზიები წავუყენოთ და რუსეთისადმი საქართველოს დღევანდელი დავალიანების რაოდენობა შევამციროთ იმ ნაწილში, რომელიც რუსეთმა ჩვენი კუთვნილი თანხების სახით სხვა ქვეყნებს ჩამოაწერა თვითნებურად, მაგრამ არც ეს არის მთავარი. მთავარია ყოფილი საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ქონება — უცხოეთში არსებული მიწის ნაკვეთები, შენობები, საელჩოები, ოქროსა და ალმასის ფონდები, საიდანაც საქართველოს თავისი წილი ეკუთვნის. ამასთან, დიდი წილი გვეკუთვნის უცხოეთში არსებული ყოფილი საბჭოთა ბანკებიდან, რომლებიც რუსებმა მიაყიდეს და გაანიავეს. და ბოლოს: საქართველოდან გაიზიდა უზარმაზარი სამხედრო ქონება, რომელიც ვენის კონვენციის საფუძველზე აქ უნდა დარჩენილიყო! მოკლედ, საქართველოსთვის კუთვნილი მთელი ამ სიმდიდრისა და თანხების ჯამი დიდად მეტია იმაზე, რაც საქართველოს საგარეო ვალად აწევს დღეს. ამიტომ, თუ ამ პროცესს წამოვიწყებთ და მასში აუცილებლად ჩავრთავთ „პარიზის კლუბს“ და ყველაფერს მაგიდაზე დავუდებთ, რუსეთს იქით დაედება საქართველოს მიმართ გაცილებით დიდი ვალი, ვიდრე დღეს ჩვენ გვთხოვს და გვახრჩობს! გაითვალისწინეთ, რომ რუსეთი „პარიზის კლუბის“ წევრია, როგორც კრედიტორი სახელმწიფო და ჩვენ შეგვიძლია მეგობარი ქვეყნები ავამოქმედოთ რუსეთზე ზეწოლისათვის!

**— ყველაზე უხეში გაანგარიშებით, რა რაოდენობის თანხით შეიძლება გამოიხატოს საქართველოსათვის კუთვნილი ეს სიმდიდრე და ამ ეტაპზე რომელი ვალების გასტუმრებას, გნებავთ, გაქვითვას შევძლებდით? რა პერსპექტივა გვაქვს ამ მხრივ ყბადაღებულ თურქმენეთის ვალთან დაკავშირებით?**

— შეიძლება ლაპარაკი თურქმენეთის ვალზეც, რომელიც დაგვედო საქართველოს ხელისუფლების უხეში შეცდომების გამო. ხელშეკრულების თანახმად, თურქმენეთიდან უნდა შემოგვეტანა გაზი და სამაგიეროდ მიგვეწოდებინა ჩვენი პროდუქცია, ანუ საქმე ეხებოდა ბარტერს. მაგრამ ბარტერის ნაცვლად 400 მლნ დოლარი დაგვრჩა თურქმენეთის ვალი, როგორც უცხოური სესხი და პლუს, რესტრუქტურიზაციის შემდეგ 4%-ს ვუხდით ყოველწლიურად. დღეს კი, საბჭოთა ვალების, ქონების საკითხების დარეგულირების შემთხვევაში, თურქმენეთის ვალის საკითხის გადაწყვეტაცაა შესაძლებელი. იმავე თურქმენეთს, უზბეკეთს და სხვებს აქვთ დავალიანება რუსეთის წინაშე, ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია იმავე თურქმენეთის წინაშე დავალიანება გავქვითოთ თურქმენეთ-რუსეთს შორის არსებული ვალების კონტექსტში. საამისოდ საჭირო იქნება რუსებზე ზეწოლა... ერთხელ დავაგვიანეთ, როცა „ლონდონის კლუბთან“ მოლაპარაკებას ეწეოდა რუსეთი და არ დავაყენეთ საკითხი, რათა რუსეთისთვის არ ჩამოეწერათ ვალები, სანამ საქართველოსთან არ გაარკვევდა ამ პრობლემას. ახლა „პარიზის კლუბში“ დადგა ეს საკითხი და დროა ვიმოქმედოთ.

**— ზემოთქმული და საქართველოს ხელისუფლების გააქტიურება უდავოდ მძლავ პოლიტიკურ ბერკეტებსაც აძლევს ქართულ მხარეს რუსეთთან ურთიერთობებში, გნებავთ, აფხაზეთთან მიმართებაში. ახლა მთავარია, როგორ გამოვიყენებთ ამ ბერკეტებს.**

— საქართველო იძულებული გახდება ეს საკითხი დააყენოს, რადგან ძალიან მალე საგარეო ვალები ისე მოგვიჭერს ყელში და მოგვახრჩობს, რომ სხვა გზა აღარ დაგვრჩება! ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებითაც შეგვიძლია რუსებთან „ვაჭრობის“ საგნად ვაქციოთ ჩვენი კანონიერი მოთხოვნები: დღეს, რუსული სტრუქტურები აფხაზეთში ყიდულობენ სანატორიუმებს, ტურბაზებს, საწარმოებს და საქართველომ ხმამაღლა უნდა განაცხადოს, რომ აფხაზეთში რუსების მიერ ნაყიდი ქონება არის აბსოლუტურად უკანონო და იგი გაუქმდება...

ამიტომ, მთელი ამ ისტორიიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს მიერ შემდეგი პოზიციის დაკავება: პარლამენტმა ე.წ. „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირებისაგან თავი უნდა შეიკავოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო თავის კუთვნილ დიდძალ ქონებას დაუთმობს რუსეთს. რუსეთის სამხედრო ბაზების შეიარაღების გადმოცემის საკითხებში აღნიშნული ფაქტორი შეიძლება „პოლიტიკური ვაჭრობის“ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდეს. ამ პროცესში უკრაინის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია რუსეთის თვითნებობასთან მიმართებაში, ქართულ მხარეს მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს.

აღნიშნულ საკითხებზე ორმხრივი მოლაპარაკება უნდა განახლდეს. მისი შედეგი, როგორც პროგრამა მინიმუმი, უნდა გახდეს რუსეთისადმი საქართველოს 179 მლნ დოლარის ვალის ჩამოწერა. ეს ვალი არ არის რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ, რაც მოლაპარაკებაში უპირატესობას გვანიჭებს! პროგრამა მაქსიმუმი კი, უნდა იყოს საქართველოსათვის კუთვნილი უცხოური აქტივების გადმოფორმება და გაზიდული სამხედრო ქონების კომპენსაცია!

**— გმადლობთ საუბრისათვის!**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
18 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,975 |
| **გერმანული მარკა** | 0,979 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 3,111 |
| **ევრო** | 1,916 |
| **რუსული რუბლი** | 0,069 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,034 |


ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უქრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
მის: ფალიაშვილის 100; ჭავჭავაძის 25
ტ: 25-12-72; 22-60-03; 877-41-87-75

სტამბების და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

NGA
ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უქრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
მის: ბარნოვის 84
ტ: 29-39-81, 877-41-87-75

ყველაზე იაფად!

გადავიტანთ ავეჯს ან 5ტ-მდე ტვირთს; თბილისი — 1 სთ - 8 ლარი, თბილისის გარეთ — 1 კმ — 70 თეთრი
გვყავს მუშა-სპეციალისტები
ა/მ გაზ-53 ფურგონით.
☎ 69-11-01
ან შეგვატყობინეთ პეიჯერზე 900(111) 9990
(პეიჯერზე დარეკვა უფასოა).
დაგიკავშირდებით 10 წუთში

ფირმების რეგისტრაცია
სწრაფად, იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ, ოთ. 639
☎99-02-80; 899-53-91-91

## ბავშვობა

პაპაჩემი (მამის მხრიდან) პეტერბურგში დაიბადა, მზარეულად მუშაობდა. ეტყობა, გემრიელ საჭმელს ამზადებდა, რაკი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გორკიში მიიწვიეს, ულიანოვების ოჯახში. ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინის აგარაკზე გადაიყვანეს, თითქმის სიცოცხლის ბოლომდე იქ მუშაობდა. მამაჩემიც სანქტ-პეტერბურგში დაიბადა 1911 წელს. როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, პიტერში ცხოვრება გაჭირდა და მთელი ოჯახი ბებიაჩემის სამშობლოში, ტვერის ოლქში, სოფელ პომინოვოში გადავიდა საცხოვრებლად. ჩემმა მშობლებმა იქ გაიცნეს ერთმანეთი და 17 წლისანი შეუღლდნენ.

1932 წელს პიტერში დაბრუნდნენ. დედამ მუშაობა დაიწყო ქარხანაში, მამა ჯარში წაიყვანეს, ფლოტში მსახურობდა. როცა დაბრუნდა, ერთი წლის ინტერვალით ორი ვაჟი შეეძინათ. ერთი რამდენიმე თვისა გარდაიცვალა. სამამულო ომში მამა მოხალისედ წავიდა, დედა პეტერბურგში დარჩა. დედამ მიამბო, ლენინგრადში ბლოკადის დროს ბავშვთა სახლები დააარსეს, ცდილობდნენ მათთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. სწორედ იქ გახდა ჩემი მეორე ძმა ავად დიფტერიით და ისიც გარდაიცვალა. ომის მერე მამამ ვაგონშემენებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ერთი ოთახი მისცეს კომუნალურ ბინაში ბასკოვის შესახვევში, ქალაქის ცენტრში.

ოქტომბერში ვარ დაბადებული, ამიტომ სკოლაში როცა წავედი, თითქმის 8 წლისა ვიყავი. საოჯახო არქივმა შემოინახა ფოტო — ნაცრისფერი სასკოლო ფორმა მაცვია, ხელში მიჭირავს ქოთნის ყვავილი, რატომღაც არა თაიგული, არამედ ქოთანი. სკოლაში დიდი სიხარულით არ წავსულვარ, ეზოში თამაში მერჩია. პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით 193-ე სკოლაში ვსწავლობდი, ჩემი სახლიდან 7 წუთის სავალზე იყო. პირველ გაკვეთილზე ყოველთვის მაგვიანდებოდა, იმიტომ, რომ დილით წესიერად ჩაცმას ვერ ვასწრებდი. ზამთარში უქურთუკოდ გავრბოდი ხოლმე სკოლაში. 9-10 წლის ვიყავი, გამიტაცა სპორტმა. როგორც კი მივხვდი, რომ სკოლასა და ეზოში პირველობისთვის მარტო ყოყლოჩინობა არ მეყოფოდა, კრივის შესწავლა დავიწყე, მაგრამ მალევე დავანებე თავი, ცხვირი გამიტეხეს და მივხვდი, რომ ამ საშინელ ტკივილს მეორედ ველარ გავუძლებდი. მერე სამბომ გამიტაცა, ამას მოჰყვა ძიუდო.

### ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე გამიჩნდა დაზვერვაში მუშაობის სურვილი, თუმცა ეს ისევე მიუწვდომელი იყო, როგორც მარსზე გაფრენა

იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება გახდე მზვერავი, სუკის მისაღებში მივედი. წარმოიდგინეთ, ვილაც კაცმა ყურადღებით მომისმინა და მითხრა, — საკუთარი სურვილით მოსულებს არ ვღებულობთ, გარდა ამისა, აქ მოსახვედრად ან ჯარი უნდა გქონდეს მოვლილი ან რომელიმე ინსტიტუტი დამთავრებულიო. რომელი ინსტიტუტი სჯობს-მეთქი, შევეკითხე. იურიდიულიო, — მიპასუხა. იმ წუთიდან მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს დავამთავრებდი და ვეღარაფერი შემაჩერებდა.

უნივერსიტეტში სწავლისას სპორტულ სექციაში ისევ დავდიოდი, მაგრამ მეტ დროს სწავლას ვანდომებდი, სპორტს კი მეორე რიგის საქმედ ვთვლიდი. ვარჯიშს მაინც განვაგრძობდი, საკავშირო შეჯიბრებებშიც კი ვმონაწილეობდი. 1976 წელს ქალაქის ჩემპიონი გავხდი.

### ერთხელ დედას სასადილოში ხურდის ნაცვლად ლატარიის ბილეთი მისცეს და „ზაპოროჟეცი" მოიგო

მაშინ მესამე კურსზე ვსწავლობდი. ღარიბულად ვცხოვრობდით. პირველი პალტო სამშენებლო რაზმში მუშაობის შემდეგ ვიყიდე. თვის ბოლოს ფული ყოველთვის გვაკლდებოდა ხოლმე და ამისთანა პირობებში ჩემთვის მანქანის ჩუქება, შეიძლება ითქვას, რომ უაზრობა იყო. ჩემებს შეეძლოთ მანქანა გაეყიდათ, ფული აეღოთ, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ მანქანას მაჩუქებდნენ. ძალიან ბედნიერი ვიყავი. სულ საჭესთან ვიჯექი, დავაგრიალებდი მანქანას, მაგრამ სულ იმის მეშინოდა, არ დავამტვრიო-მეთქი. მისი შესაკეთებელი ფული არა გვქონდა.

### შიში ტკივილივითაა

კრიტიკულ სიტუაციაში სიმშვიდე არ მტოვებს. როცა სადაზვერვო სკოლაში ვსწავლობდი, ერთ დახასიათებაში ჩამიწერეს — საფრთხის გრძნობა შესუსტებული აქვსო, ეს კი ძალიან უარყოფით თვისებად ითვლება. კრიტიკულ მდგომარეობაში სჯობს ცოტა მეტად იყო შემართული, რომ ჯეროვანი რეაგირების უნარი გქონდეს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. შიში ტკივილივითაა, თუ რამე აგტკივდა, იმის ნიშანია, რომ ორგანიზმში რაღაც ხდება.

### ძალიან გამიჭირდა, მაგრამ არაფერს ვნანობ

უნივერსიტეტის წლებში ბევრი გატაცება მქონდა, მაგრამ სერიოზული არაფერი, თუ არ ჩავთვლით ერთ ამბავს. ეს ცოლის შერთვამდე

# ქვეყანა ირჩევს პრეზიდენტს...
# საუბრები პუტინთან

***ამ დღეებში გამოვიდა წიგნი „პირველი პირისგან", რომელშიც ვლადიმირ პუტინი ჟურნალისტებს მოუთხრობს თავის ცხოვრებაზე. (თუმცა ამ ნაბიჯს ზუსტად არჩევნების წინ, მას „აკრძალულ თამაშად" უთვლიან) გთავაზობთ ამონარიდს ამ წიგნიდან***

ოთხი წლით ადრე მოხდა. განცხადება შეტანილი გვქონდა, ბეჭდები, საქორწინო კაბა — ნაყიდი, დღე — დათქმული. მაგრამ მივხვდი, რომ არ მიყვარდა და სჯობდა, მისთვის ახლავე მეთქვა — ვიდრე მთელი ცხოვრება ორივე გავწვალებულიყავით. ძალიან მიმძიმდა, მაგრამ მაინც სიმართლის თქმა ვამჯობინე და არც მინანია.



უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სულ ველოდი, რომ გამიხსენებდა ის ადამიანი, რომელიც სუკის მისაღებში ვნახე, თავად კი თავს არ ვახსენებდი. მახსოვდა, რომ მითხრა, — საკუთარი სურვილით მოსულებს არ ვღებულობთო. 4 წელი გავიდა. გადავწყვიტე — ალბათ სუკის გზა ჩემთვის სამუდამოდ დაიკეტა-მეთქი. მაგრამ მოულოდნელად ერთმა კაცმა შეხვედრა მთხოვა, არ უთქვამს, ვინ იყო. მაგრამ რატომღაც ყველაფერს მივხვდი. უნივერსიტეტის ვესტიბიულში უნდა შევხვედროდი. მივედი, 10-15 წუთი ვიცადე. ვიფიქრე, ალბათ ვიღაც გამემასხრა-მეთქი. ის იყო, უნდა წამოვსულიყავი, რომ აქოშინებული მოვიდა. ბოდიშიო, — მითხრა და ეს ძალიან მომეწონა. ორგანოში მუშაობა შემომთავაზა. მისთვის არ მითქვამს, რომ სკოლიდან ამაზე ვოცნებობდი. იმიტომ არ ვუთხარი, რომ მახსოვდა მისაღებში ნათქვამი — საკუთარი ინიციატივით მოსულებს არ ვღებულობთო.



### ორგანოში სამუშაოდ მიმავალმა რეპრესიებზე თითქმის არაფერი ვიცოდი

როცა ორგანოებში მუშაობას დავთანხმდი, რეპრესიებზე არ მიფიქრია. ჩემი წარმოდგენა სუკზე, მზვერავებზე რომანტიკულ მოთხრობებს ეყრდნობოდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ადამიანის პატრიოტული აღზრდის ნამდვილი პროდუქტი ვიყავი. ისე რომ, ორგანოებში სამუშაოდ რომანტიკულად განწყობილი მივდიოდი. საინტერესო ის არის, რომ ვესტიბიულში შეხვედრის შემდეგ ის კაცი გაუჩინარდა, მაგრამ როცა კურსდამთავრებულთა განაწილებაზე მიდგა საქმე, კომისიაზე ღიად ითქვა — ვ. პუტინი სუკის ორგანოებში მიდის სამუშაოდო.

**კისინჯერმა პიტერში თავისი ერთ-ერთი სტუმრობის დროს პუტინს უთხრა: „ყველა წესიერი კაცი დაზვერვიდან იწყებდა, მათ შორის — მეც".**

### ინსტრუქცია არის ყველაზე მთავარი კანონი

ორგანოებში სამუშაოდ უნივერსიტეტდამთავრებული მივედი, გარკვეული მომზადება გავლილი მქონდა. იქ ძირითადად საპენსიოდ გამზადებული მოხუცები დამხვდნენ. ერთხელ რაღაც ღონისძიებას ამუშავებდნენ, მეც შემიყვანეს ჯგუფში. დეტალები აღარ მახსოვს, მაგრამ ერთმა უთხრა მეორეს — ასე და ასე გავაკეთოთო. მე ვუთხარი — ასე არ შეიძლება, ეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა-მეთქი. რომელი კანონისო? გაუკვირდათ. მე დავუსახელე — ამის და ამის-მეთქი. ჩვენ გვაქვს ინსტრუქცია, კანონი კი ნაკლებად გვაინტერესებსო — მიპასუხეს. ეს ყოველგვარი ირონიის გარეშე მითხრეს, უბრალოდ, ასე იყვნენ აღზრდილები, ასე მუშაობდნენ, მე კი ასე არ შემეძლო. არა მარტო მე, არამედ ჩვენს ყველა თანატოლს. 70-იანი წლების დასასრულს სამართალდამცავი ორგანოები თავს იმის ნებას არ აძლევდნენ, რასაც 90-იანი წლების დამდეგს. ეს რეალურად შეუძლებელი იყო. შენიღბულად მოქმედებდნენ, რომ არავის არაფერი გაეგო.

მაგალითად, ერთხელ დისიდენტებმა გადაწყვიტეს ღონისძიების მოწყობა და საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევა, მოიწვიეს დიპკორპუსი, ჟურნალისტები, რა უნდა ეღონა სუკს? მათი გაყრა არ შეიძლებოდა, ამიტომაც, ისარგებლეს იმით, რომ ეს ყველაფერი პეტრე პირველის დაბადების დღეს ემთხვეოდა და თავად სუკელები გაემართნენ ძეგლისკენ, გვირგვინები მიიტანეს. დიპკორპუსის წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებმა მიიხედმოიხედეს და როცა საინტერესო ვერაფერი ნახეს, დაიშალნენ. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიმიღია, უბრალოდ, სასადილოში ყვებოდნენ თანამშრომლები, ასე იყოო... მინდა გითხრათ, რომ სამართალდამცავი ორგანოები ხშირად არასწორად და უხეშად იქცეოდნენ, ეს ტოტალიტარული სახელმწიფოს გამოვლინება იყო...

### მივხვდი, რომ საბჭოთა კავშირი ავად იყო

გდრ ჩემთვის ერთგვარ აღმოჩენად იქცა. როცა მგზავნიდნენ, მეგონა, რომ ევროპის შუაგულში მივდიოდი. 80-იანი წლების დამლევი იყო, მაგრამ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებთან ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ გდრ იყო საბჭოთა კავშირის ტიპის ტოტალიტარული ქვეყანა. ტრაგედია იყო ისიც, რომ ბევრს სჯეროდა კომუნისტური იდეალებისა. ჩემთვის ვფიქრობდი ხოლმე, საბჭოთა კავშირში რომ რაიმე ცვლილებები დაიწყოს, აქ როგორ განვითარდება მოვლენები-მეთქი. მერე კი დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. ჩვენს შენობას ხალხი მოადგა. დალეწეს და ნაცარტუტად აქციეს იქაურობა, რისი უფლებაც, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ, ჩვენს დასაცავად არავინ განძრეულა. მზად ვიყავით თავად დაგვეცვა თავი ჩვენს უწყებასა და გდრ-ს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე და ასეც მოვიქეცით. დაცვაც გამოვიყენეთ, ცოტა ხნით ბრბო შევაჩერეთ, მაგრამ მერე ისევ გადმოვიდნენ შეტევაზე. შევეცადე მათ დაწყნარებას, მკითხეს — ვინა ხართ, გერმანულად რატომღაც ძალიან კარგად ლაპარაკობთო. ვუპასუხე, თარჯიმანი ვარ-მეთქი. გერმანელები უფრო გააგრესიულდნენ. დავრეკე, სიტუაცია ავუხსენი. მითხრეს, მოსკოვი დუმს, ბრძანების გარეშე მოქმედების უფლება არ გვაქვსო. მერე მაინც მოგვეხმარნენ — ხალხი გაფანტეს. ამ ფრაზამ — მოსკოვი დუმს, — მაფიქრებინა, რომ ქვეყანა აღარ არსებობდა. ნათელი გახდა — საბჭოთა კავშირი ავად იყო. ეს იყო სასიკვდილო ავადმყოფობა — ხელისუფლების დამბლა. ბერლინის კედლის დაცემა განვიცადე, თუმცა ვგრძნობდი, რომ აუცილებლად დადგებოდა ეს დრო, რადგან ხელისუფლება, რომელიც კედელს და წყალგამყოფს ეყრდნობა, მუდმივად ვერ იარსებებს. მინდოდა, რომ სანაცვლოდ რაიმე სხვა შექმნილიყო, მაგრამ სხვა — არავის შემოუთავაზებია. ძალიან საწყენია. უბრალოდ დავყარეთ ყველაფერი და წამოვედით. მოგვიანებით კისინჯერს შევხვდი პიტერში. გამომკითხა რას ვაკეთებდი, სად ვმუშაობდი ადრე და როცა გაიგო, რომ დაზვერვაში, მითხრა — ყველა წესიერი კაცი დაზვერვიდან იწყებდა, მათ შორის — მეცო. მერე კი ძალიან საინტერესო და ჩემთვის მოულოდნელი რამ დაურთო... „ახლა მაკრიტიკებენ. იმ პოზიციისთვის, რომელიც მაშინ სსრკ-ის მიმართ მქონდა. მე მიმაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთი ევროპა ასე სწრაფად არ უნდა დაეტოვებინა. ძალიან სწრაფად ვცვლით ბალანსს მსოფლიოში და ამან შესაძლოა არასასურველი შედეგი გამოიღოს. მართალი რომ გითხრათ, ახლაც არ მესმის რატომ გააკეთა ეს გორბაჩოვმა".

მასაც ვუთხარი და ახლაც ვამბობ: კისინჯერი მართალი იყო, ბევრ რამეს ავიცდენდით თავიდან, ასე თავქუდმოგლეჯილები რომ არ გამოვქცეულიყავით.

### ერთი... მაგათი!

ანატოლი სობჩაკის საყვარელი სტუდენტი (როგორც ახლა წერენ) არასოდეს ვყოფილვარ. სულ ერთი თუ ორი სემესტრი გვიკითხავდა. მასთან ამხანაგმა დამაკავშირა, მითხრა თანაშემწეს ეძებსო. მე ვუთხარი — უნივერსიტეტში მარტო რექტორის თანაშემწე ხომ არ ვარ, სუკის ოფიცერიც ვარ და ეს ალბათ სობჩაკმა არ იცისმეთქი. ანატოლი ალექსანდროვიჩმა მართლაც არაფერი იცოდა, როცა ვუთხარი, ჩაფიქრდა ერთი... მაგათიო... მიპასუხა და სამსახურში მიმიღო. დადგა ჩემთვის მეტად დელიკატური მომენტი — უფროსებისთვის უნდა მომეხსენებინა, რომ სამუშაოს შეცვლას ვაპირებდი და სუკიდანაც მოვდიოდი. როცა მოვახსენე, მითხრეს — კი ბატონო, სამუშაო შეიცვალე, მაგრამ სუკში შეგიძლია კვლავაც ითანამშრომლოო. მათ არანაირი პირობები არ წამოუყენებიათ, სამმართველოშიც კი აღარ მჭირდებოდა მისვლა, არც ოპერატიული მიზნებისათვის ჩემი გამოყენება უფიქრიათ. ვფიქრობ, რომ ესმოდათ — ეს უკვე უაზრო იყო.

**გერმანიიდან წამოსვლის წინ ჩვენ ყველაფერი გავანადგურეთ. ჩვენი კავშირები, კონტაქტები, აგენტთა ქსელი. უამრავი მასალა დავწვით, ვწვავდით დღისით და ღამით. ყველაზე ფასეული მოსკოვში წამოვიღეთ, მაგრამ ოპერატიული მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა — ყველა კონტაქტი გაწყვეტილი იყო.**

სხვათა შორის, გდრ-დან დაბრუნების შემდეგ აშკარად ვგრძნობდი, რომ რუსეთში რაღაც ხდებოდა, მაგრამ მხოლოდ 1991 წლის პუტჩის დროს დაიმსხვრა ჩემი ყველა იდეალი, რომელიც სუკში მისვლისას მქონდა. ამის გადატანა ფანტასტიკურად ძნელი იყო, ჩემი ცხოვრების დიდმა ნაწილმა ორგანოებში გაიარა, მაგრამ არჩევანი გაკეთებული იყო.



### ლუდმილა, პუტინის მეუღლე

მე კალინინგრადელი ვარ. სტიუარდესად ვმუშაობდი შინაგან ხაზებზე. კალინინგრადში საერთაშორისო ხაზები არ იყო, დახურული ქალაქი გახლდათ. ლენინგრადში მეგობართან ერთად სამი დღით ჩავფრინდი, ისიც სტიუარდესაა. მისმა ნაცნობმა ლენსოვეტის თეატრში არკადი რაიკინის კონცერტზე მიგვიწვია. მეგობარიც მოიყვანა — ვოლოდია.

მე, ჩემი მეგობარი და მისი ნაცნობი ნევის პროსპექტზე, თეატრალურ სალაროებთან შევხვდით ვოლოდიას, გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდა. ღარიბულად ეცვა. ანტრაქტზე ბუფეტში გავედით, ბევრი ვიცინეთ. კონცერტის შემდეგ შევთანხმდით, რომ მეორე დღეს თეატრში წავიდოდით. მე და ჩემი მეგობარი მივხვდით — ვოლოდიას ყველა თეატრში შეეძლო ბილეთის შოვნა.

მეორე დღეს ლენინგრადის მიუზიკლ-ჰოლში წავედით, მესამე დღეს, ისევ ლენსოვეტში. მოკლედ სამ დღეში 3 თეატრი მოვიარეთ. მესამე დღეს, სპექტაკლის შემდეგ მეტროს ვესტიბიულში დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მისი მეგობარი სახტად დარჩა, როცა დაინახა, — ვოლოდია თავის ტელეფონის ნომერს მაწერინებდა. იმიტომ გაუკვირდა, რომ იცოდა — ვოლოდია იშვიათად ეუბნებოდა ვინმეს რაიმეს საკუთარ თავზე — ტელეფონის მიცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

**— ვოლოდიამ გითხრათ, სადაც მუშაობდა?**

— მითხრა კრიმინალურ სამძებროშიო. მოგვიანებით გავიგე, რომ სუკში მუშაობდა, საგარეო დაზვერვაში. სხვათა შორის, მაშინ ერთმანეთისაგან ვერც ვანსხვავებდი სუკს და სამძებროს... ახლა ვიცი, რა რა არის.

ლენინგრადი პირველი ნახვისთანავე შემიყვარდა. ალბათ იმიტომ, რომ იქ არაჩვეულებრივი სამი დღე გავატარე.

**— ვოლოდია მაშინვე შეგიყვარდათ?**

— არა, თავიდან ისე ვურეკავდი ხოლმე, მერე კი ძალიან შემიყვარდა. ხშირად მოვფრინავდი მასთან. ეტყობა, ვოლოდიას რაღაც ანდამატი ჰქონდა. 3-4 თვის შემდეგ მტკიცედ ვიცოდი, რომ სწორედ ის კაცი იყო, ვინც მჭირდებოდა.

**— თქვენ არა თქვით, შეუმჩნეველი იყოო?**

— ეტყობა, ის შინაგანი ძალა ვიგრძენი, რომელიც ახლა ყველას იზიდავს.

**— გათხოვება გინდოდათ?**

— გათხოვება? ვოლოდიას ცოლობა მინდოდა.

**— თქვენ კარგა ხანს ხვდებოდით ერთმანეთს, სამი თუ ოთხი წელი, არა? ცოლობა როდის გთხოვათ?**

— ერთხელ მასთან შინ ვისხედით. მოულოდნელად მითხრა — უკვე კარგად მიცნობ. ცოტა მუდო ვარ, ზოგჯერ შემიძლია ადამიანს ვაწყენინო კიდეც, ერთი სიტყვით, ვერ ვიტყვი, რომ „კარგი" საქმრო ვარ, შენც ალბათ ამ სამი წლის განმავლობაში გაერკვიე საკუთარ გრძნობებში. მოკლედ რომ გითხრა, მიყვარხარ და მინდა ამა და ამ რიცხვში ცოლად შეგირთო. დავთანხმდი, თუმცა ჩვენი საუბარი თავიდან ისე წარიმართა, მეგონა მშორდებოდა. ქორწილი სანაპიროზე, პატარა რესტორანში გვქონდა. ჩემთვის გათხოვება უაღრესად სერიოზული ნაბიჯი იყო, მისთვისაც. საქორწინო ფოტოზეც კი ჩანს, რამდენად სერიოზულები ვართ ორივე.

# როგორ მოაშვებინა წვერი პატარა გოგონამ ამერიკის მომავალ პრეზიდენტს

*დასავლეთში თუ ჩვენში ჩასატარებელი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ პრესის საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ათასგვარ ცნობას იმის თაობაზე, თუ რომელ ქვეყანაში რა შეზღუდვები არსებობს პრეზიდენტობის კანდიდატის ფიზიკური თუ ფსიქიკური მახასიათებლების მიმართ.*

*ამ მხრივ განსაკუთრებული მოწადინებით ამერიკის მომავალი პოლიტიკური ლიდერის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს აცნობენ ამომრჩეველს. ქარაგმებით აუწყებენ მას იმ მიზეზებს, რომლებიც ბარიერს უქმნიან პიროვნებას არჩევნებისაკენ სავალ გზაზე. მათ შორისაა ჭარბი წონა, არასაკმარისი სიმაღლე თუ წვერულვაშიანი პირისახე.*

*მაგრამ არსებობს გადახვევა ერთხელ დადგენილი წესებიდან.*

ამერიკის მეთექვსმეტე პრეზიდენტი, აბრაამ ლინკოლნი, სულ ოთხი წლის მანძილზე ატარებდა წვერს, მაგრამ დღეს ცოტა ვინმეს თუ შეუძლია გონებაში მისი სურათის წარმოდგენა გაპარსული პირისახით. ხოლო მიზეზს, რამაც გადააწყვეტინა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, პრეზიდენტი ყოველთვის დიდი სიამოვნებით იხსენებდა.



ნიუ-იორკის შტატში მცხოვრები პატარა გოგონას, გრეის ბედელის მამამ, გახურებული წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდში, ბაზრობიდან ჩამოიტანა ლინკოლნის ფოტოგრაფიული პორტრეტი, რაც ახალი ხილი იყო იმ დროისათვის. გოგონას მთელი გულისყური მიიპყრო სურათმა. მაგრამ რაც მეტად ათვალიერებდა, უფრო და უფრო სწყდებოდა გული ერთ რამეზე — მამამისის რჩეულ პოლიტიკურ ლიდერს ოდნავ ჩაცვენილი ლოყები ჰქონდა.

და აი, ერთხელ, შებინდებულზე, მანსარდის კედელზე ამ სურათს, ნავთქურის შუქით განათებულს, ჰკიდა თვალი და როდესაც ალისაგან წარმოქმნილმა ჩრდილებმა გამხდარი პირისახე ამოავსო, გოგონას უეცრად გაუნათდა გონება — წვერი და ბაკენბარდები: აი, რა დაამშვენებს სურათზე გამოსახულ კაცს! მაგრამ ვინმემ ხომ უნდა უთხრას მას ამის შესახებ? გრეისს ბევრი არ უფიქრია, კალამი აიღო და შეუდგა წერას:

*„თეესტფილდი, შატოკუას ოლქი, ნიუ-იორკის შტატი, 1860 წლის 15 ოქტომბერი, ღირსპატივცემულ ეიბ ლინკოლნს. ძვირფასო სერ!*

*მე პატარა, თერთმეტი წლის გოგონა ვარ, მაგრამ ძალიან მინდა, თქვენ გახდეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ამიტომ იმედი მაქვს, არ ჩამითვლით კადნიერებად, რომ გწერთ ისეთ დიდ ადამიანს, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მე მყავს ოთხი ძმა, რომელთაგან, დანამდვილებით ვიცი, რომელს აქვს გადაწყვეტილი, თქვენ მოგცეთ ხმა, ხოლო თუ წვერს მოუშვებთ, ვეცდები, დავითანხმო დანარჩენებიც, იგივე გააკეთონ. წვეროსანი გაცილებით უკეთესი შესახედავი იქნებით, რადგან ძალიან გამხდარი პირისახე გაქვთ. ყველა ქალბატონს მოსწონს წვერები და ისინი შეეხვეწებიან თავიანთ ქმრებს, თქვენ მოგცენ ხმა და გახდებით პრეზიდენტი!*

***გრეის ბედელი“.***

იმ დროისთვის ლინკოლნის შტაბბინაში ყოველდღე ორმოცდაათზე მეტი წერილი მოდიოდა და ლინკოლნის ორი ახალგაზრდა მდივანი — ჯონ ნიკოლაი და ჯონ ჰეი, მათგან მხოლოდ ძალიან ახლობელთა და უმნიშვნელოვანეს პიროვნებათა წერილებს გადასცემდნენ ლინკოლნს. როდესაც პატარა გრეისის წერილი მივიდა, მან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ორ თანამშრომელს შორის. თუკი ჰეი თავიდან მხიარული ოინბაზობით შეხვდა წერილს, ესაოდა უკვე პატარა ბავშვებიც კი იძლევიან რჩევებს პრეზიდენტობის მიღწევისათვისო, მოგვიანებით ორიგინალურად ეჩვენა გოგონას იდეა, რადგან ბავშვის ბაგეებით ხშირად ლაღადებს ჭეშმარიტება. მაგრამ ნიკოლაი არ ეთანხმებოდა. მათ კამათს შემოესწრო სახელმწიფო მოხელე, ბატონი გერნდონი, რომელმაც შეახსენა ახალგაზრდა კოლეგას, — ნუ დაგავიწყდებათ, ლინკოლნს ძალიან უყვარს ბავშვები. ყველას „პატარა დაიკოსა და მეგობარს“ ეძახისო... მაგრამ ნიკოლაი ისევ შეუბრალებელი იყო — რა დროს იმ ბავშვებზე ლაპარაკია, საპასუხო წერილი გვაქვს საჩქაროდ პენსილვანიის გუბერნატორისთვის მისაწერი...

— მერედა, რა საჭიროა სიჩქარე? — გაისმა უეცრად ხმა მეორე ოთახიდან და კარები თვით ლინკოლნმა შემოაღო, — პენსილვანიის გუბერნატორი საკმაოდ ხანდაზმულია იმისათვის, რათა მომთმენი იყოს.

ლინკოლნის შემოსვლას შედეგად ის მოჰყვა, რომ მცირეოდენი ხნის შემდეგ გრეის ბედელმა მიიღო საპასუხო წერილი:

*„პირადად, სპრინგფილდი, ილინოისი, 1860წ. 19 ოქტომბერი. მის გრეის ბედელს. უესტფილდი, ნიუ-იორკის შტატი. ჩემო ძვირფასო პატარა ქალბატონო!*

*მივიღე 16 ოქტომბრით დათარიღებული თქვენი ძალიან საყვარელი წერილი. უნდა გაცნობოთ, რომ მყავს სამი ვაჟი: ერთი ჩვიდმეტის, მეორე — ცხრის და მესამე — შვიდი წლისა. ისინი და მათი დედა — აი, მთელი ჩვენი ოჯახი. რაც შეეხება წვერს, რომელიც მე აქამდე არასოდეს მიტარებია... ხომ არ ფიქრობთ, რომ ადამიანებმა შეიძლება ეს ქარაფშუტულ პეწენიკობად ჩამითვალონ, მაინცდამაინც ახლა რომ მოვუშვა?*

*თქვენი გულწრფელი კეთილისმსურველი*

***ა. ლინკოლნი“***

...ხმა დაირხა, რომ საგანგებო მატარებელი, რომლითაც „თეთრ სახლში“ ახალარჩეული პრეზიდენტი ლინკოლნი მიემგზავრებოდა, 16 თებერვალს უნდა გაჩერებულიყო უესტფილდის ახლოს. იქ ჩასულმა ბედელების ოჯახმა რკინიგზის სადგურშივე შენიშნა უზარმაზარი ტრანსპარანტი: „ვაშა პრეზიდენტს!“ შენობის ქონგურზე ამერიკის დროშა ფრიალებდა.

გაისმა შეძახილები მოდის, მოდის! და გრეისმა ცნობისმოყვარეობით დაიწყო აქეთ-იქით ყურება, ფეხის წვერებზეც კი წამოიწია. გამოჩნდა ორთქლმავალი, მერე ვაგონები — პირველი, მეორე... მატარებელი ჩამოდგა და უამრავი ხალხით გარშემორტყმულ შავცილინდრიან კაცს ყველამ ერთხმად მოსთხოვა მათ წინაშე სიტყვით გამოსვლა. შავცილინდრიანმა დინჯად მიმართა შეკრებილთ: „ჩვენი ქვეყნის დროშის ქვეშ მდგომმა, მსურს დაგისვათ მხოლოდ ერთი კითხვა: შეგიძლიათ თუ არა თქვენც ისევე დადგეთ ჩემს გვერდით, როგორც მე ვდგავარ ახლა ამ დროშასთან?“ ხელები, ქუდები და მანდილები ერთად აიტყორცნა ჰაერში — დაგიდგებით, ეიბ!

გრეისს ჟრუანტელმა დაუარა. გოგონა მიხვდა, რომ სწორედ ის კაცი იყო მის წინაშე, ვისაც აქამდე მხოლოდ წერილობით იცნობდა და აი, უეცრად ამ კაცმა თქვა:

— თქვენს მხარეში ცხოვრობს ერთი ჩემი პატარა კორესპონდენტი — პატარა ქალბატონი, რომელმაც რჩევა მომცა, რა გზით შემეძლო ჩემი გარეგნობის გაუმჯობესება. თუ აქ არის იგი ამჟამად, მის ნახვას ვისურვებდი. მისი სახელია გრეის ბედელი.

მამამ ხელი ჩაჰკიდა გრეისს და მამაშვილი მატარებლისკენ დაიძრა. მათ წინაშე ხალხი შუაზე იპობოდა, ყველანი რაღაცას ჩურჩულებდნენ და თითებს იშვერდნენ მისკენ. ლინკოლნმა ხელში აიყვანა პატარა და მთელ საზოგადოებას ამცნო, თუ როგორ მიიღო ამ პატარა გოგონასაგან მისთვის მეტად სასარგებლო რჩევა, მერე ლინკოლნმა ორივე ლოყა დაუკოცნა გოგონას. გრეისს მხოლოდ მეტისმეტი ალტაცებისაგან როდი აუვიდა ლოყაზე ალმური — ლინკოლნის ახალამოსულმა წვერმა დაუსუსხა.

— ხედავ, გრეის, მე შენი კარნახით მოვუშვი წვერი, — ჩასჩურჩულა ყურში ლინკოლნმა.

გრეისს ლამის ენა ჩაუვარდა მღელვარებისაგან. იგი შესცქეროდა მაღალ, გამხდარ, ერთდროულად უბრალოსა და დიდ ადამიანს, რომლის სერიოზული სახე მუქ ბაკენბარდებს დაეფარა. ლინკოლნმა ჩამოსვა ბავშვი, რომელმაც მოზრდილი ადამიანის სიდარბაისლით ჩამოათავა მატარებლის საფეხურები და საკუთარი ღირსების სრული შეგნებით დაუბრუნდა სიხარულით სახეგაბადრულ მამას. მერე მატარებელი დაიძრა და პატარა გრეისს სამუდამოდ დაუტოვა სამი ჯადოსნური სიტყვა: „ჩემო პატარა მეგობარო“... სპრინგფილდში, ილინოისის შტატში, დღესაც დგას აბრაამ ლინკოლნის სახლი, მაღალი მესრით გარშემოვლებული ჩვეულებრივი, თეთრი, ორსართულიანი შენობა. როგორც ამბობენ, სახლი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მაშინ, როდესაც იქ ლინკოლნი ცხოვრობდა, ოთახის მორთულობა, ავეჯი, სამკაულები — ყველაფერი განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით არის გარემოცული. ერთ-ერთი ოთახის კედელზე გაკრულია ქაღალდის ფურცელი, რომელზეც ბავშვური, გაუწაფავი ხელით ნაწერი ასოებია გამოყვანილი, სადაც წერია: „ძვირფასო ეიბ, მე, პატარა თერთმეტი წლის გოგონა ვარ...“

***მასალა მოამზადა ნუგზარ ბეზარაშვილმა***



# ვი. მიხმის ნომერი!

სახელმწიფოს მეთაურებს, როგორც მეფეებს, ყველაფერი როდი ხელეწიფებათ, ყველაფრის უფლება როდი აქვთ. მათგან დიპლომატიური ეტიკეტის განუხრელ დაცვას მოითხოვენ. მაგალითად, ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, წესისამებრ, კრემლის რეზიდენციის აპარტამენტებში ჩერდებიან. სამუშაო და არაოფიციალური ვიზიტებისას რუსეთის მხარე სტუმრებს მათთვის განკუთვნილ სახელმწიფო სასტუმროებს სთავაზობს. მიუხედავად ამისა, საბოლოო გადაწყვეტილებას — სად იცხოვრებენ, თავად სახელმწიფოს მეთაურები იღებენ.

ჩვეულებისამებრ, სასტუმრო ქსელის არჩევანი პირდაპირ კავშირშია მაღალი სტუმრის ეროვნებასთან. უფრო სწორად, თუ ჩამოდის ამერიკელი, ეტიკეტის მიხედვით, იგი იმ ოტელში უნდა გაჩერდეს, რომელსაც ამერიკული ქსელი მართავს, თუ გერმანელი — გერმანული ქსელის ოტელში.

გერმანიის დიდჩინოსნები უპირატესობას ანიჭებენ ოტელ „ბალჩუგის“ საპრეზიდენტო აპარტამენტებს; ბილ კლინტონი, მადლენ ოლბრაითი, ეჰუდ ბარაქი, ალბერტ გორი, ნორვეგიისა და არგენტინის პრეზიდენტები მოსკოვში ვიზიტისას სასტუმრო „მარიოტს“ ამჯობინებენ.

„მარიოტის“ საპრეზიდენტო ნომერი მართლაც შთამბეჭდავია. აქ სამი ოთახია. საძინებელს ეკვრის აბაზანა-ჯაკუზი, კიდევ ერთი აბაზანა ნომრის მეორე ბოლოშია. ნომრის ძირითად ოთახს შეიძლება სასტუმრო ვუწოდოთ. იგი ორ ზონად იყოფა: პირველი — სამუშაო, მეორე კი — დასვენებისა და მოლაპარაკებებისათვის. მეორე ზონა ამერიკული სტილითაა გაწყობილი: დივანი, რბილი სავარძლები, დაბალი მაგიდა. ამ ოთახში ჭაღები მარმარილოსგანაა გაკეთებული. არის ბუხარი, დახურული ორიარუსიანი კარადა. ზევით ტელევიზორი დგას, ქვემოთ მინი-ბარია, სადაც ყველაფერია, დაწყებული ელიტური კონიაკებითა და დამთავრებული ყველანაირი უალკოჰოლო სასმლით. მინი-ბარის ასორტიმენტი კლიენტის სურვილისამებრ ფორმირდება.

სასტუმრო ოთახიდან თაღოვანი გასასვლელით მოლაპარაკებათა ოთახში აღმოჩნდებით, სადაც გრძელი ოვალური მაგიდა დგას, სკამებითურთ. ავეჯი იტალიაშია გაკეთებული, წითელი ხისგან. მესამე ოთახის მაგიდას იყენებენ როგორც მიღებების, ასევე მოლაპარაკებებისთვისაც. ოთახიდან სამზარეულოში მოხვდებით, სადაც ყველაფერია იმისათვის, რომ თუ სტუმარს სურვილი ექნება, რაიმე მოუმზადონ ადგილზე. ოტელ „მარიოტის“ საპრეზიდენტო აპარტამენტების საერთო ფართობი 136 კვ.მ-ია, დღე-ღამე 1.500 აშშ დოლარი ღირს.

უფრო ძვირია სასტუმრო „მეტროპოლის“ საპრეზიდენტო ნომერი — დღე-ღამეში 2.000 დოლარი. ძვირადღირებულ ნომრებში უცხოვრიათ ისეთ გამოჩენილ პიროვნებებს, როგორებიც არიან მსტისლავ როსტროპოვიჩი, მონსერატ კაბალიე, ივ სენ ლორანი, მაიკლ ჯექსონი, ასევე ესპანეთის მეფე ხუან-კარლოსი.

„ნაციონალში“ ფრანგები ჩერდებიან. ჟაკ შირაკის გარდა, აქ შარლ აზნავური და მირეი მატიეც ჩერდებოდნენ.

რაც შეეხება რუსეთის ექს-პრეზიდენტს, უცხოეთში ვიზიტებისას იგი სახელმწიფო რეზიდენციებს ამჯობინებდა. მაგრამ ისრაელში ბოლო ვიზიტისას მან იერუსალიმის ერთ-ერთი სასტუმროს მთელი სართული დაიკავა. ვლადიმირ პუტინი ჯერ უცხოეთში არ წასულა, ამიტომაც მის გემოვნებაზე, ამ მხრივ, ვერაფერს ვიტყვით. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მისი ყოველივე გერმანულისადმი სიყვარულიდან გამომდინარე (რამდენიმე წელი იქ ცხოვრობდა), პრეზიდენტის პოსტზე არჩევის შემთხვევაში, სასტუმროების იმ ქსელს აირჩევს, რაც მისი კაპიტალის შესაბამისი იქნება.

# რა აწუხებთ პრეზიდენტებს?

„გონს მოუსვლელად შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას“, — ჯანშერყეული დიდჩინოსნებით მდიდარ რუსეთში ეს კალამბური კარგა ხანია, ფრთიან გამონათქვამად იქცა. სკლეროზიანი ბრეჟნევი, თირკმლით დაავადებული ანდროპოვი, ასთმით დაავადებული ჩერნენკო, იშვიათი გამონაკლისი მხოლოდ გორბაჩოვი გახლდათ.

მაგრამ პირველობა ავადმყოფობაში მაინც ახლა უკვე დამსახურებულ პენსიაზე გასულ ბორის ელცინს ეკუთვნის. მის მრავალრიცხოვან სატკივარზე ინფორმაციები დიდი ხანია საარაკოდაა ქცეული: ხან გული შეუტევდა (არაოფიციალური მონაცემებით, მას 5(!) ინფარქტი უნდა ჰქონდეს გადატანილი), ხან გრიპი გათანგავდა, ხან პნევმონია შეუხუთავდა სულს, ხანაც წყლული აუტყდებოდა.

ერთი იმედი ისღაა, რომ პუტინი, ჯერჯერობით მაინც, კვნჭივითაა. თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, კუჭის წყლული აქვსო.

სხვა საქმეა საზღვარგარეთი. კითხვა — „თავს როგორ გრძნობთ?“ აქ უტაქტობად მიიჩნევა. თუმცა სახელმწიფოს პირველ პირებზე ეს არ ვრცელდება. თუნდაც რონალდ რეიგანთან დაკავშირებული გულისშემძვრელი სამედიცინო ტრილერი გავიხსენოთ. 1994 წელს, როცა აშშ ყოფილმა პრეზიდენტმა თავის მიმართვაში თანამოქალაქეებს ამცნო, ავად ვარო, მთელი მსოფლიო შოკში ჩავარდა. რეიგანის დიაგნოზი მართლაც შემაძრწუნებელია — ალცჰაიმერის დაავადება — მეხსიერების ნელ-ნელა ჩაფერფვლა. მას უკვე აღარ ახსოვს ბევრი თავისი თანაგუნდელი. ვერც თეთრ სახლს ცნობს, სადაც ოდესღაც მუშაობდა. დროდადრო დაჟინებით მიაშტერდება ხოლმე თავის ერთგულ მეუღლეს ნენსის და ცდილობს, გაიხსენოს ვინ არის.



მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა საშინელ ტკივილებს ხერხემალში აშშ პრეზიდენტი ჯონ კენედიც. მეორე მსოფლიო ომში მიღებული ტრავმის შედეგად ორი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა. იძულებული იყო, კორსეტით ევლო და ორთოპედიული ფეხსაცმელები სცმოდა (კენედის ერთი ფეხი მეორეზე ორი სანტიმეტრით მოკლე ჰქონდა), დროდადრო ყავარჯნებსაც ხმარობდა. სხვათა შორის, უახლესი გარემოცვის გარდა, არავინ იცოდა, რომ კენედი საშინლად იტანჯებოდა. ბიოგრაფების თქმით, კენედის განსაკუთრებული დღის რეჟიმი ჰქონდა. სამუშაო დღე დილის 7.15 სთ-ზე იწყებოდა საძინებელში საუზმითა და სასწრაფო ტელეგრამებისა და გაზეთების გადათვალიერებით. ფოსტის გაცნობის შემდეგ, პრეზიდენტი ერთ საათს ბავშვებთან ერთობოდა, შემდეგ თეთრი სახლის კაბინეტში მიდიოდა. რამდენიმესაათიანი სახელმწიფოებრივი საქმიანობის შემდეგ საცურაო აუზს მიაშურებდა.

კენედის ცხოვრება მისაბაძი ღირსეული მაგალითია, რომლითაც ურიგო არ იქნებოდა ისინიც თუ ისარგებლებდნენ, ვინც უკვე ზის საპრეზიდენტო სავარძელში ან აპირებს მის დაკავებას. სახელმწიფოს მართვა უმადური საქმეა და ჯანმრთელობასაც ვნებს.

# პირველი ლედი

## პოლიტიკოსის ცოლი ეჭვგარეშე უნდა იყოს

პოლიტიკოსის მეუღლეობა რთული საქმეა, პრეზიდენტის მეუღლეობა კი ორმაგად. გარდა ამისა, მთელი შენი ცხოვრება საჯარო ხდება, განხილვის საგანია თითოეული ნაბიჯი, თითოეული



დეტალი ჩაცმულობაში, საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოაქვთ წარსული ცხოვრებაც. ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე აღმოაჩინონ პირველი ლედისთვის შეუფერებელი... საზოგადოებრიობა ამას არასოდეს გაპატიებს. ახალგაზრდობაში ნაცდუნები ცოლი უარესია, ვიდრე თავისი კარიერის მანძილზე პერიოდულად შემცოდველი პოლიტიკოსი. აწმყოში აკრძალული ხილის ნაგემებ პირველ ქალბატონზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. პოლიტიკოსის ცოლის შინაგანაწესი ჯერ კიდევ ძველ რომში დამტკიცდა: „კეისრის ცოლი ეჭვგარეშე უნდა იყოს“.

დაწყებული სტალინით, საბჭოთა ლიდერები მკვეთრად გამიჯნავდნენ პირადულს საზოგადოებრივისაგან. იქნებ ეს ნადეჟდა ალილუევას უცნაური თვითმკვლელობის შემდეგ დაიწყო, ან იქნებ თავისთავად. მართლაც, რა ესაქმება ცოლს პარტიულ საქმესთან, მით უმეტეს, სახელმწიფოებრივთან?

რევოლუციური გარდატეხა 1985 წელს მიხეილ გორბაჩოვმა მოახდინა. უფრო სწორად, მისმა ცოლმა რაისა მაქსიმოვნამ. მთელმა ქვეყანამ პირველად იხილა პირველი ლედი, გაიგო მისი სახელი და არცთუ სიმპათიით განეწყო მისი სითამამის გამო.

რაისა მაქსიმოვნამ უარი თქვა შინ ჯდომაზე, ქმარს ყველგან დაჰყვებოდა. უფრო მეტიც, მის საქმეებში ერეოდა და რჩევასაც აძლევდა. ამას ქვეყანა ნამდვილად ვერ აიტანდა. დიპლომატიურ ვიზიტებზე ქმრის თანხლებით რაისა მაქსიმოვნამ აიძულა, ეღიარებინა მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ გენერალური მდივანი უსქესო არსება კი არა, ნორმალური მამაკაცი იყო, რომელიც ამასთანავე ანგარიშს უწევდა ცოლის შეხედულებებს. საბჭოთა კავშირში მიიჩნევდნენ, რომ გორბაჩოვი ცოლის დამატება იყო. იქნებ თავად გორბაჩოვი უწყობდა ხელს ასეთი შეფასების განმტკიცებას. მაგალითად, რაისა გორბაჩოვა გულახდილად აღიარებდა ფრანგული სუნამოებით თავის გატაცებას. ამას გენერალური მდივანი ხუმრობით ეპასუხებოდა: ცოლი ძვირი მიჯდებაო. რაისას „წითელი დედოფალიც“ შეარქვეს. ოჯახთან დაახლოებული პირები კი ამბობდნენ, მიშა რაისამ შექმნაო.

რაისას შემდგომი პირველი ლედი სულ სხვა ქალი აღმოჩნდა. და სხვათა შორის, ამიტომაც უფრო საყვარელი შეიქნა რუსებისათვის, თავმდაბალი, მორიდებული, არასოდეს ერეოდა ქმრის საქმეებში. ჩაცმულობაც ასევე სადა და უჩინო ჰქონდა. არც საჯარო გამოსვლები უყვარდა, ტელეკამერებს გაურბოდა.

ლუდმილა პუტინა, ჯერჯერობით, ნაინა ელცინას პოზიციას იცავს. მასზე არაფერია ცნობილი ოფიციალური მონაცემების გარდა: ქმარს სამსახურის ყველა ადგილზე ახლდა.

ამერიკის პირველ ქალბატონებზე ინფორმაცია გაცილებით ხელმისაწვდომი იყო მუდამ. თეთრი სახლის ოფიციალურ საიტზე მთელი განყოფილება ეძღვნება პრეზიდენტების ცოლებს.

ყველაზე ცნობილი ამერიკის პირველი ლედი ჟაკლინ კენედი-ონასისი გახლდათ. იგი კლასიკური მაგალითი იყო კეისრის ცოლისა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი იცოდა თავისი მეუღლის თავქარიანი თავგადასავლების შესახებ, მაინც უზადო რჩებოდა ყოველთვის. იდეალური ცოლი, ლამაზი, გონიერი, შესანიშნავი განათლებითა და ოჯახით. მის გულში კი რა ხდებოდა, ეს არავის აინტერესებდა.

ამერიკის ამჟამინდელ პირველ ლედის ჰილარი კლინტონს ჟაკლინ კენედისთან აშშ პრეზიდენტის გარშემო ატეხილი სექს-სკანდალი აერთიანებს. ორივემ ღირსეულად დააღწია თავი ამგვარ სიტუაციას, ჟაკლინი ხმის ამოუღებლად იტანდა ჯონ კენედის რომანს მერილინ მონროსთან, ჰილარი კლინტონმა ახლახან გადაიტანა მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებული სკანდალი. არც ერთს, არც მეორეს არავისთვის უგრძნობინებია, როგორ შეელახათ თავმოყვარეობა. ჰილარის წყალობით შეინარჩუნა ბილ კლინტონმა თავისი პოსტი და იმპიჩმენტს გადაურჩა.

სხვათა შორის, „კეისრის ცოლის“ კლასიკური მაგალითია ინგლისის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მეუღლის საქციელი: ერთხელ, მატარებლის ბილეთის აღება ვერ მოასწრო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობისას კონტროლიორი არ შეხვედრია, ჯარიმა მაინც გადაიხადა. ეს შემთხვევა მსოფლიოს ყველა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა. ასე რომ, პოლიტიკოსის ცოლის სტატუსი — ოჯახური მდგომარეობა კი არა, სამწუხაროდ, მძიმე სამუშაოა. აი, როგორ აღწერს გერმანიის კანცლერის ცოლი დორის შრედერ-კოპფი თავის ცხოვრებას: „ჰანოვერში ვცხოვრობთ, ჩვეულებრივი ულიფტო სახლის მეხუთე სართულზე, სამოთახიან ბინაში. არ გვაქვს კერძო სახლი, არც აქციები, არც რაიმე სხვა სიმდიდრე. ჩემი მეუღლე 16-დან 18 სთ-მდე მუშაობს დღე-ღამეში. არც ტენისისთვის რჩება დრო ძველებურად, არც ფეხბურთისთვის. ერთადერთი, რის უფლებასაც აძლევს თავს — საღამოობით კარგი სიგარის გაბოლებაა“.

***მასალები მომზადებულია ჟურნალ „ლიცას“ მიხედვით***

## საკუთარი რუპორისთვის ვერ მიგიხედია, მე გაგახსენდები?

***როცა მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს გაცრეცილი პალტო აცვია, რომელ წინსვლაზეა ლაპარაკი, გამაგებინეთ!***

მწერალ **კარლო კობერიძე**ს სოფელ შაშიანში (გურჯაანის რ-ნი) თავისივე აშენებულ ორსართულიან სახლში ვეწვიე. მან აქაური წესისამებრ, პირველად ქვევრ-მარანი „დამათვალიერებინა“, საკუთარი წარმოების ღვინოც დამაჭაშნიკებინა და წამით წინასწარგამიზნული დუმილი ჩამოაგდო. მრავალწლიანი დაკვირვებით ვიცი, კახელები სიცოცხლეში მხოლოდ ორ შემთხვევაში იყენებენ თავს მათთვის უჩვეულო მდგომარეობაში: ერთი, როდესაც უზომო კმაყოფილებით ისმენენ თავისი ღვინის საჯარო ქებას და, მეორე — როდესაც გამორჩეული ემოციით თვითონვე ცდილობენ მის აპოლოგიას. ამ მხრივ არც ბატონი კარლო აღმოჩნდა გამონაკლისი. სიტყვაკაზმულობით მთავაზობდა ყოველ მომდევნო ღვინიან ჯამს. ხოლო შემდეგ დაუფარავი კმაყოფილებით ისმენდა ჩემგან თავისი „ღვინო ხელოვნების“ ქებათა-ქებას. ამასთან ისიც გამანდო საიდუმლოდ, მოთხრობების წერაზე უკეთესად ღვინის დაყენება გამომდისო. ამაში ნამდვილად ვერ დავეთანხმებოდი, რადგან კობერიძისეული ღვინის მსგავსი (და უკეთესიც) მრავლად შემხვედრია საქართველოში. კახური მზით და უშუალობით გამთბარ მოთხრობებს კი მის დარად ერთი-ორი მწერალი თუ წერს დღეს ამ მხარეში. თუმცა, რომელი სჯობს ბატონი კარლოს შემოქმედებაში, ღვინო თუ მოთხრობები, ეს ღვინისმცოდნე ლიტერატორებს მივანდოთ (ღმერთმა გვიმრავლოს მათი თავი), მე კი გეტყვით, ენაწყლიანი და ლაღი იუმორით დაჯილდოებული მწერალი სუფრასთან ისეთივე კოლორიტულია, როგორიც მისი მოთხრობები.

**— ბატონო კარლო, როგორც წესი, მწერლები დედაქალაქში ცხოვრობენ. დღეს თითო-ოროლა მწერალი თუ არის თქვენსავით, სოფელში რომ დაედო ბინა. რითი ხსნით ამას?**

— ორმოცდაათის რომ შევსრულდი, მას შემდეგ სულ ერთნაირ სიზმრებს ვხედავდი: ვითომ ჩემს სოფელში ვიყავი, ჩემს სახლში; მწყუროდა და ალაზნის ფშანსა ვსვამდი. თბილისელი ვერ გავხდებოდი ვერაფრით, რადგან ბავშვობა სოფელში გავატარე, ამიტომ გადაჭრით ვთქვი, სოფელში უნდა დავბრუნდე-მეთქი. ეს რომ ასე მოხდებოდა, ადრევე ვიცოდი და თადარიგიც დავიჭირე.1969 წელს დავიწყე ახალი სახლის აშენება და 1972 წელს დავამთავრე. რაო, სახლ-მუზეუმს იშენებო? — დამცინოდნენ კოლეგები. მაგრამ ვიცოდი, სიბერე თუ მეწერა, სხვაგან ვერ გავატარებდი. საგვარეულო სასაფლაოს ვერ დავტოვებდი... ჰოდა, დავბრუნდი შაშიანში.

**— ამან თქვენს შემოქმედებაზე როგორ იმოქმედა?**

— მხოლოდ დადებითად. სოფლის ცხოვრების მწერალი ვარ, სულ ორი თუ სამი მოთხრობა მაქვს დაწერილი ქალაქზე და იქაც კახელები შემეპარნენ.

**— თქვენზე უკეთესად ვინ გვეტყვის, რა უჭირს დღეს სოფელს?**

— სახელმწიფო აღარ ზრუნავს დღეს სოფელზე, მოსახლეობისაგან იცლება. ჩემს პატარა უბანში უკვე ოთხი სახლია გამოკეტილი. ორსაც, ალბათ, იგივე ბედი ეწევა. ხალხი გარბის აქედან. ვინც აქ დარჩა, უმეტესობა დაბეჩავდა და გაუბედურდა. ხანდახან კრედიტებზე რომ ალაპარაკდებიან ხოლმე, არ დაიჯეროთ! აქამდე ფულს ვინ მოუშვებს?! გამოვა გულუა და „ამდენი მიწა მოვხანით, ამდენი — დავთესეთო“... შენ რა დათესე, შვილოსა?! ჩემს მოხნულ-დათესილს რომ ითვლი, სირცხვილი არ არის? აი, ახლაც, „სალიარკის“ დარიგება დაიწყეს მუქთად, ჰექტარზე 40 ლიტრს იძლევიან. ღამის პირველ საათზე დგება ხალხი რიგში. ამით უმეტესობა მაინც ვერ დაამუშავებს მიწას, რაკი 40 ლიტრი ბევრი არაფერია. მერე კიდევ — ეს გადახვნაო, ესო დაფარცხვაო, კულტივაციაო, თუმცა ესეც სათქმელია, სულ არარაობას ცალუღელა ხარი სჯობიაო... მადლობის მეტი რა გვეთქმის. რანაირი სტაბილურობაა, ვერ გამიგია, ხუთშაბათს ექვსი მკვდარი გავასვენეთ, მაშინ როცა ერთი ბავშვიც არ დაბადებულა ბოლო ერთ თვეში. გადაშავებულია სასაფლაოები. რა გვეშველება, არ ვიცი.

წარმატებული საგარეო პოლიტიკა გვაქვსო! შეიძლება. მაგრამ წარმატებული, მგონი, მაშინ იქნება, როცა ხალხს წაადგება სიკეთედ. თუ ცოცხალი აღარავინ დარჩა, ვის რად სჭირდება შენი წარმატებული საგარეო პოლიტიკა? ჩემი ფიქრით, ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეობას და თუ ეს არ ხდება, არანაირ წარმატებაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

ესაო, გვირაბის ბოლოს შუქი ჩანსო... რა ჩანს, შვილო, ვის ატყუებ? ხმას რომ არ ვიღებთ, ჰგონიათ, ვტყუვდებით. არ ვტყუვდები, თავი მეცოდება და ვფიქრობ, რა მრჯიდა, რატომ მოვედი ამ ქვეყანაზე? შეიძლება შენი დღე და მოსწრება გიჭირდეს? გაგონილა, სიკვდილამდე სულ გიჭირდეს? ესენი, ძლიერნი ამა ქვეყნისანიც რომ მოკვდავნი არიან, რატომ ავიწყდებათ? დღეს აღარავის სჭირდება შენი სიმართლე. ადრე თუ გაბედავდი სიმართლის თქმას, დაგიჭერდნენ და მადლობა უნდა გეთქვა, თუ არ დაგხვრეტდნენ. კაცმა რომ თქვას, გეამაყებოდა კიდევაც, კაცად მთვლიან, ეშინიათ ჩემიო. ელაპარაკე რამდენიც გინდა, ვინ რად გაგდებს. მოკლედ, ნულამდე დაიყვანეს შენი ღირსება.

**— იქნებ ქართულ მწერლობას მოუდუნდა ერთიანი ბრძოლის ჟინი, ბატონო კარლო, მით უმეტეს, რომ შიგნითაც, მწერალთა რიგებშიც. რაღაც დაქსაქსულობააო.**

— სამაგისო არაფერი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ. მწერალი ისე არ დაეცემა, ვინმეს წაუხაროს თავი. „ეს რამდენი ხართო, დაგვაბრალეს, დაგვაყვედრეს, არადა, ბოლო ორ-სამ წელიწადში რამდენი კარგი მწერალი წავიდა ამ ქვეყნიდან! მოქმედ და ყოფილ პარლამენტარებზე მეტნი ვართ ვითომ? მწერლობაც ასეა: ვინ მოქმედია და ვინ კიდევ იქამდე მიიყვანა ცხოვრების უთავბოლობამ, რომ აღარ წერს, ანდა ვეღარც წერს. რა დამსახურება მიუძღვის ზოგიერთ ყოფილ პარლამენტარს, ვინც მხოლოდ დიდად პატივცემულ სავარძელს აცდენდა, არასოდეს მისულა მიკროფონთან, სამუდამოდ უზრუნველყოფილი ცხოვრება რომ დაუკანონეს?.. რასაც მავანი ითვლის თავისკენ, მთელ მწერლობას ეყოფოდა. ხომ ცნობილია გაზეთებით, ზოგიერთი პარლამენტარის ავლადიდება? ეს ჩემი სიმამრისააო, ის სახლი მამაჩემისააო ჩემი მეუღლისააო, შვილისააო, მანქანები კიდევ სიდედრისო. რა ვიცი, კაცო, რასაც მე მწერლებს ვიცნობ, ყველას სიდედრ-სიმამრი როგორაა ღარიბ-ლატაკი? ორი სიდედრი მყავდა და რაღა მე შემხვდნენ ეგრე ცარიელ-ტარიელები, გამაგებინე, თუ ძმა ხარ!

**— ამ მხრივ ძალიან ჰუმანური ხომ არ არის ჩვენი ხელისუფლება?**

— ეტყობა, რაღაც არ მესმის, ამათი გაგებით რას ნიშნავს ჰუმანურობა. როცა გაიძახიან, მსოფლიო მხარს გვიჭერსო, სიმართლე გითხრათ, არც მე მჯერა: არ შეიძლება მსოფლიო სიღატაკეს უჭერდეს მხარს. დემოკრატიაც, მგონი, ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ახლა მითხარი, ეს გუშინდელი კომუნისტი ფუნქციონერები უცებ დემოკრატები როგორ გახდნენ?..

**— ახალგაზრდებიც ხომ მოდიან ხელისუფლებაში...**

— „ხარი ხართან დააბიო“... ხომ გაგიგია? ეს აზრი პროგრესსაც გულისხმობს და რაღა მაინცდამაინც ახლა გაუწყრება ღმერთი? ილიას უარმყოფელს რომ საჯარო ბიბლიოთეკას ჩააბარებ და დელეგაციას წაუმძღვარებ, სადღაც, მამაჩემთან, რიღასი იმედი უნდა მქონდეს შენი?

**— რას ურჩევდით ჩვენს ხელისუფლებას, ბატონო კარლო?**

— როცა მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს, დავით ჯოხაძეს გაცრეცილი პალტო აცვია, რომელ წინსვლაზეა ლაპარაკი, გამაგებინე, როცა ხალხი აგირჩევს და ზუსტად მეორე დღეს შუქს ჩაუქრობ იმ შენს ამომრჩეველს და ზედ ბენზინსაც გაუძვირებ, რაღა უნდა გელაპარაკო! მერე — ვიღაც ყოფილი, ასე ვთქვათ, დისიდენტი გამოდის და ყველას გასაგონად, მთავრობისაც, პრეზიდენტისაც — მწერალთა კავშირს ფაშისტურ ორგანიზაციას უწოდებს. წივწვაძეს არაფერი დაუკლია, მაგრამ ერთი რამ მაინც დაავიწყდა ეკითხა, — როცა შენ დისიდენტობდი, ამაზე მეტად უჭირდა საქართველოსო? ყველა დისიდენტი, ვისაც თბილი ადგილი მისცეს, გაჩუმებულია, ვერც ერთი ვეღარ ხედავს ხელისუფალთა ნაკლს. იმ ერთმა კიდევ მწერლებს დაუწყო გინება, თანაც ილიას და აკაკის. არავინ არაფერს რომ არ ეუბნება, გამოდის, რომ მთავრობის, პრეზიდენტის პოზიციაც ეს ყოფილა. შეიძლება მართლა არ მოსწონდეს ილიას ლექსები, ამაზე ვინ რას ეტყვის, მაგრამ მწერლების ფაშისტობაზე რომ ლაპარაკობს, ეს უკვე ავადმყოფის ბოდვაა. ნეტავ რა თქვეს მაგათ მაშინ ისეთი, რაც ჩემს მოთხრობებში არ დამეწეროს ან სხვებს არ ეთქვათ? გადახედონ ლადო მრელაშვილის „ყაბახს“, გაიგებენ, რას ნიშნავდა მაშინ სიმართლის თქმა — ძლივს გადაურჩა კაცი დაჭერას.

**— ხელისუფლების წარმომადგენლებთან არ მეგობრობთ?**

— როგორ არა. ღმერთმა კარგად მიმყოფოს ისინი. თავისთავად მიხვდებით, ასეთი ხალხი ლიტერატურის მოყვარული რომ იქნება. რა მიკვირს, იცი? რაღა ყველა დიდი თანამდებობის პირის შვილია ეგრე ძალიან ნიჭიერი და სხვა დეგენერატი?! ჯარისთვის ყველა ავადმყოფია. სამოქალაქო სამსახურისთვის — მაგათზე ჯანმრთელი არავინაა ან, საერთოდ, ვინღა მიდის ჯარში. არ ვიცი! ნაწვიმარზე სოკოებივით გამრავლდა კერძო უმაღლესი სასწავლებლები. თურმე იქ, ასეთ სასწავლებელთა უმრავლესობაში „სწავლაც“ ისეთი სახალისო ყოფილა, ვერ აგიწერ. თანაც მიიტან ფულს — მოწყობილი ხარ, კიდევ მიიტან — კურსს დახურავ. მერე კიდევ და — დიპლომს აიღებ. ჯარიდანაც დაზღვეულია ყველა. ისინი აღარც გლეხად ვარგიან მერე, აღარც მეომრად და როგორი განათლებული ინტელიგენტებიც იქნებიან, კარგად ხვდები. მოკლედ, ფული გადაიხადე და პაატა ბურჭულაძე ვინ არის, ან ლუჩანო პავაროტი, იმათზე გაცილებით დიდი მომღერალი იქნები, რაღა თქმა უნდა, საბუთით.

**— ვამბობთ ხოლმე, ხალხი როგორსაც იმსახურებს, ისეთი ხელისუფლება ჰყავსო.**

— უკეთესი ანდაზაც გვაქვს — როგორიც ტყე იყო, ნადირიც ისეთი გამოდიოდაო.

**— და მაინც, ყველაზე მეტად რაზე გტკივათ გული, ბატონო კარლო?**

— რა ჩამოთვლის! რატომ მოხდა, რომ ჩვენ თავის დროზე არ ვაღიარეთ აფხაზეთში მოწყობილი გენოციდი? ისიც, რუსეთის რეგულარული არმია რომ გვებრძოდა? რატომ ხდება, რომ მას შემდეგ, რაც აფხაზეთში ჩეჩნებმა დღე გვაყარეს, პანკისის ხეობას ვავსებთ მათი ლტოლვილებით და როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობენ თავს?! და განა მარტო ისინი? საქართველოში მცხოვრები ყველა უცხო ტომის ხალხი გაპაპაჯორებულია, ჩვენს თითო-ოროლა ღერ ქართველს კი მათ მიწაზე შავ დღეს აყრიან. ჩვენს მიწა-წყალზე ყველა მრავლდება, ქართველის გარდა, ჩვენს გარდა მასპინძელია ყველა. ამდენი გაუგებელი, დაუკვირვებელი, წინგაუხედავი საიდან მოვიდა ხელისუფლებაში, ვერ გამიგია! რუსეთს, ამ უზარმაზარ მონსტრს, შეიძლება ჯოხი უჩიჩხინო, კაცო? ან რას გვიშლის რუსეთი?! ამას წინათ ერთი გლეხი მეუბნება, აფსუს, რა კოლონია დაგვაკარგინესო!



კარლო კობერიძე მეგობართან ერთად

**— ბატონო კარლო, ვიცი, რომ მეგობრებშიც ისეთივე პირში მთქმელი ხართ, როგორც საერთოდ და... როგორ გიტანენ?**

— მეც ისეთივე ვარ, როგორც ყველა ნაღდი კახელი. საერთოდ, ნამდვილ მეგობრებთან პრობლემა არასოდეს მქონია ამ მხრივ.

**— წერაც ისეთივე სიამოვნებას განიჭებთ, როგორც ქეიფი?**

— წერა არასოდეს მანიჭებს სიამოვნებას, ეს ჯოჯოხეთური საქმეა, როცა ნაწარმოებს ამთავრებ, მერეა სიამოვნება. იქნებ ვერ მოვასწრო და თან გავიყოლო მთელი სათქმელი... უმეტესობა გაურბის ფიზიკურ შრომას. არადა, ეს არის მართლაც სასიამოვნო. მაგალითად, თოხნის დროს არც არავინ გიყურებს კონტროლის თვალით. არც რაიმე პასუხისმგებლობას გრძნობ, თუ დაიღლები, წამოწვები და დაისვენებ.

არ შეიძლება ასეთი დაპირისპირება, როგორც ახლაა ორ პარტიას შორის. შეგახსენებთ: ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ფრანკოს და დიასის მომხრე დახოცილი მეომრები ერთ საძმო საფლავში დამარხეს, ძეგლიც ერთი დაადგეს და წააწერეს: ამათ ერთნაირად უყვარდათ სამშობლო. სადაც უნდა იყვნენ, რა პოზიციაც უნდა ეკავოთ — მუხრან მაჭავარიანს, რევაზ მიშველაძეს, ელიზბარ ჯაველიძეს, ზურაბ ქაფიანიძეს ვერავინ და ვერაფერი დამაკარგვინებს. ყველა ერთ თარგზე რომ იყოს მოჭრილი, აღარც ცხოვრებას, სიცოცხლეს ექნებოდა ფასი. ზოგს ისეთს ვიცნობ, არავისზე ნაკლები მებრძოლი, ქვეყნის ჭირისუფალი არ ყოფილა, მაგრამ მოტყდა, მოდუნდა, ჩაუტკბა სიცოცხლეს. ასეთთა შემხედვარეს ერთი წინადადება მახსენდება „ათას ერთი ღამიდან“ — „ვეზირო, მაგან ბევრი რამე იცის და, ოქროთი ამოუვსე პირი“... სამწუხაროდ, აქ ჩემს სოფელში იშვიათად მოდის სინათლე. ტელევიზორმა რა ხანია თავისი ფუნქცია დაკარგა, რადიომიმღებით გავდივართ იოლად. ამით ვიგებთ ქვეყნის ტყუილ-მართალს. უბედურება ის არის, რომ ძაბვა არ ყოფნისო და ნახევარჯერ გამოთიშულია. აბა, ძმაო და შვილო, საკუთარი რუპორისთვის რომ ვერ მიგიხედია, მე გაგახსენდები? წარმოგიდგენიათ, იმდენი დენიც არა აქვს სახელმწიფოს, მისმა მაქებარმა რადიომ რომ იმუშაოს!

**— უპირველესად მწერალი ბრძანდებით და კინაღამ დამავიწყდა მეკითხა, რატომ არ ბეჭდავთ ნაწარმოებებს?**

— ახლა, მოგეხსენებათ, უფულოდ ვერაფერს გახდები. მე კი საიმისო თანხა არ გამაჩნია. კი დამპირდა მავანი, მოგიხერხებ დაფინანსებასო, მაგრამ მეეჭვება სასიკეთოდ დამთავრდეს — არ აუბამენ მხარს. არადა თითქმის სამოცდაათი თაბახი მაქვს გამოსაქვეყნებელი. როგორც ეტყობა, მე თვით ვიქმნი ბარიერს: რასაც ვხედავ და მესმის, რეაგირებას რომ ვახდენდე, მაშინ ალბათ მშვენივრად მექნებოდა საქმე. მაგრამ მწერალი ვარ და სხვა საფიქრალი უფრო მაწუხებს. უფრო ნათლად რომ ვთქვა, ასეთი რამის გაკეთება ჩემი გუნებისა არ არის, ამდენად, არც შემიძლია. თანაც ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ, ნათესავ-მეგობრები თუ არა, ნაცნობები მაინც ვართ. აი, ამას ჰქვია ქართული ხასიათი. ამას სხვა არ უწევს ანგარიშს. ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი.

**— რომელი აუსრულებელი სურვილი გაწუხებთ ყველაზე მეტად?**

— დავიღალე ამდენი დაპირებებით! მინდა სოხუმში გავიარო, იქ ჩემი დიდი სევდაა დარჩენილი — ჩემი ნათესავი, კარგი პოეტი ქალი ეთერ სამხარაძე, დახვრიტეს ქმართან ერთად...

რამდენიმე წამით ირგვლივ ძნელად ასატანი დუმილი გამეფდა. ბატონმა კარლომ სათვალე მოიხსნა, ჯიბიდან ამოღებულ ქაღალდის ფირფიტას ორი აბი გამოაცალა... წყალი არ დაუყოლებია. მერე თითქოს რამის მოსწრებას ცდილობსო, ღვინით სავსე ჯამი ოდნავ აკანკალებული ხელით ნერვიულად ასწია და ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა: „ამ ჯოჯოხეთურ ჭირსა და ვაებაში ვისი სულებიც ზეცად ამაღლდა, ხსოვნა იყოს ყველასი!“

**ფირუზ ფურცელაძე**



# კოცნაც საშიში ყოფილა?



ინგლისელმა ექიმმა პოლ ლუპმა ადამიანის პირის ღრუში აღმოაჩინა 37 ახალი ბაქტერია. მანამდე უკვე აღმოჩენილი იყო 500, რომელიც მხოლოდ პირის ღრუში ბინადრობდა. მიკრობებს შეუძლიათ ერთი პირიდან მეორეში მოგზაურობა რომანტიკული კოცნის შედეგად.

ექიმი ლუპი აფრთხილებს შეყვარებულებს, რომ კოცნის შედეგად გადადის გრიპი და გაცივება, ჰერპესი, ჯირკვლების ანთება, მონონუკლეოზი, ცუდი სუნი პირის ღრუში, ტუბერკულოზი, გულის ზოგი დაავადება და მენინგიტიც კი.

*ნიუზუიქ, 18 მარტი*

# ჯუჯა მფრთხალები

მშიშარა გოგონები ემოციურად გაწონასწორებულ თანატოლებთან შედარებით ნელა იზრდებიან — ამ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი სწავლულები. მათი მეცნიერული დაკვირვების თანახმად შიში გოგონებს ხელს უშლის ზრდაში. ბიჭებთან ეს ფაქტი, ჯერჯერობით არ დასტურდება. სტატისტიკურად, ძალიან მშიშარა, ზრდადასრულებული გოგონები, თანატოლებს საშუალოდ 5 სმ-ით ჩამორჩებიან და 155სმ-ს ვერ სცილდებიან.

რა შიშები აქვთ მხედველობაში სწავლულებს? უპირველეს ყოვლისა, განშორების, სიმარტოვის შიში... ჯერ კიდევ საბავშვო ბაღის ასაკიდან „პატარა ქალბატონები“ ძრწიან მშობლებთან ხანგრძლივი განშორების გამო. სახიფათოა აგრეთვე არასრულფასოვნების, დაბალი თვითშეფასების კომპლექსი, მაგალითად, არ მოსწონთ საკუთარი გარეგნობა, ეჭვი ეპარებათ საკუთარ შესაძლებლობებში, ნიჭში, რის გამოც აშინებთ საკონტროლო სამუშაოები, გამოცდები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. ასეთი შიშები, მუდმივი შფოთიანობაც, ამუხრუჭებს ზრდის ჰორმონებს.

ისრაელელმა ფსიქოლოგებმა ორივე სქესის ათასი (1.000) ტანმორჩილი მოზარდის ფსიქიკა გამოიკვლიეს. „ლილიპუტთა“ უმეტესობა არა მარტო მშიშარა, არამედ ზედმეტად ბოღმიანი, საკუთარ თავში ჩაკეტილი, ეშმაკურად ჭკვიანი პიროვნება აღმოჩნდა. თუ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ნიჭიერ და გენიოს ადამიანთა უმრავლესობაც ტანმორჩილია (ალბერტ აინშტაინი, ლენინი, ჰიტლერი, სპინოზა, პლატონი, მარია კიური და სხვები).

როგორც ჩანს, არც ბუნებაა მთლად გულუხვი ადამიანების მიმართ. ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მთვარის ფაზები დიდ გავლენას ახდენს შობადობაზე. ახალშობილთა უმეტესობა სავსე მთვარისას იბადება, რადგან ამ დროს ძლიერდება სამშობიარო ჭინთვები. ამ იდუმალი მოვლენის მეცნიერული ახსნა ჯერჯერობით არ არსებობს.

*ნაირა კოკიელი*



# იცით, რომ...

— მკვებავი კრემი არ ყოფილა უვნებელი, — ფიქრობენ ვირუსოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის მეცნიერები, — კოსმეტიკურ საშუალებებში შერეული ჭარბი მკვებავი ნივთიერებები უკუშედეგს იძლევა, რაც იწვევს კანის ნაადრევ სიბერეს.

— ფრანგი დიეტოლოგების დაკვირვებით, გაჩახჩახებულ ოთახში ადამიანები მიირთმევენ ბევრს და ჩქარა. ბინდბუნდი ადამიანზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს: აწყნარებს და უხსნის დაძაბულობას — ღორმუცელობის მთავარ მიზეზს, სანთლით განათებულ ოთახში ჭამა კვირაში ნახევარ კგ-ს დაგვაკლებინებს. რაც უფრო რომანტიკულია განათება, მით მეტია გახდომის შანსი.

— დეპრესიაში ჩავარდნილ ადამიანს უფრო იოლად ემართება კიბო და გულის დაავადებები. ასეთია კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო გამოკვლევის შედეგები. უგუნებობის დროს მოწევა ორმაგად საზიანოა. იზრდება სისხლის თეთრი ბურთულების რაოდენობა, ხოლო ბრძოლისუნარიანი ბურთულაკები იღუპებიან.

*სობესედნიკი №6*


## ყურადღება!
## 100%-იანი გარანტიით

ქალებს, რომელთაც გაწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით ამონაღები, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) გეძლევათ შესაძლებლობა, განიკურნოთ, მხოლოდ ერთი პროცედურით თითოეულ თმაზე. მკურნალობა გრძელდება მანამ, სანამ არ შევეხებით თითოეულ თმას (რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთხელ). მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თმის სიხშირეზე. პროცედურის ჩატარების შემდეგ ყველანაირი პასუხისმგებლობით გრჩებათ უვნებელი კანი და მთელი ცხოვრება დაზღვეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. ანაზღაურება - 1 სთ. - 20$.

მის: რჩეულიშვილის ქ. (ზემო ვერა), კორპ. 6 სად. II სართ. 9

☎ 29-42-58; 899-53-01-41





ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული კაცობრიობის 5%-ს აღენიშნება. ამასთან, თორმეტგოჯას წყლული 6-ჯერ მაინც ჭარბობს კუჭის არეში არსებულ პათოლოგიურ წარმონაქმნს. ამასთან, ეროზიისგან განსხვავებით, წყლული ლორწოვანის უფრო ღრმა დეფექტია და კუნთოვან შრემდე ვრცელდება.

საოცარია, მაგრამ ფაქტია! თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული უფრო ახალგაზრდა ასაკში ვითარდება. ამასთან, ქალბატონებთან შედარებით მამაკაცებს უფრო მეტად „წყალობს“. თუმცა ქალებში მენოპაუზის „დადგომის“ შემდგომ ეს სხვაობა თითქმის აღარ აღირიცხება.

ადრე ფიქრობდნენ, რომ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ერთხელ განვითარებული წყლული მთელი სიცოცხლის მანძილზე მასპინძლის თანმხლები „საჩუქარი“ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამჟამად ეს ტრადიციული შეხედულება შეიცვალა.

## გამომწვევი მიზეზები...

მეცნიერებმა ბევრი სჯა-ბაასისა და ჩხრეკის შემდეგ წყლულის გამომწვევ მიზეზად დაავადებულთა 90%-ში ერთი მომცრო ზომის ბაქტერია აღიარეს (Helycobacter pylori). აქედან გამომდინარე უმრავლეს შემთხვევაში დაავადება უკვე ინფექციურ პათოლოგიად აღიქმება და მკურნალობის სათანადო ტაქტიკასაც მოითხოვს.

წყლულის მაპროვოცირებელი მეორე ფაქტორი არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებია. მათ შორისაა ყველასთვის კარგად ცნობილი ასპირინი. ამჟამად დამტკიცებულია, რომ ყოველი სამი პაციენტიდან ორს (რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ღებულობდნენ არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს) კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ლორწოვანის ზედაპირული დეფექტი (ეროზიები, ჰემორაგიები) უვითარდება, ხოლო 4-დან ერთს — წყლული.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს მავნე ჩვევებიც (განსაკუთრებით თამბაქო).

არსებითია ნერვული გადაძაბვის ფსიქოლოგიური სტრესების როლიც.

აღირიცხება გენეტიკური მიდრეკილების მნიშვნელობაც.

## როგორ გამოვიცნოთ წყლული...

**თორმეტგოჯა ნაწლავის** — წყლულის ძირითადი სიმპტომი — კუჭის საპროექციო არეში — დაახლოებით მარცხნივ ნეკნთა ქვეშა მიდამოში ტკივილის გრძნობაა. ჩვეულებრივ

# ცოტა რამ წყლულის შესახებ

თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისთვის დამახასიათებელია რიტმული ტკივილი, რომელიც საჭმლის ან მჟავის გამანეიტრალებელი საშუალებები მიღების შემდეგ იხსნება. ასეთი წყლულის „სავიზიტო ბარათი“ ღამის (რომელიც ადამიანს ხშირ შემთხვევაში ღამის 1-დან 3 საათამდე აღვიძებს) და ე.წ. მშიერი ტკივილებია — უზმოზე ან ჭამიდან 1,5 — 4 საათის შემდეგ. ზოგჯერ ტკივილი ზურგშიც გადაეცემა.

თორმეტგოჯას წყლულისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი ტკივილის პერიოდულობაა. ხოლო შემდეგ „დამდგარი“ სიმშვიდის პერიოდი უფრო მეტი ხანგრძლივობით ხასიათდება (შეიძლება რამდენიმე წელიც გასტანოს).

წყლულის გამწვავება — სეზონურ ხასიათს ატარებს. ჩივილები უფრო მძაფრად შემოდგომასა და გაზაფხულზე გამოიხატება. ეს კი დაავადების გამწვავების მანიშნებელია.

**კუჭის წყლული** — მისთვის „ბუნებრივი“ ტკივილის გრძნობა, რამდენადმე განსხვავდება ზემოაღწერილისგან. როგორც წესი, უზმოზე ტკივილი არ აღენიშნება. შემაწუხებელი გრძნობა უმეტესად ჭამიდან 5-15 წუთის შემდეგ აღმოცენდება და ის კუჭში არსებული შიგთავსის თორმეტგოჯაში გადანაცვლების ან ღებინების შემდეგ გაივლის ხოლმე. სწორედ ამის გამოა, რომ ადამიანები თავს არიდებენ საკვების მიღებას და შედეგად წონაში მკვეთრად იკლებენ. იშვიათად, შესაძლოა, კუჭის წყლულის ტკივილი ღამითაც განვითარდეს.

## გართულებები, რომელთა შესახებ უნდა იცოდეთ...

— თორმეტგოჯას წყლულის დროს ტკივილის ჩვეული რიტმის ცვლილება შესაძლოა წყლულის სხვა ორგანოში გახსნის მიმანიშნებელი იყოს.

— ხოლო კუჭის წყლულის შემთხვევაში ტკივილის სტერეოტიპის შეცვლა ხშირად გართულებების განვითარებაზე მიუთითებს.

ძლიერი ტკივილის („ხანჯლის დარტყმის“ მსგავსი) უეცარი განვითარება, რომელიც მთელ მუცელს მოიცავს, ხშირად პერფორაციაზე — კუჭის კედლის გახვრეტის განვითარებაზე მოწმობს. ამ შემთხვევაში სასწრაფო ქირურგიული ჩარევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

— წყლულოვანი დაავადების კიდევ ერთი გართულება კუჭიდან თორმეტგოჯაში გარდამავალი ნაწილის შევიწროებაა (პილოროსტენოზი). ის გულისრევით ან წინა დღეებში მიღებული საკვების ღებინებით ვლინდება ხოლმე. ხშირად კი ტკივილისა და დისკომფორტის მოსახსნელად ავადმყოფები თავადვე იწვევენ ღებინებას.

ხშირად წყლულოვანი დაავადება ატიპურად — შეცვლილი ჩივილებით მიმდინარეობს. შესაძლოა ადამიანს ტკივილი ან სხვა რაიმე ჩივილი არ ჰქონდეს და მხოლოდ არასპეციფიური შეგრძნებების გამოხატვით შემოიფარგლოს. ამიტომაც თანამედროვე მედიცინა დაავადების დიაგნოსტიკისათვის უპირატეს მნიშვნელობას ინსტრუმენტულ მეთოდებს ანიჭებს.

## დიაგნოსტიკა...

70-80% — შესაძლოა რენტგენოლოგიური გამოკვლევით მისი აღმოჩენა. ამ დროს პაციენტი სპეციალურ კონტრასტულ ფაფას იღებს, რაც წყლულის უკეთ დანახვას უზრუნველყოფს.

მეორე საუკეთესო საშუალება ენდოსკოპიური გამოკვლევაა. მას სხვაგვარად „ოქროს სტანდარტს“ უწოდებენ. ამ დროს წყლულის გამოვლინებისა და მთლიანი ლორწოვანი გარსის ზედმიწევნით დათვალიერების გარდა, შესაძლებელია ბიოფსიური მასალის (ქსოვილის მცირე მონაკვეთის) უმტკივნეულო და უპრობლემო აღება, რაც შემდგომი კვლევისა და დიაგნოზის დაზუსტების საუკეთესო საშუალებაა.

## მკურნალობა...

ამჟამად წყლულოვანი დაავადების მკურნალობა რადიკალურად შეცვლილია და ადრე მიღებული, პოპულარული საშუალებები პრაქტიკულად უკუგდებულია. ტრადიციული მეთოდები, როგორც წესი, უშუალოდ წყლულს „უტევდა“ და მისი გამომწვევი მიზეზები „მიღმა“ რჩებოდა. ახლანდელი მიდგომით კი, ექიმები სწორედ დაავადების მაპროვოცირებელ, გამომწვევ ფაქტორებს „ებრძვიან“.

**დიეტა** — დღესდღეობით დიეტის დაცვას მკურნალობაში უწინდებურად დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება.

**გამოსავალი** — ძირითადად კეთილსაიმედოა, თუმცაღა ზოგჯერ საჭირო ხდება ხოლმე მკურნალობის ერთი სქემის მეორეთი შეცვლა. მაგრამ, როგორც წესი, შედეგი მისაღწევია. მკურნალობა ნაკლებსაიმედოა წყლულის გართულებების შემთხვევაში. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია ამ გართულებების პროფილაქტიკა და ამ გზით ქირურგიული ჩარევის საჭიროების თავიდან აცილება. ამისათვის კი საკუთარი ჯანმრთელობით უფრო მეტად დაინტერესება და საეჭვო შემთხვევაში კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაციის ჩატარებაა მიზანშეწონილი.

*მაია მუხიგული*

# ბუნებრივი საშუალება გასახდომად



ძველთაგანვე ჭარბი წონის მოსაცილებელ საუკეთესო საშუალებად აღიარებული იყო კომბოსტო. საქმე ის არის, რომ ეს ბოსტნეული, გარდა ვიტამინებისა, მდიდარია ისეთი ბიოაქტიური ნივთიერებებით, რომლებიც ცხიმის წვას იწვევს. გასახდომად ყველაზე ეფექტურია მოხარშული კომბოსტო, უფრო სწორად მისი ნახარში. მას გამოაქვს ტოქსინები, წმენდს თირკმლებს, კურნავს გასტრიტს, აწესრიგებს კუჭის მოქმედებასა და ნივთიერებათა ცვლას, არბილებს კანს და აახალგაზრდავებს.

თუ სწრაფად გსურთ გახდომა, თანაც ჯანმრთელობის შეურყევლად, ყოველდღიურად დალიეთ სამი ჩაის ჭიქა კომბოსტოს ნახარში, ჭამის შემდეგ (უმჯობესია, თუ ჭამის დროს დალევთ), ბუნებრივია, ნახარში მარილით, ცხიმით ან სანელებლით არ უნდა შეაზავოთ. ნახარში აუცილებლად ახალმომზადებული უნდა იყოს, თბილი, რადგანაც გაცივებული მარგებელი აღარ არის.

აიღეთ 300 გ წვრილად დაჭრილი კომბოსტო და დაასხით 1,5 ლ წყალი. ხარშეთ 15 წთ, შეაგრილეთ და მაშინვე დალიეთ.

მორალურად მოემზადეთ შარდმდენი მოქმედებისათვის. თუ რადიკალურად ხართ განწყობილი და გადაწყვეტილი გაქვთ გახდომა, დღის განმავლობაში სვით ნახარში, ოღონდ სხვა საჭმელს არ გაეკაროთ. თუ ძალზე გაგიჭირდათ, შეგიძლიათ ცოტაოდენი გახეხილი სტაფილო მიირთვათ — კომბოსტოს სტაფილო კალორიულობით არ ჩამოუვარდება — სულ 28 კალ 100 გ-ზე.

ერთი კვირის შემდეგ საგრძნობლად მოიკლებთ წონაში, წნევა დაბლა დაიწევს, რაც ძალზე არგებთ ჰიპერტონიკებს. ჰიპერტონიკებმა ამ დიეტის დროს თვალყური უნდა ადევნონ პულსს.

თუ მაქსიმალისტი არ ბრძანდებით და ნელი ტემპით გახდომას ამჯობინებთ, კომბოსტოს ნახარშზე დამზადებული წვნიანი და რაგუ მიირთვით. ნუ ივახშმებთ საღამოს 7 საათის შემდეგ. ძილის წინ ერთი ჭიქა უმარილო კომბოსტოს ნახარში დალიეთ.

*ზდოროვიე №2*

# თუკი ხველამ შეგაწუხათ...

ხველა სასუნთქი სისტემის გაღიზიანების, ზოგჯერ კი მიმდინარე ინფექციური პროცესის ერთ-ერთი გამოვლინებაა. გამოყოფენ მშრალ ხველას (რომელსაც ნახველის გამოყოფა არ სდევს თან) და პროდუქტიულს, როდესაც სასუნთქი გზებიდან სეკრეტი (წარმოიქმნება) გამოიდევნება.

ხშირად მშრალი ხველა შემაწუხებელ ხასიათს იღებს. ეს მაშინ, როდესაც ფილტვების ალვეოლებში (ბუშტუკები, სადაც გაზთა ცვლა მიმდინარეობს) პათოლოგიური სითხეა დაგუბებული და მისი ევაკუაცია შეფერხებულია. ამ დროს, ჩვეულებრივ, ნახველის გამათხიერებელი პრეპარატები უნდა მიიღოთ. დღეს მათ სიმცირეს სულაც არ ვუჩივით, მაგრამ არც ტრადიციული, ეფექტური საშუალებების მივიწყებაა მიზანშეწონილი. მით უმეტეს, რომ ისინი უფრო ხელმისაწვდომი და მისაღებია. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.

აიღეთ 4 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი და კანიანად ზედმიწევნით კარგად გარეცხეთ. შემდეგ ემალის ქვაბში მოათავსეთ და ზედ წყალი დაასხით. კარტოფილი დიდხანს უნდა იხარშოს (ჩაშლამდე), თანაც ჭურჭელში დარჩენილი წყალი კარტოფილს უნდა ფარავდეს. ამის შემდეგ ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგით და ორთქლით ინჰალაცია ჩაიტარეთ. კარტოფილი ამოიღეთ (შეგიძლიათ მიირთვათ), ხოლო დარჩენილი სითხე ღვინის ჭიქის ოდენობით დღეში 3-ჯერ მიირთვით (სასურველია 3-4-ჯერ დღის განმავლობაში).

ამ რეცეპტის ეფექტურობაში თავადვე დარწმუნდებით.

# სიმპათიური ფეხმძიმობა

კანადელი მეცნიერების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მეუღლეების ფეხმძიმობის დროს მამაკაცების ორგანიზმი ფიზიოლოგიურ ცვლილებებს განიცდის. ათასზე მეტი წყვილის გამოკვლევებით დაადგინეს, რომ მამაკაცებს ისევე იზიდავთ მჟავეულობა, იმატებენ წონაში, ადვილად იღლებიან და ეცვლებათ დამოკიდებულება საკვებისადმი — როგორც მათ მეუღლეებს. სენტ-ჯონსის უნივერსიტეტის გამოკვლევებით ჩანს, რომ მომავალ მამებში მიმდინარეობს ჰორმონალური ცვლილებები და ნაწილობრივ, ეცემა ტესტოსტერონის დონე.

ამას ეწოდება „სიმპათიური ფეხმძიმობა“, — ამბობს მეცნიერი ენი სტორნი.

ამ პროცესის წყალობით მამაკაცი ემზადება გახდეს მამა.

*მეგაპოლის-ექსპრესი №10*

# კალენდარი დამტკიცდა

## პირველ საშინაო შეხვედრას ჩვენი ნაკრები ერთი წლის შემდეგ გამართავს

მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ევროპის ზონის მერვე ჯგუფში ითამაშებს, სადაც ჩვენთან ერთად იტალიის, რუმინეთის, უნგრეთისა და ლიტვის ნაკრებები იასპარეზებენ. როგორც იქნა, საშველი დაადგა ჩვენი ჯგუფის კალენდრის შედგენას. მერვე ჯგუფის წარმომადგენლებმა ევროპელთაგან უკანასკნელებმა წარადგინეს ფიფაში მატჩების ჩატარების განრიგი. მოლაპარაკებაზე საქართველოს მხარეს ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია წარმოადგენდა და შინ დაბრუნებულმა გვახარა, „კარგი კალენდარი" ჩამოვიტანეო. რამ მოხიბლა ბატონი ვალერი და რა მხრივ არის კარგი ეს კალენდარი, გენერალურ მდივანს არ დაუკონკრეტებია. ფინანსური თვალსაზრისით იგი შეიძლება მართლაც მომგებიანი იყოს, თუმცა, გულშემატკივარს ეს ნაკლებად აინტერესებს. ფაქტი ერთია, საქართველოს ნაკრებს ჯგუფში მაღალი ადგილის დაკავება სურს, ამ მიზნის მისაღწევად კი უარესი კალენდრის წარმოდგენაც კი ძნელია. თავდაპირველად თავად მატჩების განრიგს გაგაცნობთ:

კრებთან, — თანაც გაზაფხულზე, ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის დასრულებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ. დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდება იმას, რომ რუმინეთთან ევროპის პირველობის დასრულებისთანავე სჯობდა შეხვედრა. ევრო-2000-ის შემდეგ გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ტოვებს, ერთ წელიწადში კი ახალი ნაკრების ჩამოყალიბებასაც მოასწრებენ და თუ შინ მოგვიგეს, კორეა-იაპონიასთან ხელის დაქნევა მოგვიწევს. წავიწიოთ წინ — მომდევნო მატჩში ჩვენები იტალიას უმასპინძლებენ. შედეგის წინასწარ პროგნოზირება ძნელია. თუმცა თუ



| 2/3 სექტემბერი. 2000 | 2 ივნისი. 2001 |
|---|---|
| რუმინეთი-ლიტვა | რუმინეთი-უნგრეთი |
| უნგრეთი-იტალია | საქართველო-იტალია |
| 7 ოქტომბერი. 2000 | 6 ივნისი. 2001 |
| ლიტვა-საქართველო | ლიტვა-რუმინეთი |
| იტალია-რუმინეთი | უნგრეთი-საქართველო |
| 11 ოქტომბერი. 2000 | 1 სექტემბერი. 2001 |
| ლიტვა-უნგრეთი | საქართველო-უნგრეთი |
| იტალია-რუმინეთი | ლიტვა-იტალია |
| 24 მარტი. 2001 | 5 სექტემბერი. 2001 |
| უნგრეთი-ლიტვა | უნგრეთი-რუმინეთი |
| რუმინეთი-იტალია | საქართველო-ლიტვა |
| 28 მარტი. 2001 | 6 ოქტომბერი. 2001 |
| საქართველო-რუმინეთი | იტალია-უნგრეთი |
| იტალია-ლიტვა | რუმინეთი-საქართველო |

ყველაფერი კარგად იქნა და აპენინელებს შინ ქულა მაინც წავართვით (უკეთეს შემთხვევაში), ტრავმებსა და წითელ-ყვითელ ბარათებს რომ თავი დავანებოთ, თამაში უდიდეს ენერგიას წაიღებს. შეძლებენ კი ჩვენები ამ ენერგიის აღდგენას სამიოდე დღეში, შემდეგ რომ უნგრეთს სტუმრად მოუგონ? — საეჭვოა. არადა, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშზე მეოცნებე გუნდს უნგრეთთან წაგების უფლება არა აქვს. ყოველივე ამის „დაგვირგვინებაა" ბოლო მატჩი სტუმრად რუმინეთის ნაკრებთან. საერთოდ რუმინელები რატომღაც ჩვენს მთავარ მეტოქედ მიიჩნევიან, ვინაიდან იტალიის ჯგუფიდან გავარდნა არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება და როგორც არ უნდა მოხდეს, მსოფლიო ჩემპიონატი იტალიის ნაკრების გარეშე არ ჩაივლის. ჩავთვალოთ, რომ ჩვენებმა შეძლეს და უკან ჩამოიტოვეს უნგრეთიც, ლიტვაც და ჯგუფში მეორე ადგილის ბედს უკანასკნელი მატჩი წყვეტს, როგორ ფიქრობთ, ის გუნდია რუმინეთის ნაკრები, კორეა-იაპონიის საგზური შინიდან ჩვენ რომ გამოგვატანოს? — არ არის ის გუნდი. ყოველივეს გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური სტადიის საგზურის მოპოვების შანსი მიზერულზე მიზერულია და დაახლოებით ალბათ 2-3%-ის ტოლია. იტალიას რომ თავი დავანებოთ, რუმინეთი ტრადიციულად ძლიერად თამაშობს შესარჩევ ტურნირებში და ისიც საკითხავია, ვაჯობებთ თუ არა ორი მატჩის ჯამში უნგრელებს. ასე რომ, თავის მოტყუებას აზრი არა აქვს. თუ სასწაული მოხდა და მსოფლიო ჩემპიონატზე გავედით, ხომ კარგი, თუ არა და წელს კარგი გუნდის ჩამოყალიბებაც არ უნდა იყოს ურიგო შედეგი, კარგი გუნდის გარეშე კი მაღალი მიზნებისათვის ბრძოლა წარმოუდგენელია.

თავიდანვე თვალში საცემია ის, რომ საქართველოს ნაკრები ტურნირის პირველ შეხვედრასაც სტუმრად ატარებს და უკანასკნელსაც. თანაც კალენდარი ისეა შედგენილი, წელს შინ ერთი მატჩის ხილვაც არ მოგვიწევს და მწვრთნელთა დუეტის ნამოღვაწარის შეფასებას მომავალი წლის მარტის ბოლომდე ვერ შევძლებთ. რატომ არის ცუდი პირველი მატჩის სტუმრად გამართვა და ისიც ლიტვაში? ლიტველები „ჩვენს მსგავსად" „მაღალ მიზნებს" არ ისახავენ და მათი მიზანი მთელ ტურნირში ერთი ან ორი მატჩის მოგებაა. ვის უნდა მოუგოს ლიტვამ და ისიც შინ, თუ არა ჩვენ? ჩვენ თუ ბალტიისპირელები ჯგუფის ყველაზე ხელწამოსაკრავ მეტოქედ გვეჩვენება, ანალოგიურად ფიქრობენ ისინიც ჩვენზე. ასე რომ, ლიტვაში დიდი ბრძოლა იქნება, ღმერთმა ნუ ქნას და თუ ის მატჩი წავაგეთ, ოთხი დღის შემდეგ ტურისტების რანგში ვეწვევით იტალიას და ორი ტურის შემდეგ მყარად გავამაგრებთ ჩვენთვის ჩვეულ აუტსაიდერის პოზიციას. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, იტალიასთან გასვლით მატჩში აქედანვე განწირულ საქართველოს ნაკრებს, უცილობელი სამი ქულა სჭირდება ლიტვაში. პირველ საშინაო მატჩს საქართველოს ნაკრები მესამე ტურში გამართავს ჯგუფის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან — რუმინეთის ნა-

# „დინამოს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს

თბილისის „დინამოს" საფეხბურთო გუნდის დირექტორთა საბჭომ კლუბის ახალ პრეზიდენტად დაამტკიცა გუნდის დირექტორატის წევრი, 40 წლის მერაბ რატიანი. შეგახსენებთ, რომ საქართველოს უძლიერესი კლუბის პრეზიდენტის პოსტი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც 1998 წლის ოქტომბერში, „დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა. ჟორდანიას შემდეგ, კლუბის პრეზიდენტის მოვალეობას დროებით ასრულებდა „დინამოს" დირექტორატის წევრი რომან შოთაძე.

# ამერიკის შემდეგ არაბეთის ემირატებში?




ნიუ-იორკში უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია იქაური საფეხბურთო კლუბის „ნიუ იორკ მეტროსტარზის" ახალწვეულის, ლოთარ მათეუსის პრეზენტაციამ. მოვლენას, ასობით თაყვანისმცემლის გარდა, 75 ჟურნალისტი დაესწრო. დებიუტი გერმანელი ვეტერანისა, რომელსაც 21 მარტს 39 წელი უსრულდება, ნიუ-იორკის „ჯაინეთსის" სტადიონზე გაიმართება 1 აპრილს. პრეზენტაციაზე მათეუსმა განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, „მეტროსტარზთან" ერთწლიანი კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელოს. ვეტერანმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ შესაძლებელია რამდენიმე თვით არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში მოსინჯოს ძალები, შემდეგ კი მიუნხენის „ბაიერნს" დაუბრუნდება და გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს. შეგახსენებთ, რომ სამიოდე კვირის წინ მათეუსმა ამერიკული ოდისეის შემდეგ, მოთამაშის რანგში ბუნდესლიგაში დაბრუნების შესახებ განაცხადა, თუმცა ახალი კლუბის პრეზენტაციაზე, ამის შესახებ აღარაფერი უთქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის გამო, მათეუსს ამერიკის ჩემპიონატში რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩის გამოტოვება მოუწევს, „მეტროსტარზის" მწვრთნელმა იგი მაინც გუნდის კაპიტნად დანიშნა და განაცხადა, რომ გუნდში ისეთი ფეხბურთელის ყოლა, როგორიც მათეუსია, ნიუ-იორკელებს ნებისმიერ გუნდთან უდიდეს ფსიქოლოგიურ უპირატესობას მიანიჭებს და „მეტროსტარზი" მხოლოდ ჩემპიონობისათვის იბრძოლებს.

# NBA-ში ახალი სკანდალი მწიფდება

მაიკლ ჯორდანის დიდი კალათბურთიდან წასვლამ აუნაზღაურებელი ზარალი და უდიდესი დარტყმა მიაყენა კალათბურთის ნაციონალურ ლიგას. ამას დაემატა შარშანდელი ლოკაუტიც და შედეგი სახეზეა: მატჩებზე მაყურებელთა დასწრება კატასტროფულად კლებულობს. მთავარი კი ის არის, რომ მკვეთრად დაეცა ტელერეიტინგები. დღეს უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის, რომ სპორტის ამა თუ იმ სახეობის აღორძინება ტელეკომპანიებთან გაფორმებულ სუპერკონტრაქტებზეა დამოკიდებული. ამერიკელ მაყურებელს კი კალათბურთი ისე აღარ აინტერესებს, როგორც 2-3 წლის წინ. NBA-ს ხელმძღვანელობამ კრიზისიდან თავის დაღწევის მეტად ორიგინალური ხერხი მოიგონა: ლიგის შეფებმა გადაწყვიტეს, მაქსიმალურად მიიზიდონ ტელეაუდიტორია, ამისათვის კი გუნდების მწვრთნელები დაავალდებულეს მატჩებს უხელმძღვანელონ... მიკროფონების საშუალებით, რათა თამაშის დროს მწვრთნელის მიერ ნათქვამმა ყოველმა სიტყვამ ტელემაყურებლებამდე მიაღწიოს. გუნდების მწვრთნელებმა ამ გადაწყვეტილებას „იდიოტობა" უწოდეს და ძნელია არ დაეთახმო მათ. რაღა აზრი ექნება წუთშესვენებას, თუკი მწვრთნელმა საქვეყნოდ ილაპარაკა „შენ ასე მოიქეცი და შენ — ისეო". გარდა იმისა, რომ მწვრთნელთა ყველა საიდუმლოს ფარდა აეხდება, არცთუ იშვიათია




შემთხვევები, როდესაც გუნდების ხელმძღვანელები საკმაოდ უხეში სიტყვებითა და ლანძღვა-გინებით ამკობენ მსაჯებსა თუ მოთამაშეებს. რამდენად უპრიანი იქნება „უზრდელი მწვრთნელების" საქვეყნოდ გამოჭენება? NBA-ს ხელმძღვანელობამ მიკროფონის გამოუყენლობისათვის მწვრთნელებს ჯარიმა დააკისრა, თანაც არც მეტი, არც ნაკლები — 100.000$! რამდენიმე გუნდის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ურჩევნია საკუთარი ჯიბიდან გადაიხადოს აღნიშნული თანხა, ვიდრე პოპ-ვარსკვლავივით მიკროფონომარჯვებულმა უხელმძღვანელოს თამაშს. ამასობაში ლიგის შეფობამ ფანტაზია უფრო გაშალა და ახალი გადაწყვეტილება მიიღო — 1 აპრილიდან გასახდელებში დამონტაჟდება სპეციალური ტელეკამერები, რათა მაყურებელს საშუალება მიეცეს, შესვენების დროსაც არ მოაცილოს თვალი კალათბურთელებს. ამას კი დიდი უკურეაქცია მოჰყვა თავად კალათბურთელთაგან. მწვრთნელების და კალათბურთელების აჯანყება კი შესაძლოა, ლიგის ხელმძღვანელობას ახალი ლოკაუტის ფასად დაუჯდეს.

# მსაჯებს კომპიუტერის შესწავლა მოუწევთ

ინგლისელ საფეხბურთო არბიტრებს უახლოეს მომავალში კომპიუტერთან მუშაობის შესწავლა მოუწევთ, რათა სპეციალური პროგრამების საშუალებით, მონიტორზე ყურადღებით დააკვირდნენ მატჩის მსვლელობისას მომხდარ სხვადასხვა დარღვევებს, მათ შორის თამაშგარე მდგომარეობებსაც და შემდეგ სწორი გადაწყვეტილება გამოიტანონ. კომპიუტერის მეშვეობით გააკეთებენ არბიტრები მატჩების ანალიზსაც და ოქმებიც ელექტრონული ფოსტის საშუალებით შედგება. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის პრესსამსახურის უფროსმა სტივ დოულბმა განაცხადა, რომ XXI საუკუნეში უხერხულიც კი გახლავთ, არბიტრის მიერ თამაშის ოქმის შედგენისას, ფანქრისა და ქაღალდის გამოყენება. სავარაუდოა, რომ სიახლე ინგლისის ჩემპიონატში მომავალი სეზონის დაწყებისთანავე დაინერგება.

# «არსენალის» ყველაზე ძვირი «იარაღი»



ნიგერიელმა ფორვარდმა ნვანკო კანუმ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი ინგლისის „არსენალთან" და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის ყველა დროის ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი ოფიციალურად ორიოდე თვის წინ გაფორმებულა, სარეკორდო თანხის შესახებ ინფორმაციამ ინგლისურ პრესაში რამდენიმე დღის წინ გაჟონა. ახალი მოლაპარაკების საფუძველზე, კანუ კვირაში 25.000 ფუნტს (40.000$) მიიღებს. „უაღრესად კმაყოფილი ვარ არა მარტო კონტრაქტის თანხით, არამედ იმითაც, რომ ჩემს საყვარელ კლუბში ვრჩები" — განაცხადა ნიგერიელმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ სერიოზული უთანხმოება ჰქონდა გუნდის მთავარ მწვრთნელთან — არსენ ვენგერთან და ლონდონური კლუბის დატოვებასაც კი აპირებდა.

# «აიაქსი» 100 წლისაა

სულ ცოტა ხნის წინ საუკუნოვანი იუბილე აღნიშნეს „ბარსელონამ" და მიუნხენის „ბაიერნმა". გასულ კვირას კი ევროპული ფეხბურთის კიდევ ერთ გრანდს — ამსტერდამის „აიაქსს" შეუსრულდა დაარსებიდან 100 წელი. 1900 წლის მარტში, რამდენიმე ათეულმა ჰოლანდიელმა ჩამოაყალიბა კლუბი, რომელიც წლების განმავლობაში მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. გუნდის მუზეუმში, რომელიც „აიაქსის" სტადიონის ერთ-ერთი ტრიბუნის ქვეშ მდებარეობს, 50-მდე დიდი ჯილდო ინახება. ჰოლანდიელთა სამწუხაროდ, „აიაქსს" ამჟამად საკმაოდ მძიმე დრო უდგას. კლუბმა უკანასკნელ წლებში ნელ-ნელა დაკარგა წამყვანი პოზიციები და საშუალო ევროპულ გუნდად იქცა, თანაც როგორც „აიაქსის" ხელმძღვანელობა აღნიშნავს, ახლო მომავალში უკეთესი პერსპექტივაც არ სჩანს. ჰოლანდიური კლუბების ფინანსური მდგომარეობა ბევრად უარესია, ვიდრე გერმანიის, ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის გუნდებისა. მაგალითად — ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან „აიაქსი" წელიწადში 1,6 მილიონ დოლარს შოულობს, მაშინ როდესაც პრემიერლიგის საშუალო კლუბების წლიური შემოსავალი ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან 16 მილიონი დოლარია.

# ანელკას „რეალში" მობეზრდა

მადრიდის „რეალის" ყველაზე ძვირადღირებულმა ფეხბურთელმა ნიკოლა ანელკამ, რომელსაც ერთი ხეირიანი შეხვედრაც არ ჩაუტარებია სამეფო კლუბში, განაცხადა, რომ მობეზრდა „რეალში" თამაში და სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრობს. შეგახსენებთ, რომ ვარჯიშის გაცდენისათვის, ამ ცოტა ხნის წინ რჯულგამოცვლილი და ამჯერად უკვე ისლამის მიმდევარი ანელკა, „რეალის" ხელმძღვანელობამ 45 დღიანი დისკვალიფიკაციით და დიდი ფულადი ჯარიმით „დაასაჩუქრა". მოისურვებს თუ არა ესპანური კლუბის ხელმძღვანელობა, ფრანგთან გაფორმებული კონტრაქტის გაწყვეტას, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა ერთი წლის წინანდელთან შედარებით, ანელკას საერთაშორისო რეიტინგი „რეალში" მკვეთრად დაეცა და არცერთ კლუბს არ გამოუთქვამს ფრანგი ფორვარდის შეძენის სურვილი.

# ლენოქს ლუისი ამერიკელთა წინააღმდეგ

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი სუპერმძიმეწონოსანთა შორის, ბრიტანელი მოკრივე ლენოქს ლუისი, უახლოესი ოთხი თვის მანძილზე, ორ ბრძოლას გამართავს. აქამდეც ცნობილი იყო, რომ ლუისი 29 აპრილს ამერიკული კრივის ამომავალ ვარსკვლავს, მაიკლ გრანტს უნდა შეხვედროდა. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ლუისის მომდევნო ბრძოლა 15 ივლისს გაიმართება და მისი მეტოქე კვლავ ამერიკელი მოკრივე — ჯონ რუისი იქნება. მსოფლიოს ჩემპიონი რუისთან მსოფლიო კრივის ასოციაციის ჩემპიონის ტიტულის დაცვას შეეცდება.

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლg3.

თეთრები იწყებენ და აცხადებენ შამათს ორ სვლაში.

ფ. კოვაჩი, 1924 წ.



# თამარის მანდილი



ქიზიყის სოფლები — მირზაანი და ოზაანი ოდესღაც ერთი დიდი დაბა ყოფილა, შემდეგ გაყოფილა. მირზაანს მირტაზანი რქმევია.

ამ ორ ისტორიულ სოფელს ბევრი რამ აქვს საამაყო, უპირველესად ის, რომ მირზაანი არის მშობელი დიდი ნიკო ფიროსმანაშვილისა, ხოლო ოზაანელად რაცხენ X საუკუნის ცნობილ ფრესკისმწერალ მიქაელს, რომელსაც მოუხატავს ამავე სოფლის ამაღლების ტაძარი.

სხვა არაფერი ვიცით ამ დიდებულ ხელოვანზე. თუმცა მისი საოცარი, სინათლით სავსე ფრესკები და კუთხეში მკაფიო ხელით გამოყვანილი სახელი „მიქაელ“ ბევრ ფიქრს აუშლის მეოცნებე მამულიშვილს...

მიქაელს თურმე ტაძრის კედელზე თამარის ფრესკა დაუხატავს. ლეგენდა ამბობს, — თამარის ფრესკას ერთი უცნაურობა სჭირს, ხან გამოჩნდება, ხან დაიკარგება, გასხლტება თვალთაგან, ხანგრძლივად გაუჩინარდება. მისი დანახვა ყველას არ ძალუძს. იდუმალი თამარი რომ იხილოთ, სამი რამ უნდა გწამდეთ: ღმერთი, სიყვარული და სასწაული.

მიქაელის ფრესკებს ბავშვობაშივე მოუხიბლავს ნიკო ფიროსმანაშვილი. საათობით უჭვრეტდა თურმე ოსტატის ნაყალმევს...

თქმულება გვამცნობს:

თამარ მეფე საღამოს პირზე შესულა ამაღლების ტაძარში. მიქაელი ხარაჩოზე მდგარა. ჩაბნელებულ კედელს ანაზდეულად ნათელი რომ მიჰფენია, შემკრთალა მხატვარი. ელდანაცემი ჩამოვარდნილა და მხარი უღრძვია.

თამარი ხომ მკურნალიც იყო, „აქიმ-დედოფალი“. საკუთარი ხელით შეუზელია მალამო მიქაელისთვის, რიდე მოუხსნია და იმით შეუკრავს მხარი.

ამის შემდეგ დაუხატავს ოსტატს იგავმიუწვდომელი თამარი.

იმ დღიდან არც მეფე-ქალის სახსოვარი — სალბუნადქცეული რიდე მოუშორებია.

18 იანვარს თამარის მიცვალება იაზრა თურმე დიდოსტატმა. ძაძით შემოსილა და თავშიშველი გაეშურა თურმე ამაღლებიდან თბილისისკენ.

შეღამებისას მირტაზანს, მცირე ალავერდის ტაძართან ჩაუჩოქია და სული უფლისთვის მიუბარებია კურთხეულს...

წესის აგებისას მღვდელს შეუნიშნავს, — მიცვალებულისთვის ფრთხილად მოუხსნია რიდე ზამთრის სუსხიან ქარს და საკურთხეველზე სასოებით დაუსვენებია. დასწვდა თურმე მოძღვარი რიდეს... უცებ ციური ხმა ჩაესმა, — აიღე და შეეწირეო და შეშინებულს ხელი უშვია. აფრენილა თამარისეული სიწმინდე და გაუჩინარებულა მოკვდავთა თვალთაგან.

მას შემდეგ, საუკუნეში ერთხელ, თამარის აღსრულების დღეს გამოჩნდებოდა ხოლმე მოფრიალე რიდე, დაედევნებოდა ზღვა ხალხი, მიეწეოდა რომელიმე, მაგრამ იდუმალი ჩურჩულის გაგონებაზე უკან იხევდა.

შვიდასი წლის შემდეგაც გამოჩენილა რიდე. ერთხანს უფრენია და ღარიბი გლეხის ეზოში მოთამაშე ბიჭუნას დასვენებია მხარზე...

პატარა ნიკო ფიროსმანაშვილს იდუმალი ხმაც გაუგონია, მაგრამ არ შეშინებია, თავი აუწევია და ბედნიერმა ცას შეჰღიმა თურმე...

***მაია ყალაბეგაშვილი***

# მავზოლეუმი მარსზე

ყველა მტკიცება, „სფინქსის სახე“, რომელიც ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა „ვიკინგმა“ მარსზე გადაიღო, ბუნების თამაშიაო, მტკნარი სიცრუეა. „სფინქსი“ მარსელთა ცივილიზაციამ დაახლოებით 4000 წლის წინ შექმნა. ეს ფაქტი დადასტურებულია, თუმცა აშშ-ის მთავრობა ამას არ ახმაურებს.

„სფინქსის სახე“ დაახლოებით 1,5კმ-ს მოიცავს. იგი მანამდე გამოკვეთეს, სანამ ძველეგვიპტელები პირამიდების აგებას დაიწყებდნენ (ცნობილი ხეოპსის პირამიდა, რომლის სიმაღლე 145 მ-ია, „სფინქსთან“ შედარებით ერთი ციცქნაა).

„სფინქსის“ ფოტოების საგანგებო დამუშავებამ კიდევ ერთი სენსაციური აღმოჩენის წინაშე დააყენა მკვლევარები — „სფინქსის“ კედლებზე წარწერები დააფიქსირეს. ტექსტის ნაწილი უკვე გაშიფრულია. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ სფინქსში გამოკვეთილია ძველმარსელების მთავარსარდალი, სახელად ქსოანტესი. გარდა ამისა, ნასას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სფინქსი არა მარტო სკულპტურა, არამედ მავზოლეუმიცაა, სადაც ქსოანტესისა და მისი მემკვიდრეების ნეშტები განისვენებს.

სფინქსის სახის შესასწავლად 1997 წელს ამერიკამ მარსზე კოსმოსური აპარატი „პეტფაინდერი“ („კვალისმაძიებელი“) გააგზავნა. „პეტფაინდერს“ მავზოლეუმში შესასვლელი უნდა მოენახა, წარუმატებლობის შემთხვევაში კედელში ნახვრეტი უნდა გამოებურღა, კედლებზე აღბეჭდილი გამოსახულებები თუ წარწერები, მარსელების ნეშტები გადაეღო და დედამიწისთვის მიეწოდებინა. „პეტფაინდერის“ ექსპედიციის შედეგები დღემდე გასაიდუმლოებულია.

მაშ, რა დასკვნა გავაკეთოთ — არის თუ არა მარსზე სიცოცხლე? ახლა ამ პლანეტის ზედაპირი უნაყოფო ქვიან უდაბნოს წარმოადგენს. ატმოსფერო 160-ჯერ უფრო მკვრივია,



ვიდრე დედამიწისა (იგი, ძირითადად, ნახშირმჟავას გაზისგან შედგება). მიუხედავად ამისა, დადასტურებულია, რომ არცთუ დიდი ხნის წინ „წითელ პლანეტაზე“ ჰაერიც და წყალიც საკმაო იყო.

ინგლისელი მეცნიერები დ. მაიერსი და დ. პერი ვარაუდობენ, რომ მარსელებმა, რომელთაც მაღალგანვითარებული ცივილიზაცია შექმნეს, გამოითვალეს მისი დაცემის დრო. გარკვეულმა ჯგუფებმა სცადეს თავი გადაერჩინათ კოსმოსური ხომალდებით და დედამიწაზე გადმოსხდნენ. აქ ძველეგვიპტელებს პირამიდების აგება ასწავლეს. სფინქსების სტატუები, რომლებიც ეგვიპტის მფარველ სულებს განასახიერებენ, მარსელი ქსოანტესის პატივსაცემად აიგო, თანაც მარსელების უშუალო ხელმძღვანელობით.

***სკანდალი №3***

# ქალღმერთ კალის საშინელი მსახურები

ტუგების სექტა ინდოეთში რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებობდა. ევროპელებმა მის შესახებ 1810 წელს შეიტყვეს. სექტანტები ერთმანეთს ფანსიგარებს უწოდებენ, რაც „მარყუჟის ადამიანებს“ ნიშნავს. ისინი ეთაყვანებიან ქალღმერთ კალის და მსხვერპლად ადამიანს სწირავენ.

ინდური ლეგენდის მიხედვით, კალი შივას მესამე თვალიდან დაიბადა, უკვე ზრდასრული. მიიჩნევენ, რომ იგი ბოროტ სულებს ასახიერებს, ადამიანის სისხლის დანახვით ტკბება, შეუძლია ადამიანებს ჭირი, ქარიშხლები მოუვლინოს და საერთოდ, ადამიანთა მოდგმის განადგურებას ესწრაფვის.



ბოროტების ქალღმერთს აქვს თავისი ტაძარი, სადაც მსხვერპლად მამლებს და მოზვრებს სწირავენ, მაგრამ ქალღმერთის ნამდვილ ქურუმებად — „სიკვდილის შვილები“ მიიჩნევიან, რომლებიც ქალღმერთს სისხლის წყურვილს უკლავენ.

ტუგებს სჯერათ, რომ უხსოვარ დროში კალიმ ადამიანთა მოდგმის განადგურება მოინდომა და გადაწყვეტილების აღსასრულებლად ტუგები გაგზავნა, რომელთაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლეს. საქმეში ვიშნუ ჩაერია და ტუგების მიერ დაღვრილი სისხლის თითოეული წვეთი ადამიანად აქცია. მაშინ კალიმ ხერხს მიმართა — თიხისგან ადამიანის ფიგურა გამოძერწა და მსახურებს აჩვენა, როგორ მოეშთოთ უსისხლოდ ადამიანები. სამაგიეროდ, დაჰპირდა, გვამებს ვერავინ ნახავს, თავად გადავმალავ საიმედო ადგილასო. კალიმ სიტყვა შეასრულა, მაგრამ ერთ დღეს ერთ-ერთმა ტუგმა მოინდომა, შეეტყო, რას უშვრებოდა ქალღმერთი დახოცილებს. კალიმ ცნობისმოყვარე დასაჯა: ტუგებს აღარ მფარველობდა და თავის ბრძანებებს მხოლოდ საგანგებო ნიშნებით ატყობინებდა. ეს რაც შეეხება ლეგენდას...

ტუგების სექტაში შესასვლელად მსურველი ხანგრძლივ და მკაცრ გამოცდას გადის. ფიცს დებს, რომ საიდუმლოდ შეინახავს ნანახ-ნამოქმედარს და დაუღალავად ამოწყვეტს ადამიანთა მოდგმას.

ტუგებს თავიანთი წმინდანებიც ჰყავთ — ყველაზე ცნობილები არიან ტორა და კუდული. სიკვდილმისჯილი სექტანტები სისხლისმსმელ ქალღმერთს სიამოვნებით ეწირებიან მსხვერპლად.

ტუგების სექტა ევროპაში პირველად ინგლისში აღმოაჩინეს და გადამწყვეტი ზომები მიიღეს მის გასანადგურებლად. სექტის წევრთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი თავზარს სცემდა თანამედროვეთ. 1825 წელს დააპატიმრეს ტუგი, რომელსაც 600 ადამიანი ჰყავდა მოშთობილი, ხოლო ერთ 80 წლის მოხუცს — 999, თანაც განაცხადა: რიცხვი იმიტომ არ დავამრგვალე, რომ ეს ჩვენს სექტაში უტაქტობად მიიჩნევაო.

მიუხედავად დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების ძალისხმევისა, სექტა მთლიანად ვერ გაანადგურეს. მან თავი ევროპელებს მე-20 საუკუნის დასაწყისშიც შეახსენა. უეჭველია, ამ სექტას ახლაც ეყოლება ევროპაში მიმდევრები.

***კალეიდოსკოპი №9***

# სული ვარჯიშობს



1993 წელს, ის იყო გათავისუფლდა ნიუ-იორკის გამოსასწორებელი კოლონიიდან, რომ კლაიდ მაჯეტმა გადაწყვიტა გაექურდა ბრონქსში ორსართულიანი ხორცკომბინატი. კვირა დილით კლაიდი ავიდა ხორცკომბინატის სახურავზე და თოკით ჩაეშვა კვამლსადენში. დამნაშავე ვარაუდობდა, რომ შახტის გასასვლელით შეაღწევდა შენობაში, მაგრამ მოტყუვდა: კვამლსადენი თოკზე მოკლე ყოფილა და კლაიდი აღმოჩნდა შებოლილი კედლების ქვის ტომარაში, კვამლსადენი მიერთებული იყო ცენტრალურ საქვაბესთან და რამდენიმე წუთში ქურდი გაიგუდა.

მხოლოდ სამი დღის შემდეგ დაურეკა კლაიდის მეგობარმა შენობის მეპატრონეს — შეემოწმებინა საკვამლე მილი. სახანძრო რაზმმა მილიდან ამოიღო მუმიადქცეული კლაიდი.

1998 წელს ხორცკომბინატი პროფესიონალ მოკრივეთა მოსამზადებელ ცენტრად გადაკეთდა. დღისით სპორტსმენები ვარჯიშობენ. ბოლო ხანებში ცენტრის პატრონს ჯიმ გლენსის ესმის, რომ ღამით დარბაზში ვიღაც ვარჯიშობს, შემოწმებისას კი იქ არავინ ხვდება. დარბაზის მეპატრონემ შეაგროვა ცნობები კლაიდის შესახებ, აღმოჩნდა, რომ თავის დროზე, ის წარმატებით გამოდიოდა შეჯიბრებებზე და ორჯერ გახდა კიდეც შტატების ჩემპიონი. მოკრივეები ფიქრობენ, რომ ახლა კლაიდის სული ვარჯიშობს.

***ნლო №7***

ტესტი

# ექსტრავერტი თუ ინტრავერტი?

**ტიპური ექსტრავერტი — გულღია, გარესამყაროზე ორიენტირებული პიროვნებაა, ჰყავს მეგობართა დიდი წრე, იმპულსური, მგრძნობიარე, უდარდელი და ოპტიმისტურია. ამჯობინებს მოქმედებას და მოძრაობას. აქვს ტენდენცია, იყოს აგრესიული. გრძნობებსა და ემოციებს არ აკონტროლებს, მიმართულია რისკიანი საქციელისაკენ, ყოველთვის ვერ დაეყრდნობით.**

**ტიპური ინტრავერტი — მშვიდი, მორიდებული, თავშეკავებული ადამიანია. მიისწრაფვის თვითანალიზისაკენ და იხსნება მხოლოდ ძალიან ახლო მეგობრებთან. სერიოზულად უფიქრდება გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. მოწესრიგებულია, აკონტროლებს საკუთარ გრძნობებს. ძნელია მისი მდგომარეობიდან გამოყვანა. შეიმჩნევა პესიმისტური ტენდენციები, აფასებს ზნეობრივ ნორმებს.**

**თუ გსურთ გაიგოთ, რომელ ტიპს მიეკუთვნებით, უპასუხეთ წინამდებარე ტესტის შეკითხვებს:**

**1. ახალ ნაცნობებთან საუბარი თუ გიყვართ?**
ა. არა
ბ. დიახ
გ. ვერიდები ახალი ნაცნობების შეძენას

**2. ხუმრობა თუ გიყვართ?**
ა. დიახ
ბ. არა
გ. არ ვიცი არანაირი სასაცილო ამბავი

**3. მარტოობისას თუ გიყვართ მუსიკალურ ჩანაწერებთან ერთად სიმღერა?**
ა. არა
ბ. დიახ
გ. ხანდახან

**4. მეგობარი გთავაზობთ კარაოკეს მოწყობას, თქვენი პასუხია:**
ა. ეს შესანიშნავი აზრია!
ბ. არავითარ შემთხვევაში!
გ. ეს რაღა არის?

**5. სიმარტოვე გიყვართ?**
ა. დიახ
ბ. არა
გ. ხანდახან

**6. წარმოიდგინეთ, რომ უცხო ქალაქში დაიკარგეთ, როგორია თქვენი რეაქცია?**
ა. საერთოდ, არ მიყვარს უცხოსთვის გზის ჩვენების თხოვნა
ბ. ვეკითხები გამვლელებს, ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს
გ. რუკაში ჩახედვა მირჩევნია

**7. როგორ იცინით?**
ა. ჩუმად
ბ. ხმამაღლა
გ. ძალიან იშვიათად ვიცინი

**8. თუ გიყვართ კაშკაშა ფერის ტანსაცმლის ტარება?**
ა. დიახ
ბ. თუკი უგემოვნო არ არის
გ. არა

**9. თქვენ სტუმრად იმყოფებით, მასპინძელი გთავაზობთ რაიმე იუმორისტული შეჯიბრის მოწყობას ან კარტის თამაშს.**
ა. ორივე აზრი მომწონს
ბ. მხოლოდ კარტი
გ. არც ერთი

**10. თუ ხედავთ, რომ წვეულებაზე ვიღაცას სახე აქვს დასერილი, როგორ ფიქრობთ, ეტყვით ამის შესახებ?**
ა. დიახ
ბ. არა
გ. შესაძლოა

**11. ყურადღების ცენტრში ყოფნა თუ გიყვართ?**
ა. ხანდახან
ბ. ჩვეულებრივ ყოველთვის
გ. არასოდეს

**თითოეული პასუხისთვის მოცემული მაჩვენებლების მიხედვით დაითვალეთ ქულები:**

| | ა | ბ | გ |
|---|---|---|---|
| 1. | 1 | 3 | 2 |
| 2. | 3 | 1 | 0 |
| 3. | 1 | 3 | — |
| 4. | 3 | 1 | 2 |
| 5. | 1 | 3 | 2 |
| 6. | 1 | 3 | 2 |
| 7. | 2 | 3 | 1 |
| 8. | 3 | 2 | 1 |
| 9. | 3 | 2 | 1 |
| 10. | 3 | 1 | 2 |
| 11. | 2 | 3 | 1 |

**10–17 ქულამდე:** ცხოვრება მშვენიერია! ეცადეთ, ამაზე უფრო ხშირად დაფიქრდეთ, გაიხსენით და გრძნობები უფრო თამამად გამოამჟღავნეთ. არ ღირს იყოთ არც ზედმეტად მორიდებული და არც პესიმისტურად განწყობილი. ბევრ დროს ნუ დაუთმობთ იმაზე ფიქრს, რას იტყვიან სხვები თქვენ შესახებ.

**17–29 ქულა:** თქვენ არც აბსოლუტური ინტრავერტი და არც ექსტრავერტი ხართ. გიყვართ მეგობრებთან დროს ტარება, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტად მორიდებული ხართ.

**29–33 ქულა:** თქვენ ნამდვილი ექსტრავერტი ხართ. გიყვართ სიახლე, შესაძლოა ხანდახან სასურველზე უფრო ხმაურიანიც ბრძანდებით, მაგრამ ნუ იღელვებთ, ამაში ცუდი არაფერია.


ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.
ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69





ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.



ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი; დაგიმონტაჟებთ აივანს.
ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.
☎ 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75

# ᲘᲧᲘᲓᲔᲗ ᲠᲐᲛᲔ!

ამერიკაში უჩვეულო სოციოლოგიური გამოკვლევა ჩაატარეს: ორი წლის მანძილზე 260 ამერიკელი სპეციალურ რვეულში იწერდა მაღაზიებში ყოველდღიური ვოიაჟის შედეგებს — რა იყიდა, რამდენი დრო მოანდომა საყიდლებს, რამდენი დახარჯა და როდის. ცდის დაწყების წინ და შემდგომაც მყიდველებს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდათ.

ცდის შედეგებმა ცხადყო, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ბავშვობიდანვე აქვთ შესისხლხორცებული საყიდლებზე სიარული.

ის, ვინც საყიდლებზე სიარულს კვირაში საშუალოდ 17 და მეტ საათს ანდომებდა და 200 დოლარს ხარჯავდა, უფრო ჯანმრთელი, ენერგიული და გარეგნულად მომხიბლავი იყო. მათ ნაკლები ნაოჭები, სხივიანი თვალები, სუფთა პირის კანი და ჯანსაღი ფერი ჰქონდათ.

ისინი, ვინც თავისთვის ტანსაცმელს, კოსმეტიკას, ფეხსაცმელს ყიდულობდნენ, დიდი ოპტიმიზმით უყურებდნენ მომავალს, ვიდრე ისინი, ვინც სამზარეულო ან საერთოდ, საოჯახო ნივთებს იძენდნენ.

აქტიური მყიდველები უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებიან, ვიდრე თანატოლი პასიური მყიდველები და უფრო თავდაჯერებულებიც არიან.

სოციოლოგები ურჩევენ ქალებს, ხშირად ესტუმრონ მაღაზიებს, მაგრამ ამას დიდ დროს ნუ მოანდომებენ. მაგ. თუ ქალბატონი საყიდლებს კვირაში 21 საათს ახმარს, მაშინ სჯობს მაღაზიაში 7-ჯერ წავიდეს, 3-3 საათით, ვიდრე სამჯერ 7-7 საათით.

შვედ და ამერიკელ სოციოლოგებს ერთი აზრი აქვთ: პირადი საყიდლები ქალებზე დადებითად მოქმედებს, სიბერის წინააღმდეგ დროებით იმუნიტეტს უმუშავებს.

*ჟენსკიე დელა №8*



# ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ

ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა შოუბიზნესის იმ ვარსკვლავთა ნუსხა, რომლებმაც 1999 წელს რეკორდული შემოსავალი მიიღეს. ჟურნალი ყოველწლიურად აქვეყნებს ამგვარ ინფორმაციას. მაგრამ ამჟამინდელი გამარჯვებულის, სქელჯიბიანი ამერიკელის წლიურმა შემოსავალმა მართლაც გააოცა „ფორბსის“ ჟურნალისტები. „ფორბსმა“ მას „რეკორდსმენთა შორის რეკორდსმენი“ უწოდა. „ვარსკვლავური ომების“ მხოლოდ გაქირავებისათვის ჯორჯ ლუკასმა 430 მლნ დოლარი მიიღო და „ფორბსის“ სიაში პირველი ადგილი დაიკავა.

მეორე ადგილი ერგო ოპრა უინფრის, რომელსაც რამდენიმე წელია ამერიკის ყველაზე პოპულარულ ტელეარხზე მიჰყავს ქალთა ტოკ-შოუ. მისმა ჰონორარმა 150 მლნ დოლარს მიაღწია. მესამე ადგილი მოიპოვა მოდელიერმა ჯორჯო არმანიმ. შეიძლება ითქვას, რომ იგი თანდათან კარგავს მსოფლიო პოდიუმებზე თავის პოზიციებს. მაგრამ ჰოლივუდის ვარსკვლავები მისკენ მიილტვიან და ისიც საოცარი ტანსაცმლით მოსავს მათ. არმანიმ 135 მლნ დოლარი აიღო. ცნობილ მდიდართა სიაში მოხვდნენ: ტელეპროდიუსერი — დევიდ კელი (118 მლნ), მსახიობი ტომ ჰენქსი (71,5 მლნ), ჯაშუშური რომანების ავტორი — ტომ კლენსი (66 მლნ), „საშინელებათა მეფე“ — სტივენ კინგი (65 მლნ), მოზარდთა საყვარელი მუსიკალური ჯგუფი — Backsteet Boys (60 მლნ), რეჟისორი — სტივენ სპილბერგი (60 მლნ), მსახიობი — ბრიუს უილისი (54,5 მლნ).

„ფორბსი“ ვარსკვლავთა რეიტინგს მხოლოდ ჰონორარების რაოდენობით როდი განსაზღვრავს, არამედ მსოფლიო პრესაში მათი სახელების ხშირი მოხსენიებითაც. მაგალითად, ჯულია რობერთსმა „სულ რაღაც“ 50 მლნ დოლარი მიიღო, მაგრამ ერთდროულად ორ გახმაურებულ ფილმში ითამაშა. ხშირად მოიხსენებენ ჯორჯ ლუკასს და ოპრა უინფრის, სპილბერგსა და ტომ ჰენქსს, ცნობილ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანს, მომღერალსა და მსახიობს — შერის და რუს ჩოგბურთელს — ანა კურნიკოვას.

*სეგოდნია №51*

# ჰილარიმ ხელი შეუწყო მილისა და მონიკას რომანს



თეთრი სახლის სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი ტონი სლოუნი, ჰილარი კლინტონის სენატორის პოსტზე წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნიუ-იორკის ტელევიზიით გამოვიდა და ამტკიცებდა, რომ ჰილარიმ თავად შეუწყო ხელი ბილისა და მონიკას სასიყვარულო ინტრიგას და შემდგომ სკანდალის გაღვივებასაც.

ჰილარიმ ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ ჩრდილიდან გამოსულიყო და ამერიკელების თანაგრძნობა დაემსახურებინა. მან ყველაფერი წინასწარ გათვალა — ემზადებოდა დიდი პოლიტიკისათვის და მაღალ რეიტინგს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, — განაცხადა ტონი სლოუნმა.

*მირ ნოვოსტეი №8*



# ექვსი წლის შეფი

საოცარმა გოგონა-სასწაულმა სამი უცხო ენა 6 თვისამ ისწავლა, 1 წლისამ კი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნა დაიწყო, ახლა 6 წლისაა და კომპიუტერულ კომპანიას უძღვება.

როგორც გერმანელი ფსიქოლოგი გერჰარდ ბრუენი ამბობს, ასეთ ფენომენს თავისი პრაქტიკის მანძილზე პირველად შეხვდა. ბრუენი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერია ბავშვების განვითარების შესწავლის სფეროში. მან 5 გერმანელ სპეციალისტთან ერთად დაიწყო დაკვირვება გოგონაზე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი 6 თვისა იყო. ვიკის მშობლებს კოლეჯი აქვთ დამთავრებული, მათი ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტი საშუალოზე მაღალია. მამა სან-ფრანცისკოში ერთ-ერთი ფირმის ბუღალტერია, დედა — დიასახლისი. დედის, რეპეტიტორებისა და ბრუენის ხელმძღვანელობით ბავშვის განვითარებამ მოლოდინს გადააჭარბა. ახლა ბრუენი და მისი კოლეგები კომპიუტერული კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრები არიან, ვიკის კონსულტაციას უწევენ, იგი კომპანიის შეფია. დაარსების პირველ წელს კომპანიის მიმოქცევამ 100.000 დოლარი შეადგინა. ვიკის ჯერ არც ერთი მცდარი გადაწყვეტილება არ მიუღია...

ვიკის ბედნიერი მშობლები ამბობენ, — მიუხედავად დიდი დატვირთვისა, გოგონას მაინც აქვს დრო სათამაშოდ. იგი ჩვეულებრივი ბავშვია, სეირნობს, ველოსიპედს დააქროლებს და ა.შ. უამრავი ამხანაგი ჰყავს და შესანიშნავად უგებენ ერთმანეთსო.

*ჟენსკიე დელა №3*

# ერთი ნახვით დათრობა!

კოსტარიკელი მარგარიტა დელ კორნოს ერთი ახირებული თვისება მსოფლიოს ყველა მამაკაცს შეშურდებოდა. არცთუ ტყუილუბრალოდ — საკმარისია მარგარიტამ სასმლის ბოთლს შეხედოს, რომ მაშინვე თვრება.

ლოთიაო, ვერავინ იტყვის ქალზე, მაგრამ დღესასწაულებზე ერთ-ორ ჭიქას კი სიამოვნებით გადაჰკრავს. რამდენიმე წლის წინ მარგარიტა ღვიძლმა შეაწუხა — ექიმებმა 50 გ სასმელზე მეტი კატეგორიულად აუკრძალეს. აი, მას შემდეგ დაიწყო საოცრებები. ერთხელ, სასმელების მაღაზიას რომ ჩაუარა, მარგოს ვიტრინამ მოსტაცა თვალი...

— უცებ ვიგრძენი, რომ გავილეშე, — უამბო მოგვიანებით განყოფილებაში მიყვანილმა პოლიციელებს.

სამართალდამცავებმა, რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს. ნასვამობის დამადასტურებელმა ტესტებმა უცნაური ფენომენი დაადასტურა. საკმარისია, ქალბატონმა ნატვრით შეხედოს სასმლის ბოთლს, რომ სისხლში ალკოჰოლი უფიქ-



სირდება. ჭურჭელში რჩება წყალი, ზეთები, შესაფერისი და საგემოვნო ნივთიერებები... მოკლედ, მარგარიტა სუფთა სახით იღებს სასმელს.

ახლა ექიმები ამ უცნაურ ქალბატონს იკვლევენ. უბედურება ის არის, რომ ერთი ნახვით დათრობა მის ჯანმრთელობას ძალიან ვნებს. რა მნიშვნელობა აქვს — გინდ დაულევია, გინდ შეუხედავს, ღვიძლი მაინც ახსენებს თავს...

*სკანდალი №3*



# გვაჩვენეთ ფეხები!

„ქალბატონო, გვაჩვენეთ თქვენი ფეხები!“ — მალე ასეთი თხოვნით მიმართავენ იაპონიის საგზაო პოლიციის თანამშრომლები ქალ-მძღოლებს. ამომავალი მზის ქვეყანაში საგზაო წესებში ეს-ეს არის, შემოვა ახალი პუნქტი, რომლის მიხედვითაც მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებათ საჭეს პლატფორმიანი ფეხსაცმლით მიუსხდნენ.

ნუ გეგონებათ, იაპონელები ჭკუას, ცოტა არ იყოს, მწყრალად ბრძანდებიანო. ისინი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრობენ. საქმე ის გახლავთ, რომ სიდიდით მეორე იაპონურ ქალაქ ოსაკაში საგზაო ავარიების უმეტესობა სწორედ პლატფორმიან ქალბატონებზე მოდის. ასეთი ფეხსაცმლით ქალები ყოველთვის ვერ ახერხებენ დროულ დამუხრუჭებას და ავარიაც გარდაუვალია. ასე რომ, გაუმარჯოს დაბალქუსლიან ფეხსაცმელს!

*კალეიდოსკოპ №9*

# თუ მორცხვი ხართ, იყოლიეთ ძაღლი



თუ თქვენ ძალიან მორცხვი ხართ და არ შეგიძლიათ დაელაპარაკოთ ადამიანს, აუცილებლად უნდა შეიძინოთ ძაღლი, — გვირჩევენ მეცნიერები.

„საზოგადოებაში ქცევის ნორმები ძალიან მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული, რომელიც ზღუდავს უცნობ ადამიანებს — დაელაპარაკონ ერთმანეთს. ძაღლი კი ხსნის სოციალურ დისკომფორტს და წარმოადგენს საუბრის დაწყების იდეალურ წინა პირობას“ — თვლის უორიკსკის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ფსიქოლოგი ჯუნ მაკ-ნიკოლასი. მეცნიერებმა ჩაატარეს მარტივი ექსპერიმენტი: ქალთან, რომელიც 5 დღის განმავლობაში შინიდან ძაღლით გამოდიოდა, გასაუბრება სცადა 65-მა მამაკაცმა, მარტოს კი, მხოლოდ სამი გამოელაპარაკა.

*იტოგი №8*

# გვეინცული ნაყინომანი

***ნაყინს ყველა სხვადასხვანაირად მიირთმევს — ზოგი ფაქიზად ლოკავს, ზოგი კბეჩს, ზოგი კოვზით ჭამას ამჯობინებს, მაგრამ ყველას ერთი რამ აერთიანებს — უსაზღვრო სიამოვნება, რომელსაც არც ასაკი და არც წელიწადის დრო არ ემორჩილება. ჩვენ მსუბუქ ტრანსში ვვარდებით და ვშთანთქავთ ტკბილ, გრილ, სრიალა მასას. გონება კი ამ დროს თითქოს მიძინებულია. ამიტომაც, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მივირთმევთ ნაყინს, შეიძლება ჩვენი ხასიათის გამოცნობა.***

## თუ დაუფიქრებლად ჩააფრინდი კბილებით

პირველი შეხედვით, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ აგრესიული, მტკიცე ხასიათის ადამიანი ხარ და „კბენა“ გიყვარს. სინამდვილეში კი, შეუპოვარი ადამიანის ნიღბის მიღმა იმალება უსაზღვროდ მერყევი ადამიანი. მოკლედ, შენი აგრესიულობა — თავდაცვის ფორმაა.

## თუ მაცდუნებლად ასრიალებ ენას ნაყინზე

მგრძნობიარე და რომანტიკული ხარ, გარესამყაროს მოვლენებს, შთაბეჭდილებებს ფრთხილად ეპყრობი. შენთვის დამახასიათებელია დელიკატურობა, სამაგიეროდ, პრაქტიკულობა გაკლია.

## თუ ცდილობ, ნაყინი თითით მიირთვა

ტიპური ექსტრავაგანტური, მხიარული, გულღია ადამიანი ხარ. მაგრამ ამასთანავე ყველანაირად ცდილობ, პასუხისმგებლობის და ვალდებულებების თავიდან აცილებას, ცდილობ, ცხოვრებისგან ყველაფერი მიიღო ისე, რომ თავს ძალა არ დაატანო და არც სინდისი დაიმძიმო. მოკლედ, „ნაღების“ მოხდა გიყვარს.

## პირმოკუმული მიირთმევ

საკმარისად გულჩათხრობილი და მორცხვი ხარ — თუმცა არ ამჟღავნებ, თავს მოდუნების უფლებას არ აძლევ, იმის მაგივრად, რომ გული გაუხსნა ადამიანს, უცდი, სანამ ის გადმოდგამს პირველ ნაბიჯს. მაგრამ თუ ვინმემ შეძლო ყინულის გალღობა და უნდობლობის გადალახვა, მიხვდება, რომ შენ სულიერად მდიდარი ადამიანი ხარ, რომელსაც გააჩნია ღრმა გრძნობები და მყარი მეგობრობაც შეუძლია.

## თუ კოვზით მიირთმევ

სიფრთხილე — შენი ხასიათის მნიშვნელოვანი ნაწილია. ენდობი მხოლოდ იმას, ვინც შენი საკმარისად ცბიერი „ტესტების“ და შემოწმებების გადალახვა შეძლო — რასაც სისტემატურად და შენდა უნებურად აწყობ. ჯერ ძირფესვიანად შეისწავლი ადამიანს, სწონი საკუთარი ინტუიციის და გონების სასწორზე მის თვისებებს და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევი „დასტურს“ მასთან ურთიერთობაზე.

## თუ ფაქიზად ლოკავ

— შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალი ექსპერტი ხარ ნაყინისა. ასევე ძალიან ცნობისმოყვარეც ბრძანდები. ადამიანებისადმი გულგრილი არ ხარ. მოუთმენლობაში ვერავინ დაგადანაშაულებს, მაგრამ სიჯიუტე და სიტყვის გატანა გახასიათებს.

# ასოციაცია



**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:** 7. ტყე, ჯარისკაცი; 8. სეანსი, თეატრი; 10. ლიქიორი, ნუში; 11. ფხა, ბალი; 12. ნიახური, ნადული; 17. ფარეხი, ძროხა; 18. ნაპოლეონი, გერმანია; 19. ველი, ამერიკა; 20. ლიდერი, ბანდა; 21. გული, სისხლი; 25. „მოამბე“, „კურიერი“; 26. ალპები, სომხეთი; 27. თაბაშირი, კბილი; 30. ადამიანი, ეტლი; 33. ბემბი, ბოკვერი; 34. მეტალურგი, ღუმელი; 35. მაღაზია, ანტიკვარი; 36. კოშკი, აპოლონი.

**ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. შლაპა, კუბა; 2. კობრა, გიურზა; 3. ეკლესია, ლოცვა; 4. ტრასა, ტყე; 5. გაზეთი, მოთხრობა; 6. თაბაშირი, ქანდაკება; 9. ეკლესია, საკურთხეველი; 13. სოკრატე, არისტოტელე; 14. თვითმფრინავი, გემი; 15. ბრონქიტი, სახსარი; 16. ნაწევარი, პრეფიქსი; 22. საბერძნეთი, მანაგუა; 23. ინტელიგენტი, განათლება; 24. ნახვრეტი, ქვემეხი; 28. სვეტიცხოველი, ტაო; 29. ტანსაცმელი, შვეიცარი; 31. ინტერესი, დაჯგუფება; 32. ყოჩივარდა, ია.

**ᲬᲘᲜᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:**

**ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ:** 7. ნოემბერი; 8. თაბაშირი; 10. კროლი; 11. გრიგი; 12. ალიგატორი; 15. ამპერი; 18. ხერესი; 19. ბინოკლი; 20. დილეგი; 21. ლეგატო; 23. გრაფიტი; 26. ბოქსი; 27. პირატი; 31. მონუმენტი; 33. თეთრი; 34. მოგვი; 35. წიკლაური; 36. ბრონწეული.

**ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 1. ნოტრდამი; 2. ემალი; 3. კრემლი; 4. კატარი; 5. ეშერა; 6. პროგრესი; 9. იდალგო; 13. პროვინცია; 14. რეპეტიცია; 16. ნიაგარა; 17. კლიენტი; 22. ნორვეგია; 24. ფირმა; 25. ლტოლვილი; 28. დონორი; 29. სტვირი; 30. ბროლი; 32. კორეა.

# იყო თუ არა მკვლელობა შეკვეთილი

***1630 წლის 18 აგვისტოს სხვილოს ციხესიმაგრეში (შიდა ქართლი) მოხდა მკვლელობა.***

მოკლულის ვინაობა — ქართლის ვალი (ანუ შაჰის ნაცვალი) სვიმონ-ხანი. ქართული წყაროები ქართლის მეფედ მოიხსენიებენ. სარწმუნოებით მაჰმადიანი.

მკვლელის ვინაობა — ზურაბ არაგვის ერისთავი. სარწმუნოებით ქრისტიანი.

ქართლის ბაგრატიონთა ახალგაზრდა ნაშიერი მოკლეს ძილში — ნაქეიფარი, უიარაღო, უმწეო. ამქვეყნიდან წასვლას იმქვეყნად, ალბათ, ვერც კი მიხვდებოდა და ვერც იმას შეიტყობდა, რომ იგი განწირა იმ კაცმა, ვისაც უზომოდ ენდობოდა და მამობილად თვლიდა.

თითქოს ყველაფერი ნათელია. ცხედარიც ადგილზე არის და არც მკვლელია საძებნელი.

მაგრამ პოლიტიკური მკვლელობისას, დღესაც და წარსულში, მყისვე იბადება ხოლმე ეჭვი, რომ ერთი კაცით არ შეიძლება შემოიფარგლოს ბრალდებულთა ოდენობა. თითქმის ყოველთვის წამოიჭრება კითხვები — ვინა დგას მკვლელის ზურგს უკან? ვინ ჩააგონა დანაშაული? ვინ მოიხვეჭს სარგებლობას ჩადენილი ბოროტმოქმედების შედეგად?

ამგვარი კითხვები, ძალზე ხშირად, უპასუხოდ რჩება და საიდუმლოების ფარდას ახდა არ უწერია. ეჭვი და თუნდაც საფუძვლიანი ვარაუდი ჭეშმარიტების ადგილს ვერ დაიჭერს; იდუმალების ნისლი, ალბათ, ვერასოდეს გაიფანტება.

სვიმონ-ხანის მკვლელობასთან დაკავშირებით წლების მანძილზე ტრიალებდა ბრალდება თეიმურაზ პირველის მიმართ. მაგრამ ვერც მაშინ გაირკვა ვერაფერი და დღესაც არ არის ეჭვმიუტანლად დადგენილი, მიუძღოდა თუ არა ბრალი კახეთის მეფეს — ქართლის მეფის მკვლელობაში.

ისევ ეჭვისა და ვარაუდების ტყვეობაში ვიმყოფებით. ლამის ოთხი საუკუნე გასულა მას შემდეგ და, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია კატეგორიული დასკვნის გამოტანა, როდესაც მხოლოდ არაპირდაპირი სამხილები მოგვეპოვება. მოწმეთა დაკითხვა და დაპირისპირება, ვაი რომ, გამორიცხულია.

ჩვენში, არცთუ იშვიათად, მავანთა და მავანთა უკიდეგანო ამბიციების დასახატავად იმოწმებენ ხოლმე ფრთოსან გამოთქმას „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“, მაგრამ შესაძლოა ყველასთვის არ იყოს ცნობილი, თუ ვის ეკუთვნის ზემოხსენებული სიტყვები და სახელდობრ ვისი მისამართით ითქვა პირველად.

არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ვკითხულობთ: „ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

უკეთესად მართლაც რომ ვერ იტყვი! მეფე-პოეტის სახელი მარტოოდენ ამ აფორიზმითაც შეიძლება დარჩენილიყო ძველ მელექსეთა გაცხრილულ ნუსხაში.

„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“, რასაკვირველია, საყოველთაოდ გავრცელებული ფენომენი გახლავთ. მაგრამ საქართველოში, ეტყობა, უფრო ღონივრად იყო ფესვგადგმული, უფრო გამოკვეთილი იერი ჰქონდა. საისტორიო წყაროებში შემონახული მასალა თვალსაჩინოდ ადასტურებს არჩილ მეფის მშვენიერ აფორიზმს, უკურნებელი „ქართლის ჭირის“ ფორმულად რომ გამოდგება. საუკუნეთა შარაზე ჩრდილივით მოგვდევდა, წარმატებით მოუღწევია ჩვენს დრომდე, კიდევ უფრო გალაღებულა და, ალბათ, მომავალშიც არ გაგვეყრება.

აღნიშნული სტრიქონები გვხვდება პოემის იმ ეპიზოდში, სადაც თეიმურაზ პირველი მოგვითხრობს ბაზალეთის ომის პრელუდიას ანუ გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის ქიშპობას.

როგორც ცნობილია, ბაზალეთის ომში დამარცხებამ დიდ მოურავს სამშობლოდან გადახვეწა არგუნა წილად.

ბურთი და მოედანი ზურაბ ერისთავს დარჩა. იგი გიორგი სააკაძის ხელში იყო გაზრდილი და გაწვრთნილი. უგვირგვინო მეფობის ჟინიც, ეგებ, დიდი მოურავისაგან გადაედო.

ქართლ-კახეთის მეფის სიძე გახდა და კიდევ უფრო გაშალა ფრთები.

„ქართლის ცხოვრება“ ორჯერ აღნიშნავს ხაზგასმით არაგვის მრისხანე ერისთავის „განდიდებას“.

პირველად: „ხოლო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა უდებდა მოურავსა თავსა“.

ამას მოჰყვა ბაზალეთის ომი.

მეორედ: „ამა ჟამსა შინა უფრო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა დაუდვა ბატონს თეიმურაზს თავი“.

არაგვის ერისთავი უკმაყოფილი იყო იმით, რომ დიდ მოურავთან ერთად გადახვეწილი მუხრან-ბატონის სამფლობელო თეიმურაზმა თავის ვაჟს მისცა, თუმცა ბაზალეთში გამარჯვების შემდეგ თვით ზურაბი ფიქრობდა სამუხრანოს დაპატრონებას.

ამიტომაც განუდგა თავის სიმამრს. ქართლის ტახტის უზურპატორად მიჩნეული მეფე კახეთისა, დიდებულთა მხარდაჭერით, ქართლიდან განდევნა და კანონიერი უფლებანი აღუდგინა ქართლის ბაგრატიონთა ჩამომავალს — შაჰ-აბასის მიერ, ათიოდე წლის წინათ, ქართლის გამგებლად დანიშნულ სვიმონ-ხანს, რომელსაც იმხანად მხოლოდ თბილისი და სომხით-საბარათიანო ეჭირა.

განდიდებულ-აზვავებულ ფეოდალს არაფრად ეჭაშნიკებოდა ორთავ ტახტზე ერთი მეფის ბატონობა. მისი გულისწადილი ის იყო, რომ თეიმურაზი თავის სამკვიდრებელში დატეულიყო, სვიმონს ქართლში ემეფა და მათი მთავარი მრჩეველი თუ საქმის წარმმართველი თვითონ ყოფილიყო.

ზურაბის გარჯით ქართლის ტახტზე წამოსკუპებული სვიმონი თავის მწყალობელს დიდად ემადლიერებოდა, სიყვარულით „მამას“ ეძახდა, სამუხრანოც უბოძა, იყო მისი მორჩილი და მის დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა.

ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ამისი მხილველი ულონო ქმნილი ბატონი თეიმურაზ წარვიდა წინაშე ყაენისა და უფადარიდამ მოსწერა ზურაბს: შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სიმამრისა. გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი, და სვიმონისა“.

ირანის შაჰთან საჩივლელად წასული თეიმურაზი ნუთუ აინუნშიც არ აგდებდა იმ გარემოებას, რომ ისპაანში ფრიად კმაყოფილი იქნებოდნენ ზურაბ ერისთავის მიღწევით — ყიზილბაშთა დაუხმარებლად, წვეთი სისხლის დაუღვრელად რომ გააბატონა ქართლში მაჰმადიანი სვიმონ-ხანი.

ნუთუ არც იმას უწევდა ანგარიშს, რომ სეფიანთა სამეფო კარზე უდიდესი გავლენით სარგებლობდა მკვიდრი ბიძა სვიმონისა, ირანის ყულარაღასი ხოსრო-მირზა (შემდგომში — როსტომ, მეფე ქართლისა), ვისი წყალობითაც ავიდა ირანის ტახტზე შაჰ-სეფი, შვილიშვილი შაჰ-აბასისა და ამიტომაც, როგორც წერენ, „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხოდა“.

თეიმურაზს, ალბათ, იმამყული-ხან უნდილაძე ეგულებოდა იმედად. ევროპელთაგან ირანის „მეორე მეფედ“ წოდებული ხანი შირაზისა, უთუოდ შეაწევდა სიტყვას ურჩი ფეოდალისაგან დაჩაგრულ ქართველ მეფეს.

ზურაბ ერისთავი, ისევე როგორც გიორგი სააკაძე, ყიზილბაშთა დროშებქვეშ იყო ნამსახური და, ისევე როგორც გიორგი სააკაძეს, ისპაანში მოღალატედ თვლიდნენ — განსხვავებით თეიმურაზ პირველისაგან, რომელიც მართალია ათი წელიწადი ეომებოდა ყიზილბაშებს, მაგრამ მათ დროშებქვეშ არ უმსახურია და მოღალატედ ვერ ჩაითვლებოდა.

ასე რომ, უიმედოდ როდი გამოიყურებოდა თეიმურაზის გამგზავრება ირანს — ქართველ ფეოდალზე საჩივლელად.

ამავე დროს, იტალიური წყაროს ცნობით, ზურაბ ერისთავს იმერეთიდან ესტუმრა ზებედე ეპისკოპოსი და მკაცრად გაკიცხა იმის გამო, რომ მისი გამოისობით დაიწყო არეულობა ქვეყნისა და გაბატონდა მაჰმადიანი მეფე, ვისაც მიბაძავენ ქვეშევრდომები და ულვთო რჯული მთელ ქართლს მოედებაო.

დასასრულ, ღვთისმსახურს ასე გაუფრთხილებია აზვავებული ფეოდალი: დროზე გამოასწორე შეცდომა, თორემ მახვილი ღვთისა შენს თავზე დაეშვებაო.

ზებედეს სიტყვებმა ზურაბის სული ძალუმად შეანჯღრიაო.

ძნელი სათქმელია, თეიმურაზის მუქარამ გასჭრა თუ ეპისკოპოსის მუქარანარევმა ქადაგებამ, ისპაანმა თუ ღვთის მახვილმა დააფრთხო უშიშარი და ამაყი ერისთავი.

ვითომ სინდისის ქენჯნა აღუძრა თეიმურაზის წერილმა? აბა რა სათქმელია, სინდისი სათოფეზე არ გაეკარებოდა არაერთი ავკაცობის ჩამდენ კაცს. სისხლიან საქმეებს რომ თავი დავანებოთ, ჯერ თავის გამზრდელსა და მფარველ გიორგი სააკაძეს განუდგა, მერე თავის სიმამრ თეიმურაზს.

ეგებ ორ ცეცხლს შუა მოქცეული დარეჯანის ხვეწნა-მუდარამ აუჩვილა გული? ქალს იქით მამა ებრალებოდა, აქეთ ქმარს ვერ უტეხდა ხათრს. ეგებ ყველა ღონე იხმარა, რომ მოერიგებინა მტრად გადაკიდებული მოყვარენი?

ასე იყო თუ ისე, ისპაანისაკენ მიმავალი თეიმურაზი შუა გზიდან უკან მობრუნდა. და ესეც, მსგავსად წასვლისა, ზურაბ ერისთავის მოქმედებით იყო გამოწვეული.

1628 წლის 14 დეკემბერს გორში რომიდან ჩამოვიდნენ თეატინელთა ორდენის მისიონერები პიეტრო ავიტაბილე და ჯაკომო დი სტეფანო. მომდევნო წლებში მათ შეუერთდნენ არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, კრისტოფორო კასტელი, ჯუსტო პრატო და სხვანი.

ისინი რომის პაპის აგენტები იყვნენ; საქართველოში კათოლიკობა უნდა გაევრცელებინათ. ხოლო ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ ანუ შემწეობას ელოდნენ ევროპიდან. დასავლური სამყაროს მხარდაჭერა სწყუროდათ, რათა თავი დაეცვათ მაჰმადიანური აღმოსავლეთის ტოტალური შემოტევისაგან, წალეკვით რომ ემუქრებოდა ქართულ მიწას, ქართულ სულსა და ქართულ სიტყვას.



**თეიმურაზ I ესაუბრება დე კასტელის**

1630 წლის 3 აგვისტოს პიეტრო ავიტაბილე, წინამძღვარი თეატინელთა მისიონისა, დროებით გაბრუნდა რომში თავისი კოლეგების ჩამოსაყვანად.

გორიდან რომს გაგზავნილ წერილში (დათარიღებულია 1630 წლის 18 ნოემბრით) ჯაკომო დი სტეფანო საქართველოში მომხდარ ახალ ამბებს აუწყებდა პიეტრო ავიტაბილეს, რომელსაც რომში გამგზავრებისას უთქვამს, საქართველოში მალე ცვლილებანი მოხდებაო და ჯაკომო უთვლის თავის წინამძღვარს: თქვენი პირით ამას ნამდვილად სულიწმიდა ბრძანებდა, რადგანაც თქვენი ნათქვამი ზედმიწევნით გამართლდაო.

ჯაკომოს სიტყვით, აგვისტოს შუა რიცხვებში სვიმონ-ხანი წასულა საამილახოროში, რათა იქაური მამულები, რომლებიც ქართლიდან განდევნილი თეიმურაზ მეფის მომხრეებს ეჭირათ, გაენაწილებინა თავისიანებისათვის.

ამასობაში, ზურაბ-ბეგი, სამი ერთგული აზნაურის თანხლებით, მოულოდნელად თავს დაესხა სვიმონ-ხანს, რომელიც სხვილოს ციხესიმაგრეში დიდი ლხინის შემდეგ ტკბილ ძილს მისცემოდა; მძინარეს თავი მოჰკვეთა და ხელში მიაჩეჩა თავის სიძეს — გიორგი ჩერქეზს, რათა დაუყოვნებლივ მიერთმიათ ძღვნად თეიმურაზ მეფისათვის.

მერე გაეშურა თბილისის მახლობლად მდებარე სოფელ წავკისში, სადაც საგარაკოდ იმყოფებოდა სვიმონის ცოლი (შვილიშვილი შაჰ-აბასისა), შეიპყრო და ისიც თეიმურაზთან წარგზავნა, ხოლო მთელი თვალ-მარგალიტი და სხვა ქონება დედოფლისა მიითვისა. თეიმურაზმა დიდი პატივით მიაბარა მიწას სვიმონის ცხედარი, დაქვრივებული ქალი კი ისპაანის გზას გაუყენა.

ჯაკომო დი სტეფანო შემდეგ აღნიშნავს, რომ ზურაბმა თეიმურაზს შეუთვალა: შენს წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხება მომიტევეო... ზებედე ეპისკოპოსის შუამავლობამ დააჩქარა თეიმურაზის შერიგება ზურაბსა და მის მომხრეებთან. ისინი სვეტიცხოვლის ტაძარში შეხვდნენ მეფეს და ხელახლა შეჰფიცეს ერთგულება.

იტალიელი მისიონერის ცნობით, თეიმურაზ მეფემ შაჰ-სეფის ამცნო: სვიმონ-ხანის მკვლელობაში ბრალი არა მაქვსო.

ეტყობა, დაუჯერეს, ამას ერთგვარად ადასტურებს სეფიანთა სამეფო კარის მემატიანის მონათხრობი, სადაც ვკითხულობთ, რომ ზურაბმა იოლად მოიპოვა ახალგაზრდა და გამოუცდელი სვიმონ-ხანის ნდობა და მისგან ქვეყნის საქმეები ჩაიბარა. მერე თავის სამფლობელოში წასვლა შესთავაზა, საჩუქრები უნდა მოგართვათო. რამდენიც არ დაუშალეს კეთილისმსურველებმა, არ შეისმინა და მცირერიცხოვან მეომართა თანხლებით გაჰყვა ზურაბს. მან კი უღალატა და თავის სახლში მოწამებრივი სიკვდილით მოკლაო.

მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი ფრაზა: „ზურაბი თეიმურაზთან ახლო მეგობრობისა და კავშირის დამყარებას შეუდგა, რათა იგი მოტყუებითა და ეშმაკობით თავის თანაშემწედ და თანამზრახად გაეხადა“.

მაშასადამე, სეფიანთა ხელისუფლება მომხდარ მკვლელობაში თეიმურაზს არა სდებდა ბრალს.

არჩილ მეფის პოემაში თვით თეიმურაზი გვარწმუნებს: მოკლა მან ჩემად უგრძნობლადო.

„კუი პროდესტ?“ — ეს გამოთქმა ძველრომაული სამართლიდან მოდის. ვის მოუტანს სარგებლობას, ვისთვის არის ხელსაყრელიო? ამგვარი კითხვა ბუნებრივად იბადება, როდესაც დანაშაულის მიზეზებსა და შედეგებზე მსჯელობენ, როდესაც მიიჩნევენ, რომ დანაშაულის ჩამდენის გარდა შეიძლება არსებობდეს დანაშაულის სულისჩამდგმელი ანუ ჭეშმარიტი დამნაშავე.

ზემოხსენებული ჯაკომო დი სტეფანო წერს, რომ თეიმურაზს დაემორჩილა სვიმონ-ხანის კუთვნილი ორი პროვინცია — სომხითი და საბარათიანო.

თეატინელი მისიონერის დასკვნით, თეიმურაზი წინანდელზე ორჯერ ვრცელ მიწა-წყალს დაეუფლა „ხმლის გაუშიშვლებლად“. უკვე იყო ბატონ-პატრონი როგორც კახეთისა, ასევე მთელი ქართლისა (თბილისის გამოკლებით).

და აღარაფერი დაუდგებოდა წინ იმ მოსაზრებას, რომ სვიმონ-ხანის მკვლელობა ხელსაყრელი იყო, უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზისათვის და სწორედ მას მოუტანა სარგებლობა.

მთავარი ბრალმდებლის როლს თამაშობს როსტომი, ბიძა დაღუპული სვიმონისა.

ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, როსტომ მეფის გაზრდილი და უერთგულესი ყმა, მისგან დაწინაურებული მოხელე, ასე გადმოგვცემს სვიმონ-ხანის მკვლელობის ამბავს:

თეიმურაზმა ერთი ჩერქეზი, სახელად გიორგი, შეუჩინა ზურაბ ერისთავს, თავისი ასულის მიცემას და თიანეთის ბოძებას დაჰპირდა სვიმონის მკვლელობისათვის. ჰგმეს პატრონყმობა და შეცვალეს ღმერთზე ფიციო.

ეს ცნობა ზოგჯერ დაეჭვებას იწვევს ხოლმე, ვინაიდან თეიმურაზი სვიმონ-ხანის მკვლელობისათვის ჯილდოდ თავის ასულს ვერ შეჰპირდებოდა ზურაბს, რომელსაც უკვე ცოლად ჰყავდა დარეჯანი. მაგრამ ეს ლაფსუსი არ გამოდგება აღნიშნული ცნობის გასაქარწყლებლად. საქმე ისაა, რომ იგივე ინფორმაცია (მითითებული ლაფსუსის გარეშე) დამოწმებულია ე.წ. „პარიზის ქრონიკის“ (ანუ „ცხოვრება საქართველოისა“) ფურცლებზე:

„იმავ წელიწადს იმდენი ისარჯა კახმა ბატონმა თეიმურაზ, თავისი ქალი და სიძე ერისთავი ზურაბ და მისივ ყმა, ჩერქეზი გიორგი, მოღალატეთ შეუყენა და მძინარე ბატონი სვიმონ ცხვილოს დააკვლევინა“.

ორივე ავტორის თხრობა უნდა ეყრდნობოდეს როსტომ მეფის გუჯარს, 1648 წლით რომ არის დათარიღებული.

ივანე ჯავახიშვილი აღძრულ საკითხზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ თეიმურაზს როსტომთან შერიგებისას მისთვის კახეთის სამი სოფელი მიუცია „ნასისხლად“ და ამით თითქოს თავისი ერთგვარი მონაწილეობა და ბრალი დანაშაულის მოწყობაში მდუმარედ დაუდასტურებია.

ნიკო ბერძენიშვილი უფრო კატეგორიული იყო. იგი წერდა: „თეიმურაზ მეფე იმდენს ეცადა, რომ მამულით გაუმაძღარი ერისთავი გადაიბირა. სიმამრმა სიძეს სვიმონ-ხანის მოკვლა შეუკვეთა და ჯილდოდ თიანეთს შეჰპირდა“ („თიანეთი“ მიგვანიშნებს, რომ მკვლევარი ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას ეყრდნობა).

მაშ, შეკვეთილი ყოფილა მკვლელობა სვიმონ-ხანისა?

არ არის გამორიცხული კიდევ ერთი ვარაუდი: ზურაბ ერისთავმა მოკლა სვიმონ-ხანი ყოველგვარი შეკვეთის გარეშე, მაგრამ ცხადზე ცხადია ისიც, რომ ეს გააკეთა შემკვეთად შერაცხილი თეიმურაზ მეფის საამებლად, მათ შორის ჩატეხილი ხიდის გასამთელებლად. ასე რომ, თეიმურაზი პასიურ შემკვეთად მაინც უნდა ჩაითვალოს. იგი ყველაფერს ილონებს, რომ ბრალდება წაშალოს, მაგრამ ვერ აღწევს მიზანს. თუმცა სეფიანთა სამეფო კარის წინაშე კი ახერხებს თავის გამართლებას... სვიმონ ხანის მკვლელის — ზურაბ ერისთავის მოკვეთილი თავით.

***თამაზ ნატროშვილი***


ქაღალდი პოლიგრაფიისთვის

ადგილზე მიტანით

ფურცლებში და ხვეულებში



☎ 71-04-14
877-43-28-62

სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3








წიგნების ბროშურების

გამოცემა

დაკაბადონება და ბეჭდვა

„კვირის პალიტრის“ გამომცემლობა

აკურის ქ. 8 (სპორტის სასახლის უკან). ☎ 33-78-07

# ისევ მანჩესტერი?

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე მხოლოდ ერთი ტურია დარჩენილი, ტური, რომელმაც ბევრ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი და უპირველეს ყოვლისა, დარჩენილი ოთხი მეოთხედფინალისტი უნდა გამოავლინოს. ზოგიერთი გუნდისათვის უკანასკნელმა შეხვედრებმა აზრი დაკარგა. ზოგის ბედს კი ალბათ მომდევნო ეტაპზე უკვე გასული გუნდები გადაწყვეტენ.

**A ჯგუფი**

## ბარსელონა-ჰერტა 3:1
## პორტუ-სპარტა 2:2

წინა ტურში „ბარსელონამ“ ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა, „ჰერტასთან“ მატჩში კი ჯგუფში პირველი ადგილი. „სპარტასთან“ გასამართმა უკანასკნელმა მატჩმა კატალონიელთათვის ყოველგვარი აზრი დაკარგა და ალბათ ლუის ვან გაალი ჩეხეთის დედაქალაქში მეორე შემადგენლობას ათამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ „ჰერტასთან“ მატჩი სტუმართა იერიშებით დაიწყო და ამ იერიშებს ბერლინელთა გოლიც კი მოჰყვა, ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ საბოლოო გამარჯვება ესპანელებს დარჩებოდათ. ვან გაალის გუნდმა ყოველგვარი ზედმეტი ნერვიულობისა და დაძაბულობის გარეშე გაუტანა გერმანელებს სამი გოლი და ერთი ამდენი საგოლე მომენტიც შექმნა. ესპანელთაგან გოლები ხავიმ, გაბრიმ და კლიუვერტმა გაიტანეს. ლუის ვან გაალმა განაცხადა, ასე თუ ვითამაშეთ არც ესპანეთის ჩემპიონატის მოგება უნდა გაგვიჭირდესო, მეოთხედფინალში სასურველი მეტოქის დასახელებისაგან კი თავი შეიკავა. იურგენ რობერმა კი ბოლო ტურში შინ „პორტუსთან“ გამარჯვების იმედი გამოთქვა და ამით ალბათ გერმანელებზე უფრო ჩეხი გულშემატკივრები გაახარა.



ჯგუფის მეორე მატჩში „პორტუ“ აშკარა ფავორიტად მოიხსენიებოდა და ყველას ეგონა, პორტუგალიელები ბოლო ტურს ფორმალობად აქცევდნენ, მაგრამ „სპარტას“ შეუპოვრობამ შედეგი გამოიღო. ჩეხებმა სასწაულად გამოგლიჯეს მეტოქეს ერთი ქულა და ჯგუფიდან გასვლის შანსი დაიტოვეს. 75-ე წუთამდე „პორტუ“ 2:0-ს იგებდა და გულში გამარჯვებას ზეიმობდა, თუმცა ჯერ ლოკვენცმა შეამცირა სხვაობა, მსაჯის დამატებულ მესამე წუთზე კი ფუკალმა „პორტუ“ საგონებელში ჩააგდო. ბოლო ტური მეორე მეოთხედფინალისტის ვინაობას გაარკვევს. თუ ჩეხებმა შინ „ბარსელონას“ სძლიეს და „პორტუ“ ბერლინში დამარცხდა, შემდეგ ეტაპზე „სპარტა“ ითამაშებს. ყველა სხვა შემთხვევაში კი — „პორტუ“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| **პორტუ** | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| **სპარტა** | 5 | 1 | 2 | 2 | 4:10 | 5 |
| **ჰერტა** | 5 | 0 | 2 | 3 | 3:0 | 2 |

*მომდევნო მატჩები: 21 მარტი:* ***ჰერტა-პორტუ; სპარტა-ბარსელონა.***

**B ჯგუფი**

## მანჩესტერი-ფიორენტინა 3:1
## ბორდო-ვალენსია 1:4

„მანჩესტერ იუნაიტედი“ შარშანდელის მსგავსად ბრწყინვალე ფორმაშია და ისე თუ ითამაშა, როგორც ოთხშაბათს „ფიორენტინასთან“, სულ ადვილი შესაძლებელია კიდევ ერთი წლით „შეინახოს“ ჩემპიონთა თასი მანჩესტერში. ალექს ფერგიუსონის გუნდმა თამაშის ყველა ასპექტში დაჯაბნა „ფიორენტინა“ და მეოთხედფინალში თამაში გაინაღდა. დასაწყისი ინგლისელებს კარგს არაფერს უქადდა: ბატისტუტამ 26-27 მეტრიდან ტყვიასავით „გაისროლა“ და ანგარიში გახსნა. არანაკლებ ლამაზი გახლდათ ჯერ კოულისა და შემდეგ კინის საპასუხო გოლები. „ფიორენტინას“ განადგურებას დუაით იორკმა დაუსვა წერტილი და უკვე ათი კაცით დარჩენილ მეტოქეს მესამეც გაუტანა. იტალიელებს გოლის შემდეგ მომენტიც აღარ შეუქმნიათ. იტალიელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ „იუნაიტედის“ თამაშს „ზღაპრული“ უწოდა და იმედი გამოთქვა — ინგლისელები ვალენსიაშიც ასე ითამაშებენო. ფლორენციელთა ბედი ახლა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელშია. „ფიორენტინა“ რომ მეოთხედფინალში გავიდეს, ფერგიუსონის გუნდმა უეჭველად სამი ქულა უნდა მოიპოვოს ვალენსიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯგუფიდან ლიგის თასის ახლანდელ მფლობელთან ერთად „ვალენსია“ გავა.

გაცილებით მოსაწყენი გახლდათ მეორე მატჩი, მიუხედავად იმისა, რომ „ბორდო“-„ვალენსიას“ შეხვედრაში ხუთი გოლი გავიდა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ევროპული ფეხბურთის გრანდებთან ფრანგული კლუბები ჯერ ახლოსაც ვერ მივლენ. დიდი უპირატესობის მიუხედავად, „ვალენსიამ“ მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს შეძლო ანგარიშის გახსნა — ჯუკიჩმა ახლო მანძილიდან შანსი არ დაუტოვა ფრანგთა მეკარე რამეს. საქმის ბოლომდე მიყვანა ესპანელებს აღარ გასჭირვებიათ და კიდევ სამი გოლი გაუტანეს უსახურად მოთამაშე „ბორდოს“. ვილტორდის ერთადერთ საპასუხო გოლს არაფერი შეუცვლია. ვალენსიელებს ერთი ქულა აშორებთ მეოთხედფინალამდე. ქულა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედთან“ საშინაო შეხვედრაში უნდა მოიპოვონ. არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ „ვალენსიამ“ ბოლო ტურში წააგოს და მაინც გააგრძელოს თასისათვის ბრძოლა. ამისათვის „ფიორენტინამ“ შინ ვერ უნდა აჯობოს ყველასაგან დაჩაგრულ „ბორდოს“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 12 |
| **ვალენსია** | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| **ფიორენტინა** | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| **ბორდო** | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |

*მომდევნო მატჩები: 21 მარტი.* ***ფიორენტინა-ბორდო; ვალენსია-მანჩესტერი.***

**C ჯგუფი**

## ბაიერნი-რუსენბორგი 2:1
## დინამო-რეალი 2:2

„რეალის“ ორჯერ განადგურების შემდეგ ბავარიელთა თამაში არცთუ სანახაობრივი გახლდათ. ჰიტცფელდმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა. მიუხედავად ამისა, „ბაიერნმა“ მაინც მოიგო, პირველი ადგილიც გაინაღდა და ბოლო ტურის მატჩი კიევის „დინამოსთან“ ფორმალობად აქცია. გერმანელთაგან გოლები შოლმა და პაულუ სერჟიომ გაიტანეს, რასაც კარეუმ ერთადერთი გოლით უპასუხა.

გაცილებით საინტერესო და დრამატული გახლდათ მადრიდში გამართული შეხვედრა. უკრაინელებმა ტოლი არაფერში დაუდეს სახელოვან მეტოქეს და ცოტა რომ გამართლებოდათ, ან მათ მეკარე შოვკოვსკის ევარგა, ესპანეთიდან სამ ქულასაც წამოიღებდნენ. მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. „დინამომ“ როგორც ყოველთვის კონტრშეტევებზე ააგო თამაში. მეცამეტე წუთზე რაულმა ზუსტად შეასრულა მორიენტესის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი. რამდენიმე წუთში „რეალის“ მცველებმა გიორგი დემეტრაძე მოცელეს —



თუმცა რაულისგან განსხვავებით, რებროვმა პენალტი ვერ გაიტანა. კიეველებმა მინც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, — პირველი ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე რაულის გვერდით ტაბლოზე ხაცკევიჩის გვარიც გამოჩნდა. თუმცა მანამდე იმავე რაულს მეორე პენალტიც რომ გაეტანა, „რეალი“ ალბათ საბოლოო გამარჯვებასაც მოიპოვებდა, მაგრამ... მეორე ტაიმის მეცამეტე წუთი უკვე კიეველთათვის აღმოჩნდა იღბლიანი. გიორგი დემეტრაძე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა, ჩააწოდა და იერომ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. დემეტრაძეს, რომელიც კიეველთა თავდასხმის ლიდერად იქცა, მატჩის გმირობა შეეძლო, ამისათვის სამიოდე მეტრიდან გოლის გატანა იყო საჭირო, მაგრამ ბურთი მცველს მოარტყა. თამაშის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე რობერტო კარლოსმა იმდენად ძლიერად დაურტყა შოვკოვსკის ჯარიმა, მეკარეს ბურთი მოხვდა და მაინც კარში შეგორდა. საბოლოო ფრე „რეალს“ უფრო დიდ შანსებს უტოვებს მეოთხედფინალში თამაშისა, ვიდრე უკრაინელებს. თუკი „სამეფო კლუბმა“ ბოლო მატჩი ტრონჰეიმში მოიგო, მეოთხედფინალისაკენ გზას ვერავინ გადაუღობავს. ყაიმის, ან ნორვეგიელთა გამარჯვების შემთხვევაში, მომდევნო ეტაპზე ვალერი ლობანოვსკის გუნდი ითამაშებს, — რასაკვირველია თუკი შინ „ბაიერნის“ დამარცხება შეძლო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერნი** | 5 | 4 | 1 | 0 | 13:6 | 13 |
| **რეალი** | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| **დინამო** | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| **რუსენბორგი** | 5 | 0 | 1 | 4 | 5:10 | 1 |

*მომდევნო ტური: 22 მარტი* ***დინამო-ბაიერნი; რუსენბორგი-რეალი.***

**D ჯგუფი**

## ფეინოორდი-ჩელსი 1:3
## ლაციო-მარსელი 5:1

როტერდამში გასამართი შეხვედრა გულშემატკივრებს უფრო საინტერესო ბრძოლას გვპირდებოდა, თუმცა ამაოდ. „ჩელსი“ ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე და გამარჯვება არ გასჭირვებია. ჰოლანდიელებმა მთელი შეხვედრის მანძილზე ორიოდე საგოლე მომენტი შექმნეს, მათგან ერთ-ერთი კი გამოიყენეს, მაგრამ საკუთარ კარში სამი ბურთი მიიღეს და ახლა იმავე „ჩელსის“ იმედი აქვთ, თუკი „ფეინოორდმა“ სტუმრად სძლია „მარსელს“ და „ჩელსიმ“ ქულა მაინც მოიპოვა „ლაციოსთან“ საშინაო მატჩში, მეოთხედფინალში ჰოლანდიური კლუბი ითამაშებს. „ფეინოორდის“ კარში გოლები ძოლამ, უაიზმა და ფლომ გაიტანეს, ერთადერთი საპასუხო გოლი ბონავენტურა კალუს ანგარიშზეა. გამარჯვებისა და ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, ჯან ლუკა ვიალიმ განაცხადა, რომ მეტად სკეპტიკურად უყურებს ლიგაში გამარჯვების შანსს და მიაჩნია, რომ „ბარსელონას“, „ბაიერნს“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ თასის აღების გაცილებით დიდი შანსი აქვთ. მართლა ასე ფიქრობს ვიალი, თუ რაიმე უსიამოვნებისაგან წინასწარ იზღვევს თავს, მეოთხედფინალური ეტაპი გვიჩვენებს, სადაც „ჩელსიმ“ უკვე გაინაღდა თამაში და ახლა „ლაციოს“ ბედიც მის ხელთაა.

რომის „ლაციომ“ „ფეინოორდის“ ჯავრი ფრანგულ „მარსელზე“ იყარა და ხუთი გოლითაც „დაასაჩუქრა“. რომაელებს იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოენდომებინათ, ალბათ ერთ ამდენ გოლს კიდევ გაიტანდნენ. რაც შეეხება „მარსელს“, თუკი ფრანგებს წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გათამაშების სამარცხვინოდ დასრულება არ სურთ, ბოლო ტურში შინ „ფეინოორდს“ უნდა მოუგონ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩელსი** | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| **ლაციო** | 5 | 2 | 2 | 1 | 8:3 | 8 |
| **ფეინოორდი** | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| **მარსელი** | 5 | 1 | 0 | 4 | 2:11 | 3 |

*მომდევნო ტური: 22 მარტი:* ***ჩელსი-ლაციო; მარსელი-ფეინოორდი.***

**ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის მატჩების შესახებ კვლავ გაგვიზიარა საკუთარი აზრი ბ-ნმა ოთარ გაბელიამ:**

**— ბატონო ოთარ, თქვენი ერთი კვირის წინანდელი პროგნოზები სრულად გამართლდა. რას გვეტყოდით ბოლოსწინა და მომავალი ტურის თამაშებზე?**

**A ჯგუფით** დავიწყოთ. „ბარსელონამ“ უბრალოდ გააფორმა თავისი უპირატესობა სხვა გუნდებთან შედარებით.

რაც შეეხება „პორტუ-სპარტას“ მატჩს, მისმა შედეგმა საგრძნობლად დაძაბა მეორე ადგილისთვის ბრძოლა. „ჰერტა“ არც ისეთი სუსტი გუნდია, რომ ორი ქულით დაამთავროს ტურნირი და მისგან უსახურად მოთამაშე „პორტუს“ დამარცხება გასაკვირი არ იქნება. არავის ეგონოს, რომ „ბარსელონას“ ადვილი გასეირნება ექნება პრაღაში. ჩეხებმა დაამტკიცეს, რომ ბოლომდე ბრძოლა შეუძლიათ. გარდა ამისა, „ბარსელონა“, ალბათ, დაასვენებს ძირითად მოთამაშეებს (ფიგუ და აბელარდო ისედაც დისკვალიფიცირებული არიან) და ესპანეთის ჩემპიონატისთვის მოიცლის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბარსელონას“ მაინც „სპარტას“ გასვლა უფრო უნდა აძლევდეს ხელს, ვიდრე „პორტუსი“ და ამიტომ ფსიქოლოგიურადაც ვერ განეწყობა საბრძოლველად.

**B ჯგუფი:** გულახდილად რომ ვთქვათ, „ვალენსიას“ ამ დონის თამაშს არ ველოდი, მით უმეტეს ლოპესის გარეშე. მე მგონი, მეორე ადგილი მათ განაღდებული აქვთ, რადგან ჰექტორ კუპერი არ არის ის მწვრთნელი, რომელიც ვერ მოახერხებს, რომ თავისი გუნდი ერთი ქულის მოსაპოვებლად წარმატებით ათამაშოს საკუთარ მოედანზე, თუნდაც „მანჩესტერ იუნაიტედთან“. აქ იმას არ ვგულისხმობ, რომ აუცილებლად დაცვით ტაქტიკას აირჩევს — უბრალოდ, სატურნირო ინტერესდაკარგულ ინგლისელებთან მათ საკუთარ კედლებში არ უნდა გაუჭირდეთ.

„მანჩესტერმა“ კი, კიდევ ერთხელ დაადასტურა. რომ „ერთი კაცის გუნდმა“ — „ფიორენტინამ“, მხოლოდ ბატისტუტას კარგი თამაშის წყალობით, შეიძლება „რეჯინა“ და „ლეჩე“ დაამარცხოს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის დონეზე, გადამწყვეტ თამაშებში, — ეს შეუძლებელი ხდება.

**C ჯგუფი** ჩვენთვის ყველაზე საინტერესო (დემეტრაძისა და კალაძის გამო) ჯგუფში ძალზე საინტერესო ბრძოლა ვიხილეთ. „ბაიერნი“ — „რუსენბორგის“ თამაშზე დიდხანს ნუ შევჩერდებით. უბრალოდ აღვნიშნოთ „ბაიერნის“ მიერ კიდევ ერთხელ დადასტურებული უმაღლესი კლასი, ოლივერ კანის ბრწყინვალე თამაში და „რუსენბორგის“ ბრძოლისუნარიანობა. რაც, ალბათ, დიდ პრობლემას შეუქმნის „რეალს“ ნორვეგიაში.

მადრიდულ მატჩს რაც შეეხება: პირველ რიგში სიამოვნებით აღვნიშნავ დემეტრაძის კარგ თამაშს: ისევ და ისევ გამოუყენებელ მომენტებს რომ თავი დავანებოთ — მან ორივე გოლშიც და გაფუჭებული პენალტის დანიშვნაშიც უშუალო მონაწილეობა მიიღო. ერთი კვირის წინანდელი ჩვენი საუბარი გავიხსენოთ: შაცკიხის მაგივრად, დემეტრაძის დაყენებას მაშინვე ვფიქრობდი და გაამართლა კიდეც გიორგიმ ლობანოვსკის იმედები.

სამწუხაროა, რომ კიეველთა მომავალი „რუსენბორგი“ — „რეალის“ მატჩის შედეგზეა დამოკიდებული (უკრაინელებს რომ „ბაიერნის“ დამარცხება ძალუძთ, ამაზე წინა კვირაში ვისაუბრეთ), მაგრამ ხელჩასაქნევად მაინც არ არის საქმე: „რეალი“ აშკარა კრიზისს განიცდის, „რუსენბორგი“ კი (ამბიციებსა და ბრძოლისუნარიანობაზე რომ არაფერი ვთქვათ), არ არის ფინანსურად ისე წელგამართული, რომ თუნდაც იმ თანხისათვის არ იბრძოლოს, რომელსაც ლიგაში ყოველი მოპოვებული ქულა იძლევა.

**D ჯგუფი:** „ჩელსიმ“ ყველა კომპონენტში დაჯაბნა „ფეინოორდი“, რომელსაც აშკარად არ ეყო ოსტატობა და მალევე დაყარა ფარხმალი, მიუხედავად 0:1-ზე ანგარიშის გათანაბრებისა. ვიალის გუნდმა დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი და აქედან გამომდინარე — შემდეგ ეტაპზე შედარებით სუსტ მეტოქესთან მეორე თამაშის საკუთარ მოედანზე ჩატარების უფლება.

„ლაციო“-„მარსელის“ თამაშში ყველაზე უფრო აშკარა იყო ერთ-ერთი გუნდის უპირატესობა და არა მხოლოდ დიდი ანგარიშის გამო. ერიქსონის გუნდმა, როგორც იქნა, აჩვენა რა შეუძლია. ძალზე სამწუხარო იქნება, თუ მათი ეს გამოფხიზლება გვიანი აღმოჩნდება. თუ სხვა ჯგუფებში მაგალითად — „სპარტას“ ან „დინამოს“ რაღაც იმედი შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი მეტოქეების წაფორხილებისა, აქ „ლაციო“ მხოლოდ საკუთარ ძალებზეა დამოკიდებული, რადგან „ფეინოორდს“ შეიძლება არც გაუჭირდეს ფრანგების დამარცხება და ამ შემთხვევაში „ლაციოს“ ლონდონში ერთი ქულა აღარ ყოფნის. ისე, მაინც მგონია, რომ ვერონი, ბოქშიჩი (რომელმაც ძალიან მოუმატა ბოლო თამაშებში) და მოედანზე ფანტასტიკურად დიდი სამუშაოს შემსრულებელი ნედვედი მაინც მოახერხებენ „ჩელსის“ დამარცხებას. ამ შემთხვევაში, „ლაციოს“ თასის აღების ერთ-ერთ ფავორიტად დავასახელებდი.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელმა ფორმულამ გაამართლა, და მთლიანად გააქარწყლა ის ეჭვები, რომ 32 გუნდით შეჯიბრების დაწყება დააქვეითებდა მის დონეს. პირიქით კი მოხდა: შედარებით სუსტმა გუნდებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს, რაც აუცილებლად წაადგება ევროპული ფეხბურთის განვითარებას. აღნიშნა კიდეც, ერთ-ერთი ასეთი გუნდის „ბორდოს“ მეკარე ულრიხ რამემ: „ლიგის ხუთ შეხვედრაში მეტი ვისწავლეთ, ვიდრე საფრანგეთის ბოლო ორ ჩემპიონატშიო“.

# „მილანი“, „დორტმუნდი“, „მალიორკა“ — ვინ იქნება შემდეგი?

**უეფას თასი. პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები**

**არსენალი (ინგლისი) — ვერდერი (გერმანია) 2:0**

**მალიორკა (ესპანეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 1:4**

**სელტა (ესპანეთი) — ლანსი (საფრანგეთი) 0:0**

**ლიდსი (ინგლისი) — სლავია (ჩეხეთი) 3:0**

„მილანისა“ და „დორტმუნდის“ დამარცხების შემდეგ „გალათასარაის“ „მალიორკასთან“ მოგებას ძნელად თუ უწოდებ სენსაციურს, მაგრამ ასეთ ანგარიშს ალბათ არავინ ელოდა. თურქულმა „ლომთა-ლომმა“ მიწასთან გაასწორა ამ ცოტა ხნის წინ „მონაკოს“ მძლეველი და თასების თასის შარშანდელი გათამაშების ფინალისტი „მალიორკა“, სტუმრად სამბურთიანი სხვაობით მოუგო და ნახევარფინალში ადგილიც დაიბევა. თურქული ფეხბურთის არსებობის ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა იქაური კლუბი ევროთასების ნახევარფინალს რომ აღწევს, 1989 წელს იგივე „გალათასარაი“ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში რუმინულ „სტიაუასთან“ დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ სტუმრები 4:0-ს იგებდნენ და ერთადერთი საპასუხო გოლიც თამაშის მიწურულს გაუშვეს.

ინგლისის „ლიდს იუნაიტედს“ არ გასჭირვებია ჩეხური „სლავიას“ ძლევა. 3:0-ის მოგების შემდეგ, „ლიდსს“ სასწაული თუ გამოთიშავს ბრძოლას მეოთხედფინალიდან. ვიგოს „სელტა“ ბევრს კი უტევდა, მაგრამ ფრანგულ „ლანსს“



გოლი ვერ გაუტანა და თუ ნახევარფინალში თამაში სურს, ამის გაკეთება სტუმრად მოუწევს. საპასუხო მატჩებიდან ყველაზე საინტერესო ბრძოლას ბრემენში გასამართი მატჩი გვპირდება. მართალია „ვერდერმა“ სტუმრად 0:2 კი წააგო, მაგრამ გერმანულ კლუბს უარესი სიტუაციებისგანაც დაუღწევია თავი. ასე რომ „მეთოფეებს“ ბრემენში დიდი ბრძოლა ელით.

## №11 (180) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 651 მკითხველი გამოეხმაურა. შვიდი რესპონდენტის მიერ შევსებულმა ბარათმა კონკურსში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან მათ ყველა გრაფა 9 ქულით ჰქონდათ შეფასებული. მათგან რამდენიმე მკითხველს მინიშნებულიც ჰქონდა, რომ ეს შეცდომა არ არის, არამედ შეგნებული შეფასებებია. 2 ბარათი არასწორი იყო. 246-მა ქალმა და 396-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ყველაზე კორუმპირებული უწყება?“**

მკითხველთა 46-ის აზრით, საქართველოში ყველაზე კორუმპირებული უწყება საბაჟოა. **7,81** საშუალო ქულით „საბაჟო“ პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა მხოლოდ 1-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით. შემდეგ ადგილზე „საგადასახადოა“, საშუალო ქულაა 6,87. ყველაზე ცოტა მინიმალური ქულა სწორედ მას ხვდა წილად. მხოლოდ 1-მა მკითხველმა (0.16) დაუწერა 1 ქულა. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ქულების რაოდენობით „პოლიცია“ მესამე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების მიხედვით იგი მეორეზეა და წინ უსწრებს „საგადასახადოს“, მკითხველთა 21-მა დაუწერა „პოლიციას“ მაქსიმალური — 9 ქულა. საერთო ქულების რაოდენობით მეექვსეზე და მაქსიმალურ ქულათა მიხედვით კი მესამე ადგილზე „პარლამენტია“, მკითხველთა 16 მიიჩნევს მას ყველაზე კორუმპირებულ უწყებად.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა „კონტროლის პალატამ“ დაიმსახურა — რესპონდენტთა 32-ის აზრით, აქ ჩამოთვლილ უწყებათა შორის იგი ყველაზე ნაკლებად არის გარეული კორუფციაში. მიუხედავად ამისა, სულ ბოლო ადგილზე 2,55 საშუალო ქულით „არმიაა“.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 37 წლის კასპელი **გიორგი ჩადუნელი** და 42 წლის თბილისელი **იამზე ძოჩიშვილი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 21 მარტს, 17 საათზე.

## №12 (181) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№12 (181) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 22 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 16 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №12 (181) —

**9 აპრილი**

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე მეტად დამნაშავე 9 აპრილის ტრაგედიაში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს 8 — და ა.შ. 1-მდე.

**№12(181) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| N | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | **მიხაილ გორბაჩოვი** (სსრკ-ის ცკ-ის გენერალური მდივანი) | |
| 2 | **ეგორ როდიონოვი** (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი) | |
| 3 | **ედუარდ შევარდნაძე** (სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი) | |
| 4 | **დიმიტრი იაზოვი** (სსრკ-ის თავდაცვის მინისტრი) | |
| 5 | **ჯუმბერ პატიაშვილი** (საქართველოს ცკ-ის I მდივანი) | |
| 6 | **ეგორ ლიგაჩოვი** (სსრკ-ის ცკ-ის მდივანი) | |
| 7 | **კონსტანტინ კოჩეტოვი** (სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის I მოადგილე) | |
| 8 | **„არაფორმალები“ — გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია, წერეთელი...** | |
| 9 | **ბორის ნიკოლსკი** (საქართველოს ცკ-ის II მდივანი) | |

**დამატებითი კითხვა**

**როგორ აფასებთ ამომრჩეველთა მარკირების საკითხს?**

| საჭიროა | არ არის საჭირო | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს.**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგს 431 რესპონდენტი ჰყავდა. მათ უნდა დაესახელებინათ **„კვირის პალიტრის“ საუკეთესო პოლიტიკოსი რესპონდენტი.** მკითხველთა 7-მა განაცხადა, რომ არც ერთი პოლიტიკოსი რესპონდენტი არ მოეწონათ. 6-ს კი გაუჭირდა საუკეთესოს დასახელება.

**საუკეთესო პოლიტიკოს რესპონდენტთა პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მიხეილ სააკაშვილი | 14,4% |
| 2 | მამუკა არეშიძე | 8,1% |
| 3 | ირაკლი ბათიაშვილი | 5,8% |
| 4 | აკაკი ყულიჯანიშვილი | 5,6% |
| 5 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 4,5% |
| 6 | ედუარდ შევარდნაძე | 4,2% |
| 7 | კახა კაციტაძე | 3,9% |
| 8-10 | გურამ შარაძე | 2,8% |
| 8-10 | ჯუმბერ პატიაშვილი | 2,8% |
| 8-10 | რამაზ კლიმიაშვილი | 2,8% |

როგორც ხედავთ, ათეულში პოლიტიკოსთა გვერდით ქართველი პოლიტოლოგებიც აღმოჩნდნენ.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ანზორ ბალუაშვილი და ჯამლეთ ბაბილაშვილი

**მ.ს.** — ოთხმოცდაექვსი... უნდა ვაჯობო ჟვანიას. ის თურმე ას ხინკალს ჭამს.

***ბოდო, თბილისი***

მსოფლიოს მე-8 საოცრება:

მისი აღმატებულება სასამართლო რეფორმის მამა საკუთარი ხელით იჩრის ბურთს პირში.

აი, რას ნიშნავს პროკურატურასთან ჭიდილი...

***ლიკა ბერიძე, თბილისი***

**მ.ს.** — (თავისთვის) ძვლიანი ხორცი შემოუპარებიათ. ისევ ტერაქტი?! ეს ნამდვილად გააბიტურიენტებული პროკურორების მოწყობილი იქნება.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**მ.ს.** (ფიქრობს) — ამ რაუნდში რთული ბრძოლა მელის პროკურორებთან, კბილები უკეთ უნდა დავიცვა.

***გია „ოქრო“, გორი***

**მ.ს.** — როცა გამახსენდება, საქართველოში რამდენი ადამიანი შიმშილობს, ლუკმა ყელში აღარ გადამდის...

***ლოლიტა, თბილისი***

ამდენს ნუ ჭამ, ჩემო მიშა, ვერ აიტან, გასკდები!

**მ.ს.** — ჩამეტევა! ჩამეტევა!.. თუ არა და ჩავტენი!

***გაგი რაზმაძე, თბილისი***

**მ.ს.** — ერთი ამ შიფროგრამის შეჭმა მოვასწრო და მერე იმარჩიელონ ბათიაშვილის ინტერვიუს შემდეგ, თუ ვინ მოიაზრება ბაბუს შემდეგ პრეზიდენტად...

***ბადრი, თბილისი***



მიხეილ სააკაშვილი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 164 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**მ.ს.** — ო, ენავ ჩემო, მოუღლელო,

ბალუაშვილის ხელით ამოგლეჯილო!

ამდენი უცხო ენის სწავლას ერთი მუნჯური მესწავლა... არაფერია, მივებარები კოპერფილდს, პირიდან ცეცხლის გაჩენას მასწავლის!

***მეგი, თბილისი***

ჭამე, ჭამე, ჩვენო მიშა,
ჩვენ, ვაკელებს, არა გვიშავს,
მადა რომ გაქვს, გაგვიხარდა
ჩვენს დეპუტატს, დასაფიცარს.

***ქეთინო ხუციშვილი, თბილისი***

**მ.ს.** — აუჰ, ამას რას ვხედავ, კაცო!

სად გადამიღეს ეს სურათი?!

არა, არა, სასწრაფოდ „ფოტოპალიტრაში“ რეფორმაა ჩასატარებელი ინტრიგანი ფოტოგრაფების მიმართ!!!

***ზაზა ყოლბაია, წყნეთი***

ცრუ პროკურორს, მოსამართლეს
გადაყლაპავს სადაც ნახავს
და მიშასაც ჩვენს იმედად
დაულია დიდი ხახა,
არა გვიშავს, ეს იმედიც
თუ არავინ გაგვიბახა.

***რუსლან შარია, სოხუმი***

**მ.ს.** — ეჰ, რა კბილები ჩამიმტვრია ედპ-მ, არა უშავს, ჰოლანდიური პროთეზითაც მაგრად ვუკბენ ბაბილაშვილსა და თარგამაძეს.

***გიორგი კასპელი***

ზოოპარკში მაიმუნი ჭერამს მიირთმევდა, ჯერ უკან მოიზომებდა, მერე ყლაპავდა. მომვლელს ჰკითხეს, — ამას რათა შვრებაო?!

— გუშინ ატმის კურკა გაეჭედა და იმიტომაო!

აქედან მორალი: ჩემო მიშა, სანამ დიდი „ლუკმის“ გადაყლაპვას დააპირებდე, კარგად აწონ-დაწონე, თორემ შეიძლება მაგრად გაგჭედონ.

***მარკშეიდერი, გურამ რეხვიაშვილი, თბილისი***



ჟან-პოლ ბელმონდო შეუდგა მუშაობას ფილმზე „სამეფო ცირკი“. პირველსავე დღეს გადასაღებ მოედანზე მსახიობს მიუახლოვდა შიშველი უცნობი მამაკაცი. წარმოიდგინეთ, რაოდენ გაოცებულნი დარჩნენ ბელმონდო და მისი მცველები უცნობის სხეულის დათვალიერების შემდეგ. სტუმარს მთელი ტანი მოსვირინგებული ჰქონდა ბელმონდოს მონაწილეობით შექმნილი ყველა ფილმის კადრებით.

„ჭეშმარიტი სიყვარული წარმოუდგენელია უმსხვერპლოდ“, — იხუმრა მსახიობმა და სამახსოვრო ფოტო გადაიღო „ილუსტრირებულ“ სტუმართან ერთად.

***

ორი ახალგაზრდა საუბრობს:

— აბა, თუ იცი, რით განსხვავდება ძაღლი პოლიციელისგან? — იკითხა პირველმა.



მეორე ფიქრობს. მათ საუბარს ყური მოჰკრა მესამემ — პოლიციელმა...

— მიდი, აბა, თქვი, — „დაიღრინა“ მესამემ, — რით განსხვავდება!

პირველს ენა დაება და ამოილუღლუღა:

— არაფრით...

— სწორედ ეს არის საქმე, — „წაიტრაბახა“ მესამემ.



**ეს ჩამრგვალებული კურდღელი ფრანგული ჯიშის გახლავთ და სამშობლოში სულ 600-ღა შემორჩა.**

**გულგრილი ვერ დარჩებით მისი ფუმფულა ღიპის მიმართ. თათებსა და ლოყებს ხომ ნუღარ იკითხავთ... ერთი სიტყვით, დატკბით მისი საოცარი ცხვირ-პირით.**

**ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი**

**22/III 21.00–23.00სთ-მდე;**

**25/III 16.00–18.00სთ-მდე;**

## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**

**„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).**

**„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).**

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *ქუთაისი, რუსთავი, მცხეთა, დუშეთი, ჟინვალი, კასპი, გორი, ქარელი; ხაშური; სურამი; ზესტაფონი; თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, გურჯაანი, თელავი, წნორი, ახმეტა, -* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(12) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**სიტყვა და საქმე**

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)***

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№12 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 23 მარტის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.





## ყუყაფონიზმები

წყალი პატარასია, როცა დიდს არ სწყურია.

***თეკლე ლუკია, ვარციხე***

ანწლი არ მოგვცემს ყურძენსა, ხელისუფლება პენსიებს.

***გელა ბერაძე, ქუთაისი***

ასლანს ხვრელით გამოიყვანს და თბილისში ჩამოიყვანს...

...სავარძელი პრეზიდენტის.

***ამირან შოთია, წყალტუბო***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54 **რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.